ნ.ა.ლ ო მ ს ა ძ ე.

# საკოლმეურნეო საკუთრება, როგორც ფორმა სოციალისტური საკუთრების.

1940წ.

ქ. თბილისი.

# შ ი ნ ა ა რ ს ი.

## I- განყოფილება


1-ლი თავი - 1861 წლის საგლეხო რეფორმა, მისი მიზანი და შედეგები გვ. 1.

2-ე თავი - გლეხობის მდგომარეობა მოზარდ კაპიტალიზმის პერიოდში გვ. 15.

3-ე თავი - გლეხობის საკითხი რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციაში. გვ.24.

4-ე თავი - გლეხობა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში და მის შემდგომ პერიოდში.გვ. 31.

5-ე თავი - ლენინის კოოპერატიული გეგმა გვ. 45.


## II-განყოფილება.


1-ლი თავი - მარქსისტული სწავლება საკუთრების წარმოშობის და მისი ცნების შესახებ. 6 გვ. 66.

2-ე თავი - სოციალისტური საკუთრება და მისი ორი ფორმა.გვ.95.

3-ე თავი - საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტი და სუბიექტი გვ. 111.

4-ე თავი - საკოლმეურნეო კომლი. კოლმეურნის პირადი და საზოგადო საკუთრება. გვ. 131.

5-ე თავი - კრიტიკა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკოლმეურნეო საკუთრების შესახებ. გვ. 164.


## III-განყოფილება.


1-ლი თავი - კოლმეურნეობებზე ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საკითხი გვ. 177.

2-ე თავი - სასამართლო პრაქტიკა საკოლმეურნეო საქმეების განხილვის დროს. გვ. 191.

3-ე თავი - ზოგიერთი საკუთარ მოსაზრებათა შესახებ. გვ. 208.


..........

I-ლი განყოფილება.

I-ლი თავი.

# 1861 წლის საგლეხო რეფორმა, მისი მიზანი და შედეგები

შორეულ წარსულში, ასეულ წლების განმავლობაში გლეხების ადამიანური უფლებრივი მდგომარეობა პირუტყვის დონემდე იყო დაყვანილი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში თავისუფლად სწარმოებდა ადამიანებით ვაჭრობა, ბატონების მიერ ეწყობოდა ადამიანთა სავაჭრო ბაზრები, სადაც თავისუფლად იყიდებოდნენ ან და პირუტყვზე იცვლებოდნენ ყმა გლეხები.

ძველ რუსეთის სამხრეთ მხარეში მეტად ცნობილი სავაჭრო ადგილად გადაიქცა ი უ რ პ ი ნ ი ს ბაზარი, სადაც ადამიანებით ვაჭრობის და მის პირუტყვზე გადაცვლის მხრით საკმაოდ ცნობილ სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. ამის შესახებ ერთ-ერთი ყოფილი ყმა გლეხი თავის მოგონებაში შემდეგს აღნიშნავდა:

> " იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი ბატონი გასასყიდად 30 ყმას ერთად წაიყვანდა. ერთხელ იურპინის ბაზარში ყმების გასასყიდად წაყვანის დროს 30 ყმა-გლეხი ერთმანეთზე ათათად გადაბმული გათოკეს. ყველა ყმა ერთ დღეს გაყიდული იქნა... ყოველწლიურად ასე ვეზიდებოდით ყმებს გასასყიდად"-ო. / Довнар-Запольский, На заре Крестьянской свободы. Ст. 32 /.

მემამულეები ყმებს ყიდნენ მთელი ოჯახობით და სოფლობით, ბითუმად და ცალობით. აშორებდნენ დედას ბავშვებს, ქმარს-

ცოლს და მახლობელ ნათესავებს ერთმანეთს. ყმა გლეხების გასასყიდად წინასწარ ცხადდებოდა აფიშებით. ასე მაგ: გაზ. "Московск.Ведомост -ში ქვეყნდებოდა შემდეგი შინაარსის განცხადებები: " იყიდებიან ადამიანები":

" ქალიშვილი 20 წლის, იცის არშიების ქსოვა, ღირს 200 მანეთი "

" იყიდება 18 წლის ქალიშვილი, შეხედულებით ლამაზი, ორგანიზმითაც მოხდენილი, იცის საცვლების კერვა, დაუთოვება, ნაწილობრივ საჭმლების კეთებაც, ღირს 400 მანეთი."

" იყიდება 17 წლის გლეხის გოგო - ღირს 100 მანეთი". და სხვა უამრავი განცხადებები და ამგვარი დოკუმენტები, რომლის აქ ჩამოთვლას ჩვენ აღარ შევუდგებით.

თუ ექსპლუატაციის პირველი ფორმა ცნობილი იყო მონობა, მეორე ფორმა და არა ნაკლებ ტანჯვა-წვალების ფორმად ბატონყმობა გადაიქცა. ბატონის უფლებები ყმის მიმართ განუსაზღვრელი და შეუზღუდავი იყო. ბატონის მიერ ყმებისადმი ისეთი წესებით დამოკიდებულება, როგორიც მაშინ სწარმოებდა, გადაჭრით შეიძლება ითქვას პირუტყვების მიმართაც არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო.

შემოღებული იყო ე.წ. " საბატონო დღეები ", სადაც ყმა, მთელ კვირას ბატონის სამუშაოზე უნდა ყოფილიყო, ხოლო ღამეობით ან და კვირა დღეს საკუთარ საქმისათვის უნდა მიეხედა. ბატონის მამულზე ყმის მუშაობა სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ იყო მოქცეული. ბატონი სამუშაოდ მყოფ ყმა გლეხებს სასტიკად სჯიდა. უკეთებდა კისერზე ორკაპებს,

ჩათა არ დაესვენათ; წყალს არ ასმევდენ მანამ, სანამ საქმეს არ დაამთავრებდენ და სხვა. ამდაგვარად ბატონი ყმა გლეხის მხოლოდ ბატონი იყო და არა მისი პატრონი-სი-ტყვის საკუთარი მნიშვნელობით. ბატონი-ყმას თვითონვე ასამართლებდა და თვითონვე სჯიდა, სჯიდა განუსაზღვრელად " სიზარმაცისათვის ", " გაუსწორებლობისათვის ", "ურჩო-ბისათვის " და სხვა გვარ " დანაშაულობისათვის ".

შინაყმის მდგომარეობა ამ მხრივ უფრო უარესი იყო ვინემ სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხების. სახელმწიფო გლეხები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენდნენ, როდი იყვნენ ისეთი უუფლებონი, როგორიც მემამულის გლეხები. სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხებს შენარჩუნებული ჰქონდათ პირადი და ქონებრივი უფლებები, მათ ყავდათ თავიანთი ამორჩეული სასამართლო, თავიანთი მმართველობა. მათ იმის უფლებაც კი ჰქონდათ, რომ ეჩივლათ იმ მოხელეთა წინააღმდეგ, ვინც კი მათ უდიერად მოეპყრობოდა. მიუხედავად ამისა ისინი მაინც ყმები იყვნენ, მაინც მი-ჯაჭვულნი იყვნენ სახელმწიფოსა და ეკლესიის მიწებზე, საი-დანაც თავის დაღწევა არც ისე ადვილი იყო.

მე-18 საუკუნეში შინაყმათა რიცხვმა განსაკუთრებულ რაოდენობას მიაღწია, რომლებიც ბატონობის ყველა საჭირო და უამრავ ახირებულ სურვილებს-დაუყონებლივ ასრულებდნენ. შინაყმათა რაოდენობა, როგორც მემამულეების მიერ გლეხთა ექსპლოატაციის შედეგი, მე-19 საუკუნის შუა ხანებშიდ საკმაოდ იზრდება.

" მე-8 და 10 რევიზიათა შორისულ დროს / 1836-1858 წ.წ. / შინაყმათა პროცენტი გაიზარდა 4,14-

დან 6,79 მლნ, ხოლო შინაყმათა აბსოლუტურმა რიცხვმა მარტო 7 წელში მე-9 და 10-რევიზიებს შორის / 1851-1858 წ.წ. / თითქმის 40 %-ით იმატა, 523 ათასიდან-724 ათას სარევიზიო სულამდე."

/А.П.Заблоцкий- Десятовский том 1У .Стр. 211/.

განსაკუთრებით ასეთი ზრდა შინაყმების სწარმოებდა რუსეთის შავ მიწა ნიადაგიან გუბერნიებში.

ის ფაქტი, რომ ყმობიდან გლეხის თავის დახსნა, რომელიც მემამულეებს შორის კერძო შეთანხმების გზით სწარმოებდა, ბოლოს და ბოლოს ეს შეთანხმება განუხორციელებელ საქმედ რჩებოდა. ჯერ ერთი: ყმა გლეხს, რომ თავი დაეხსნა ბატონისაგან და ის თავისუფალი ყოფილიყო, მას უნდა ჰქონოდა გამოსასყიდი საკმაოდ დიდი თანხა, რაც ყმა გლეხებს ჩვეულებრივად არ გააჩნდათ. ამას ის გარემოებაც ემატებოდა, რომ თავის დასახსნელი თანხის გადახდა ნაწილ-ნაწილად არ შეიძლებოდა - იგი ერთდროულად უნდა ყოფილიყო გადახდილი. ძალიან იშვიათი შემთხვევა იქნებოდა თუ თითო ოროლა ყმაგლეხები ამას შესძლებდნენ, დანარჩენი უმრავლესობა ამ მხრივ მოკლებულნი იყვნენ.

ასევე მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას ღალა და მისი რაოდენობის თანდათანობით ზრდა. თუ გლეხის საშუალო ნორმა 18 საუკუნის დამლევს შეადგენდა სულზე 5- მანეთს, 19 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში იგი იზრდება ერთნახევარჯერ ე.ი. 18 საუკუნის ბოლო დროინდელ ფულზე, რომ გადავიტანოთ შეადგენს სულზე 7 მანეთს და 50 კაპ. ღალის ესოდენ საგრძნობი ზრდა მეტად ცუდ გავლენას ახდე-

ნდა გლეხის მეურნეობაზე, რის შედეგადაც გლეხის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება ერთბაშად ეცემოდა. ადგილი ჰქონდა გლეხობის მასობრივ გაბოგანოვება- გაღატაკებას. გლეხი ბატონის სასარგებლოდ იხდიდა, როგორც ფულით, ისე ნატურით გადასახადს. შემოღებული იყო ორმოცნაირი სხვადასხვა სახის გადასახადები, ასეთი გადასახადები ატარებდენ როგორც მუდმივობის სახეს, ასევე შემთხვევითი ხასიათს.

ბატონყმური ჩაგვრის გაძლიერებას, მისი მძიმე უღელს მწვავედ გრძნობდა გლეხობის ფართო მასები, რაც პირდაპირ ხელს უწყობდა გლეხობის სხვადასხვა ფენების გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ს. თუმცა გლეხობის სხვადასხვა ფენების ინტერესები ამ გაერთიანებაში სხვადასხვანაირი იყო. კერძოდ: გლეხობის ის ფენა, / ეს ფენა კი უმრავლესობა იყო /, რომელიც ჩანაგდებოდა და ბოგანოვდებოდა, თავგამოდებით იბრძოდა თავისი არსებობის ელემენტარული პირობების დასაკმაყოფილებლად, ცდილობდა რაც შეიძლება მალე დაეღწია თავი გაჭირვებისაგან, შიმშილისა და აუტანელი შრომისაგან. ხოლო გლეხობის შეძლებული ზედა ფენა მიილტვოდა იმისაკენ, რომ თავისი გამდიდრების და მოგების ხელსაყრელი პირობები რაც შეიძლება შენარჩუნებული ყოფილიყო. მიუხედავად გლეხთა ფენების შინაგანასეთ წინააღმდეგობისა, ისინი მაინც ამ წინააღმდეგობას მეორე რიგში აყენებდნენ და მტერთან ბრძოლაში, ბატონებსა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდიოდნენ შეერთებული ძალით.

1861 წლის რეფორმამდე გლეხთა მოძრაობებში ძალიან ბევრ აჯანყებებს ქონდა ადგილი, რეფორმის წინა წლებში მთელი 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად თითქმის 170-მდე გლეხთა აჯანყება იყო მომხდარი. პირველი ფორმა გლეხთა აჯან-

ყმებისა იყო გლეხობის მასიური გ ა ქ ც ე ვ ა სხვა მხარეებში." მირბიან არა მარტო მარტოხელები და ცალკე ოჯახები, არამედ ადგილებიდან იხსნებიან მთელი სოფელი თითქმის მთელი თემები " / И.И. Игнатов " Великая Реформа Стр". 46/.

გლეხობა მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს. არ ქონდათ უფლება უსამართლობის წინააღმდეგ სადმე ჩივილის. მათი გამოსავალი პირველ ხანებში ერთი იყო: გაქცევა სოფლიდან. ცნობილ რუს მწერალს ნ ე კ რ ა ს ო ვ ს ერთერთ თავისი მოთხრობა აღწერილი აქვს იმის შესახებ თუ 7-გლეხი-როგორ ეძებდა კარგ ცხოვრებას." დაიარებოდნენ და ეძებდნენ გ ა უ წ ვ ე პ ლ ა ვ თემს და ბ ა რ ა ქ ი ა ნ სოფელს" მწერალი შემდეგ ასკვნის: დიდხანს იარეს გლეხებმა. გაიარეს უ ვ ი ც ი გუბერნია. შემოიარეს ა რ ტ ა ხ შ ე მ ო ჭ ე რ ი ლ ი და ნ ა თ ო ფ ა რ ი გუბერნიები. მოინახულეს ს უ ლ ა მ ო ხ დ ი ლ ი მაზრა, ც ა რ ი ე ლ ფ ა რ ი ე ლ ი თემი. ნახევარი სამეფო სულ შემოიარეს, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს ბ ა რ ა ქ ი ა ნ ი სოფელი - ო.

გლეხთა მოძრაობის მეორე სახე იყო მასობრივი უარი საბატონო სამუშაოებზე გასვლის, ფულის და სხვა გადასახადების გადახდაზე " უ რ ჩ ო ბ ა ". გლეხთა ასეთ"ურჩობაზე", რასაც მაშინდელ ოფიციალურ წყაროებით " თვითნებობა " უწოდეს, ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის ზომებს ღებულობდა მათ საწინააღმდეგოთ, ხშირ შემთხვევებში " ურჩობის " მოსასპობად სამხედრო ნაწილებიც კი იგზავნებოდა, რაც გლეხობისათვის სერიოზულ სასჯელს ნიშნავდა.

გლეხთა აჯანყებებმა განსაკუთრებით მძაფრად თავი იჩი-

ნა დიდი ომების პერიოდში, როგორიც იყო: მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ნაპოლეონის ომი რუსეთთან და მეორე დიდი ომი-ყირიმის ომთან დაკავშირებით. 1854 წელს 3 აპრილს ქვეყნდება მანიფესტი ლაშქრობაში გაწვევის შესახებ. რადგან ამ პერიოდში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქოს ლაშქრობაში მონაწილეობა გლეხობას მიანიჭებს თავისუფლებას და მიწას, ამ მოსაზრებით გლეხობა იერიშით მიდიოდა ლაშქრობაში გასაწვევად, უარს აცხადებდნენ საბატონო სამუშაოზე, გადასახადებზე და ყველა დაინტერესებული იყო ამ ომით.

ისტორიაში ცნობილია გლეხთა დიდი აჯანყებები, როგორიც იყო სტეპან რ ა ზ ი ნ ი ს და პ უ გ ა ჩ ო ვ ი ს ხელმძღვანელობით გრანდიოზული აჯანყებები. აჯანყებები არა ნაკლებ სისასტიკით ხდებოდა მეფის რუსეთის განაპირა ქვეყნებშიაც. გლეხთა მღელვარებას და აჯანყებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე საქართველოშიაც. 1812 წლის კახეთის აჯანყება, სადაც გლეხები დაუნდობლად აწიოკებდნენ მემამულე-ბატონებს; 1841 წლის გურიაში გლეხთა აჯანყება, სადაც მონაწილეობა მიიღო 7 ათასზე მეტმა გლეხმა. ეს აჯანყება მიმართული იყო, როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აგრეთვე ადგილობრივ თავადაზნაურობის წინააღმდეგ; 1857 წლის სამეგრელოს აჯანყება და სხვა გლეხთა მღელვარებები, რომლებმაც მოამზადეს პირობები გლეხთა რეფორმის მოსახდენად საქართველოში. ამის შესახებ კავკასიის მეფის ნაცვლის თავად ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ს ხელის მოწერით გამოცემული იქნა რეფორმის პროექტი, შედგენილი " 19 თებერვლის დებულების " საფუძველზე.

გლეხთა მასობრივი მოძრაობის გარდა ვითარდებოდა აგრეთ-

ვე მემამულეების და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ ი ნ დ ი ვ ი დ ი ა ლ უ რ ი ტერორს, სადაც ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლკარს, თავს ესხმოდნენ მემამულეებს, ხოცავდნენ მემამულეთა ცოლშვილს და ანადგურებდნენ მემამულეთა ქონებას. საქმე იმაშია, რომ ყველა ამ აჯანყებებს სასტიკად ახშობდა მემამულეთა ხელისუფლება. მიზეზი აჯანყებათა დამარცხებების უპირველესად გლეხთა დაქსაქსულ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. გლეხობა დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა გაერთიანებას ერთ მთლიან კავშირში. არ ჰყავდათ ხელმძღვანელი ძალა. გლეხობა დააბეჩავა არსებულმა ცხოვრების მძიმე სიდუხჭირემ. " საუკუნოებრივმა მონობამ იმდენად დააბეჩავა და დააჩლუნგა გლეხთა მასები, რომ მათ რევოლუციის დროს არაფრის უნარი არ ჰქონდათ, გარდა დაქსაქსულ, ერთეულ აჯანყებისა, უფრო კი " ბუნტებისა ", რომლებიც არავითარ პოლიტიკური შეგნებით გაშუქებული არ იყო ".
/ ლენინი თხზ. ტ.XV გვ. 72 /.

გლეხთა ყოველგვარ მოძრაობას სწორი ხელმძღვანელობა სჭირია, მის რევოლუციურ მოქმედებას, პროლეტარიატი უნდა ხელმძღვანელობდეს. ამ მხრივ კი მაშინ გლეხობას არ ყავდა მოკავშირე ქალაქად, არ იყო ჩამოყალიბებული ხელმძღვანელი ძალა- პროლეტარიატი. არ იყო ქალაქად მუშათა კლასი, რომელიც უთუოდ შესძლებდა გლეხობის შეკავშირებას, მათ დარაზმვას მეფურ მემამულურ მთავრობის საწინააღმდეგოდ ბრძოლაში.

" გლეხობის ცალკეული აჯანყებანი იმ შემთხვევაშიაც როცა ისინი არიან ისეთი ყაჩაღური და დაურაზმავი,

როგორიც იყო სტ.რაზინის გამოსვლები- ვერავითარ სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწევდენ. გლეხური აჯანყებანი შეიძლება წარმატებით დამთავრდეს მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ ისინი დაკავშირებულნი იქნებიან მუშათა აჯანყებასთან. მხოლოდ კომბინირებულ აჯანყებას მუშათა კლასის მეთაურობით შეუძლია მიაღწიოს დასახულ მიზანს"-ო.

/ სტალინი საუბარი გერმანელ მწ.ემილ ლუდვიგთან /

გლეხთა აჯანყებებმა მაინც დიდი გავლენა მოახდინეს ბატონყმობის გაუქმების თაობაზე. მეფე ამ ფაქტით იძულებული შეიქმნა გლეხობისათვის" თავისუფლება " ზევიდან მიეცა. მოეხდინა რეფორმა. მაგრამ ეს რეფორმა ისე უნდა ჩატარებულიყო, რომ ერთის მხრივ მემამულეები კვლავ თვითმპყრობელობის ბურჯად დარჩენილიყვნენ და მეორეს მხრივ საწარმოო კაპიტალის წარმომადგენლების შესაძლებლობის და მიხედვით მომადლიერებული ყოფილიყვნენ. სინამდვილეში საკითხიც ასე მოგვარდა.

1861 წლის საგლეხო რეფორმა ჩატარებული იქნა ე.წ. " 19 თებერვლის დებულებით ". მეფემ, ალექსანდრე მეორემ ეს დებულება დაამტკიცა, როგორც საგლეხო რეფორმის ურყევი კანონი. თუ რაში მდგომარეობდა " 19 თებერვლის დებულების" შინაარსი, ამის განმარტებას აქ აღარ შევუდგებით.

ჩვენ ზემოთ მოკლეთ დავახასიათეთ 1861 წლის რეფორმის წინა პერიოდი, თუ გლეხთა მდგომარეობა, როგორი იყო და რა გავლენა მოახდინა გლეხობის აჯანყებებმა-რეფორმის ჩასატარებლად. ახლა მოკლედ შევეხოთ საკითხის მეორე მხარეს. კაპიტალიზმის შემოჭრის საკითხს რუსეთში, თუ რა მნიშვნე-

ლობა ჰქონდა ამას რეფორმის საკითხში.

19 საუკუნის პირველ ნახევარში სწარმოებდა კაპიტა-ლიზმის შემოჭრა და მისი ჩქარი ტემპით განვითარება რუ-სეთში. სწორედ 1861 წლის საგლეხო რეფორმის ერთ-ერთ მიზეზად ესეც უნდა ჩაითვალოს.

კაპიტალიზმის შემოჭრამ აიძულა რუსეთის თვითმპყრო-ბელობა, რათა მოესპო ბურჟუაზიული ურთიერთობის შემაფერხე-ბელი პირობები - ბატონყმობა.

18 საუკუნის ბოლოს და 19 საუკუნის დასაწყისში მთელს ევროპაში კერძოთ კი ინგლის, საფრანგეთს და გერმა-ნიაში არაჩვეულებრივი დონით განვითარდა საწარმო ძალე-ბი. საწარმოო კაპიტალი განსაკუთრებით ინგლისში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან თითქმის დაიმორჩილა მსხვილი მიწათმფლობელობა, გაბატონდა თავისუფალი ვაჭრობა, მოისპო ბაჟი შემოსატან პურზე - გაიმარჯვა კაპიტალიზმმა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მუშა-თა კლასიც, ფართოდ გავრცელდა სოციალისტური იდეები და ჩაეყარა საფუძველი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობას - პირ-ველი ინტერნაციონალის დაარსების სახით.

მეფის რუსეთი ამ მხრივ თავისი ჩამორჩენილობით განი-რჩეოდა ევროპის ზემოდ აღნიშნულ სახელმწიფოებისაგან, სადაც კაპიტალიზმის განვითარების პროცესი იმ დრომდე რუსეთში გამომწყვდეული, ჯერ, რომ ვთქვათ ბატონყმობის " არტახებ-ში შებოჭილი " იყო.

ნაპოლეონის იერიშმა მეფის რუსეთზე, 1854-1856 წ.წ. ყირიმის შემოტევამ და სხვა განუწყვეტელ ომებში, რუსეთი სასტიკად დამარცხებული აღმოჩნდა. ასეთი დამარცხების შე-

დეგად საჭირო გახდა საწარმოო კაპიტალის განვითარების აუცილებლობა, ხოლო ამისათვის კი საჭირო გახდა ბატონ-ყმობის გაუქმება. " მეფის მთავრობა, ყირიმის კომპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინაა-ღმდეგ გლეხთა "ბუნტებით " შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა".
/ საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ. 5 /

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ყოველგვა-რი ინტერესები მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას, მის მოსპობას, რადგან 18 საუკუნის მრეწველობა, თავისი ხვედ-რითი წონით სრულებითაც არ იყო კაპიტალისტური, რაც მთავა-რია მას არ გააჩნდა მუდმივი საკუთარი " თავისუფალი " მუშახელი. არ ჰქონდა პირობები მრეწველობის მეპატრონეს შრომის თავისუფლად დაქირავებისა, რომელიც მრეწველობის განვითარებაში მისცემდა უფრო მეტ ნაყოფს, ვიდრე შრომის დაქირავების იძულებითი პრაქტიკა.

რაც შეეხება თავისუფლად დაქირავებულ მუშას, ის მეტნაწილად არ იყო იურიდიულად თავისუფალი, არ იყო დამო-უკიდებელი ვინმესგან, სადაც შესძლებდა თავისი სამუშაო ძალას გამოყენებას ისე, როგორც კი მას მოესურვებოდა. უმ-თავრესი ნაწილი იმ მუშახელის, რომლებიც ფაბრიკა- ქარხნე-ბში თავს იყრიდნენ - წარმოადგენდენ ღალის ქვეშ მყოფ ყმა გლეხებს.

ღალავალდებულ ყმა გლეხების შრომის გამოყენება და-მოკიდებული იყო თავის ბატონზე და არა ქარხნის ან ფაბ-რიკის მეპატრონეზე. ბატონს, როგორც ყმის მუდმივ მფლობელს შეეძლო მეორე დღესვე უკან გაეწვია ყმა ფაბრიკანტის

სამუშაოდან. ასეთმა ურთიერთობამ ბატონსა და ფაბრიკანტს შორის თვალსაჩინო უხერხულება შექმნა-უკანასკნელის საზიანოთ. მთავრობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს, რისთვისაც მემამულეთა უფლებები ამ მხრივ 1835 წლის 24 მაისის მთავრობის სპეციალური კანონით შეზღუდული იქნა. ამ კანონით მემამულეს უფლება ეთმეოდა ფაბრიკაში მომუშავე ყმის თვითნებურად უკან წაყვანის, მანამ სანამ არ გავიდოდა ქირავნობის ვადა.

მეფის რუსეთის მთავრობის სურვილები ამ მიმართულებით ძალზედ გაიზარდა. გამოიცა უამრავი რესკრიპტები / მიწერილობები/. სადაც აღნიშნული იყო ყმა გლეხების " განთავისუფლების " შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობდა საწარმოო კაპიტალის განვითარების საქმეს. კერძოდ ხელს შეუწყობდა პროლეტარული არმიის შექმნის საქმეს და მათ შრომითი გამოყენების ხელსაყრელ პირობებს. ამრიგად: საწარმოო ძალების განვითარება ეჯახება საწინააღმდეგო კონფლიქტში ბატონყმურ წყობილებას, სწარმოებს ბრძოლა ერთის შემოღებისათვის, ხოლო მეორის ყოფნა არ ყოფნის შესახებ, სადაც მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ყოველივე ამას. მეფე ორ ცეცხლს შუაა. როგორც იტყვიან მას " არც მწვადი უნდა დაეწვას და არც შამფური ", ერთის მხრივ სურს მფარველად დაიცვას მემამულეთა, თავადაზნაურობის ინტერესები და მეორეს მხრივ მზრუნველობას იჩენს, ანგარიშს უწევს ბურჟუაზიის ინტერესებს. ყოველივე ეს "გაითვალისწინა" მემამულეთ რუსეთის მეფემ, ალექსანდრე მეორემ, რომელმაც გამოსცა ბრძანება ზევიდან გლეხობის " განთავისუფლების " შესახებ.

ლენინი ამის შესახებ შემდეგს სწერდა:

" რა ძალამ აიძულა ყმათა ბატონები რეფორმისათვის მიეყოთ ხელი?. ეკონომიური განვითარების ძალა, რომელიც რუსეთსითრევდა კაპიტალიზმის გზაზე. მემამულე ბატონებს არ შეეძლოთ ხელი შეეშალათ ევროპასთან რუსეთის სასაქონლო გაცვლა-გამოცვლისათვის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი და უკვე დანგრევაზე მისული ფორმები. ყირიმის ომმა უჩვენა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა " ბუნტებმა ", რომლებიც განთავისუფლებამდე ყოველ ათ-ათ წლობით უფრო და უფრო მატულობდა, აიძულეს პირველი მემამულე, ალექსანდრე მეორე, ეღიარებინა, რომ უმჯობესია განთავისუფლება ზ ე ვ ი დ ა ნ, ვიდრე ლოდინი იმისა, თუ როდის დ ა ა მ ხ ო ბ დ ე ნ ქვევიდან". ი. / ლენინი თხზ. ტ. 15, გვ. 143 /.

1861 წელს ჩატარდა საგლეხო რეფორმა. რეფორმა, რომელმაც არსებითი არაფერი არ მისცა გლეხობას. რეფორმით " განთავისუფლდა " გლეხობა და მართლაც ის ყოველმხრივ მიწისგანაც განთავისუფლდა, განთავისუფლდა იმ მიწისაგან, რომელსაც იგი რეფორმამდე ამუშავებდა." გლეხები 1861 წ. " განთავისუფლებულ" იქნენ მეურნეობისათვის აუცილებელ წყალ სასვამისაგან, საძოვრებისაგან და სხვა" / ლენინი ექვსტომეული 1-ლი ტ. გვ.7 /.

1861 წლის საგლეხო რეფორმა ცნობდა ყმა გლეხების საკუთრებას იმ მიწაზე, რომელიც მათ უხსოვარ დროიდან ქონდათ დასამუშავებლად, მიწა კვლავ მემამულურ საკუთრებად დარჩა, ამ უკანასკნელთ გლეხობისათვის მიწა უნდა " მიეცათ " მეტად მძიმე პირობებში. შემოღებული იქნა ორი თანრიგის / უმაღლესი- კარგი და უმდაბლესი- ცუდი /. მიწების ნაკვეთები, რომლის

გამოსყიდვის უფლება ჰქონდა გლეხობას. მანამ სანადელო მიწას გლეხი გამოისყიდიდა – მანამდე ის დროებით ვალდებულ გლეხად რჩებოდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ნადელების გამოსასყიდი ღირებულება, მიწის გასასყიდ ნამდვილ ფასზე უფრო ზევით აღმოჩნდა. დროებით ვალდებულ გლეხს ნაცვლად მიწის ფაქტიური ღირებულების–544 მანეთისა, უნდა გადაეხადა 867 მანეთი.

რეფორმამ მემამულეებს საუკეთესო მიწები " ჩამონაჭრების " სახით მიაკუთვნა, ხოლო გლეხებს არაფერი. როგორც ნათქვამია რუსული ანდაზა " ქათმის გასაშვები ადგილიც კი არ მიეცათ " გლეხებს, რამაც გლეხობა აიძულა მისულიყვნენ მემამულეებთან და აეღოთ მიწები სანახევროდ, ანდა იჯარით. ხშირად მემამულეები მიწას " იჯარით –" აძლევდნენ მდიდარ გლეხებს, რომლებიც თავისი მხრივ აძლევდნენ იჯარით უღარიბეს გლეხობას; ასე რომ– მაგარ იძარცვებოდა გლეხობა, რის შედეგადაც ისინი გამოუვალ კაბალში ვარდებოდნენ. გლეხს გაუჩნდა უამრავი ექსპლოატატორი, ხდებოდა გლეხობის ძირითად მასის " განგლეხება ", ეკონომიურად ნახევრად პროლეტარულ პირობებში ჩაყენება და შევსება დაქირავებულ მუშეთა რიგების ქალაქად.

ბატონყმობის გადავარდნა მოხდა თვითმპყრობელობის არსებობის პირობებში, სადაც არ მოსპობილა ჩაგვრა– ექსპლოატაცია. 1861 წლის რეფორმა ბურჟუების და მემამულეების რეფორმა იყო. მან მხოლოდ ნიადაგი შეურყია ბატონყმობას, ფაქტიურად კი, იგი ისევ ძალაში დარჩა. რევოლუციონერ დემოკრატი, დიდი მოაზროვნე ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რომელსაც ლენინი " კაპიტალიზმის შესანიშნავ ღრმა კრიტიკოს " უწოდებდა, გვაძლევს იშვიათ შეფასებას ბატონყმობის თავისებურებასა და საგლეხო რეფორმის თვალთმაქცობაზე. აი ლენინი ამის შესახებ რას სწერდა:

"ჩერნიშევსკიმ 1861 წლის"საგლეხო რეფორმას " ს ი ს ა- ძ ა გ ლ ე უწოდა, ხოლო მის დამწერთ ლიბერალებს მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი, ს უ ლ ე- ლ ე ბ ი"-ო.

/ ლენინი თხზ. ტ. XV გვ. 179 /.

## 2 - თ ა ვ ი.

## გლეხობის მდგომარეობა მზარდი კაპიტალიზმის პერიოდში.

რუსეთი, კაპიტალიზმის განვითარებაში უფრო გვიან ჩაება, ვიდრე ევროპის მოწინავე სხვა სახელმწიფოები. მიზეზი ამისა მეფის რუსეთის ჩამორჩენილობით აიხსნება, სადაც რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისათვის გარდა ისტორიულ საზოგადო- ებრივ პირობების - გეოგრაფიულ პირობებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ვიცით რუსეთი წარმოადგენდა კოლონიალურ ქვე- ყანას, " საშუალო საუკუნეობრიობის ძლიერი ნაშთები "/ლენინი/ აფერხებდა რუსეთის. ეკონომიურად განვითარების საქმეს.

ზემოდ ჩვენ ვსთქვით რუსეთში კაპიტალიზმის დაგვიანებით შემოჭრის მიზეზები, მაგრამ შემოჭრისთანავე იგი უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა, ვიდრე ვითარდებოდა ევროპის სხვა ცალკეულ სახელმწიფოები. ამის მიზეზათ შეიძლება რამოდენიმე შემთხვე- ვა დავასახელოთ: 1/ ის, რომ რუსეთის მემამულეები წინააღმ- დეგი არ წასულან კაპიტალიზმის განვითარებისათვის რუსეთში, რადგომდაც ამ მხრივ მათში გამეფებული იყო ბურჟუაზიული ატ- მოსფერო. მემამულეთა გარკვეული ნაწილმა შეიგრძნო და საჭიროდ დაინახა, რათა მათ მეურნეობას მისცემოდა კაპიტალისტური ხა- სიათი. ანდა რას წააგებდნენ, როდესაც კაპიტალიზმი ამავე

დროს მსხვილ მემამულეთა ინტერესების დამცველიც იყო.
2/ მიზეზი იყო რეფორმის შემდეგ " თავისუფალი " მუშა ხელის დიდძალი რაოდენობით ერთბაშად მოზღვავება ფაბრიკა-ქარხნებ-ში, რომელიც გამოიწვია სოფლის უმიწაწყლობის და საშინელი ტანჯვაწვალებისა გამო. მოზღვავებულ მუშათა ძალამ ააშენა რამოდენიმე ათასი ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მათი ხელით იქნა გაყვანილი რამოდენიმე ათასი კილომეტრი რკინის გზა და მათი ხელით გაშენდა მდიდრების ყველა სახლები.
3/ მიზეზი თვით ისტორიულ კანონზომიერებაში მდგომარეობს. სხვა ქვეყნების გამოცდილებამ და ზოგ შემთხვევებში კი სხვა ქვეყნების პირდაპირ დახმარებამ,სათანადოდ ხელი შეუწყო კა-პიტალიზმის სწრაფად განვითარებას რუსეთში.

ჩვენ ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი კაპიტალიზმის განვითა-რების შემაფერხებელ პირობებზე,რომელსაც აღარ ვიმეორებ. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილ შემაფერხებელ მიზეზებს 80-იან და 90-იან წლების ნაროდნიკები უგულვებელ-ყოფდნენ. მათი აზრით მუშათა კლასი რუსეთის რევოლუციურ მოძრაო-ბაში არ წარმოადგენდა რეალურ ძალას, ხოლო კაპიტალიზმის შე-მოჭრას რუსეთში " შემთხვევით " მოვლენათ სთვლიდნენ და უყუ-რებდნენ მას,როგორც " ც უ დ " მოვლენას.

გლეხობისა და მემამულეთა შორის ურთიერთობა ნაროდნიკე-ბის მიერ გაიდეალებული იქნა, სადაც უარყოფდნენ მათ შორის პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას და გამოდიოდნენ რეფორმატორ-ბის მქადაგებელნი-თავიანთი რეაქციული შეხედულებათა სარეალი-ზაციოდ. მათ არ ესმოდათ გლეხობის თავისებური ბუნება, ისინი ეიდიალებდნენ მეურნეობის ჩამორჩენილ ფორმებს და ამით ხელს უშლიდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნამდვილ რევოლუციო-ნური ბრძოლის განვითარებას. " ნაროდნიკები 80-იან და 90-იან

წლეებში კულაკობის ინტერესთა გამომხატველები გახდნენ" /საკ.კ.პ /ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ. 19 /.

ამ მხრივ ჩვენ 60-იან და 70-იან წლების ნაროდნიკების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ისინი თავიანთი რევოლუციური მისწრაფებებით, არსებითად განსხვავდებიან 80-90-იან წლების ნაროდნიკებისაგან.

." 60-70-იან წლეების ნაროდნიკები-ამბობს ლენინი-რევოლუციონური ნაროდნიკები არიან, იმდენად,რომ ისინი იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და წავიდნენ ხალხში,რომ აეჯანყებინათ იგი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მ ა გ რ ა მ  მ ა თ ი  ბ რ ძ ო ლ ი ს  მ ე თ ო დ ე ბ ი  ა ნ ტ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი  ი ყ ო". / ლენინი თხზ.ტ.I-ლი ტ. გვ. 226 /.

ლენინის განმარტებით 60-იან წლეების ნაროდნიკები წარმოადგენდნენ თავისებურ გამოხატულებას გ ლ ე ხ უ რ ი სოციალიზმისას,რომელიც წარმოშობილი იყო ფეოდალურ ბატონყმურ რუსეთის თავისებურ პირობებში, მართლაც ნაროდნიკების აზრით გლეხური თემი მომავალი სოციალიზმის საძირკველი იყო, რევოლუციურ მასას "ხალხში", გლეხობაში ხედავდნენ.ამიტომაა,რომ ლენინი მათი ბრძოლის მეთოდებს ანტიმარქსისტულს უწოდებს.

გ. პლეხანოვმა პირველმა სცადა ნაროდნიკების იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა, სადაც ამხილა ნაროდნიკების შემცდარი შეხედულებები და წამოაყენა მთელი რიგი საკითხები,როგორიც იყო: რუსეთის ეკონომიური განვითარების თავისებურებების და გლეხობის საკითხის შესახებ, რუსეთის მუშათა კლასის გადამწყვეტი როლის და ს.დ.პ. პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა პლეხანოვმა ნაროდნიკების შეცდომები მთლიანად და საბოლოოდ ვერ ამხილა, სადაც ზოგიერთ საკითხში

თვითონვე მოექცა ნაროდნიკების გავლენის ქვეშ. სხვა საკითხებს პლეხანოვის შეცდომებზე მე აქ არარ შევეხები, მხოლოდ აღვნიშნავ პლეხანოვის იმ სერიოზულ შეცდომებს, რომელიც მან ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გლეხობის საკითში დაუშვა, რითაც "მისი მომავალი მენშევიკური შეხედულებების ჩანასახი იყო". / საკ.კ.პ./ბ/ისტორია გვ. 17 /.

თუ პლეხანოვმა ნაროდნიკების წინააღმდეგ გაილაშქრა გლეხობის გადამწყვეტი როლის გადაფასების შესახებ, მეორეს მხრივ მეორე უკიდურესობაში გადავიდა, სამაგიეროდ მან უარყო გლეხობის როლი რევოლუციაში. ამის შესახებ ის სწერდა: "გარდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა, ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა საზოგადოებრივ ძალებს, რომლებსაც ჩვენში დაეყრდნობოდნენ ოპოზიციური ან რევოლუციური კომბინაციებით"-ო. /პლეხანოვი თხზ. ტ. 3. გვ. 119 /.

ნაროდნიკების საბოლოო მხილება და მისი განადგურება წილად ხვდა ლენინს. ლენინმა თავის გენიალურ შრომაში" რა არიან " ხალხის მეგობრები" და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს?" / დაწერილია 1894 წელს /. სასიკვდილოდ გაანადგურა ნაროდნიკების იდეოლოგია, ამხილა მათი სერიოზული შეცდომები და ჩაუყარა თეორიული საფუძვლები მუშათა სოციალისტური პარტიის შექმნის საკითხს.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება მიხდა ფეოდალურ ბატონ-ყმურ ნაშთების შენარჩუნებით. მარქსმა თავის წინასწარმეტყველებით რუსეთში რევოლუციის მომწიფებას და მის განვითარებას პრუსიული გზა უწოდა. რუსეთის ბურჟუაზია რევოლუციის დაწყებას, მისი ხელმძღვანელობის საკითხს ვერ ჰბედავდა, ისე, როგორც გერმანიის ბურჟუაზია, მშიშარა აღმოჩნდა ფეოდალურ ნაშთების ერთბაშად ალაგმვის საკითხში. ბურჟუაზიას ეშინია

რევოლუციის დამოუკიდებლად დაწყების. ჩვენ,რომ ფეოდალურ ბატონყმობის ნაშთების საშიშროებაზე არაფერი ვსთქვათ-მას ეშინია პროლეტარიატის, მუშათა კლასის,რის გამოც რევოლუციაში ჰეგემონიის როლი პროლეტარიატის მხარეზე რჩება.

გერმანიის ბურჟუაზიას ამ თვალსაზრისით ორი მხრივ ჰქონდა შიში. ერთის მხრივ ფეოდალური ნაშთების / გერმანიაში უამრავი სამთავროები იყო /, მეორეს მხრივ ეშინოდა პროლეტარიატის,იმ პროლეტარიატის,რომელიც ის ის იყო ჩამოყალიბდა,როგორც კლასი თავისთვის. თუ ბურჟუაზია დაუკავშირდებოდა პროლეტარიატს ფეოდალიზმის წინააღმდეგ,მაშინ ფეოდალიზმის ნაშთებზე გამარჯვებული პროლეტარიატი ბურჟუაზიას აღარსაც არ გააკარებდა.

საკითხი პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან-პროლეტარიატის ჰეგემონიით. აქ უპირველესად ყოვლისა დამახასიათებელი არის ორი გარემოება: კაპიტალიზმის განვითარების სტადიაში პროლეტარიატის რიცხვი ძალზე მცირე იყო, რომელსაც არ შეეძლო ვინმესთან კავშირის გარეშე რევოლუციის დაწყება, ასეთ მოკავშირეთ კი გლეხობა აღმოჩნდა. რაც შეეხება გლეხობას ამ პერიოდში, მან საკმაოდ დიდი დაწოლა განიცადა მემამულეთა კლასისაგან /უმიწაწყლოდ დარჩენა, გადასახადები და სხვა /, ასეთ მდგომარეობიდან თავის დაღწევა დამოუკიდებლად მარტო გლეხობას არ შეეძლო, არ შეეძლო ხელმძღვანელობის გარეშე გამარჯვება, ასეთ ხელმძღვანელ ძალად კი აღმოჩნდა პროლეტარიატი.

პირველ ხანებში გლეხობის პოლიტიკურ-კლასობრივი დონე, მისი რევოლუციისაკენ მისწრაფება უფრო ნაკლები იყო,ვინემ პროლეტარიატის, მით უმეტეს მაშინ გლეხობა თავისი დაქსაქსულობით, სხვადასხვა განწყობილებებით ძალიან ძნელი დასარაზმავი იყო. ამიტომაც ვლაპარაკობთ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის საკითხზე-გლეხობის მიმართ.

F-20092

"გლეხობა არა თუ არ იზრდება, როგორც კლასი, არამედ, პირიქით, წლითიწლობით იყოფა ბურჟუაზია / კულაკები / და ღარიბებად / პროლეტარები, ნახევარპროლეტარები/. ამასთან იგი უფრო ძნელი დასარაზმავია თავისი დაქსაქსულობის გამო და უფრო ნაკლებ ხალისით, ვიდრე პროლეტარიატი, ებმება რევოლუციურ მოძრაობაში თავისი წვრილმესაკუთრულიმდგომარეობის გამო"

/ საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ. 17 /

თუ ცალკეულ ეტაპებზე გლეხობის დამოკიდებულების თავისებურება მუშათა კლასთან რაში მდგომარეობს, ამაზე ჩვენ ქვემოთ ვიტყვით.

რუსეთის სინამდვილე რამდენიმე სხვა სურათს იძლეოდა შედარებით ასე ვთქვათ წმინდა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. რუსეთში ფეოდალიზმის "სიკეთენი" თავისებურად გადაენასკვა, შეეზარდა ბატონ კაპიტალის მოვლინებას, რამაც თავისებური გამოხატულება ჰპოვა კანონმდებლობაშიაც.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება პრუსიული გზით ნიშნავდა: ერთის მხრით კაპიტალიზმის განვითარებას მაღალ საფეხურზე, მეორეს მხრივ ამ განვითარებაში ფეოდალური ნაშთების შენარჩუნებას. ვითარდება რა კაპიტალიზმი, ამ განვითარებაში შეხმატკბილებას განიცდის ნახევრად ბატონყმური ნაშთები, ძალაუნებურად ეგუება მას და ეს შეგუება მისთვის ხელსაყრელს წარმოადგენს.

ლენინმა 1910 წელს მიწერილ წერილში სკვარცოვ სტეპანოვისადმი რუსეთში კაპიტალიზმის შემოჭრას და მის განვითარებას უწოდა პრუსიული გზით განვითარება.

ეხლა ჩვენ შევეხოთ საკითხს იმის შესახებ თუ, როგორია კაპიტალიზმის განვითარება სოფლად?

კაპიტალიზმის შემოჭრას და მის განვითარებას გლეხობისათვის მოაქვს, როგორც დადებითი შედეგი, ასევე უარყოფითი. სოფლად კაპიტალიზმის განვითარება გულისხმობს მსხვილი მეურნეობის შექმნის საკითხს, საიდანაც იდევნება მეურნეობის პრიმიტიულად დამუშავების არსებული წესები, შემოდის მსხვილი სას.სამ. მანქანა-იარაღები, რაც ხელს უწყობს სოფლის. მეურნეობის მექანიზაციის საქმეს და ახლებურად აყენებს აგრარულ ურთიერთობის საკითხს სოფლის მეურნეობაში. ბურჟუაზიის იდეოლოგებს ბერნშტეინს, დავიდს, ხოლო რუსეთში კაბლუკოვს, კაუფმანს და ბოლოს კონდრატიევ-ჩაიანოვს ასე როდი ესმოდა კაპიტალიზმის განვითარების დადებითი მხარეები სოფლად, ისინი პირიქით აყენებდნენ საკითხს; უარყოფდნენ რა მსხვილი მექანიზირებული მეურნეობის შექმნის საკითხს-ეყრდნობდნენ წვრილ კერძო მეურნეობის უპირატესობას და მის შემდგომ პრიმიტიული სახით შენარჩუნების საჭიროებას.

კაპიტალიზმის შემოჭრამ სოფლად, გამოიწვია გლეხობის ფენებად დაყოფა, თავი იჩინა დაქირავებულ ექსპლუატატორულ შრომამ, გაჩნდნენ ღარიბები და მოჯამაგირე გლეხობა, რამაც ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა კლასის ურთიერთ შორის კავშირს და შემამულეთა თანდათანობით განდევნის საქმეს. აი ის რაც შეიძლება ითქვას კაპიტალიზმის განვითარების დადებით [და პროგრესიულ] მხარეზე-სოფლად. რაც შეეხება მის უარყოფით მხარეს ეს უპირველესად მდგომარეობს სოფლის ზედაფენის, სოფლის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს შექმნის საკითხში, გლეხობის ფენებად დაყოფის და მათ შორის წინააღმდეგობის, ექსპლუატაციის შექმნის საკითხში.

სოფლად, კაპიტალიზმის შემოჭრის მომენტში ადგილი აქვს გლეხურ მეურნეობათა შორის საწარმოო საშუალებების არა თანაბარ განაწილებას. მეურნეობის ერთ ნაწილს-უმცირესობას მეტი საწარ-

მოო საშუალებები გააჩნია, მეორეს-უმრავლესობას კი ნაკლები. ზედმეტი პროდუქტი ერთ მეურნეობას მეტი აქვს, მეორეს კი ნაკლები, ხოლო მესამეს არც კი ჰყოფნის ეს. იმას ვისაც მეტი აქვს ყოველთვის შეუძლია "ბრუნვაში გაუშვას", გააქირაოს, გაასესხოს, სამუშაო ძალა დაიქირაოს და იმოქმედოს ისე, როგორც მისი ინტერესები მოითხოვს. კაპიტალიზმი სრულებითაც ხელს არ უშლის ასეთი მეურნეობის წარმოშობას, პირიქით ის ხელსაც უწყობს საჭირო შემთხვევებში. როგორც დავინახეთ გლეხობის ერთი ნაწილი, რომელიც კაპიტალიზმის შემოჭრამდე "თავისი" შრომით ცხოვრობდა, კაპიტალიზმის შემოჭრის შემდეგ მას საქონლის უბრალო მწარმოებლობის დონე აღარ აკმაყოფილებს, სწორი იქნებოდა, რომ ვსთქვათ-თვითონ აღარ კმაყოფილდება, რისთვისაც თანდათანობით გადადის წვრილ კაპიტალისტურ, ექსპლოატატორთა ბანაკში. ასე და ამგვარად ჩნდება სოფლად წვრილი კაპიტალისტები "გლეხკუჭა მემამულეები", გამოსული გლეხობის წრიდან-კულაკობის სახით.

იყოფა რა გლეხობიდან სოფლის ყველაზე შეძლებული ფენა-კულაკობა, რომელმაც ხელთ იგდო გლეხობის ნათესების ნახევარი, მეორეს მხრივ იზრდება ღარიბი გლეხობის საერთო რიცხვი, მატულობს "სოფლის პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების რაოდენობა", რასაც შედეგად მოსდევდა სიღატაკე და სიმშილის უამრავი შემთხვევები.

ლენინმა ცნობილ სტატიაში "ღარიბი გლეხობისადმი" მოგვცა უღარიბესიგლეხობის უტყუარი სტატისტიკა, სადაც ნახევრი მილიონი კომლი გლეხობა უ ც ხ ე ნ ო ბ ი ს გამო თავიანთ მიწებს კულაკებს აძლევდნენ იჯარით, თვითონ კი მიდიოდნენ ცხოვრების საარსებო საშუალებების საშოვნელად.

კაპიტალიზმის დროს რუსეთში, როგორც მუშები, ისევე გლეხობა მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ მუშაობ-

დნენ, მემამულეები და კაპიტალისტები კვლავ სჯიდნენ და სტანჯავდნენ მათ, ისე, როგორც ყმებს მისი ბატონები "განსხვავება მხოლოდ ისაა- ამბობს ლენინი-, რომ წინად დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ უ ლ ე ბ ს კ ე ტ ი თ ს ც ე მ დ ნ ე ნ, ახლა კი ფ უ ლ ი თ"/ ლენინი თხზ.ტ.I-ლი გვ.525 /.

ლენინი აღიარებდა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების პროგრესიულ და ისტორიულ როლს, მისი მნიშვნელობის ფაქტს, თუ რაში მდგომარეობდა მისი დადებითი მხარეები, მაგრამ ამასთანავე ერთად ლენინმა გამოაშკარავა და დაასაბუთა კაპიტალიზმის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობები, რომელსაც ადგილი ქონდა რუსეთის სინამდვილეში. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა და გვიჩვენა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა დაძლევის, ისტორიული გარდამავალი ხასიათი; მისი დამხობის აუცილებლობა და ისეთი საზოგადოებით შეცვლა, სადაც არ იქნება ჩაგვრა წამება, არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

ასეთი იყო გლეხობის მდგომარეობა მოზარდ კაპიტალიზმის პერიოდში.

ვ- თ ა ვ ი.

## გლეხობის საკითხი რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებში.

ლენინ-სტალინის პარტია მუშათა კლასსა და გლეხთა კლასს შორის დამოკიდებულების საკითხს სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად აყენებდა. სხვადასხვანაირად სჭრიდა ამ საკითხს, იმის და მიხედვით, თუ ძირითად კლასთა განწყობილება, ამა თუ იმ მომენტში, როგორ და საით არის მიმართული?

ცნობილია, რომ ლენინი წვრილ მეურნეობის გლეხობას უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასად თვლიდა. ეს გასაგებიცაა, რადგან წვრილი გლეხური მეურნეობა ემყარება "კერძო საკუთრებას და წვრილ სასაქონლო წარმოებას" / სტალინი /, რომელიც გამოჰყოფს კაპიტალისტურ კლას-კულაკობას. ამიტომ ვლაპარაკობთ გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხის თავისებურად განხილვაზე. პროლეტარიატს გლეხობასთან აქვს არა ყოველგვარი კავშირი, არა ყოველნაირი დამოკიდებულება, არამედ ისეთი კავშირი და ისეთი იმედი, "რომელიც ემყარება გლეხობის ბრძოლას კაპიტალისტურ ელემენტებთან" /სტალინი /.

გლეხობის კავშირი მუშათა კლასთან, ცარიზმის წინააღმდეგ 1905 წლის რევოლუციამდე, არ იყო ისეთი მტკიცე, როგორსაც შემდეგში ვხედავთ. გლეხობას ჯერ კიდევ სჯეროდა მეფის სახელმწიფო სათათბიროების უხვი დაპირებანი, არ იცოდნენ, რომ მეფე მემამულეებთან ერთად თანამშრომლობს, სადაც პირველის დამხობის გარეშე, მეორის მოსპობა შეუძლებელია.

რუსეთის პირველ რევოლუციაში / 1905 -1907 წ.წ. / მამოძრავებელ ძალად ბურჟუაზია არ გამოსულა. არც შეიძლებოდა ეს ასე ყოფილიყო, რადგან ამ რევოლუციაში გლეხობის

ფართო მასამ ხმა აღიმაღლა მსხვილ მიწად მფლობელთა წინაა-ღმდეგ, მათ მოითხოვეს მეფისაგან " შვება", მოითხოვეს მიწა. მეორეს მხრივ პროლეტარიატის დახმარებით, ბოლშევიკური პარტ-იის ხელმძღვანელობით მოეწყო გლეხთა შეგნებული წესით ორგანი-ზება -თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდში ე.ი. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციის პერიოდში უპირველეს ყოვლისა საქმე ეხებოდა ხალხის მჩაგვრელთა მეფისა და მემამულეთა ძალაუფლე-ბის დამხობას; ამ მიმართულებით საჭირო შეიქმნა მთელი გლე-ხობის ძალის გამოყენება-სოფლად, ხოლო ქალაქად წვრილი ბურ-ჟუაზიის. რევოლუციის ამ პირველ ეტაპზე პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: "მთელ გლეხობასთან ერთად, მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის". როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის- "ასე და ამგვარად შეიქმნა მუშათა და გლეხთა კავშირი ბურჟუაზიალ-დემოკრატიულ რევოლუციაში".

ჯერ კიდევ ადრე 1894 წელს თავის შრომაში "რა არიან ხალხის მეგობრები" ლენინმა გენიალურად დააყენა საკითხი ბურ-ჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციის-სოციალისტურში გადაზრდის შესახებ, სადაც ამხილა ავანტურისტული შეხედულება იმის შესახებ რომ, თითქოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გარეშე შეი-ძლებოდა პირდაპირ სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლა. ლენინი დარწმუნებული იყო იმაში, რომ პროლეტარიატის აქტივობა ბურჟუა-ზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში, მისი კავშირი გლეხობასთან-აადვილებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდას სოციალისტურ რევოლუციაში, ადასტურებს პროლეტარიატის გამარჯვე-ბას რევოლუციაში. სწორედ ამ მიზეზით რუსეთის პირველ რევო-ლუციაში მამოძრავებელ ძალად ორი კლასი იყო: პროლეტარიატი და

გლეხობა, ასეთი კავშირი წარმოადგენდა პროგრესიულ მოვლენას, ის გამომხატველი იყო მთელი ხალხის ინტერესების და ამიტომაც ლენინმა 1905 წლის რევოლუციას უწოდა საერთო სახალხო რევოლუცია.

ბოლშევიკური პარტიისათვის მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის ჰეგემონიით რევოლუციაში ნიშნავდა ორ ძირითად გამოსავალს: პირველი ის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მიყვანილი უნდა იქნეს ს ა ბ ო ლ ო ო გამარჯვებამდე, მეორეს მხრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა უნდა დ ა მ თ ა ვ რ დ ე ს მისი სოციალისტური რევოლუციაში დაუყონებლივ გ ა დ ა ს ვ ლ ი თ. სხვანაირი განვითარების გზა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა, მიგვიყვანდა 1848 წლის გერმანიის რევოლუციის ნიმუშამდე.

1905 წლის რევოლუცია დამარცხებული იქნა. გაიმარჯვა ბურჟუაზიამ, მაგრამ ბურჟუაზიული რევოლუციის დროებითი გამარჯვება არ ნიშნავდა ბურჟუაზიის საბოლოო გამარჯვებას. შეიცვალა გლეხთა მდგომარეობა. გლეხობამ საკუთარი თვალით დაინახეს თუ ვინ იყო მეფე?. ვის ხელში იყო მიწები და როგორ შეიძლებოდა მისი ხელში ჩაგდება? გლეხობა დარწმუნდა სათათბიროების მოწვევის და კადეტების დაპირებათა ლოდინის უნაყოფობაში, რაც გამოაშკარავებული იქნა რეაქციისა და იმპერიალისტური ომის პერიოდში. მას შემდეგ რაც გლეხობა განთავისუფლდა ლიბერალურ ბურჟუაზიის თვალთმაქცურ დაპირებათა გავლენისაგან, რომელიც მანამდე თითქოს გლეხთა მასებისათვის გულშემატკივარი იყო, "იცავდა" მათ ინტერესებს და ჰკვებავდა დაპირებებით გლეხობას, მას შემდეგ გლეხობამ მთლიანი იმედი მუშათა კლასზე დაამყარა. დაადგა რევოლუციონურ გზას. რევოლუციონური სიტუ-

ციით განწყობილ მშრომელმა გლეხობამ თავისუფლება მოითხოვა არა ისე, როგორც შანამდე იყო პეტიციით, არამედ თავისუფლება საკუთარი ბრძოლის საშუალებით, რევოლუციის საშუალებით.

1905 წლის რევოლუციის ასეთმა შედეგმა საკმაოდ მწვავე ხასიათი ჰპოვა თვითმპყრობელობის საადგილმამულო პოლიტიკის დარგში. გაუცრუვდათ რა თვითმპყრობელობას, მემამულეებს გლეხობის მიმართ კვლავ თვალთმაქცური დამონავების იმედები- გაერთიანებულ თავადაზნაურობის საბჭოს მიერ დაქირავებული იქნა მახრჩობელა ს ტ ო ლ ი პ ი ნ ი. /მინისტრი პ.ა. სტოლიპინი/1862-1911 წ./ მოკლული იქნა კიევში მცველ ბოგროვის მიერ/ .

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში დადგა სტოლიპინის რეაქციის ხანა. დაიწყო კვლავ სოფლის ღარიბთა გაძვალტყავება. გაჩნდა ექსპლუატატორთა ახალი კლასი-კულაკობა.

სტოლიპინის რეფორმა სოფლის მოსახლეობის გაძარცვის და გაღატაკების რეფორმა იყო. სტოლიპინის საადგილმამულო კანონი / გამოცემული 1906 წელს 9 ნოემბერს / თემიდან გლეხების ხუტორებზე გამოყოფის შესახებ, ერთხელ და სამუდამოდ არღვევდა სათემო მიწათსარგებლობის რეჟიმს. ამ კანონით გლეხს უფლება ჰქონდა, როგორც ნადელით თემიდგან გამოსვლის, ასევე თავისი ნადელის გაყიდვის უფლებაც. ამდაგვარად მოხდა მიწების დატაცება, ხოლო მეტი მოიტაცა და შეისყიდა ისეთი მეურნეობის პატრონმა, რომელსაც მეტი საშუალება ჰქონდა ამ მხრივ. ვინც მდიდარ ფენას წარმოადგენდა სოფლად. ასეთები კი იყვნენ კულაკები.

" თუ გლეხთა " განთავისუფლების " დროს მემამულეები იტაცებდენ გლეხთა მიწას, ახლა კულაკებმა იწ-

ყეს სათემო მიწის დაყოფება,- ისინი ღებულობდნენ საუკეთესო ნაკვეთებს, ღარიბებისაგან იაფად ყიდულობდნენ ნადელებს".

/ საკ.კ.პ/ბ/ისტორიის მოკლე კურსი გვ. 119 /.

სტოლიპინშჩინა-ეს იყო მეურნეობათა კულაკური, კაპიტალისტური გამსხვილების გზა, რასაც შედეგად მოსდევდა: მიწების გადასვლა კულაკების ხელში , გლეხების ძირითად მასების გაპარტახება, სიმშილი და სიღატაკე და მემამულეების ინტერესების დაცვა-სოფლად.

მენშევიკები და მოღალატე ტროცკი ყოველმხრივ ცდილობდნენ პროლეტარიატის რევოლუციონური პარტიის ლიკვიდაციას, რითაც ერთგულ სამსახურს უწევდნენ სტოლიპინის სისხლიანი რეჟიმის განმტკიცებას.

არც თუ ისე ცუდად ასრულებდა შესყიდული სტოლიპინი თვითმპყრობელობის მიერ დავალებებს. ლენინი ამის შესახებ შემდეგს სწერდა " სტოლიპინი, რომელიც რწმენით და სიმართლით ემსახურებოდა " გაერთიანებული მეჭატონეების საბჭოს" და მის პოლიტიკას ატარებდა, თვითონ ამბობდა: "მომეცით ოცი წლის მშვიდობიანობა-და რუსეთის რეფორმას მოვახდენ". /ლენინი ექსტომეულის მე-2 ტ. გვ. 624 /.

სტოლიპინის აგრარულმა პოლიტიკამ კი არ მოსპო კლასობრივი წინააღმდეგობა, ან და ის ნაწილობრივად შეეცვალა, არამედ ეს წინააღმდეგობა უფრო გააძლიერა, გაამწვავა. გლეხობასა და მემამულეთა შორის წინააღმდეგობის გამწვავებასთან ერთად თავი იჩინა წინააღმდეგობამ თვით გლეხობის შიგნით. გაჩნდნენ რა კულაკები, რომლის გაჩენას და მისი ხელის შეწყობას სტოლიპინის პოლიტიკა ემსახურებოდა, ამან გამოიწვია უამრავი გლეხთა მოძრაობები, მღელვარებები და გამოსვლები

მიმართული კულაკებსა და მემამულეების საწინააღმდეგოდ.

გაბატონებული ექსპლუატატორთა კლასი მრავალნაირ საშუალებას მიმართავს, რათა მუშათა კლასის და გლეხობის მიმართ რეპრესიები მოხერხებულად გამოიყენოს. რეპრესიების გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს ყოველმხრივ ჩქმალავდნენ. ერთერთ ამის საშუალებას წარმოადგენს კარგად ცნობილი დემაგოგიური ხერხი, რომლითაც რევოლუციონურად განწყობილ გლეხებს აცხადებდნენ ავაზაკებად, ქურდებად, მძარცველებად. არა ერთხელ მიუმართავს მეფის დამქაშს სტოლიპინს ამ ნაცად ღონისძიებისათვის. ლენინი დაუზოგავად ამხელდა ბურჟუაზიის მართლაც ამ ავაზაკურ ოინებს, რომელსაც მიმართავდენ ხალხის ჯალათები. 1902 წლის პოლტავის, ხარკოვის და სხვა გუბერნიებში გლეხთა აჯანყებების წინააღმდეგ როზგების გამოყენებისა და დახვრეტის გამო ლენინი სწერდა: "მეფის მთავრობამ ისინი გამოაცხადა უბრალო შეამბოხეებად და მძარცველებად" /ლენინი რჩ.ნაწ. ტ. 1-, გვ. 617 /. ასევე ლენინი მეტად მნიშვნელოვან სტატიაში "183 სტუდენტის გადარიცხვა ჯარისკაცად" – იძლევა მეფის მთავრობის მიერ დამსჯელ ღონისძიებათა მკაცრ ზომების გამოყენებას "ა ვ ა ზ ა კ" სტუდენტებისადმი.

რეაქციის წლებს იმპერიალისტური ომი მოჰყვა. იმპერიალისტურმა ომმა შთანთქა ქვეყნის სიმდიდრე. გააუარესა სოფლის მეურნეობა. გაალატაკა გლეხობა. გლეხობა, რომელიც თებერვლის რევოლუციამდე მოვიდნენ იმედი ჰქონდათ მიწის მიღების, მაგრამ ამაოდ. მიწის საკითხი თებერვლის რევოლუციამ ვერ გადასჭრა. ანდა როგორ გადასჭრიდა, როდესაც მიწის დიდი ნაწილი აღმოჩნდა ბურჟუაზიის ხელში, ხოლო მიწის საკმაო ნაწილი მემამულეების მიერ დაგირავებული იყო.

მიწის საკითხის მოუგვარებლობას ხელი შეუწყვეს ბურჟუაზიის აგენტებმა, მაჟღარა პარტიებმა, მენშევიკებმა და ესერებმა, სამაგიეროდ დროებითი მთავრობა, რომლის არსებობა 8 თვით განისაზღვრა- მენშევიკების და ესერების პირი და პირი გამომხატველი იყო.

ბოლშევიკებმა ლენინის და სტალინის მეთაურობით წამოაყენეს ლოზუნგი: "მთელი ძალა უფლება საბჭოებს", "მხოლოდ საბჭოებს შეუძლიათ საკითხის მოგვარება", რისთვისაც მოითხოვეს საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევა. მენშევიკები სასტიკი წინააღმდეგი წავიდნენ ყრილობის მოწვევას, რადგან თავიანთ უსუსურობას წინასწარ გრძნობდნენ თუ როგორ დამარცხდებოდნენ მასების წინაშე.

1917 წელს 25 ოქტომბერს გაიხსნა საბჭოების მეორე ყრილობა. ლენინი, რომელიც ამ დროს საზღვარგარეთ იმალებოდა, ყრილობაზე ვიწმე "ივანოვის" გვარით დაესწრო. ყრილობამ [redacted] ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუცია დამთავრებულად ჩათვალა, რადგან მან ვერ გააკეთა ის რაც უნდა გაეკეთებია, საჭიროდ მისი სოციალისტური რევოლუციაში დაუყონებლივ გადასვლა.

26 ოქტომბერს ლენინი არის ყრილობის ტრიბუნაზე, საიდანაც წაიკითხა დეკრეტი-ზავის შესახებ, დეკრეტი-მიწის შესახებ და რაზეც დელეგატები აღფრთოვანებით ესალმებიან ბელადის მგზნებარე მოხსენებას.

ასეთი იყო გლეხობის საკითხი 1905 წლის და 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში.

## 4- თ ა ვ ი.

### გლეხობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციაში და მის შემდგომ პერიოდში.

გლეხობის საკითხს პროლეტარული რევოლუციის პერიოდში ჩვენ ვგულისხმობთ სულ ცოტა დროს, იგი 8 თვეს შეიცავს /1917 წლის თებერვლიდან-ოქტომბრამდე/. ამ ხანმოკლე პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა გლეხთა გარევოლუციონერების საქმეში, სადაც მშრომელი გლეხობა მთლიანად ჩამოსცილდა ესერებს, მენშევიკებს და მთელი ძალები შემოკრებილ იქნა პროლეტარიატის ირგვლივ.

რევოლუციის ამ მეორე პერიოდში 1917 წლის თებერვლიდან-ოქტომბრამდე ძირითად მიზანს შეადგენდა-წინასწარი სამზადისი სოციალისტური გადატრიალებისათვის, რომელიც დაამხობდა ბურჟუაზიის ბატონობას, მოსპობდა დროებით მთავრობას და შექმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას, დაამყარებდა პროლეტარიატის დიქტატურას.

ამ პერიოდისათვის თვითმპყრობელობის ძალაუფლება უკვე დამხობილი იყო. საჭირო შეიქმნა დროებითი მთავრობის ჩამოგდება, ბურჟუაზიის ძალა-უფლების დამხობა. როგორც ვიცით თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ორი ხელისუფლება აღმოჩნდა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა. აქ მთელი ძალები და იარაღი მუშებსა და გლეხებს ჰქონდა- ხელისუფლება კი ბურჟუაზიისა იყო.

ბურჟუაზიის დროებითი მთავრობა შესდგებოდა უმსხვილეს კაპიტალისტების წარმომადგენლებისაგან, როგორიც იყვნენ: მსხვილი მიწადმფლობელი თავადი-ლვოვი, დიდი ბანკირი-გუჩკოვი, მილიონერი-ტერეშჩენკო, მდიდარი ფაბრიკანტი-კონოვალოვი,

ბურჟუაზიული პროფესორი-მილიუკოვი და გამოჩენილი ესერი ალექსანდრე კერენსკი. ყველა ესენი წარმოადგენდნენ ბურჟუაზიის ინტერესების ერთგულ დამცველთ, წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ინტერესების დამცველს.

ლენინმა და სტალინმა მთლიანად ამხილეს დროებითი მთავრობის მიზანი და მისი თვალთმაქცობა. ახლა რუსეთში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა—ამბობდა ლენინი—ხელისუფლებას ბურჟუაზია ჩაუდგა სათავეში. ეს მთავრობა არ მისცემს დატანჯულ ხალხს ზავს, იმიტომ, რომ ბურჟუაზიისათვის ომი ხელსაყრელია. მთავრობა გლეხობას არ მისცემს მიწას, რადგან ბურჟუაზია მემამულეებთან ერთად მიწების საკითხში თანამოაზრეა. ზავს, მიწას და პურს ხალხი მიიღებს მაშინ, როდესაც თვითონ აიღებს ხელში ძალაუფლებას. ასეთი იყო ლენინის აპრილის თეზისების შინაარსი, რომელიც გენიალურ პროგრამას და კონკრეტულ გეგმას წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან-სოციალისტურ რევოლუციაზე გადასასვლელად.

1917 წლის ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენციაზე, სადაც ლენინი დაწვრილებით იხილავდა თავის თეზისებს. ამ დროს ლენინის წინააღმდეგ გამოვიდნენ მოღალატე კამენევი, ზინოვიევი, რიკოვი, რომლებმაც უარყვეს შეიარაღებული აჯანყება, დაადგნენ აშკარად მენშევიკურ გზას, რომ თითქოს რუსეთი მოუმზადებელია სოციალისტური რევოლუციისათვის. ამით კი მათ აღიარეს ბურჟუაზიის ძალაუფლების შემდგომი შენარჩუნების აუცილებლობა.

პროლეტარულ რევოლუციაში მამოძრავებელი ძალები იცვლებიან. ისინი აღარ არიან ის რაც მანამდე იყვნენ. მუშათა კლასი ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ უღარიბეს გლეხობას ემყარება, მისგან გამოჰყო საშუალო გლეხობა, როგორც ნეიტრალი-

ტეტი, რათა მას არ შეეშალა ხელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც შეეხება კულაკობას, ის ბურჟუაზიის მხარეზე დარჩა.

ივლისის დემონსტრაციის განადგურებამ შესცვალა ქვეყნის მდგომარეობა. ესერების და მენშევიკების წყალობით მთელი ძალა უფლება ბურჟუაზიის ხელში გადადის. საბჭოებმა, სადაც მეთაურობდნენ ესერები და მენშევიკები მთლიანად მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიას. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა. გაიმარჯვა კონტრრევოლუციამ.

ლენინ—სტალინის პარტიამ ახალი მოქმედების ხაზი გამოიმუშავა. მოწვეული იქნა 26 ივლისში პარტიის მე-6 ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობა ამხანაგი სტალინი. ლენინი არ იყო ყრილობაზე, ის დროებითი მთავრობის მეძებრებს ემალებოდა. ამხანაგმა სტალინმა ლენინის დირექტივების საფუძველზე მითითებები მისცა ყრილობის დელეგატებს, თუ რაში მდგომარეობს მთელი ძალთნის შემოკრება, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის-კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ამ ყრილობაზე ბუხარინი და ტროცკისტები გამოვიდნენ სოციალისტური რევოლუციის ლენინური ხაზის წინააღმდეგ, ერთქვეყანაში სოციალიზმის აშენების და მისი გამარჯვების წინააღმდეგ. ბუხარინმა პირდაპირ განაცხადა, რომ მთელი გლეხობა კულაკებიც და ღარიბებიც თითქოს ობორონცულად იყვნენ განწყობილნი და არ გაჰყვებოდნენ მუშებს. ამხანაგმა სტალინმა ბუხარინის კონტრრევოლუციონური შეხედულება სასტიკად დაამარცხა, სადაც მოგვცა გლეხობის სხვადასხვა ფენების სხვადასხვაობა:"შეძლებული გლეხები მხარს უჭერენ ბურჟუაზიას, მაგრამ ღარიბი გლეხთა მასები უთუოდ გაჰყვებიან რევოლუციას". ი/სტალინი/ ამხანაგმა სტალინმა ყრილობაზე განაცხადა:"გამორიცხული არ

არის შესაძლებლობა,რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოცია-ლიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უკუვ-გდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ,რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატიური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე" /რ.ს.დ.მ.პ./ბ/ 6 ყრილობის ოქმე-ბი გვ. 233-234 /.

პარტიის ლოზუნგი მამოძრავებელ ძალის შესახებ რევო-ლუციის მეორე ეტაპზე შემდეგი იყო:" უღარიბეს გლეხობასთან ერთად, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ქალაქად და სოფლად საშუა-ლო გლეხის ნეიტრალიზაციის პირობებში, პროლეტარიატის ძა-ლაუფლებისათვის." მართლაც პროლეტარული რევოლუციაში მამო-ძრავ ძალების ასეთ სწორ განლაგებამ, შესაფერისად გაადვი-ლა პირობები იმისა,რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუ-ცია გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში.

ასეთი იყო გლეხთა მიზანდასახულება ოქტომბრის რევოლუ-ციისათვის სამზადისში და მისი მოხდენის საქმეში.

გლეხობის საკითხი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერი-ოდშიც თავისებურებით ხასიათდება. ჩვენი რევოლუციის მესა-მე პერიოდათ შეიძლება სამოქალაქო ომის პერიოდი ჩავთვა-ლოთ,სადაც ლენინის და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ჩვენი წითელი არმიის გმირული ბრძოლის საშუალებით-სამოქა-ლაქო ომში გამარჯვება ჩვენს მხარეს დარჩა. ქვეყნის შიგ-ნით ჩაქრობილი იქნა კულაკური აჯანყებები. განადგურებული იქნა ყველა კონტრრევოლუციონური შემოტევები. გაიმარჯვა მუშათა და გლეხთა კლასის ძლიერებამ.

ამ პერიოდში უპირველეს ყოვლისა წამოიჭრა სამეურნეო მშენებლობის საკითხი, რაც გულისხმობდა ინდუსტრიის ნაწარ-

მთა გაცვლას-გლეხური მეურნეობის პროდუქტებზე. საბჭო-თა ვაჭრობის გაშლას, კოოპერაციის განვითარებას და მასში მშრომელი გლეხობის ჩაბმას ნებაყოფლობითი საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დონეს, რომელიც ბურჟუაზიულ მემამულურ რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიიღო პროლეტარიატმა ლენინმა ამის შესახებ იშვიათი ანალიზი მოგვცა. ლენინმა 5- საზოგადოებრივ- ეკონომიურ წყობათა სხვადასხვა ელემენ-ტების, რომელიც არსებობდნენ 1918 წელში ზუსტი განსაზღვრა მოგვცა.

ეს წყობანი შემდეგი იყო:

1/ პატრიარქალური ე.ი. მნიშვნელოვან ნაწილში ნატურალური, გლეხური მეურნეობა.

2/ წვრილი სასაქონლო წარმოება / ამას ეკუთვნის გლეხობის უმრავლესობა იმათგან,ვინც პურს ჰყიდის /.

3/ კერძო მეურნეობრივი კაპიტალიზმი.

4/ სახელმწიფო კაპიტალიზმი.

5/ სოციალიზმი.

ჩვენს მიზანს შეადგენს ჩართ გავარკვიოთ, თუ რა დაემართა იმ სოციალურ- ეკონომიურ წყობებს, რომელთა შესახებაც ლენინი თავის დროზე იძლეოდა? რომელი მათგანი ჯერ კიდევ ძალაშია? და რატომ? ანდა პირიქით. რომელი მოისპო და რა საშუალებებით.

ძველი რუსეთი,რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ წაართვა ბურჟუაზიას უაღრესად ღატაკი, დანგრეული და ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობა გაცილებით სჭარ-ბობდა მრეწველობას. 1913 წელს მეურნეობის მთელ პროდუქცია-ში, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 57,9 %-ს შეადგენდა, მრე-წველობის კი 42,1 %-ს. ამ მხრივ არც ნ ე პ ი ს დასაწყ-

ხში გვქონდა სახარბიელო მდგომარეობა. მაშინდელ მეურნეობის სურათი წვრილ სასაქონლო მეურნეობის სურათი იყო. კერძო გლეხობის სიჭარბე და მასზე შეჩერება უფრო კაპიტალიზმის ერთგვარ აღორძინებას ნიშნავდა,ვინემ სოციალიზმის მშენებლობას. ამის შესახებ ლენინი გვაფრთხილებდა:"იმისათვის,რომ ძირი გამოუთხაროთ კაპიტალიზმის აღორძინებას ჩვენში- არის ერთი საშუალება- გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მათ შორის მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილ წარმოების ტექნიკურ ბაზაზე". /ლენინი- ტ.XXV გვ. 46 /.

სახელმწიფოს განსაკუთრებული და ყოვლისმხრივ მიზანშეწონილი პოლიტიკა, რომლის ამოცანას შეადგენდა ექსპლოატატორთა კლასების მოსპობა და სოციალისტურ საზოგადოების აშენება ჩვენს ქვეყანაში- ამ საკითხში ხალხის მტრებს ეჭვი შეეპარათ, იმედი დაჰკარგეს ჩვენში არსებულ მრავალ წყობიან ეკონომიკის გარდაქმნის შესაძლებლობის საკითხში, რითაც დაეყრდნენ მავნებლურ აზრს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების და მისი გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა ლენინის შემდეგ გენიალური ხაზი აიღო ლენინის მიერ დაწყებულ საქმის დამთავრებისათვის, თეორიულად და პრაქტიკულად განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანა, უზრუნველჰყო უდიდესი ქვეყნის გრანდიოზული სოციალისტური გარდაქმნა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით აგრარულ ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად: წვრილ დაქუცმაცებულ ერთ პიროვნულ მეურნეობის ქვეყნიდან განსაზოგადოებულ,მსოფლიოში ყველაზე მსხვილ და მექანიზირებულ კოლმეურნეობად. შეიქმნა 442,4 ათასზე მეტი კოლმეურნეობა, 3961 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა, 6358 ათასზე

მეტი მტს-ის სარგურები, გლეხობის 93,5% გაერთიანებულია კოლექტიურ მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად ესეოდენი გარდაქმნა, შედეგი იყო ქვეყნის საკუთარი ტექნიკური რეკონსტრუქციის მძლავრი საფუძვლის შექმნის, სოციალისტური მრეწველობის განვითარებული ბაზის გამარჯვების, რომელმაც არსებითად შესცვალა ზემოდ აღნიშნული ეკონომიური წყობის ხუთფორმათა თავისებურება. ამხანაგი სტალინი ამის შესახებ 17-ყრილობაზე აღნიშნავდა:

" ჩვენ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი, მესამე და მეოთხე საზოგადოებრივ- ეკონომიური წყობანი უკვე არ არსებობენ, მეორე საზოგადოებრივ- ეკონომიური წყობა დაწეულია მეორე ხარისხოვან პოზიციებზე, ხოლო მეხუთე საზოგადოებრივ- ეკონომიური წყობა-სოციალისტური წყობა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ და ერთად ერთმბრძანებელ ძალას მთელს სახალხო მეურნეობაში." / ი.სტალინი- ლენინიზმის საკითხები გვ.655/

პირველი წყობა, პატრიარქალური წყობა, რომელიც ცნობილი იყო მიწათმოქმედებაში ნატურალური მეურნეობის სახით-მთლიანად ლიკვიდირებული იქნა. ამას ჩვენ მივაღწიეთ იმით, რომ ჩამორჩენილ და განაპირა ეროვნულ ქვეყნებში, სადაც მანამდე ყველაზე მეტი იყო ნატურალური მეურნეობათა წესით წარმოებული ნაწილები-იქ წარმატებით იქნა სოციალისტური მშენებლობის დანერგვა.

რაც შეეხება კერძო მეურნეობრივი კაპიტალიზმის წყობას, / 3-წყობას /, ის თავისი პოზიციებიდან ნეპის განვითარების ცალკეულ საფეხურებზე საგრძნობლად იდევნებოდა. სავაჭრო, გამსაღებელი და მომარაგებელი კოოპერაციის შემოღებისა და მის განვითარებასთან დაკავშირებით წარმატებით " განიდევნა კაპიტალისტური ელემენტები ვაჭრობის სფეროდან". ეს შესამჩნევი

მაშინ უფრო გახდა, როდესაც ქალაქსა და სოფელს შორის საბჭოთა ვაჭრობამ, ლენინურ კოოპერაციამ-გაიმარჯვა, როდესაც სამომხმარებლო კოოპერაციის წრეებით მთელი სოფლები დაიქსელა.

რაღა დაემართა მეოთხე წყობას?-ისიც მოისპო. მოისპო და აღარ გვაქვს კონცესიები, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო კაპიტალიზმის წყობას, მის მთელ შინაარსს. მუშათა და გლეხთა მტკიცე შეკავშირებამ, მათი სოლიდარობის თავდადებულმა ძალამ მოახერხა და შესძლო კიდეც, საკუთარი სახსრებით სოციალიზმის ერთად ერთი მატერიალური ბაზის-მსხვილი ინდუსტრიის შექმნა.

როგორ შეიცვალა მეორე წყობა? ამაზედაც მოკლედ შევჩერდებით: კულაკობის მიმართ შეზღუდვის პოლიტიკიდან, მისი ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლა, ნიშნავდა: ერთის მხრივ კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას ქალაქად და სოფლად, მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობის წარმოების სოციალისტური ფორმების სწრაფად ზრდას, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებათ გარანტიას. " კაპიტალისტური მეურნეობა საბჭოთა კავშირში უკვე ლიკვიდირებულია, ხოლო ერთპიროვნულ-გლეხური სექტორი სოფლად მეორე ხარისხოვან პოზიციაზე არის დაწეული."/სტალინი-ლენინიზმის საკითხები გვ. 654 /. ამას ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ ადრე 1934 წელს 17-პარტიულ ყრილობაზე, პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად ამბობდა; რაც შეეხება დღევანდელ პერიოდს-ბელადის მიერ ნათქვამი უფრო მართებულია. სტალინური მეორე ხუთწლედის შესრულების შემდეგ, სოციალიზმის ეპოქაში"მეორე ხარისხოვან პოზიციაზე" მყოფი წვრილი სასაქონლო წარმოება უფრო მეტად კარგავს თავის პირვანდელ

სახეს. მას არც შეეძლო ეარსება, რადგან წვრილ მეურნეობას ჩვენს პირობებში არასდროს არ ექნება გაფართოებული რეპროდუქციის გამარჯვებათა არც ერთი შანსი. ამრიგად მეორე წყობა წვრილი სასაქონლო წარმოებამ დიდი ცვლილება განიცადა, მისი პირვანდელი სახე ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით დარჩა. ღარიბი და საშუალო გლეხობის უმრავლესობის გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობაში, კულაკობის ლიკვიდაცია და მთლიანი კოლექტივიზაციის გამარჯვებამ, რაც შედეგი იყო ჩვენი მრეწველობის გიგანტური განვითარების- გვაძლევს საბაბს იმისას, რომ დავასკვნათ: წვრილი სასაქონლო მეურნეობის აღნიშნული წყობა არ შეიძლება კვლავ დამოუკიდებელ, ცალკე, ძველებურ წყობის ფორმად დარჩეს. საკითხს ვიმეორებ. წვრილი სასაქონლო მეურნეობის წყობა ძირითადად შესცვალა მეურნეობის სოციალისტურმა წყობამ. სოფლის 114,6 მილიონ მოსახლეობის საერთო რიცხვიდან მხოლოდ 1,3 მილიონი ინდივიდუალური მეურნეობა შეადგენს, რაც თავისთავად უმნიშვნელო რიცხვია და მას არ შეიძლება მივცეთ ისეთი უპირატესობა, როგორიცაა წვრილი სასაქონლო მეურნეობის ცალკე წყობა.

ლენინის მიერ მოცემული მე-5-თე წყობა ეს სოციალისტური წყობაა. იგი გაიზარდა, განმტკიცდა და დღევანდელ პირობებში გაბატონებულ წყობად გადაიქცა. ის "ერთად ერთ გაბატონებულ ძალას წარმოადგენს" / სტალინი /.

1919 წელს პარტიის მე-8 ყრილობაზე ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა ლოზუნგი: "დაყრდნობა ღარიბ გლეხობაზე, კავშირი საშუალო გლეხთან, ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ-ბურჟუაზიაზე საბოლოო გამარჯვების მისაღწევად და სოციალიზმის აშენება". განვიხილოთ მოკლედ ამ ლოზუნგის ძირითადი შინაარსი, რადგან ასეთ განხილვაში ზოგადად მაინც მოცემული იქნება კერძო გლე-

ხობის ცალკეული ფენების დახასიათება, მათი თავისებურება, მთლიანი კოლექტივიზაციის გამარჯვებამდე. ჩვენ ცალკე თავში სპეციალურად გვექნება ლაპარაკი ლენინის კოოპერატიული გეგმის შესახებ, თუ ამ დიდი გეგმის განხორციელების საფუძველზე, როგორ მოხდა გლეხობის კოლექტივში გაერთიანებით ცალკე ფენების წაშლა? როგორ მოხდა მათი თანდათანობით კოპერირება? როგორ დაირაზმა ღარიბი და საშუალო გლეხობა კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად? როგორი იყო კლასობრივი ძალთა განწყობილების შეცვლის თავისებურება და როგორ მოხერხდა საშუალო გლეხთა მასების შემობრუნება სოციალიზმისაკენ?.

როგორც ვიცით კაპიტალისტური საზოგადოებიდან, საბჭოთა საზოგადოებაში გლეხობა გადმოსული იქნა სამ სხვადა სხვა ფენად. თვითეული ამ ფენის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირია, ასევე სხვადასხვანაირია მათი კლასობრივი ინტერესები.

დავასაბუთოთ ზემოთ ნათქვამი.

პირველი ფენა ეს არის უ ღ ა რ ი ბ ე ს ი გ ლ ე ხ ო ბ ა, გლეხობის ღარიბი ნაწილი, რომელიც მოკლებულია მეურნეობის საწარმოო საშუალებებს და საკუთარ სამუშაო ძალას ჰყიდის მემამულეებს. ლენინი სოფლის ღარიბ გლეხობას უწოდებდა " სასოფლო სამეურნეო მუშებს მიწის ნადელით", ანუ " მკვიდრ პროლეტარებს"-სოფლად.

ღარიბი გლეხობის კლასობრივი ინტერესი ძალიან ახლოს დგას-მუშათა კლასის ინტერესებთან; უკავშირდება პროლეტარიატის მიერ დასახულ ამოცანებს და მხარს უჭერს პროლეტარიატს ყველა სახის ექსპლოატატორების საწინააღმდეგო ბრძოლაში,

მხარს უჭერს მუშათა კლასს ექსპლოატაციის სრული მოსპობისათვის და სოციალიზმის ასაშენებლად ჩვენს ქვეყანაში. ამიტომაც ღარიბი გლეხობა დასაყრდენია ხელისუფლებისათვის.

მეორე ფენა უკვე, რომ ვსთქვათ კლასი, რომელიც საწინააღმდეგო ფრმებში უპირისპირდება პირველ ფენას-წარმოადგენს კ უ ლ ა კ ო ბ ა. კულაკობა, ეს ჩვენში გლეხური ბურჟუაზია იყო სოფლად. სინამდვილეში კულაკობა წარმოადგენს არა გლეხებს, არამედ სოფლის წვრილ კაპიტალისტებს, ექსპლოატატორებს, რომლის კლასობრივი ინტერესები მთლიანად ემთხვევა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და პირდაპირ ეწინააღმდეგება მუშათა კლასის, ღარიბი და საშუალო გლეხობის ინტერესებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კულაკობა დაუძინებელი მტერი გახდა მშრომელი გლეხობის. მიუხედავად ამისა ნეპის პირველ პერიოდში კულაკობის ლიკვიდაცია არ მოგვიხდენია, ეს იმიტომ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ დაფუძნებული იყო ინდივიდუალური წვრილ გლეხურ წარმოების წესზე, სუსტი იყო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ჯერ კიდევ არგვქონდა საშუალება სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის ერთბაშად აღკვეთის, ამიტომ იყო, რომ ჩვენ კულაკობის მიმართ დამოკიდებულება შეზღუდვა გამოდევნის პოლიტიკით დავიწყეთ. კონტრევოლუციონერები ზინოვიევი და კამენევი კულაკობის ლიკვიდაციის შესახებ ნაადრევად აყენებდნენ საკითხს, რითაც მათ უნდოდათ პარტიის სწორი ხაზის დამახინჯება ამ საკითხში.

დიდ გარდატეხის წელში /1929 წელი / ამხანაგ სტალინის ინიციატივით გამოცხადებული იქნა კულაკობის,

როგორც კლასის ლიკვიდაცია- მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ეს სინამდვილეში ასეც მოხდა.

მემარჯვენე ოპორტუნისტები ფაქტიურად კულაკების დამცველნი აღმოჩნდნენ, სადაც მოითხოვდნენ კაპიტალისტურ ამ ელემენტების წინააღმდეგ შეტევის შეჩერებას, უარყოფდნენ "კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების ნაწილობრივ გამოყენებასაც კი"/სტალინი/, მოითხოვდნენ კულაკების ინდივიდუალური დაბეგვრიდან განთავისუფლებას და მათი განვითარების ყოველმხრივ ხელის შეწყობას.

მესამე ფენა ეს საშუალო გლეხობაა, რომელსაც შუალედი მდგომარეობა უჭირავს ზემოთ აღნიშნულ პირველსა და მეორე გლეხთა ფენებს შორის. მას აქვს საკუთარი მეურნეობა, რომლის დამუშავებას თავისი შრომით აწარმოებს. საშუალო გლეხს უკეთესი მდგომარეობა აქვს, ვინემ ღარიბს. ლენინმა ზუსტი განმარტება მოგვცა საშუალო გლეხის ორმაგი თავისებურების შესახებ. საშუალო გლეხი, როგორც მშრომელი ამ თვალსაზრისით იგი მოწინააღმდეგეა ექსპლოატატორების, მემამულეების, კულაკების და მიმხრეა, მოკავშირეა პროლეტარიატის-სოციალიზმისათვის ბრძოლაში. საშუალო გლეხი მეორეს მხრივ, როგორც მესაკუთრე დაინტერესებულია თავისი კერძო საკუთრების შენარჩუნებით, რის გამოც მიიწევს ბურჟუაზიის მხარეს, "ეს ისეთი ფენაა, რომელიც განიცდის მერყეობას. ის ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მშრომელი."/ლენინი/.

მემარჯვენე ოპორტუნისტები უარყოფდნენ გლეხთა დიფერენციაციის ლენინის ფორმულას, მათ არ სწამდათ, რომ ღარიბი გლეხი ხელისუფლებისათვის დასაყრდენია, საშუალო მოკავშირე, კულაკი კი მტერი. სამაგიეროდ მავნებლები მოითხოვდნენ კავშირის დამყარებას მთელ გლეხობასთან./ კულაკების ჩათვლით /.

თუ რომლისაა საჭირო მთლიან გლეხობაზე დაყრდნობა და რატომ?- ეს ჩვენ ზემოთ გვაქვს მოცემული.

საშუალო გლეხი კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისთანავე კარგავს ამ ძველ სახელწოდებას, ის აღარ არის "საშუალო" გლეხი, კოლმეურნე გლეხი ხდება და რაც მთავარია საბჭოთა ხელისუფლებისათვის დასაყრდენი ხდება.

პარტიის პოლიტიკა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში გამომდინარეობდა იმ დებულებებიდან, რომ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს, "მიწადმოქმედების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კოლმეურნე გლეხობა" / საკ.კ.პ./ბ/ ც.კ. 1931 წლის იანვრის პლენუმი /.

საშუალო გლეხობის მოკავშირეობიდან- დასაყრდენად გადაქცევა, წარმოადგენს ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებას გლეხობის საკითხში, რაზედაც ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობა განსაკუთრებით შეეხო საშუალო გლეხობის მიმართ დამოკიდებულების საკითხს.

1917 წელს ნოემბერში გლეხობის ყრილობაზე ლენინს დაუსვეს ასეთი შეკითხვა. რატომ მოითხოვს ის კავშირს მუშათა კლასისას მშრომელ გლეხობასთან, როდესაც მუშათა კლასი საერთო საკუთრების მომხრეა, გლეხი კი კერძო საკუთრების? ლენინმა ამომწურავი პასუხი გასცა ამ შეკითხვაზე.

" ძირითადი განსხვავება დაქირავებულ მუშათა ინტერესებსა და მშრომელ ექსპლოატირებულ გლეხთა ინტერესს შორის ა რ ა რ ი ს. სოციალიზმს შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ორივეს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია მათი ინტერესების დაკმაყოფილება". აი ლენინის პასუხი დასმულ შეკით-

ხვაზე. ლენინის გენიოსური განმარტება გლეხობის საკითხში — სინამდვილეში ჭეშმარიტად აქცია. სოფლად კოლექტივიზაციის გამარჯვება, სადაც საშუალო გლეხობაც გაერთიანდა -სავსებით შესაძლებელი გახდა მუშათა კლასის ინტერესების და კოლმეურნე გლეხობის ინტერესების ერთიანობა და მათ შორის ჯერ კიდევ არსებულ სხვაობის დაძლევის სტალინური პრინციპები.

კოლექტივიზირებულ გლეხობის ინტერესები არამც თუ ეწინააღმდეგება მუშათა კლასის ინტერესებს, არამედ ეს ინტერესები მათთვის საერთოა, მათი საერთო ინტერესები კი მდგომარეობს სოციალიზმის აშენების და მისი გამარჯვების საქმეში-მსოფლიოს მასშტაბით.

ასეთი იყო გლეხობის მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციაში და მის შემდგომ პერიოდში.

5 - თ ა ვ ი.

## ლენინის კოოპერატიული გეგმა.

ლენინის კოოპერატიული გეგმა შეიცავს ანალიზს გლეხობის მდგომარეობისას კაპიტალიზმის პირობებში, სადაც გვაძლევს გლეხობის სიღატაკიდან გამოყვანის, თავის დაღწევის შესანიშნავ გზებს.

გასაგებია თუ რატომ დაუთმეთ მთელი თავი გლეხთა წარსულ მდგომარეობის საკითხს.

კომუნიზმის სულთამძღვრებს მარქს და ენგელს, რომლებიც შესანიშნავად წინასწარმეტყველობდნენ წვრილი გლეხური მეურნეობის გადაყვანას- მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე, მათ ბუნებრივად არ ქონდათ ისტორიული მასალები და სათანადო პრაქტიკული გამოცდილებები გლეხური მეურნეობის თანამედროვე სახის, რაც უთუოდ მისცემდა შესაძლებლობას საკითხის კონკრეტიულად გადაჭრისათვის. მარქსმა და ენგელსმა,თუმცა დეტალურად არ დაგვისურათეს სოციალიზმის პერიოდის საკუთრებათა ცალკეული სახეები, რომ ამ თავითვე კონკრეტიულად ვერ განსაზღვრეს სახელმწიფოებრივი და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრებათა თავისებურება,- მაგრამ მათ სამაგიეროდ მოგვცეს ძირითადი გეზი იმისა,რომ სოციალისტურ საზოგადოებაში საკუთრება უნდა იყოს მთელი სახალხო- საზოგადოებრივი სახით.

გარდამავალ პერიოდში კოლექტიური მეურნეობის და კოოპერატიული გაერთიანებათა ცალკეული სახეების თეორიული და პრაქტიკული განხორციელება წილად ხვდათ ლ ე ნ ი ნ ს და ს ტ ა ლ ი ნ ს. ლენინმა მიგვითითა და გვასწავლა თუ,როგორ გადაგვეყვანა წვრილი მეურნეობები მსხვილი სოციალისტური

კი თვით-გლეხის სასიცოცხლო ინტერესები.

მარქსი და ენგელსი თავის დროზე მიუთითებდნენ, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის კოოპერატიული კოლექტიური წარმოება. მათი აზრით სოციალისტურმა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მთელი თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება, ძლიერება ხელმძღვანელობის გასაწევად, გლეხური კოოპერატივების შემდგომი განვითარების უმაღლეს სოციალისტურ ფორმად გადაქცევის საქმეში.

მარქსიზმ-ლენინიზმი იმ თავითვე მოითხოვდა წვრილ დაქუცმაცებულ მეურნეობის გადაყვანას-მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად. ჯერ კიდევ ადრე ენგელსის წერილში ბებელისადმი, 1886 წელს ნათქვამია:

" კომუნისტურ მეურნეობაზე გადასვლისათვის ჩვენ მოგვიხდება დაუყონებლივ კოოპერატიულ მეურნეობის წარმოებითი ფორმის შექმნა. ამაზე მარქსი და მე არასდროს არ ვეჭვობდით"-ო.

ასევე მარქსი ბაკუნინისადმი კონსპექტში" სახელმწიფო და ანარქიაში" სწერდა:

" ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ გლეხობის დაახლოება მუშათა კლასთან მოხდეს შეგნებულად, ნებაყოფლობით. გლეხობა თვითონ მოვიდეს სოციალისტური გზით"-ო.

ენგელსს, რომელსაც გლეხობის საკითხი ეწეოდენ ზუსტად აქვს შესწავლილი საფრანგეთის და გერმანიის სინამდვილიდან შემდეგ გენიალურ განმარტებას იძლევა:

"როდესაც სახელმწიფო ძალა-უფლება ჩვენს ხელში იქ-

ნება, ჩვენ არ ვიფიქრებთ იმაზე, რომ ძალდატანებით მოვახდინოთ წვრილი გლეხობის ექსპროპრიაცია... ჩვენი ამოცანა, წვრილი გლეხობის მიმართ უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო საკუთრება გადავიყვანოთ ამხანაგობაში, მაგრამ არა ძალდატანებით, არამედ მაგალითისა და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენის საშუალებით".

/ენგელსი "გლეხობის საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში." გვ. 63 /.

ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელებით სოფლად, რაც გამოიხატება: მიწის ნაციონალიზაცია, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების ფორმა და კოლექტიური მეურნეობის შექმნის საკითხმა, მჭიდრო კავშირი დაამყარა ქალაქსა და სოფელს შორის. ეს კი თავის მხრივ მოითხოვდა მუშათა კლასის უშუალო ხელმძღვანელობით როლის აღიარებას გლეხობაზე.

" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესძლებს საქმით უჩვენოს გლეხებს მიწის საზოგადოებრივ, კოლექტიური, საამხანაგო, საარტელო მეურნეობის საშუალებით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელიც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალა-უფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხებს თავის სიმართლეს. ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და როგორც საჭირო გლეხთა მრავალ მილიონიან მასას"-ო./ ლენინი თხ.ტ.XXIV გვ.579 /.

ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ განავითარა და გააღრმავა რევოლუციონური მარქსიზმი, წინ წასწია რევოლუციური შემოქმედებითი თეორიის სინამდვილე, პირადად უხელმძღვანელა სოციალისტური წყობის ლენინურ თეორიის განხორციელების ამ

დიდ საქმეს. ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი ეპოქა-სოციალიზმის ეპოქა, რომელსაც მშრომელებმა სამართლიანად უწოდეს სტალინური ეპოქა. ამხანაგმა სტალინმა იშვიათი ალღო აუღო რუსეთის სოფლის მეურნეობის თავისებურებას, მხარი დაუჭირა ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელების დიდ საქმეს. აი რას სწერს ამხანაგი სტალინი ამის შესახებ:

-" რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა წავიდეს სხვა გზით, წვრილი და საშუალო გლეხობის მილიონთა კოოპერირების გზით, სოფლად მასობრივი კოოპერაციის განვითარების გზით, რასაც სახელმწიფო ხელს უწყობს შეღავათიანი კრედიტის მიწოდებით"-ო. /სტალინი-ლენინიზმის საკითხები გვ. 55 /.

ამხანაგ სტალინმა გენიალურად განსაზღვრა კულაკობის ლიკვიდაცია, როგორც ექსპლოატატორულ კლასის და მთლიანი კოლექტივიზაციის შექმნის საჭიროება. პირველი სტალინური ხუთწლედის შესრულების შედეგად პარტიამ მიაღწია იმას, რომ საბჭოთა კავშირში წვრილი გლეხური მეურნეობა გადაიყვანა მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად. ამ საფუძველზედ მოისპო კერძო საკუთრება სოფლად და გაიმარჯვა საკოლმეურნეო საკუთრებამ.

ლენინის კოოპერატიული გეგმის განვითარების გზა ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ასეთი გეგმის განხორციელებისათვის ჩვენს პერიოდში ყოველმხრივ ნიადაგი მომზადებულია. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის კოოპერატიული გეგმა აღმოჩნდა ერთად/ერთი ხელსაყრელი პირობა მშრომელთა გლეხობის გადასასვლელად სოციალიზმში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელებით სოფლის მეურნეობის თავისებურება ერთბაშად არ შეცვლილა, არ შეცვლილა წვრილი მეურნეობის კერძო მესაკუთრული სახე-დამყარებული წვრილი სასაქონლო მეურნეობის წარმოების წესზე. აღნიშნულ პერიოდში კულაკურ მეურნეობას ჰქონდა შესაძლებლობანი / თუმცა შეზღუდულ-შეავიწროვებულ ფარგლებში / თავისი მეურნეობის შემდგომი განვითარების ბაზისა, ხოლო კოლექტიური მეურნეობა ამ ეტაპზე ძალიან მცირე რაოდენობით გვქონდა. გლეხური მეურნეობის დიდი უმრავლესობა ამ პერიოდში ტექნიკური შეიარაღებით ძალიან მცირე იყო. ხოლო მექანიზება უწვრილესი გლეხური მეურნეობისა, რომელნიც ცნობილი იყვნენ ათობით პაწია მიწის ნაკვეთებით-სრულიად განუხორციელებელი ამოცანა იყო. გლეხური მეურნეობა ნაწილდებოდა და ქუცმაცდებოდა, ის უფრო და უფრო წვრილდებოდა. ამის შედეგად კატასტროფიულად ეცემოდა სოფლის მეურნეობის საქონლიანობა.ასე მაგალითად 1927 წელში გლეხური მეურნეობა სასაქონლო პურს იძლეოდა თავისი საერთო პროდუქციის მხოლოდ 12%-ს.

აი რატომ შეიქმნა საჭირო ლენინური ლოზუნგის " ვ ი ნ-ვ ი ს"-ის დასმა და მისი დაუყონებლივ გადაჭრა სოფლადაც.

ლენინის კოოპერატიული გეგმის მიხედვით ესა თუ ის სახის კოლექტიური გაერთიანება უპირველესად მატერიალურ სარგებლობას აძლევს მასში გაერთიანებულ წევრებს. მშრომელი გლეხობის უმრავლესობის გაერთიანება სამომხმარებლო კოოპერატივებში-ძალიან დიდ რამეს ნიშნავდა. ერთის მხრივ თუ ასეთ გაერთიანების შედეგად განიდევნა კერძო კაპიტალი ვაჭრობიდან, სამომხმარებლო საქონლით, მეორეს მხრივ

გლეხობამ ასეთ გაერთიანებაში მიიღეს მატერიალურ-კულტურული მოხმარების პირდაპირი დანაზოგიც. რაც უფრო მეტად ერთიანდებიან გლეხობა, გასაღების, სამომხმარებლო, სარეწაო და სახოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცალკეულ სახეებში, სადაც თვითონ დაინახავს ყოველივეს, დარწმუნდება კოლექტიურ სიკეთეში, მის აუცილებლობაში-მაშინ თვითონვე მოითხოვს, რათა წვრილი კერძო წარმოების წესი, შეიცვალოს მსხვილი კოლექტიური წარმოების წესით.

გლეხობა, როცა დაინახავს სამომხმარებლო, სარეწაო და სხვათა უმარტივეს სახის კოოპერაციის უპირატესობას, როდესაც ის დარწმუნდება კოლექტიურ გაერთიანებათა ნაყოფიერ შედეგით, მაშინ თვითონვე მოითხოვს საწარმოო კოოპერაციაზე გადასვლას. ლენინის კოოპერატიული გეგმა სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ გლეხობის გაერთიანება ჯერ უმარტივეს დაბალ ფორმაში / გასაღება-მომარაგების კოოპერაციაში/ და შემდეგ ნებაყოფლობით მის მაღალ ფორმაში, კოპერირების უმაღლეს საფეხურზე — კოლმეურნეობაში გადასვლა.

მართლაც, ჩვენს სინამდვილეში სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის წლებში უპირატესი მნიშვნელობა ქონდა გასაღება-მომარაგების კოოპერაციის ფორმას. ასე მაგ: 1927-28 წ.წ. სამომხმარებლო კოპერაციის წევრად გაერთიანებული იყო სოფლის 13,9 მილიონი მეპაიე, ხოლო მთელი გლეხობის 37,5% გაერთიანებული იყო სოფლის მეურნეობის კოოპერაციის სხვადასხვა სახეებში. კოპერაციის ასეთ სწორად ჩამოყალიბებამ, გლეხთა შორის დარწმუნება-შეგნებამ, წვრილი სასაქონლო წარმოება სოფლად, გადაიყვანა მსხვილ სოციალისტურ კოოპერატიული მეურნეობის უმაღლეს ფორმაზე.

კოოპერატიულ ორგანოებში მოქალაქეთა გაერთიანება სრული ნებაყოფლობითი საფუძველზე სწარმოებს. სტალინური კონსტიტუციის 126 მუხლით გარანტირებულია მოქალაქეთა შეგნების და ნებაყოფლობით გაერთიანების ურყევი პრინციპი. მოქალაქეთა ნებაყოფლობით ასეთ გაერთიანების შინაარსში მოცემულია მასების თვით მოქმედება, მათი მატერიალური ინტერესი, გაერთიანებულ ორგანიზაციის საქმეთა მმართვა სრული დემოკრატიის პრინციპების გამოყენებით. საბჭოთა კანონი ამ დარგში საკითხს მეორე მხრივაც იხილავს. ისეთი ფიქტიური ორგანიზაციის დაარსება, რომელიც კოოპერატიული ფორმითაა შენიღბული და ფაქტიურად ის კერძო, წამგლეჯურ საწარმოო სახეს ატარებს, მაშინ ასეთ ცრუ კოოპერატიულ გაერთიანებათა მიმართ თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა $143^{1}$ მუხლით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3-წლამდე, მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

ხალხის მტერ ბუხარინის მიერ წამოყენებული იქნა ანტილენინური " კოოპერატიული " გეგმა, რაც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის "გარდაქმნას" კულაკობის შეზრდით სოციალიზმში. გამყიდველ ბუხარინის აზრით კოოპერატიული გლეხური ორგანიზაციის ძირითადი ქსელი თითქოს შესდგებოდა შრომითი ტიპის კოოპერატიული უჯრედებისაგან, რომლებიც მისი აზრით შეეზრდებიან საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემას და ამრიგად გადაიქცევიან სოციალისტურ მეურნეობის ერთიანი ჯაჭვის რგოლათ. ამხანაგმა სტალინმა ულმობელი კრიტიკით გაანადგურა ბუხარინის კონტრრევოლუციური შეხედულება, ლენინის კოოპერატიული გეგმის გაყალბების შესახებ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში, 1921 წელს

17 ნოემბერს გამოდის რსფსრ ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ ღირსშესანიშნავი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური მეურნეობის მთელ რიგ შეღავათებს. აღნიშნულ დეკრეტში ნათქვამი იყო შემდეგი:

"განმტკიცება და გამაგრება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, რაც აუცილებელი პირობაა ახალი ეკონომიური პოლიტიკის სინამდვილისათვის"-ო.

იმავე წელს სრულიად რუსეთის საბჭოების მე-9 ყრილობამ დასახელებული დეკრეტის პროექტი მთლიანად მოიწონა, "როგორც სოციალურად სრული გამოსახული მშრომელთა უჯრედი"/ Как социально вполне выявленные ячейки трудящихся/.

ლენინ-სტალინის კოოპერატიული გეგმის განხორციელებისათვის სოფლად-პარტიამ შეიმუშავა კოლექტიური მეურნეობის რამდენიმე სახე ანუ საფეხური, როგორიც იყო: მიწის საზოგადოებრივი დამამუშავებელი ამხანაგობა " Тоз ", სასოფლო სამეურნეო არტელი და სასოფლო სამეურნეო კომუნა.

განვიხილოთ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ეს სამი სახე.

1/ მ ი წ ი ს ს ა ზ. დ ა მ ა მ უ შ ა ვ ე ბ ე ლ ი ამხანაგობა წარმოადგენს სოციალისტური ტიპის მეურნეობის პირველ ანუ დაბალ საფეხურს, სადაც ასეთ გაერთიანებულ ამხანაგობაში მხოლოდ საწარმოო საშუალებებია განსაზოგადოებული, რაც ამავე დროს ატარებს დროებით სეზონურ ხასიათს. საწარმოო საშუალებები საბოლოო ანგარიში ამხანაგობის წევრთა კერძო საკუთრებაში რჩება. მთელი შემოსავალი ამხანაგობაში ნაწილდება, არა მარტო მომუშავე წევრთა დახარჯულ შრომის მიხედვით, არამედ ამხანაგობაში გაერთიანებულ საწარმოო საშუალებების და მიხედვითაც. სწორედ ეს

ძირითადი პრინციპები ანსხვავებს ამხანაგობას სასოფლო სამეურნეო არტელისაგან. მიწის დამამუშავებელი ამხანაგობა-ეს კოლექტიური მეურნეობის უბრალო ფორმაა, რომელიც მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში ის თითქმის კარგავს თავისი სამეურნეო მნიშვნელობას. ამხანაგობის წევრის პირადი ინტერესი ძირითადია, ხოლო საზოგადო ინტერესი–მეორე ხარისხოვანია.

მიწის საზ. დამამუშავებელ ამხანაგობას თავის დროზე სოფლის მეურნეობაში საკმაოდ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით კი ეს საშუალო გლეხობის მეურნეობათა დახმარების საკითხში–მთლიანი კოლექტივიზაციამდე.

2/ საფეხურს ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო არტელი წარმოადგენს, რომელიც მშრომელთა გლეხობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და მიზანშეწონილი სამეურნეო ფორმის ტიპი აღმოჩნდა. დღეს მთელი გლეხობის 93,5% გაერთიანებულია არტელში.

არტელი- ეს მსხვილი მეურნეობაა, სადაც არ არის კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. არტელი ყალიბდება სახელმწიფოს მიწაზე, რომელიც ჩაბარებული აქვს მუდმივ სარგებლობის, სახელმწიფო აქტით.

სასოფ.სამ. არტელი წარმოადგენს მსხვილ სოციალისტურ მეურნეობის სახეს, სადაც გამოყენებულია მაღალი ტექნიკის და მოწინავე მეცნიერების ნამდვილი შესაძლებლობანი. თუ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები ამერიკის შ. შტატებში 1935 წლის ცნობით ერთ კოლექტიურ მეურნეობაზე მოდიოდა 20,2 ჰექტარი სახნავი ფართობი, 2-ცხენის ძალის ტრაქტორი, 1,7 სამუშაო ცხენი და 10 სული მსხვილი

რქოსანი საქონელი;- ჩვენში ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის გამარჯვებათა ქვეყანაში 1938 წლისათვის ერთ კოლმეურნეობაზე გათვალისწინებული იყო: 484,6 ჰექტარი სათესი ფართობი, 30,8 ცხენის ძალის ტრაქტორი, 55,9 სამუშაო ცხენი და 64,7 სული მსხვილი რქოსანი საქონელი.

სასოფ.სამ. არტელი-ეს მაღალ მექანიზირებულ მეურნეობას წარმოადგენს, სადაც კოლმეურნეობის 93,3% სათესი ფართობი უზრუნველყოფილია მტს-ის მიერ მომსახურეობის მხრივ.
1939 წლისათვის ჩვენ გვაქვს: 495 ათასი ტრაქტორი, 127,525 - კომბაინი, 74,630 ათასი სატვირთო მანქანა, 405,244 ტრაქტორის გუთანი, 178,383 ტრაქტორის ფარცხი და ა.შ. ეს იმ დროს, როდესაც ჩ.ა.შ.შტ.-ში ტრაქტორები გამოყენებულია მხოლოდ 21%, კანადაში-13%, გერმანიაში 18,374 ტრაქტორი, იტალიაში კი 30,210 ტრაქტორი.

ამხანაგი სტალინი სას.სამ.არტელის შესახებ შემდეგ განმარტებას იძლევა:

"არტელი ახლანდელ პირობებში წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ერთად ერთ სწორ ფორმას. და ეს გასაგებია.

ა/ არტელი სწორად ათავსებს კოლმეურნეების პირად, საყოფაცხოვრებო ინტერესებს მათ საზოგადოებრივ ინტერესებთან,

ბ/ არტელში მოხერხებულად ხდება პირად, საყოფაცხოვრებო ინტერესების შეგუება საზოგადოებრივ ინტერესებთან, რაც აადვილებს გუშინდელ ერთპიროვნულ მეურნეთა აღზრდას კოლექტივიზმის სულით !-

/ სტალინი-ლენინიზმის საკითხები გვ. 685 /.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ეს სახე, სასოფლო სამეუ-

ნეთ არტელი წარმოადგენს სოციალისტურ მეურნეობის ერთ-ერთ ფორმას, სადაც აღარ ხდება გლეხობის ფენებად დაყოფა. არ აქვს ადგილი საწარმოო საშუალებათა მქონე პირებს და არა მქონე პირთა არც ერთ შემთხვევას. ჩვენ ვერ ვიტყვით "ღარიბ" ან "საშუალო" კოლმეურნეს-ისინი ყველა ერთად შეძლებული კოლმეურნეობის წევრებია.

სასოფ.სამ. არტელში წარმოების ძირითადი საშუალებები განსაზოგადოებულია. თანახმად არტელის წესდების 4-მუხლისა უნდა გაერთიანდეს: მუშა-პირუტყვი, სასოფ.სამ.ინვენტარი, სათესლე მარაგი, პირუტყვის საკვები და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმოო. ამრიგად კოლექტივში შესულ გლეხთა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება ნიშნავს, საკოლმეურნეო საკუთრების წარმოშობის წყაროს, სადაც ზემოდ ჩამოთვლილი ქონება გადაიქცევა კოლმეურნეობის საერთო საკუთრებად.

განსაზოგადოებულ ქონების ღირებულების 1/4-დან 1/2-მდე თანახმად არტელის წესდების 10 მუხლისა ირიცხება განუყოფელ ფონდში, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადაირიცხება არტელის წევრთა საპაიო ფონდში. არტელში შემოსასვლელი ფულადი გადასახადი სავალდებულოა, რომლის რაოდენობა 20-დან 40 მანეთამდეა განსაზღვრული. ეს თანხა ჩაირიცხება განუყოფელ ფონდში და მისი უკან დაბრუნება არ შეიძლება კოლმეურნის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში.

განუყოფელი ფონდი კოლმეურნეობაში ძირითადია. არ შეიძლება მისი მოხმარება და გახარჯვა, მისი არა დანიშნულებისამებრ დახარჯვა. განუყოფელი ფონდი იმდენად ხელშეუხლებელია, რომ ამა თუ იმ კოლმეურნეობის ლიკვიდაციის შემთხვე-

უაწიაც კი არ ნაწილდება წევრთა შორის. ეს ფონდი გადაეცემა სხვა კოლმეურნეობას. განუყოფელი ფონდი ხმარდება თავისი კოლმეურნეობის შემდგომი განვითარების საერთო საქმეს. ხმარდება საწარმოო საშუალებათა შეძენის საქმეს. რაც უფრო მეტია განუყოფელი ფონდი კოლმეურნეობაში, მით უფრო ძლიერია ასეთი კოლმეურნეობა, მით უფრო მეტია მისი შემოსავალი, მით უფრო მაღლა სდგას კოლმეურნეობის წევრთა კეთილდღეობა.

ძირითად ფონდის გარდა კოლმეურნეობაში სპეციალური ფონდებიც იქმნება, როგორიცაა: სათესლე, სადაზღვევო და საფურაჟე ფონდები. სპეციალურ ფონდებში წლიურად გათვალისწინებულია შემოსავლიდან 10-დან 15%-დე გადარიცხვა, რითაც ყოველწლიურად მისი განახლება ხდება. სპეციალური ფონდებიც არ შეიძლება განაწილდეს კოლმეურნეობის წევრთა შორის, ანდა სხვა დანიშნულისამებრ იქნეს დახარჯული. არტელის წესდების 11-მუხლის " გ " პუნქტის თანახმად ზემოდ აღნიშნული ფონდები კრედიტორთა გადახდევინებისაგან დაჯავშნულია.

კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით შეიძლება აგრეთვე შეიქმნეს სხვა დამხმარე ხასიათის არა ძირითადი ფონდები, როგორიცაა: ინვალიდთა, მოხუცებულთა, დროებით შრომის უნარ დაკარგულთა, ობლების და სხვა ამდაგვარი ფონდები.

არტელს აქვს თავისი სანიმუშო წესდება, საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონი, სადაც არტელის მთლიანი საქმიანობა, მისი მოქმედება და ცხოვრება ემყარება ანუ გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ამ წესდებიდან. არტელის პირველი სანიმუშო წესდება მიღებული იქნა 1930 წლის 1- მარტს

[illegible]. სწორედ 5 წლის შემდეგ 1935 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე მიღებული იქნა დღემდე მოქმედი მეორე სანიმუშო წესდება.

არტელის წესდებით მინიჭებულია კოლმეურნეობის წევრისათვის უფლება დამხმარე მეურნეობის შექმნის საქმეში, რომლის მიზანს შეადგენს დახმარება გაუწიოს საკოლმეურნეო კომლის ზოგიერთ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის შექმნის სურვილი განუსაზღვრელი იყოს; ვისაც რამდენი პირუტყვი სურს იმდენს შეინახავს და სხვა.

აქაც არტელის წესდების მე-5 მუხლი აწესებს რაიონების 4 ზონას, რითაც განსაზღვრულია კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის რიცხობრივი რაოდენობა.

არტელის წევრის- კოლმეურნის შრომითი ბალანსში საზოგადოებრივ მეურნეობის ხვედრითი წონა თანდათანობით უნდა იზრდებოდეს; ხოლო მისი პირადი მეურნეობის ხვედრითი წონა თანდათან უნდა მცირდებოდეს. სოციალიზმის ეპოქაში სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან დროთა ვითარებაში კოლმეურნის შეგნებაში, კოლექტივიზმის სულისკვეთება იმარჯვებს, წინააღმდეგობა ანუ სხვაობა კოლექტიურ და ინდივიდუალურ პრინციპების დაპირისპირებით- კოლექტიური იმარჯვებს. იმარჯვებს საკოლმეურნეო დოვლათისადმი სიყვარული.

კოლექტიური აზრის პრინციპები, კოლმეურნე გლეხს დაუყონებლივ არწმუნებს კაპიტალისტურ ნაშთების უიმედობაში, კერძო მიდრეკილებათა ტენდენციაში თუ ამ უკანასკნელს კოლექტივიზმთან შეადარებთ, როგორი უიმედო და მეტყველი სახე აქვს.

კოლმეურნე გლეხი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ მისი შრომა კოლმეურნეობაში უფრო მეტ ნაყოფს იძლევა ვინემ იძლეოდა ერთპიროვნულად მუშაობის დროს. სწორედ იმიტომ ხდება ეს, რომ კოლმეურნე გლეხები მუშაობენ საზოგადოებრივი საწარმოო საშუალებებით, იმიტომ, რომ საკოლმეურნეო საკუთრება შეადგენს კოლექტიური მეურნეობის უძლეველ ძალას, კოლმეურნის ძირითად შემოსავალ წყაროს. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობის ყველა წევრი დაინტერესებულია ყოველ მხრივ განამტკიცოს საზოგადო საკუთრება.

პარტიამ და ხელისუფლებამ ყოველმხრივ ხელი შეუწყო არტელში ნებაყოფლობით გაერთიანებულ გლეხობას. პირველი ხუთწლიანი გეგმის განმავლობაში კოლმეურნეობამ, სახელმწიფოსაგან მიიღო გრძელვადიანი სესხი 1418 მილიონი მანეთის რაოდენობით, ხოლო მეორე ხუთწლედში ეს თანხა შეადგენდა 2700 მილიონ მანეთს. საკმაოდ გაიზარდა კოლმეურნეობების სათესი ფართობი. 1939 წლისათვის მან მიაღწია 111,859,6 ათას ჰექტარს ე.ი. მთელი ნათესთა 93,3% შეადგენს. ასეთ არაჩვეულებრივ ზრდამ, კოლმეურნეობათა ნათესის ფართობმა, მეფის რუსეთის 1913 წლის ნათეს ფართობს გადააჭარბა 7 მილიონი ჰექტარით, ხოლო დღეს გერმანიის ნათესთა ფართობს ხუთნახევარჯერ გადააჭარბა. / ცნობა ამოღებულია სახ.სამ.გამოცემის მასალებიდან /.

3/ საფეხურს წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო კ ო მ უ ნ ა, რომელიც სოციალისტური მეურნეობის მაღალ, განვითარებულ სახის მქონეა. კომუნაში განსაზოგადოებულია არა მარტო საწარმოო საშუალებანი, არამედ კომუნის წევრთა დამხმარე მეურნეობა.

სოციალისტური მეურნეობის ეს ფორმა— სასოფლო სამეურნეო კომუნა, უფრო მომავალ საზოგადოებას შეეფერება, ვინემ თანამედროვეს; რაც შეეხება მისი ჩამოყალიბება და გამტკიცება უნდა ხდებოდეს სასოფლო სამეურნეო არტელის განვითარების საფუძველზე. ამის შესახებ ამხანაგი სტალინი მე-17 პარტ ყრილობაზე ამბობდა:

" მომავალი კომუნა წარმოიშვება უფრო განვითარებული ტექნიკის და უფრო განვითარებული არტელის ბაზაზე, პროდუქტთა სიუხვის ბაზაზე-არტელის მომავალ კომუნაში-განაგრძობს იქვე ამხანაგი სტალინი-გადაზრდის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს თანდათანობით, იმის და მიხედვით, რაც ყ ვ ე ლ ა კოლმეურნე დარწმუნდება ასეთი გადაზრდის აუცილებლობაში".

/სტალინი-ლენინიზმის საკითხები გვ. 686 /.

ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვების შედეგად დაირაზმა მშრომელი გლეხობა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გლეხთა უმრავლესობამ პირი იბრუნა სოციალისტური მეურნეობაში გაერთიანებისათვის, ამაში მდგომარეობს ლენინის კოოპერაციული გეგმის დიადი მოძღვრება.

"მემარცხენე" და მემარჯვენე ოპორტუნისტები შეეცადენ "დაემტკიცებიათ" ლენინის კოოპერაციული გეგმის არარაობა. მავნებელთა აზრით, ლენინის კოოპერაციული გეგმა თითქოს მხოლოდ კოოპერირებას ახდენს ამა თუ იმ მეურნეობათა სახსრებისას და მას არსებითი მნიშვნელობა მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, მის ხელმძღვანელობის საქმეში არ გააჩნიათ. აქედან უარყოფა, თითქოს კოლმეურნეობები არ წარმოადგენენ კოოპერაციის სახეს, კოლმეურნეობა

თითქოს არ იყო მთავარი მაგისტრალი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ლენინის კოოპერატიული გეგმის დიდი მნიშვნელობა ხალხის მტრებმა ცალმხრივად გაიგეს, თითქოს იგი ემსახურებოდეს მოსახლეობას მხოლოდ მომსახურების საკითხში, დანარჩენი სახეები ლენინის კოოპერატიული გეგმის / სას.სამ. კოოპერაცია, საკრედიტო კოოპერაცია, სარეწაო კოოპერაცია / საერთოდ არ დაინახეს. ასეთი უხა-დრუკი ცილისწამება ლენინის კოოპერატიული გეგმის მიმართ-ძირშივე შემცდარია.

ლენინი ყოველთვის მიგვითითებდა წვრილი დაქუცმაცებული მეურნეობის, რომლისგანაც "ყოველდღე, ყოველ საათს მასიურ მასშტაბით იბადება კაპიტალიზმი", / ლენინი /-გადასვლას მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, ხოლო ასეთი მეურნეობის შექმნა კლასობრივ ბრძოლის გარეშე შეუძლებელია.

> " თუ ჩვენ ძველებურად ვისხდებით წვრილ მეურნეობაში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაწყალზე, ჩვენ სულერთია გარდუვალი დაღუპვა მოგველის"-ო. / ლენინი თხზ. ტ.XX გვ.417 /.

მხოლოდ ოპორტუნისტული "თეორიები" ქადაგებდნენ სოციალიზმში თვითდინებით გადასვლის შესახებ, ინდივიდუალური გლეხობის ბაზის შეუცვლელად-წვრილი სასაქონლო წარმოების წესის დაცვით-სოციალიზმში გადასვლის შესახებ.

კოოპერაცია ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როდის სცილდება კაპიტალიზმის ინტერესების განვითარების ჩარჩოებს, ასეთი გაერთიანებათა მეურნეობის ფორმა ბურჟუაზიის პირდაპირ სამსახურშია.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში წარმოების ყველა მთავარი

საშუალებანი იმყოფება კაპიტალისტებსა და მემამულეების
ხელში. მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება და ეკონომი-
ური ფუძე ბურჟუაზიის ხელშია, ამიტომაც კოოპერაცია იქ
იმყოფება წარმოების მსხვილ საშუალებათა მეპატრონის უშუა-
ლო დამოკიდებულების ქვეშ, რომლისგანაც კოოპერაცია ყოველ-
თვის ლებულობს მთელ საზრუნავ საქონელს და სათანადო კრე-
დიტს. ამას ემატება ისიც, რომ იქ კოოპერაციაში გაერთია-
ნებული არიან უმთავრესად შეძლებული გლეხები, რომელთა
გაერთიანების მიზანია: არა ამ გაერთიანებათა საერთო
ინტერესის დაცვა, მის მიმართ ყოველგვარი ხელის შეწყობა
და საზოგადოებრივი გამდიდრების მისწრაფება, არამედ მასში
გაერთიანებული შეძლებული გლეხობა, მხოლოდ თავის კერძო
გამდიდრებით არის დაინტერესებული. მისი უმთავრესი მიზა-
ნია: რაც შეიძლება მეტი შექმნას თავისი კერძო საკუთრება.

" აშკარაა-სწერდა ლენინი,-რომ კოოპერაცია კაპიტა-
ლისტურ სახელმწიფოს პირობებში წარმოადგენს კ ო ლ ე ქ-
ტ ი უ რ კაპიტალისტურ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ს"-ო.
/ლენინი-6 ტომეული 5 -ტ. გვ. 373 /.
კოლექტიური კაპიტალისტური წარმოება, ექსპლოატატორული
გაერთიანებათა დაწესებულება - აი კოოპერაცია ბურჟუაზიულ
სამყაროში.

კოოპერაცია სოციალისტურ ქვეყანაში ემსახურება საზო-
გადოებრივ კოლექტიურ ინტერესებს, მისი ფუნქციის განხორ-
ციელება, რამდენადაც იგი დაკავშირებულია სოციალისტურ მეურ-
ნეობას, გამოხატავს კოლექტიურ წარმოება-დაწესებულების
სოციალისტურ სახეს. კოოპერაცია ჩვენს პირობებში აწესრი-
გებს სახელმწიფო-საზოგადოებრივობის ინტერესთა ურთიერთ-

ბას, აერთიანებს ადამიანებს კომუნისტური შეგნებით, აერთიანებს სხვადასხვა ნაციის ხალხს-ინტერნაციონალური სულისკვეთებით, ათანაბრებს სქესთა შორის უფლებებს, განსაზღვრავს კოლექტივიზმის მაღალ პრინციპებს და სამუდამოდ ჰგმობს კაპიტალისტურ ინდივიდუალიზმს.

გლეხობის მდგომარეობის გარდაქმნის ძირითად გზას, მრავალ მილიონიან დაქუცმაცებული წვრილ გლეხობის გადაყვანის, მსხვილი სოციალისტური მეურნეობის გზაზე-წარმოადგენდა ლენინ-სტალინის კოოპერატიული გეგმის განხორციელება.

კოოპერაცია-ეს არის პირდაპირი, სწორი და აუცილებელი გზა გლეხობის სოციალიზმში გადასასვლელად. კოოპერაცია ეს გლეხთა გაერთიანების მარტივი ფორმაა, სადაც თვით ასეთ გაერთიანებაში, გლეხობა მატერიალურ დახმარებას ჰპოვებს, სადაც საბოლოოთ დაიხსნის გლეხი თავს, სხვისი ხელში მემყურეობის საცოდაობის ფორმისაგან.

ლენინის კოოპერატიული გეგმის პრინციპით მოხდა 1930-34 წ.წ. კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, კერძოთ კულაკობის საკუთრებათა ექსპროპრიაცია, სადაც მთელი ჩამორთმეული ქონება გადაცემული იქნა კოლმეურნეობებზე და რითაც საკოლმეურნეო საკუთრებას შეემატა ეს ნაწილი. საკოლმეურნეო საკუთრება იქმნება მშრომელი გლეხთა გაერთიანების ნებაყოფლობის საფუძველზე, საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების საფუძველზე. მისი შემდგომი ზრდა-განმტკიცება დამოკიდებულია შრომის სოციალისტური მაღალ ნაყოფიერების ბაზაზე.

" ბოლოს, ჩვენი გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კ ე რ ძ ო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, / ხაზგასმა ჩემია ნ.ლ./, რო-

მელიც კოლექტიურ შრომის ბაზაზე გაიზარდა".

/ სტალინი,საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე / ის ურიცხვი ამოცანა,რომელიც ჩვენს წინაშე იდგა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში და ხორციელდებოდა ლენინის კოოპერატიული გეგმის საფუძველზე,ამ პერიოდში საკმაო წინააღმდეგობა იქნა გაწეული"მემარცხენე" მემარჯვენე კონტრევოლუციონური ბლოკის წევრთა მიერ / სირცო-ლომინაძე-შაცკინი/,მათი აზრით კოლმეურნეობაში გაერთიანებული მეურნეობათა პროცენტი მაინცდამაინც დიდს ვერაფერს ნიშნავდა, ასეთ მეურნეობას მათი აზრით სჭირდა განსაკუთრებული "სტიმულის" შექმნა. ხოლო ასეთ სტიმულს მათი აზრით ნიშნავდა კულაკობის წინააღმდეგ შეტევის წლის გადაქცევას "შემოწმების წელიწადად", საგანგებო ზომების ნაცვლად შემარიგებლობას.

ლენინ-სტალინის პარტიის მე-16 ყრილობაზე მხილებული და განადგურებული იქნა "მემარცხენე" მემარჯვენე ბლოკი. პარტიამ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელებას საფუძვლად დაუდო საბჭოთა მეურნეობის და კოლექტიური მეურნეობის შემდგომი ზრდის ამოცანა, რაც ახალ ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ პერიოდში მთლიანი კოლექტივიზაციით დაგვირგვინდა.

" საგანგებო ზომებს სათანადო შედეგი მოჰყვა: ღარიბები და საშუალო გლეხები ჩაებნენ კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში, კულაკობა იზოლირებული იქნა, კულაკობის და სპეკულიანტების წინააღმდეგობა დაძლეული იქნა, 1928 წლის დამლევისათვის საბჭოთა სახელმწიფოს უკვე ჰქონდა თავისი განკარგულებაში პურის საკმაო რეზერვები, ხოლო საკოლმეურ-

ნეთ მოძრაობა წავიდა წინ უფრო მტკიცე ნაბიჯით"
/საქ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ.355 /
რაც შეეხება გლეხობის კლასობრივ შემადგენლობას, ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვების შედეგად შემდეგი სურათი გვაქვს:

ოქტომბრის რევოლუციამდე: ღარიბი გლეხობა -65%
საშუალო გლეხობა-20%
კულაკობა . . . 15%

ოქტ.რევოლუციის შემდეგ -მთლიანი კოლექტივიზაციამდე:

ღარიბი გლეხობა. . . . ~~35,5%~~ 35%
საშუალო გლეხობა ~~60,5%~~ 60%
კულაკობა . . . . ~~4-5%~~ 4-5%

მერე 5 წლიანი გეგმის შესრულების შედეგად:

ღარიბი გლეხობა . . . 0%
კოლმეურნე გლეხობა 93,5%
ერთპიროვნული გლ. 6,5%
კულაკები . . . . . 0%

/ სტატ. ცნობები ამოღებულია სასოფ.სამ.გამოფენის მთავარ პავილიონიდან/.

აი ლენინის კოოპერაციული გეგმის ის განუზომელი სახე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და მისი შემდგომი განვითარების ამ დიდ საქმეში.

## II-ე განყოფილება.

### I-ლი თავი.

### მარქსისტული სწავლება საკუთრების წარმოშობის და მისი ცნების შესახებ.

გამარჯვებული სოციალიზმის შესანიშნავმა ქარტიამ, სტალინურმა კონსტიტუციამ თავის პირველ განყოფილებაში მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოგვცა სოციალისტური ქვეყნის სოციალისტური საკუთრების ცალკეული სახეები.

"სოციალისტური საკუთრებას სსრ კავშირში აქვს ან სახელმწიფო საკუთრების ფორმა / საყოველთაო სახალხო კუთვნილება /, ან კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმა / ცალკეულ კოლმეურნეობათა საკუთრება, კოოპერატიულ გაერთიანებათა საკუთრება/" - ვკითხულობთ კონსტიტუციის მეხუთე მუხლში.

სტალინური კონსტიტუცია აღმნუსხველია საბჭოთა ქვეყნის მიღწევათა უდიდეს ფაქტებით, სადაც გვაძლევს სოციალიზმის საზოგადოებრივ წყობილებათა განმარტებას, კომუნისტური საზოგადოების დაბალი ფაზის- ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს პრინციპებს. " სოციალიზმის გამარჯვება კანონმდებლობითი გზით განმტკიცებულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში" / 18 პარტყრილობის რეზოლუციიდან /.

კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციები და მთელი მათი საკანონმდებლო აქტები იცავენ კერძო საკუთრების პრინციპს: მიწაზე, ტყეზე ქარხნებზე და მთელ საწარმოო

საშუალებებზე. ასეთი საკუთრების არსებობა კაპიტალისტების ხელში წარმოადგენს მშრომელთა უსასტიკეს ექსპლოატაცია-გაყვლეფის იარაღს.

ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში გაბატონებულია საკუთრების სოციალისტური ფორმა, მიღწეული მეურნეობის სოციალისტური სისტემის გაბატონების შედეგად, საკუთრება შექმნილი სოციალისტური შრომის შედეგად. საბჭოთა კავშირში სოციალისტური საკუთრება ცნობილია ორი ფორმით: სახელმწიფოებრივი და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების სახით, სადაც მთელი ქონების შექმნის საკითხი გამორიცხავს ყოველგვარ ექსპლოატატორულ შრომას.

ბურჟუაზია წინააღმდეგია ყველა მათი, ვინც კი განიზრახავს კერძო საკუთრების ხელის ხლებას, მათი კანონით ყველა ის, ვინც კერძო საკუთრების საწინააღმდეგოთ აწარმოებს აგიტაციას - პროპაგანდას, სასტიკად ისჯებიან, როგორც პოლიტიკური "დამნაშავენი".

სოციალიზმის ეპოქაში "სოციალისტური საკუთრება წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ საფუძველს"-/სტალინი/ რომელიც შექმნილია საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაციის და გაერთიანებული სოციალისტური წარმოების შედეგად, რომ ჩვენი კანონით იგი დაცულია ყოველგვარი ხელყოფისაგან.

საფრანგეთის რევოლუციის წინა პერიოდში ახლად აღმოცენებული ბურჟუაზია, თავისი განვითარების გზაზე განიცდიდა ფეოდალურ არისტოკრატიისაგან ერთგვარ დაბრკოლებას, რისთვისაც ბურჟუაზია აყენებს " მოქალაქის უფლებათა გარანტიას", მისი საკუთრების დაცვა-შენახვის და ასეთი საკუთრების გამოცხადებას მუდმივ კატეგორიად... და მართლაც საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაბატონებულმა ბურჟუაზიამ

თავისი გამარჯვებულ დროშაზე გაბედულად წააწერა: "ხელშეუხლებლობა და სიმტკიცე კერძო საკუთრებას"-ო. კარგი იყო წარწერა გაეგრძელებია:"უამისოდ კაპიტალისტური წყობის არსებობა წარმოუდგენელია". თუმცა საფრანგეთის რევოლუციას დადებითი მხარეები/ჰქონდა, კერძოთ კი ფეოდალიზმის(აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მან თავისი მოქმედების შედეგად კაპიტალიზმს ხელისუფლება დაუმკვიდრა, ასევე დაამტკიცა საზოგადოების კლასობრივი ეკონომიურად და პოლიტიკურად კვლავ არა თანაბარი დაყოფა. დაამტკიცა კერძო საკუთრების მტკიცედ დაცვა.

1789 წელს აგვისტოში საფრანგეთში ნაციონალურმა კრებამ მიიღო "დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქეობის უფლების შესახებ", დეკლარაციაში ნათქვამი იყო": კერძო საკუთრება, როგორც ხელუხლებელი და წმიდათაწმიდა უფლება, არ შეიძლება ვინმეს წაერთვას"ო. ბურჟუაზიას დღესაც აქვს მოქმედი კოდექსი ნაპოლეონის, რომელიც არც ისე პატარაა, იგი შეიცავს 800 პარაგრაფს: დასახელებულ კოდექსში თავიდან ბოლომდე გატარებულია ხაზი ბურჟუაზიული კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობის და წმიდათაწმიდა დაცვის შესახებ.

ვინაიდან კაპიტალისტურ წყობილების საფუძველს წარმოადგენს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, ამიტომ ბურჟუაზიულ ქვეყნების ცალკეულ სახელმწიფოების კონსტიტუცია, საკანონმდებლო აქტები, თავგამოდებით იცავენ კერძო საკუთრების აღიარების ფაქტს. ასე მაგ: ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე მოქმედი კონსტიტუცია, მიღებული, 1787 წელს იცავს კერძო საკუთრების ინსტიტუტს, 1889 წლის იაპონიის კონსტიტუცია, "კერძო საკუთრება თვითეულ იაპონელ

მოქალაქის მიერ ყურადღების ღირსია" / მუხლი 27/, გერმანიის ვეიმარის კონსტიტუცია "კერძო საკუთრება ეს დაკანონებულია". სამხრეთ სლავიის 1921 წლის კონსტიტუცია- "საკუთრებას თან სდევს ვალდებულება" / მუხლი 37/, პორტუგალიის 1933 წლის კონსტიტუცია-/" საკუთრება, როგორც სოციალური ფუნქციის ეკონომიური თანამშრომლობა" /მუხლი 35/. 1935 წლის ყოფილ პოლონეთის კონსტიტუცია. 1920 წლის ესტონეთის კონსტიტუცია "თვითეული მოქალაქის კერძო საკუთრება გარანტირებულია კანონით" /მუხლი 24/.

როგორც ვიცით გერმანიის იურისტები ნუსბაუმი, ჰედემანი და სხვები კერძო საკუთრების უფლების საკითხს "სოციალური ფუნქციის თეორიით" აშუქებდნენ. მათი აზრით კერძო საკუთრება შექმნილია არა ვინმეს კერძო ინტერესების სასარგებლოდ ანდა ვინმეს დასაჩაგრავად, არამედ ეს შექმნილია მთელი საზოგადოების ინტერესებისა გამო. კერძო მესაკუთრე მათი აზრით ეს უუფლებო მსახურია. ყოველგვარ უფლებას საკუთრებაზე-მიკლებულია, ის თითქოს, მხოლოდ კერძო საკუთრების მოვლა-შენახვის ვალდებული იყოს. გერმანიის იურისტების ასეთ აზრით სახელმწიფოს მთავარი ყურადღება იქით უნდა იყოს მიმართული, რათა ხელი შეუწყოს კერძო მესაკუთრეს, ყოველმხრივ დაეხმაროს მათ, როგორც ასეთი, მესაკუთრე საზოგადოებრივი მოვალეობათა აღსრულების აქტიური წევრია. ამიტომაც გასაგებია თუ 1919 წლის გერმანიის კონსტიტუციაში რატომ სპეციალურ მუხლად შეტანილი იქნა საკუთრება, როგორც შემსრულებელი საზოგადოებრივ აუცილებელი ფუნქციისა, სოციალური თვალსაზრისით.

ენგელსი, როდესაც ინგლისის კონსტიტუციის სათანადო ანალიზს უკეთებდა / აღსანიშნავია ამ მხრივაც ენგელსის

დამსახურებაც, რომ მან ყველა ქვეყნების კონსტიტუციებს სათანადო ანალიზი გაუკეთა /, მიდის გარკვეულ დასკვნამდე, თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მმართველობის საკითხშიაც კერძო საკუთრება, როგორ წამყვან როლს თამაშობს. ენგელსი თითონვე აყენებს ასეთ კითხვას: "ვ ი ნ მ ა რ თ ა ვ ს ა რ ს ე ბ ი თ ა დ ი ნ გ ლ ი ს ს" და თითონვე მოსწრებულად პასუხობს "მართავს ს ა კ უ თ რ ე ბ ა"ო. ასევე ითქმის კერძო საკუთრების აღიარების შესახებ და გამოუკლებლივ ყველა დანარჩენ კაპიტალისტურ სახელმწიფოების კონსტიტუციებზედაც.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, კერძო საკუთრების განვითარებას მათი კანონით ხელისშემშლელი პირობები არ აქვს, რისთვისაც კერძო საკუთრების უფლება და მისი განმტკიცების სურვილი ყველაფერს ერება. ამის შესახებ ლენინმა თავის დროზე განმარტა კერძო საკუთრების ვერაგობა. ყველაფერი არა მარტო მიწა- ამბობდა ლენინი-არამედ ადამიანის შრომაც, ადამიანის პიროვნებაც, სინდისიც, სიყვარულიც, მეცნიერებაც- ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ო ს ა ს ყ ი დ ი ხდება, სანამ არსებობს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ძ ა ლ ა-უ ფ ლ ე ბ ა ო. გაბატონებული კლასის ასეთი ძალაუფლების შეცვლა, მისი განადგურება და კერძო ექსპლოატატორული საკუთრების მოსპობა-რევოლუციის საქმეა. ისტორიაში ბევრი რევოლუციები ვიცით, მაგრამ არც ერთი რევოლუცია მომხდარი ისტორიაში, ისეთი მკაცრი, განრისხებული კლასობრივი ხელისკვეთებით, გააფთრებული შეტევითი სტიმულით, ძველი ექსპლოატატორული წესწყობილების შემცვლელი-სრულიად ახალი წესწყობილებით არ ყოფილა, როგორიც

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო. დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, როგორც გაგრძელებამ საფრანგეთის რევოლუციისა, თავისი შემოქმედებითი სახე განასხვავა საფრანგეთის დიდ რევოლუციისაგან. საფრანგეთის რევოლუციამ კაპიტალიზმს ხელისუფლება დაულოცა, ოქტომბრის რევოლუციამ დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზედ კაპიტალისტური ხელისუფლება დაამხ-ხვრია. სოციალისტურმა რევოლუციამ მოგვცა "მშრომელთა და ექსპლოატირებულ ხალხთა დეკლარაცია", რაზედაც ლენინი შემდეგს სწერდა:

" მშრომელთა და ექსპლოატირებულ ხალხთა დეკლარაცია ძირითად ამოცანას ისახავს: ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობა ადამიანისა-ადამიანისადმი, საზოგადოების კლასებად დაყოფის მთლიანი აცილება, ექსპლოატატორების დაუზოგველი დათრგუნვა, სოც.ორგანიზაციის დამყარება და სოციალიზმის გამარჯვება საერთოდ"./ლენინი ტ.XXII გვ. 553 /.

ლენინის ეს გენიალური განმარტება არსებითად ასხვავებს ჩვენს მიერ დასახელებულ ორ დეკლარაციათა ფორმა-შინაარსს.

სპეციალურ თავებში ჩვენ გზადაგზა გავარკვევთ, თუ საზოგადოების განვითარებაში საკუთრება რა როლს თამაშობს. მანამდე კი ზოგადად განვსაზღვრავთ კერძო საკუთრების ცნებას. თუ რა არის კერძო საკუთრება? ვინ როგორ უყურებს მას? რომელი საკუთრების მოსპობის მომხრენი ვართ და რატომ?

კერძო საკუთრება სრული თავისი მნიშვნელობით არა მარტო აღწერილობით ვინმეს კუთვნილ ქონებრივ ურთიერთობათა ფორმას წარმოადგენს, რომელსაც სხვა ამოცანა არ ექნება, გარდა ეკონომიური მოხმარებითი ურთიერთობისა, როგორც

მხოლოდ ბუნების საკუთარი ათვისების ტექნოლოგიური პრო-ცესი, არამედ კერძო საკუთრება ჩვენ გვესმის ამავე დროს, როგორც პოლიტიკური საზოგადოებრივი ურთიერთობა, ბუნე-ბის საგანთა ათვისების ადამიანთა ურთიერთობის პროცესი, რაც საზოგადოდ კლასობრივ ურთიერთობაში გადადის, რომელსაც უთუოდ აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული.

ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს იმის შესახებ, თუ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები, ისტორიაში ცნობილი მოღვაწენი, როგორ უყურებენ საკუთრების წარმოშო-ბის და მის განმტკიცების საკითხს? ბურჟუაზიული სკოლის წარმომადგენლები, გამოჩენილი პირები, როგორიც იყვნენ: ჟან-ჟაკ-რუსო, ლოკი, კანტი, ციერი, მონტესკიე, პრუდონი, ბენ-თამი და სხვები, ყველა ესენი ერთად-სხვადასხვა პრინცი-პებით ადასტურებენ კერძო საკუთრების ისტორიულობას. შეძ-ლებისდამიხედვით შევეცდები ბურჟუაზიული თეორიები კერძო საკუთრების წარმოშობის შესახებ დავყო ორ ნაწილად. მანამ-დე კი გაკვრით შევეხები ბურჟუაზიულ საზოგადოებამდე არსე-ბულ ფორმაციის საკითხს თუ მაშინ, როგორ იყო კერძო საკუთ-რება განმარტებული? გავარჩიოთ რომის იურისტების თვალსა-ზრისი კერძო საკუთრების წარმოშობის შესახებ.

ციცერონი- "საკუთრების წარმოშობა უპატრონო ქონების შედეგად" Dominin est ins utemdi et abutemndi re sua guatenns ratio patilus/ ე.ი. კერძო საკუთრება ციცერონის აზრით არის ნივთზე სარ-გებლობის და განკარგულების უპირობო უფლება, უკეთუ ასეთი სარგებლობა კანონის მიერ არაა აკრძალული.

რომის სამართლის მიხედვით კერძო საკუთრებაზე მფლო-ბელი ყოველმხრივ უფლება მოსილია, თუ კი ეს უფლება კანონის მიერ არ იქმნა შეზღუდული. საკუთრება ეს არის

ნივთის მიმართ სრული ბატონპატრონობა; სხვანაირად-ნივთისადმი მესაკუთრის განუსაზღვრელი უფლება-მოსილება. რომის სამართლით კერძო საკუთრებისადმი ასეთი უფლებრივი განსაზღვრა მესაკუთრეს არა მარტო ფაქტიურ მფლობელობის გარანტიას ანიჭებს, არამედ ამასთანავე ანიჭებს იურიდიულ უფლებათა გარანტირებას, რისთვისაც სპეციალური კანონით ასეთი საკუთრება დაცულია არა მესაკუთრულ ხელყოფისაგან.

რომის სამართლით კერძო მესაკუთრე-საკუთრების მიმართ, მუდმივ მფლობელობის გარანტიას მოკლებულია. დღეს თუ საკუთრება ეკუთვნის ერთს, შეიძლება ხვალ სხვის კერძო საკუთრებად გადავიდეს. ციცერონს ამ მხრივ კერძო საკუთრების შედარებისათვის მოჰყავს თეატრის მაგალითი."თეატრში მაყურებელი ყოველმხრივ უფლება მოსილია თავისი დასაჯდომ სკამის მიმართ, რომელიც მას ეკუთვნის მხოლოდ ამ საღამოს, მაგრამ მეორე საღამოს ჰკარგავს სკამზე დაჯდომის გუშინდელ უფლებას, ის უფლება უკვე სხვაზე გადავიდა.

სცნობს რა კერძო საკუთრების არსებობის აუცილებლობას რომის სამართალი, ამავე დროს წინააღმდეგია კერძო საკუთრების მოსპობისათვის. შეიძლება კერძო საკუთრება გადავიდეს-როგორც ამას ციცერონი განმარტავდა - ერთის ხელიდან მეორეს ხელში, მაგრამ კერძო საკუთრება, როგორც ასეთი უეჭველად უნდა დარჩეს ძალაში.

განვიხილოთ ბურჟუაზიული თეორიები კერძო საკუთრების წარმოშობის და მისი განვითარების შესახებ.

<u>I-ლი ბურჟუაზიული თეორია</u> -"კერძო საკუთრება, როგორც მუდმივი კატეგორია, შექმნილი ღმრ-

მის საფუძველზე" /ლოკი,კანტი,ფიერი/. "კერძო საკუთრების შეურყევლობისათვის ერთად ერთ ფუძეს შრომა წარმოადგენს" /ფიერი/. ლოკის აზრით,როგორც კალობრიობის უნარის გაერთიანება არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება ეკონომიური უნარის გაერთიანებაც... და ბოლოს ლოკი იმ დასკვნამდე მიდის,რომ კერძო საკუთრების შეძენას საზღვარი აღარ აქვს. ყველას შეუძლია იმდენი ქონების შექმნა,რამდენიც მას სურს, თუ კი ამას მესაკუთრე შესძლებს. თუ როგორ და რა საშუალებით უნდა მოხდეს კერძო საკუთრების შექმნა, ამაზე ლოკი აღარაფერს სწერს. სწორეა ის დებულება,რომ სამუშაო ძალა ყოველთვის ქმნის თავის ღირებულებას, შრომის ენერგიის დახარჯვა ჰქმნის გარკვეულ ნაყოფს-ნივთს, ქონებას /სხვა საკითხია თუ ვინ შრომობს და ნაშრომი ვის ეკუთვნის/.

ფიერი კერძო საკუთრების განსაზღვრის საკითხში იძლევა ერთ მთლიან სახეს,ყველაფერი მას კერძო საკუთრებად აქვს წარმოდგენილი "საკუთრება ეს ფაქტია ყველა ქვეყნისათვის, რაც უნდა ატარებდეს მუდმივობის სახეს. ყველგან,სადაც არ უნდა წავიდეთ,რომელ ქვეყანაშიაც არ უნდა ვიყოთ ადამიანს ყოველთვის ექნება საცხოვრებელი ბინა, ეყოლება ცოლი, შვილები"./ფიერი-"საკუთრების შესახებ" გვ.32-36 თარგმნილია რუსულად /. ფიერი,როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგიის დამცველი იცავს კერძო საკუთრების მუდმივობას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო მაშინ ბურჟუა-ბურჟუად აღარ იქნებოდა და პროლეტარი-პროლეტარად.

II-ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი თ ე ო რ ი ა -"კერძო საკუთრება,როგორც შეთანხმებული აქტი და წარმოშობილი ხელშეკრულების შედეგად/Последствием соглашения /, /ჟანჟაკ-რუსო, კანტი /. კანტის აზრით საგნის "ს ვ ე -

ც ი ვ ი კ ა ც ი ა" ისეთია, რომ თითონვე მოითხოვს მფლობელს ე.ი. მესაკუთრეს. ასეთი მისაკუთრება კანტის აზრით სრულებითაც არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, პირიქით იგი ხელსაც უწყობს. თუმცა კანტი აშკარად ხედავს ასეთ შეთანხმებას, რომელიც მომხდარია ისტორიული ფაქტით, მაგრამ მაინც ასახავს, როგორც იურიდიულ აუცილებლობას.

"კერძო საკუთრების ჭარმონიულობა პოლიტიკის ძირითადი ბაზაა"-განმარტავს ჟანჟაკ-რუსო, მისი აზრით ასევე ძირითადად ითვლება კერძო საკუთრება, სამოქალაქო ურთიერთობის შექმნის საქმეში. რუსო-უფრო შორს მიდის სინამდვილიდან, მისი აზრით ეკონომიურად არა თანაბარ პირია, ანუ საზოგადოებათა მიმართ გათანაბრება უნდა მოხდეს"საზოგადოებრივი ხელშეკრულების"საფუძველზე, ვისაც კერძო საკუთრება აქვს-რუსოს აზრით-უნდა შეუნარჩუნოთ, ხელს ნუ შეუშლით, ვისაც არ აქვს- უნდა შეიძინოს, ხელი შეუწყოთ. მხოლოდ ამ ნიადაგზე ყველა იქნება მესაკუთრე"თანასწორი" და"ამ თანასწორ პრინციპზე აღმოცენდება საზოგადოებრივი წესრიგი"./ჟანდაკ-რუსო /.

3-ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი თ ე ო რ ი ა"- კერძო საკუთრება იქმნება კანონის საფუძველზე" / მირაბო, ბენტამი/. ბენტამის აზრით კანონი და კერძო საკუთრება ერთად დაიბადნენ, მოკვდა კანონი, მოკვდა კერძო საკუთრებაც.

კერძო საკუთრება მირაბოს აზრით-ეს არის შეძენილი ქონება სპეციალურ კანონიერ ფარგლებში, სადაც მესაკუთრეს კანონით მინიჭებული აქვს, რათა შეიძინოს ქონება. მაგრამ ასეთი კანონი ვის მიერ და ვის სასარგებლოდ იწერება, ამაზე მირაბო სდუმს.

მონტესკიე საკითხს უფრო შორეულ წარსულიდან იწყებს. პირველყოფილი საზოგადოება-მონტესკიეს აზრით-თავისებური მოწესრიგებული საზოგადოებაა, სადაც გვაქვს შესაბამისი წესები, კანონები და თავისებური საკუთრება. ამის დასადასტურებლად მონტესკიეს მოჰყავს მაგალითი იმის შესახებ, რომ პირველყოფილი საზოგადოების შეგნება მიდის გარკვეულ დონემდე, სადაც ველურ პლებებმაც კი იცოდნენ თუ რა არის შენ-ჩემობა,რა არის კერძო საკუთრება.

ასეთი თეორიები სინამდვილეს მოკლებულია, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ამის შესახებ ლაპარაკი.

4-ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი თ ე ო რ ი ა - "კერძო საკუთრება წარმოშობილი ბუნებრივად, ღვთაებრივად" /ფიხტე და ლოკი/. ამ თეორიით თვითეულ ადამიანს უფლება აქვს შეიძინოს კერძო საკუთრება, იყოს მესაკუთრე,რადგან კერძო საკუთრების შეძენას თვით ბუნების კანონები უწყობს ხელს.

რაც შეეხება ეკონომიურ უთანასწორობას ამ თეორიით დაკანონებულია ღვთაებრივად. ღარიბი ღარიბად უნდა იყოს საკუთრებას მოკლებული, ხოლო მდიდარი მდიდრად,კერძო საკუთრების მქონე. ასეთ ღვთაებრივ და თანდაყოლილი უფლებების წყალობით, საზოგადოებრივი შრომით და კერძო ექსპლოატატორული მითვისებათა სისტემით- ბურჟუაზია კარგა ხანს იკვებებოდა.

მეფის რუსეთის კანონი კერძო საკუთრების ადიარების საკითხში წააგავს ზემოდ აღნიშნულ ბურჟუაზიულ თეორიებს. მეფის კანონით, ვინც ნივთის მიმართ პირველად მიიპოვებდა კერძო საკუთრების უფლებას / კერძო საკუთრების მოპოვების

საშუალება კი უამრავი იყო /, ასეთ მესაკუთრეს კერძო საკუთრების შენარჩუნების უფლება კანონით ენიჭება. სადაც კანონი დაუყონებლივ აფორმებდა, უფლებამოსილების აქვს. მეფის რუსეთის ძველი კონსტიტუციის 420 მუხლის თანახმად კერძო "მესაკუთრეს კანონით მინიჭებული აქვს კერძო საკუთრების მუდმივ შენარჩუნების უფლება, რაც დაცულია მემკვიდრეობით".

მეფის რუსეთის კანონით, საკუთრების ელემენტების /მფლობელობის, გამოყენების და განკარგულების / მფლობელის მიმართ აბსოლუტურად შეუზღუდველია. ნივთის პატრონს ყოველგვარი განკარგულების მოხდენა შეეძლო საკუთარ ნივთზე. პროფესორმა გოიხბარგმა ჩვენს სინამდვილეში თავგამოდებით დაიცვა ფრანგ იურისტის ლეონ დიუგის თეორია " კერძო საკუთრება, როგორც სოციალური ფუნქცია ", მისი აზრით სოციალისტური საკუთრებაც იგივეა რაც დიუგის აზრით " სოციალური ფუნქციის თეორია", რომელსაც საზოგადოების ურთიერთობის დროს ახასიათებს არა ეგოიზმი, არამედ საზოგადოებრივი ვალდებულება.

იცავდა რა გოიხბარგი კერძო საკუთრების მუდმივობას, მან ვერ გაიგო სოციალისტური საკუთრების თავისებურება, ვერ გაიგო კერძო საკუთრების დაშვება ჩვენში, როგორც დროებითი მოვლენა.

ბურჟუაზია დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველგვარ და ყოველნაირ ღონისძიებებით: ციხით, პოლიციით, სასამართლოთი, პრესით, ეკლესიით, ლიტერატურით და ფილოსოფიით ცდილობს, რათა შეინარჩუნოს თავისი კერძო ექსპლოატატორული საკუთრება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა დაღუპულია.

ზემოდ მოყვანილი ბურჟუაზიულ თეორიების განხილვის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ბურჟუაზიული კერძო საკუთრება ექსპლოატაციის პირდაპირი საფუძველია, ასეთი საფუძვლის შექმნის პროცესი მუდმივად ართულებს კლასთა შორის ანტაგონისტურ წინააღმდეგობას, ართულებს მუშათა კლასს და კაპიტალისტ კლასთა შორის წინააღმდეგობის მუდმივ პირობებს.

"თანამედროვე ბურჟუაზიული კერძო საკუთრება-სწერია კომუნისტურ მანიფესტში-არის უკანასკნელი და ყველაზე მთლიანი გამოხატულება ნაყოფის წარმოებისა და მისი საკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასთა წინააღმდეგობაზე, ერთისაგან მეორის გაყვლეფაზე"- / კომუნისტური მანიფესტი გვ.38 /.

ამიტომ ბურჟუაზიული კერძო საკუთრების დაუყონებლივ მოსპობის გარეშე ახალ საზოგადოებაზე, მით უმეტეს სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლა - შეუძლებელია.

როგორ უნდა გავიგოთ კერძო საკუთრების წარმოშობის მარქსისტული-ლენინური სწავლება-წინააღმდეგ ზემოდ მოყვანილ ბურჟუაზიული თეორიებისა?

საკუთრება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა ყველგან და ყოველთვის ერთნაირ ფორმებში არ გვქონია. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ცალკეულ საფეხურზე სხვადასხვა ტიპის საკუთრება გვაქვს. თემობრივი საკუთრება, ანტიკური საკუთრება, ფეოდალური საკუთრება, კაპიტალისტური და სოციალისტური. თითეული ტიპის საკუთრების შექმნისათვის შრომის პროცესი, წარმოების ურთიერთობათა დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო. იყო დრო, ხოდაც ასეთი

საზოგადოებრივი ურთიერთობა არ გვქონდა, თუ იყო ის მაინც ვერ გამოხატავდა კერძო საკუთრების თავისებურ ფორმას, შემდეგში კი დროთა განმავლობაში ასეთი ურთიერთობა თანდათანობით ჩნდება.

კლასების და კლასობრივი საზოგადოების არსებობის, მისი წარმოშობა- განვითარების საქმეში, კერძო საკუთრება წამყვან ადგილს იკავებს. კლასების წარმოშობის წინასწარ ჩანასახს კერძო საკუთრება შეადგენს, ხოლო შემდეგში ასეთ საკუთრებაზე აღმართება გაბატონებული კლასის და ჩაგრული კლასთა შეურიგებლობის ბრძოლის ინტერესები. როდია გადაჭარბებული თუ ვიტყოდით! კლასი კერძო საკუთრების გარეშე წარმოუდგენელია ისე, როგორც სახელმწიფო კლასების გარეშე შეუძლებელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ: კლასობრივი თავისებური მნიშვნელობა. თუ ჩვენს სახელმწიფოში ორი მეგობრული კლასია, ორივე სოციალისტური კლასებია, რომ მათ აქვთ ეკონომიურ ფუძეთ თავისივე მსგავსი საკუთრება ე.ი. სოციალისტური საკუთრება; იქ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გაბატონებულია კერძო კაპიტალისტური ექსპლოატატორული კლასი, სადაც მუშათა კლასის მიმართ ექსპლოატაციით ქმნის კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას. მუშათა კლასი კაპიტალისტურ პირობებში ყოველგვარ საკუთრებას მოკლებულია, ის გადაქცეულია ექსპლოატირებულ კლასად. ამრიგად კლასი საკუთარი სიტყვის მნიშვნელობით, თავისი შესაბამისი საკუთრების გარეშე ისტორიას არ ახსოვს. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზოგადოებრივ ისტორიის განვითარების საკითხში მეცნიერულად ადასტურებს კერძო საკუთრების პრიმატს კლასების შექმნა — გაჩენის საკითხში.

იყო პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოება, რომელიც არ იცნობს კერძო საკუთრებას, ასეთ უსაკუთრებო საზოგადოებაში არც შეიძლება ყოფილიყო ჩაგვრა-ექსპლოატაცია. სწორედ ამ პერიოდში გვაქვს საზოგადოებრივი ინტერესთა ერთი მთლიანი, - თანასწორი სახე.

მიუხედავად იმისა, რომ პირველყოფილი საზოგადოება დაბალი დონის განვითარებული და პრიმიტიული სახის მქონე იყო- მარქსი ასეთ საზოგადოებას პირველყოფილ კომუნიზმს უწოდებს. კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე, თემური წყობილების დროს საერთო შრომა ქმნიდა- საერთო მოხმარების პროდუქტებს. დროთა განმავლობაში, ბრძოლა არსებობისათვის, აიძულებს ადამიანს საზრდოს, საარსებო საშუალებების გამოსანახავად; ეს -" იძულება-" გარანტია იყო ადამიანის ახალი წესით მოქმედებისა, სადაც ის პროდუქციის მოპოვებისათვის ინსტიქტიური შეგნებიდან-მოფიქრებულ შეგნებაზე გადადის. ასეთი ბუნების შრომის პრაქტიკამ შექმნა შრომის პროდუქტი, პროდუქტი, რომლის მესაკუთრე დიდის ხნის შემდეგ თვით პროდუქტის შემქმნელი გამოვიდა. ე.ი. გაჩნდა კერძო მითვისებათა ინდივიდუალური და ჯგუფური ტენდენციები.

მას შემდეგ, რაც თავი იჩინა " შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ " / ლენინი /, სადაც გაჩნდა კერძო მითვისებათა სურვილი, მას შემდეგ ადამიანთა საზოგადოება დანაწილდა კლასობრივ ფენებად, საზოგადოებრივ წევრთა შორის წარმოიშვა უთანასწორობა; უთანასწორობა საწარმოო იარაღებსა და საშუალებების მიმართ. გაჩნდა მითვისებათა ტენდენცია- შენ-ჩემობა... გაჩნდნენ საკუთრების მქონენი და არა მქო-

ნენი. მდიდრები და ღარიბები. ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები, ამ ნიადაგზე წარმოიშვნენ კლასები, შეიქმნა კლასობრივი საზოგადოება და წარმოიშვა იძულები-თი აპარატი_თვით სახელმწიფო, რათა "ძალით დაცულ იქნეს გაბატონებულ კლასის ცხოვრების და ბატონობის პირობები ჩაგრული კლასის წინააღმდეგ" / ფ. ენგელსი-ანტი დიურინ-გი გვ. 118 /.

კაპიტალისტური კერძო საკუთრება, თავის წარმოშობის დღიდან-მოსპობამდე, კლასებს შორის ყოველთვის შეურიგებელ წინააღმდეგობას ქმნის. საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მის სამ საფეხურზე / მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურზე / არსებული კლასობრივი საზოგადოება ყოველთვის ანტაგონისტური წინააღმდეგობის ჭიდილში იყვ-ნენ. კლასობრივი წინააღმდეგობათა გამწვავების ასეთმა ფორმამ, საზოგადოებრივმა შრომამ და კერძო მითვისებათა საშინელმა წესმა, ბოლო მოუღო კაპიტალიზმს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

შევეხოთ მიწაზე კერძო საკუთრების საკითხს. კერძო საკუთრების ჩასახვის პირველი სახე მოხმარებითი ნივთებზე გავრცელდა. შემდეგში კერძო საკუთრება გადადის მიწაზე, რამაც მწვავე შედეგი მოუტანა თვით მიწადმშრომე-ლებს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში საწარმოო საშუალებებს არა მარტო კაპიტალისტები ფლობენ, არამედ ფლობენ მე-მამულეებიც, რის გამო კაპიტალისტურ სამყაროში გადამწ-ყვეტ საბრძოლო ხასიათს შეადგენს- მონოპოლია მიწაზე საკუ-თრებისათვის. ფეოდალურ ხანაში მიწაზე კერძო საკუთრების

საკითხი სწყდებოდა ცალკეულ ფეოდალთა შორის არსებული ეკონომიკის და სიმდიდრის პირობების ნიშნის და მიხედვით. ასეთი საზოგადოების არსებობა, მიწაზე კერძო საკუთრების გარეშე შეუძლებელი იყო. ფრანგი ემილდელაველე თავის შრომაში "პირველყოფილი საკუთრება"-ში /ნათარგმნია რუსულად კუჩენკოვის რედაქციით/, იძლევა განმარტებას იმის შესახებ, რომ " ფეოდალური წყობილება, მთელი მისი იერარქიის ხუხულა, დაფუძნებული იყო მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების ნაყოფზე, გამოაცლი ამ საკუთრებას მთელი მისი ხუხულაც დაინგრევა"ო./დასახელებული შრ.გვ.40/.

მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმის განვითარების პირობებში იძლეოდენ აგრარულ განვითარების თავისებურ სახეს, სადაც მათი აზრით აგრარულ ურთიერთობათა ბრძოლის შედეგად ხშირად გამარჯვებული გამოდის მსხვილი და მძლავრი მეურნეობა. მსხვილი მეურნეობის ბუნება ვერ ითმენს წვრილ მეურნეობის შეგუების ვერც ერთ ფაქტს, რის გამოც წვრილი მეურნეობა კაპიტალიზმის პირობებში ნადგურდება," ირეცხება", " იხეხება"-სხვილ შეძლებულ მეურნეობის მიერ.

ლენინი ძალიან ბევრ ადგილს უთმობდა თავის ნაწარმოებებში აგრარული ურთიერთობის საკითხს. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ლენინს ცხოვრება და მოღვაწეობა აგრარულ რუსეთში მოუხდა. ლენინმა და სტალინმა გამოაშკარავეს და გაანადგურეს კონტრევოლუციონური შეხედულება რუსეთზე, როგორც"გლეხურ"ქვეყანაზე, სადაც თითქოს სოციალიზმის აშენების და მისი გამარჯვების შესაძლებლობა მავნებელთა აზრით შეუძლებელი ყოფილიყოს.

ისტორიულად გლეხობა, როგორც კლასი ცნობილია ფეოდალურ ბატონყმურ საზოგადოებიდან. ფეოდალურ საზოგადოებაში

გლეხთა კლასი ჩაგრული, უმიწაწყლო კლასია, რომ ასეთი კლასი ფეოდალიზმზე დამოკიდებული კლასია.

ისტორიის მანძილზე გლეხთა კლასი თანდათანობით თვით-ცნობიერდება, რევოლუციურ კლასად გვევლინება და ბოლოს ის გა-ბატონებული კლასის- მსხვილ მიწათმფლობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდის.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში გლეხობა შედარებით "და-მოუკიდებელი" კლასად გვევლინება ე.ი. ის წარმოადგენს წვრილ მესაკუთრე მწარმოებელს, რომლის ნაწილი უმრავლესობა მიმხრეა პროლეტარიატის და ნაწილი უმცირესობა მიმხრეა ბურ-ჟუაზიის.

რამდენადაც კაპიტალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება მიმდინარეობს ფეოდალურ ნაშთების ჯერ კიდევ შენარჩუნებით / ისე, როგორც რუსეთის სინამდვილე იყო/, ამ-დენად მშრომელი გლეხთა კლასი, კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურად გამოდის, გლეხობა მხარს უჭერს მუშათა კლასს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და ამ საფუძველზე გა-მარჯვების საკითხი რევოლუციის სასარგებლოდ იჭრება; ხოლო რამდენადაც კაპიტალიზმის განვითარება ხდება "წმინდათ", ფეოდალური ნაშთების სრული ლიკვიდაციით, ამდენად გლეხობა როგორც დამოუკიდებელი მწარმოებელი -იგი უფრო რეაქციონურია ვიდრე რევოლუციონური:

" საშუალო წრეები, წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას რომ დაღუპვისაგან იხსნან თავისი არსებობა, როგორც საშუალო წრეებისა. მაშასადამე, ისინი არიან არა რევოლუციონერები, არამედ კონტრრევოლუციონერები,

უფრო მეტიც, ისინი რეაქციონერები არიან".

/ კომუნისტური მანიფესტი გვ.33 /.

ცხადია ეს დებულება ან ფორმით ყველა ეპოქის არ შეეფარდება. ამაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

წვრილი კერძო გლეხობა, როგორც მესაკუთრე კლასი პირველ ხანებში არ დაუჭერდა მხარს პროლეტარიატს, რომ მას საკმაოდ დიდი და მძიმე დაწოლა არ განეცადა ერთის მხრივ მსხვილი მიწა მფლობელებისაგან, მეორეს მხრივ მრეწველობისაგან / ფინანსიური კაპიტალისაგან /. ასეთ საშინელ ტანჯვისაგან თავის დაღწევა მშრომელ გლეხობას შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასთან მჭიდრო შეკავშირებით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

მარქსის და ენგელსის აზრით ისეთ ქვეყანაში, სადაც წვრილი მესაკუთრე გლეხთა რიცხვი სჭარბობს, ასეთ ქვეყნებში პროლეტარიატის უშუალო ხელმძღვანელობით გლეხობის კოლექტიურად გაერთიანება უნდა მოხდეს; გლეხობის საწარმოო კოოპერატიული საზოგადოებაში გაერთიანებისათვის ხელისუფლების სათავეში მდგომ პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს ხელისუფლების მთელი ინტერესები, მატერიალური და ტექნიკური პირობები.

ლენინმა და სტალინმა მარქსის და ენგელსის ეს დიადი მითითებანი სინამდვილედ აქციეს, სადაც სწორად განსაზღვრეს მიწათსარგებლობის სოციალისტური წესი- მიწის ნაციონალიზაციის სახით. რენეგატმა კაუცკიმ და შემდეგ მენშევიკებმა წამოაყენეს "თეორია " იმის შესახებ, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში წვრილ გლეხურ მეურნეობის საკუთრების გადასვლა, სოციალისტურ საკუთრების ფორმაში

ყოვლად შეუძლებელი იყოს.

ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ გაანთავისუფლა მრავალმილიონიანი მშრომელი გლეხობა საუკუნეობრივი უმიწობის სიდუხჭირისაგან. ლენინი თავის დროზე, ცნობილ სტატიაში "მიწათ-სარგებლობა ევროპულ რუსეთში" 1912 წ. გვაძლევს იმდროინდელ მიწასარგებლობის სტატისტიკას, თუ ვის ხელში იყო წინეთ მიწები. "30 ათას მსხვილ მიწად მფლობელს ეკავა 70-მილიონი დესეტინა მიწა. ხოლო ათნახევარი მილიონ წვრილ გლეხ მიწათ მფლობელებს 75-მილიონი დესეტინა"./ლენინი რჩ.ტ.XV გვ.471 /

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მშრომელ გლეხობამ მიიღო 150 მილიონი დესეტინა მიწა, ნაცვლად ათნახევარ მილიონ დესეტინისა. ამასთანავე გლეხობა განთავისუფლებული იქნა ყოველწლიურ 500-მილიონი მანეთის მიწის სარენტო გადასახადისაგან.

მართალია მიწის ნაციონალიზაცია არ ნიშნავდა კულაკობის, როგორც კლასის პირდაპირ ლიკვიდაციას, მაგრამ მას სამაგიეროდ ჰქონდა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მიწის ნაციონალიზაციამ პირდან გამოჰგლიჯა კულაკებს დატაცებული მიწის საუკეთესო ნაწილი, რითაც კულაკობამ საკმაოდ იგრძნო თავის ეკონომიური საფუძვლის შერყევის კატასტროფა. მიწის ნაციონალიზაციამ წვრილი გლეხური მეურნეობა გადაიყვანა მსხვილ მეურნეობაზე.

" მიწის ნაციონალიზაცია აადვილებს წვრილი გლეხობის სასაქონლო მეურნეობიდან-მსხვილი სოციალისტური მეურნეობაზე გადასვლის საქმეს."

/სტალინი-ლენინიზმის საკითხები გვ. 303./

კაპიტალიზმის დამცველთ, ჩვენს სინამდვილეში არ სწამ-დათ წვრილი გლეხობის გადაყვანის შესაძლებლობა სოცია-ლისტურ მეურნეობაში. ამ საკითხში "კისერს წავიმტვ-რევთ", "დავმარცხდებით"-წუწუნებდნენ ოპორტუნისტები.

ლენინი გამარჯვების პირველ წელსვე განსაზღვრავს პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებს სოფლის მეურნეო-ბის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ლენინის აზრით პროლეტარიატმა უნდა გამოჰყოს მშრომელი გლეხი-მესაკუთრე გლეხისაგან, მუშაკი გლეხი-ჩარჩი გლეხისაგან, მშრომელი-სპეკულიანტისაგან. მხოლოდ ასეთ გამიჯვნაში ხედავდა ლენინი სოციალიზმის დედაზრს.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საკითხი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე დაისვა. საკოლმეურნეო წყობამ საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლად. პარტია და ხელისუფ-ლებამ, პირადად ამხანაგმა სტალინმა ხელი მოჰკიდა ჩვე-ნი გამარჯვების საქმეს, ტროცკისტულ-კონტრევოლუციონურ ყაჩაღურ ბანდების მხილება-განადგურების საქმეს, რომელსაც კი სურდათ სამშობლოს ღალატი. კაპიტალიზმის რესტავრაცია ჩვენს ქვეყანაში.

ლენინ-სტალინის პარტიამ სწორი ხაზი აიღო სოფლის მეურნეობის სოციალისტურად თანდათანობით გარდაქმნის საქმეში, სადაც ნებაყოფლობით და შეგნების საფუძველზე გლეხთა უმრავლესობა გაერთიანდა კოლექტიურ მეურნეობა-ში. გამარჯვების დღიდან წლიდან წლის თავზე იზრდებოდა კოლექტიური მეურნეობის რიცხობრივი და თვისებრივი რაო-დენობა. ასეთი მძლავრი გაერთიანებული კოლმეურნეობა და-უფლა სოფლის მეურნეობას, აითვისა მიწა და მისი წიაღი.

"ამ საფუძველზე დაიწყო და გაიშალა შემდეგ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა 1929 წლის დამლევისათვის და მოგვცა კოლმეურნეობათა ზრდის ისეთი უმაგალითო ტემპები, როგორსაც ჯერ კიდევ არ იცნობდა ჩვენი, სოციალისტური ინდუსტრიაც კი. 1928 წელს კოლმეურნეობათა საერთო ფართობი შეადგენდა 1,390 ათას ჰექტარს, 1929 წელს - 4,262 ათას ჰექტარს, ხოლო 1930 წელს კოლმეურნეობებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა დაეგეგმათ 15 მილიონი ჰექტარის მოხვნა."

/საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ. 362 /.

თუ კოლექტივიზაციის ზრდა პროცენტებში ცალკეული წლების და მიხედვით, როგორ იზრდებოდა, ამას გვიჩვენებს შემდეგი დიაგრამა:




ზემოთ მოყვანილი დიაგრამა ნათლად ადასტურებს ლენინის კოოპერატიული გეგმის გამარჯვების ფაქტს–სოფლის მეურნეო-

ბაში, აღასრულებს იმ ფაქტს თუ წვრილ კერძო გლეხურ მეურნეობის ნებაყოფლობითი გაერთიანებამ, როგორი რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა მოგვცა გლეხობის შეძლებულებად და კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კ ოლმეურნეობად გარდაქცევის საქმეში.

პარტიის ლოზუნგი, დიდი სტალინის დავალება 7-8 მილიარდი ფუთი პურის აღების შესახებ წარმატებით იქნა შესრულებული, მარცვლეულის რაიონებმა, ამ მხრივ თავი ისახელეს 1939 წლის მოსავლის აღებაში, სადაც მოსავლის საშუალო რაოდენობა 16,4 ცენტნერს აღწევდა.

ათეული და ასეული მილიონერი კოლმეურნეობებია საბჭოთა კავშირში, რომლებმაც თავიანთი მიღწევები გვიჩვენეს 1939 წლის საკ.სასოფ.სამ. გამოფენაზე; ისინი ამ დიდ გამოფენის კანდიდატები გახდნენ. კრასნადარსკის მხარის სლავიანის რაიონის " კრასნი ზამანეც"- კოლმეურნეობამ 1939 წ. ერთ ჰექტარიდან 80 ცენტნერი ხორბალი მიიღო, ამავე რაიონის სტალინის სახელობის კოლექტივმა-84 ცენტნერი-ჰექტარზე.

ყირგიზეთში 1938 წლის მოსავალი არა ჩვეულებრივად გაიზარდა. თუ რევოლუციამდე ყირგიზეთში ჰექტარზე 10 ცენტნერი ძლივს მოდიოდა, 1937-38 წ.წ. კოლექტივმა ჰექტარზე 16-დან 20 ცენტნერამდე ხორბალი მოიყვანა; კოლმეურნეობამ " ყუბანმა" /ყირგიზეთი / ერთ ჰექტარზე 1800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. მთელ რიგ რესპუბლიკებში და მხარეებში, როგორიცაა: "სლავიანსკის", " კრასნიარმეისკის", " ჩერნოისკოვსკის", "კაგანოვიჩისკის", "ივანოვსკის", ნოვოროსიისკის" და სხვა ადგილებში 1938 წლის მოსავალმა, ჰექტარზე 20 ცენტნერს მიაღწია.

სასოფლო სამეურნეო არტელი " როდინა ილიჩი"-ს

/ულიანოვსკის რაიონი, კუიბიშევის ოლქი / მისი ჩამოყალიბების დღიდან ძალიან სუსტი იყო. მოსავალი სრულებით ვერ აკმაყოფილებდა კოლმეურნეობას. 1932 წელს არტელის შემოსავალი უდრიდა 131 ათას მანეთს, 1934 წელს შემოსავალი 520 ათას მანეთს, ხოლო 1937 წელს, დასახელებული კოლმეურნეობა მილიონერი გახდა და მან საპატიო ადგილი დაიკავა 1939 წლის საკ.სასოფ.სამ. გამოფენაზე.
/მასალები გამოფენის ცალკეულ პავილიონებიდან /.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, გაიმარჯვა კოლექტიურმა ძალამ-სოფლად. შრომის სოციალისტურმა მეთოდებმა დანერგეს სტახანოვური სტილით მუშაობა, რაც გვაძლევს საკოლმეურნეო საკუთრების, კოლექტიური გლეხობის დოვლათის გამაგრება-განმტკიცებას. ყოველგვარი პირობებია შექმნილი მშრომელთა გლეხობის საამური და ბედნიერი ცხოვრებისათვის-თუ კი ის პატიოსნად იშრომებს.

" კულაკური კაბალის გაქრობასთან ერთად გაჰქრა სიღატაკე სოფლად, ყოველ გლეხს, კოლმეურნეს თუ ერთპიროვნულ გლეხს ახლა საშუალება აქვს იცხოვროს ადამიანურად, თუ მას უნდა იმუშაოს პატიოსნად და არ იზარმაცოს, არ იხეტიალოს და არ გაანიავოს საკოლმეურნეო დოვლათი".

/ სტალინი- ლენინიზმის საკითხები გვ. 673 /.

რამოდენიმე სიტყვა კერძო მეურნეობის ანუ ინდივიდუალური გლეხის და წვრილ შინამრეწველის შესახებ.

სტალინური კონსტიტუციის 9-მუხლით სოციალისტური მეურნეობის გვერდით დაშვებულია კერძო მეურნეობა. ასეთი კერძო მეურნეობა არსებითად განსხვავდება კაპიტალისტურ კერძო მეურნეობისაგან, რომ იგი არა მარტო კაპიტალისტური

კერძო მეურნეობისაგან განსხვავება, არამედ არსებითად განსხვავება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირველ პერიოდის კერძო მეურნეობისაგან. კონსტიტუციით კერძო მეურნეობა მხოლოდ უნდა ემყარებოდეს საკუთარ შრომას. საბჭოთა კანონი ვერ მოითმენს თუ სტალინური კონსტიტუციის მე-9 მუხლით მინიჭებული პრივილეგია, კერძო მეურნე გლეხმა ან შინამრეწველმა ბოროტად გამოიყენა. აი რა სწერია ამ მუხლში:

" მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად, რომელიც სსრ კავშირში მეურნეობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, კანონით დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა, რომელიც დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი ა პ ი რ ა დ შ რ ო მ ა ზ ე დ ა გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს ს ხ ვ ი ს ი შ რ ო მ ი ს / ხაზგასმა ჩემია / ნ.ლ. / ექსპლოატაციას".

/ კონსტიტუციის მე-9 მუხლი /.

ყოველივე ამის შემდეგ კერძო მეურნეობის უარყოფა ჩვენში უაზრობა იქნებოდა. იგი ჯერ კიდევ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხვედრითი წონა ძალიან მცირე რაოდენობას შეადგენს, " კერძო გლეხური მეურნეობის სექტორი თავისი საშუალო საუკუნეობრივი ტექნიკით მცირე ადგილი უკავია" /სტალინი-I ხუთწლედის შედეგები /.

ინდივიდუალური გლეხის და შინამრეწველის საკუთარი შრომის შედეგად შექმნილი საკუთრება არ არის იგივე, რაც კაპიტალისტური კერძო საკუთრება. ანდა, როგორიც იყო კულაკის კერძო საკუთრება. საკუთარი შრომით შექმნი-

ლი საკუთრება მოპოებული, უკეთ, რომ ვსთქვათ შექმნილი ექსპლოატაციის გარეშე შრომის შედეგად არ არის კერძო საკუთრება. ეს მისი საკუთარი შრომით შექმნილი პირადი კუთვნილებაა. ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულია სოციალისტური საკუთრება; რაც შეეხება კერძო საკუთრებას, ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ძალიან მცირე პროცენტითაა შერჩენილი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.
ასე მაგალითად. სოციალისტური საკუთრების ფორმა ჩვენს ქვეყანაში, მეორე ხუთწლედის შესრულების შედეგად, მთელი სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში შემდეგ სურათს გვაძლევს: კერძო საკუთრება მრეწველობაში უდრის 0,05%, სოფლის მეურნეობაში– 0,6% და მთელი სახალხო მეურნეობაში– 0,2%.

იმდენად, რამდენადაც ჩვენში შრომითი წვრილი კერძო საკუთრება შექმნილია კერძო ინდივიდუალურ მეურნეობის არსებობის საფუძველზე, საკუთარი შრომის შედეგად, იმდენად იგი ატარებს შრომითი წვრილ კერძო საკუთრების სახეს; ხოლო რამდენადაც მისი შექმნის ფორმა სოციალისტური შრომის პრინციპის შედეგად იქმნება, იმდენად იგი ჩვენს სინამდვილეში არ ატარებს ექსპლოატატორულ კერძო საკუთრების მსგავს სახეს.

არც ინდივიდუალური მეურნეობაა მოკლებული ყურადღების გარეშე. ამხანაგი სტალინი კერძო ინდივიდუალური მეურნე გლეხს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს შეგნება სოციალისტურ მეურნეობის უპირატესობის და თავის კერძო მესაკუთრული ტენდენციით ეწაფება კონსტიტუციის "9" მუხლში მოცემულ უფლებებს– უწოდებს ხვალინდელ კოლმეურნეს.
ამხანაგი სტალინის თავის გამოსვლებში და წერილებში "სოფ-

ლად მუშაობის შესახებ ", " პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს" სიტყვები I და II დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობებზე და მთელი რიგ შრომებში- განსაკუთრებით ახლებურად აყენებს საკითხს ინდივიდუალური გლეხის მიმართ თუ, როგორი დამარწმუნებითი შეგნებაა საჭირო, მათი კოლექტივში გაერთიანებისათვის.

ჩვენში, სოფლის მეურნეობის განვითარების სწორი გზა არის კოლექტივიზაციის გზა. საბჭოთ მიზანი კერძო გლეხის მხოლოდ ეს გზაა, ამიტომ ძალით გაერთიანების იძულებითი ცალკეული მუქარა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1930 წელში და რაზედაც ამხანაგმა სტალინმა დროზე თავის ცნობილ სტატიაში "თავბრუდახვევა წარმატებისაგან" შესანიშნავად განმარტა- -უნაყოფოა, ზედმეტია. საკოლმეურნეო ცხოვრება, მისი განვითარების უხვდოვლათი, იშვიათ პროპაგანდა-აგიტაციას წარმოადგენს კერძო გლეხის მიმართ-კოლმეურნეობაში ჩაბმისათვის.

კერძო ინდივიდუალურ მეურნეობას, ჩვენი კანონი ყოველდღიურ მეთვალყურეობას უწევს, რათა კერძო მეურნეობის ფუნქციები არ გადასცილდეს კანონის მიერ განსაზღვრულ ფარგლებს. საბჭოთა კანონი აფრთხილებს კერძო მეურნეს, ერთის მხრივ იმისათვის, რომ თავისი მეურნეობიდან, თავისი საწარმოო საშუალებებით არ გადააბიჯოს სხვის მეურნეობაში, კუთვნილ საწარმოო იარაღების გასაქირავებლად, ხოლო მეორეს მხრივ არ გამოიყენოს სხვისი დაქირავებითი შრომა. ამ თვალსაზრისით საკ. უმაღლეს საბჭოს 2-სესიამ თავის დადგენილებში სპეციალურად განიხილა ინდივიდუალური გლეხების ცხენებზე გადასახადების დადების საკითხი.

დღეს ბურჟუაზიული სახელმწიფოების ყურადღება სულ სხვა მხრივ არის მიმართული. ბურჟუაზიული სახელმწიფო საკუთრება

სინამდვილეში ასრულებს იმავე მოვალეობას, რასაც ასრულებს იმპერიალისტური დაპყრობითი პოლიტიკა კერძო კაპიტალისტური საკუთრების სახით.

ბურჟუაზიული მწერალ დ ე ნ ი ს ცნობებით, ამერიკაში მესაკუთრეთა ერთ პროცენტს ხელთ უპყრია მთელი ნაციონალური სიმდიდრის 59%. ხოლო ინგლისში მესაკუთრეთა მთელი რაოდენობით 2%-ზე ნაკლები ფლობდა მთელი ნაციონალური სიმდიდრის 64%-ს.

კაპიტალისტურ სახელმწიფოების მთელი ყურადღება მიქცეულია მეორე იმპერიალისტური ომის მოწყობისაკენ, /ფაქტიურად ეს ომი უკვე დაწყებულია/ მთელი მათი მეურნეობა, მრეწველობა, სავაჭრო დარგი-ყველა ერთად ჩაბმულია დამჯუპველი ომის მოწყობის და მის მზადების საქმეში. ამდენად ომის გამჩაღებელ სახელმწიფოების საკანონმდებლო, საბიუჯეტო ორგანოებს სახელმწიფო და სახალხო საკუთრებათა საზრუნავად არა სცალიათ.

ჩვენს ქვეყანაში სამშვიდობო პოლიტიკა სუფევს, გერმანიის მიერ პოლონეთის დაპყრობა და ამ უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა დაამტკიცეს საბჭოთა კავშირის სიძლიერე, რომელ სიძლიერესაც განსაკუთრებული ანგარიში გაუწიეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა და პირველრიგში გერმანიამ.

საბჭოთა ქვეყანა მშვიდობიანობის მომხრეა. ამ პოლიტიკით იცავს მსოფლიო მშრომელთა ინტერესებს, ჩაგრული ხალხის ინტერესებს, ამის მაგალითს წარმოადგენს გმირული წითელი არმიის მიერ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლება- ყოფილ პოლონეთის პანების და შლიახტების ჩაგვრისაგან.

საბჭოთა ქვეყანა ერთის მხრივ თუ მძლავრ ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ქვეყანას წარმოადგენს, მეორეს მხრივ ის წარმოადგენს სამხედრო მომზადების, თავდაცვის უნარიანობის და მტრისადმი სათანადო პასუხის გაცემის მძლავრ ქვეყანას. ხასანის ტბის მიდამოებში მომხდარ ამბებში — დაამტკიცეს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება. ამჟამად ჩვენი მამაცი წითელი არმია ასრულებს მანერჰაიმის ბანდების უღლისაგან ფინელი მშრომელი ხალხის განთავისუფლების დიად მისიას, რაც ამავე დროს უზრუნველყოფს ლენინგრადის დაცვას—მთელი ჩვენი ქვეყნის დაცვას.

მომავალშიაც კოლექტივიზირებული გლეხობა, მუშათა კლასის მხარში ამოდგომით, ლენინ სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს.

2-თ ა ვ ი.

## სოციალისტური საკუთრება და მისი ორი ფორმა.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებიდანვე საგრძნობი შეტევით მოხდა კერძო საკუთრების დაუყონებლივ ლიკვიდაცია. სახელმწიფოებრივი საკუთრება ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსხვილ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციის შედეგად, რისთვისაც გამოდის პირადათ ლენინის ხელის მოწერით უამრავი დეკრეტები. გამოსულ დეკრეტებს უაღრესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი დეკრეტები იყო: 1917-წლის 21 ოქტომბრის დეკრეტი " მიწის შესახებ", 1917-წლის 29 ნოემბრის დეკრეტი-ქალაქად უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ, 1917 წლის 14 დეკემბრის დეკრეტი, ბანკების და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ. და სხვა ღირსშესანიშნავი დეკრეტები, რომელთა განხორციელებამ მოგვცა მთელი მეურნეობის ნაციონალიზაცია, მოგვცა სახალხო მეურნეობის მთავარი ბერკეტები, რაც აუცილებელი პირობა იყო სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის.

სოციალისტური საკუთრება წარმოადგენს საბჭოთა წყობილების მტკიცე და ურყევ საფუძველს. იგი იქმნება და მტკიცდება სოციალისტური სისტემის გაბატონების მეშვეობით.

" სსრ კავშირის ეკონომიური საფუძველს შ ადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებული შედეგად მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და

ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა". / სტალინური კონსტიტუციის 4 მუხლი /. სამოქალაქო ომის პერიოდში ექსპროპრიატორთა- ექსპროპრიაციამ- გატარებულმა მუშათა კლასის მიერ მშრომელ გლეხობასთან ერთად, საკმაოდ დიდი აღშფოთება და წინააღმდეგობა გამოიწვია დარჩენილ კაპიტალისტურ ნაშთების მიმართ.

სამოქალაქო ომის პერიოდში - ყველა უკმაყოფილო ელემენტებისაგან შემდგარი კონტრევოლუციონური ბანდები დენიკინის, ვრანგელის, კოლჩაკის, იუდენიჩის და სხვათა სახით შეიარაღებული ბრძოლით წამოვიდნენ ახლად გამარჯვებულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

დამარცხებული კლასები თავისი დაკარგულ " სამოთხის" დასაბრუნებლად ბოროტმოქმედების ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, იმისათვის, რომ უკან მოაბრუნონ ისტორიის ჩარხი და კვლავ აღადგინონ როზგისა და სახრჩობელას ბატონობა. რაც უფრო ძლიერია ასეთ სურვილის განხორციელების საფრთხე, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს კლასობრივი მტრის დათრგუნვის ღონისძიებანი, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე.

გერმანიის იმპერიალისტებმა განიზრახეს საბჭოთა უკრაინის ჩამოშორება საბჭოთა კავშირისაგან, სადაც უკრაინაში დარჩენილ უსაფუძვლო ნაციონალისტების დახმარებით, გერმანიის აგენტები მოითხოვდენ მემამულეებისა და კაპიტალისტების უფლებების აღდგენას, თავიანთი საკუთრების დაბრუნებას.

პირსისხლიანი ადმირალი კოლჩაკი, მუშების და გლეხების დაუძინებელი მტერი თავის უტიფარ "დეკლარაციაში" სწერდა:

"ხელისუფლება სრული გადაწყვეტილებით აცხადებს: სახელმწიფოსი, საზოგადოების და კერძო კუთვნილი მიწების თვითნებური დატაცება კანონით აკრძალულია. ყველა ის ვინც სხვის მიწას ხელს ახლებს მიცემული იქნება პასუხისგებაში სასამართლოს წესით".ი.

/სამოქალაქო ომის ისტ. ალბომი ტ.3. გვ. 9 /.

სამოქალაქო ომის პერიოდი, სოფლის მეურნეობისათვის იყო არა აყვავების, ზრდის და მშვიდობიანობის პერიოდი, არამედ ის წარმოადგენდა გადამწყვეტ ბრძოლის "სამკვდრო-სასიცოცხლო" პერიოდს. რევოლუციის მიერ მოსხრჩვალი ბურჟუაზიის დარჩენილი ნაშთები მისტიროდნენ თავიანთ წარსულს, თავიანთ დანაკარგ სიმდიდრეს. გული ამითაც, რომ ვერ იჯერეს სწერდნენ ცხოვრებაში განუხორციელებელ ქაღალდებს. ასე მაგ: მინსკის ოკრუგის დასავლეთ ოლქის გენერლის თანაშემწის ვ. რაშკევიჩის ხელისმოწერით გამოდის განკარგულება, სადაც ნათქვამი იყო:

" 1/ ყველა დეკრეტი და განკარგულება, გამოცემული მეფი ნაწილი ხელისუფლებაზე და ნაწილი საკუთრებაზე, გაუქმებულ იქნეს, ხოლო კერძო საკუთრების უფლება დღეიდან აღდგენილად ჩაითვალოს.

2/ ყოველგვარი კერძო საკუთრება კანონით უბრუნდება მფლობელს.

3/ მემამულეები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 10 სექტემბრისა შეუდგნენ თავთავიანთ წილების უფლებათა სარგებლობას "

/ მოსკოვი ლენინის მუზეუმი განყ. 12 /.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ პერიოდში თავი იჩინა აგრეთვე კლასობრივი მტრის შემოტევის სხვა ფორმებში. საბოტაჟი, სპეკულიაცია, კულაკური ბრძოლა, პურის მონოპოლიის

წინააღმდეგ და სხვა. პურის ფრონტზე წვრილ ბურჟუაზიულ სტიქია ძლიერ საფრთხეს წარმოადგენდა ამ პერიოდში. კულაკს, რომლის ხელში საკმაო პურის მარაგი იყო თავის მოჰყავდა სპეკულიაციის გზაზე მშრომელი გლეხობა. სამართლიანად აღნიშნა ლენინი, რომ ასეთი გლეხი ექსპლოატატორზე ნაკლები არაა, იგი " მშიერი მუშის ექსპლოატატორია" /ლენინის რჩ. ნაწ.ტ. 4.გვ. 383 /.

მტერი ყველაფერს აკეთებდა პურის "თავისუფალი ვაჭრობის"აღსადგენად და გლეხობის ნაწილი, რომელიც ამის დამღუპველ მნიშვნელობას ვერ ხედავდა დიდ დაბრკოლებას ქმნიდა პროლეტარიატის "უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში". ზედმეტი პურის მარაგი, სპეკულიაციის მიზნით კულაკების მიერ გადანახული იყო, რითაც აძლიერებდნენ ისედაც მძვინვარე სიმშილს. ასეთ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც მიზნად ქონდა კერძო საკუთრების შენება სპეკულიაციის გზით-ლენინის ინიციატორობით შედგენილი იქნა დეკრეტი, რომლის ერთ ერთი პუნქტი შემდეგ სიმკაცრეს ითვალისწინებდა:

> " 3/ გამოცხადებული იქნეს ყველა, ვისაც კი ზედმეტი პური აქვს და არ გააქვს ჩასაბარებელ პუნქტში, აგრეთვე ვინც პურს ფარულად არაყის ხდაზე ანიავებს, ხალხის მტრად, მიეცეს იგი რევოლუციურ სამართალში, ისე, რომ დამნაშავეს გადაეწყვიტოს დაპატიმრება ვადით არა ნაკლებ 10 წლისა, განდევნილი იქნეს იგი თემიდან სამუდამოდ, მთელი მისი ქონება კონფისკებულ იქნას."
>
> / ლენინი თხზ. ტ. XXIII-გვ. 525 /.

ასეთ სიმკაცრით ისმებოდა კლასობრივ მტრის და მათ შემოფეფათა წინააღმდეგ საკითხი.

ძლევამოსილი მუშათა კლასის შემოწმებით მშრომელ გლეხობასთან ერთად, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და სახელოვან მუშურ-გლეხური წითელი არმიის გმირული ბრძოლის შედეგად კონტრრევოლუციონური ბანდები მთლიანად განადგურებული იქნენ.

სამოქალაქო ომის დამთავრების დღიდან იწყება დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი, სოფლის მეურნეობის აღმავლობის პერიოდი, სადაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა ნიშნავდა; ჩვენი მეურნეობის განვითარების საქმეზე გადასვლას, სოციალისტური საკუთრების განმტკიცება- გამაგრებაზე გადასვლას.

სოციალისტური საკუთრების გაბატონება ჩვენს ქვეყანაში, რომლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოციალისტური გაფართოებული წარმოების წესი- ქმნის ადამიანთა შორის საწარმოო ურთიერთობისადმი ახალ ჩვევებს, ნერგავს შრომისადმი სიყვარულის ახალ ენთუზიაზმს, რაც პირდაპირი მაგალითია სტახანოვური მოძრაობის წარმოშობა და მისი განვითარება.

საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება ჩვენში დიდი ხანია მოსპობილია, სამაგიეროდ განმტკიცდა სოციალისტური საკუთრება. თუ ავიღებთ სახალხო მეურნეობის ხვედრითი წონას ამ ოთხი ათეული წლების განმავლობაში ჩვენ დავინახავთ საკმაოდ განსხვავებულ აღმავლობითი სტატისტიკას. მძლავრ ინდუსტრიალიზაციის განვითარების საქმეში ჩვენმა ქვეყანამ, პირველი ადგილი დაიკავა მთელს ევროპაში.
1913 წლის მსხვილ მრეწველობის პროდუქციას საბჭოთა ქვეყანამ 1936 წელს 7,3 ჯერ გადააჭარბა. ხოლო 1937/38 წ.წ. გადააჭარბა 13,3% ჯერ. ამგვარად წლიური სამრეწველო პროდუქ-

ციის ასეთი ტემპით ზრდას, კაპიტალისტური ქვეყნების არცერთი სახელმწიფო არ იცნობს.

სტალინური კონსტიტუციის 5 მუხლის თანახმად ჩვენში სოციალისტური საკუთრება ცნობილია 2 ფორმით: სახელმწიფო საკუთრების და კოოპერატიულ- საკოლმეურნეო საკუთრება. საკუთრების ასეთი ორი ფორმა ზოგიერთ თეორიულ ფრონტზე მომუშავე პირებმა მოგვცეს ორი "ტიპი" საკუთრების სახით. სახელმწიფოებრივი საკუთრების "ტიპი" და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო "ტიპის " საკუთრებისა. ტიპსა და ფორმას შორის, მით უმეტეს საკუთრების განსაზღვრაში არსებითი განსხვავებაა. ჩვენ, რომ გვეღიარებია საკუთრების ცალკეული ასეთი "ტიპები", მაშინ სოციალისტური საკუთრება, რომელიც შექმნილია მეურნეობის სოციალისტური ერთი სისტემის შედეგად- უნდა გვეღიარებინ მეურნეობის სხვა და სხვა "ტიპებიც" / რომელსაც დაპირაკია ტიპზეუთური სხვადასხვას ნიშნავს/.

საბჭოთა ლიტერატურაში გოიხბარგი თავის სტატიებში "პირადი საკუთრების შესახებ", " საკუთრების საკითხებისათვის" და სხვა ნაწერებში ხშირად ხმარობს ორ ტიპიან საკუთრებას: სახელმწიფოებრივი საკუთრება, როგორც ცალკე ტიპი და კოოპერატიული საკუთრება, როგორც ცალკე ტიპი.

ჩვენში არსებობს საკუთრების ორი ძირითადი ფორმა: სართო-სახელმწიფო საკუთრება და კოოპერატივი საკოლმეურნეო საკუთრება. სტალინური კონსტიტუციის მე-5 მუხლი ზემოდ აღნიშნულ ასეთ ორ "ტიპის" საკუთრებას არ იცნობს.

საკოლმეურნეო წარმოება და მისი სამეურნეო სტრუქტურა სოციალისტურ სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კოლმეურნეობაში არ არის საწარმოო საშუალებათა კერძო მითვისების არც ერთი შემთხვევა. არ არის კერძო საკუთრება.

კოლმეურნეობებში ისე, როგორც ჩვენს სახელმწიფო საწარმოებში არ სწარმოებს სხვისი შრომის გამოყენება, არ სწარმოებს ექსპლოატაცია. ამიტომაა, რომ კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრება სოციალისტური საკუთრების ერთ-ერთი ფორმათაგანია.

სოციალისტური საკუთრების პირველ და მთავარ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრება. საკუთრების ეს ფორმა, სოციალიზმის პერიოდში არა მარტო გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, არამედ იგი თავისი ხვედრითი წონით წამყვან და გადამწყვეტ ობიექტს შეადგენს. ჯერ კიდევ ადრე 1936 წელს მთელი სახალხო საკუთრების / ე.ი. სახელმწიფო საკუთრების / ხვედრითი წონამ მიაღწია 90%-ს, სახელმწიფო საკუთრების ასეთი გაბატონება-საწარმოო საშუალებებზე, წარმოადგენს სოციალიზმიდან-კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის მატერიალურ შესაძლებლობათა უტყუარ ფაქტს.

" მეორე ხუთწლიანი გეგმის დამთავრების შემდეგ სოციალისტური საერთო საკუთრების სახეს შეადგენდა: თვით სოციალისტური საკუთრება უდრიდა 98,7%, აქედან 90% სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს და 0,2%-ი წვრილი შრომითი კერძო საკუთრება დამყარებული ინდივიდუალური გლეხის და შინამრეწველის პირად შრომაზე".

/გაზ."პრავდა" 25/V-39.წ. გვ. 2 /.

სახელმწიფო საკუთრება განსაზღვრულია სტალინური კონსტიტუციით, სადაც მხვილი საწარმოო ობიექტები გამორიცხულია სამეურნეო ბრუნვიდან და ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს.

სახელმწიფო საკუთრების ობიექტი განსაზღვრულია სტალინური კონსტიტუციის მე-6 მუხლით.

" მიწა მისი წიაღი, წყალი, ტყე, ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, რკინის გზა, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი, ბანკები და კავშირგაბმულობის საშუალებანი, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მსხვილი სასოფლო სამეურნეო საწარმონი / საბჭოთა მეურნეობანი, მანქანა-სატრაქტორო სადგურები და სხვა/ აგრეთვე კომუნალური საწარმონი და ძირითადი საბინაო ფონდის ქალაქებსა და სამრეწველო პუნქტებში წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ე.ი. საყოველთაო სახალხო კუთვნილებას." / კონსტიტუციის მე-6 მუხლი /.

განა შეიძლება ასევე ითქვას კოოპერატიულ საკოლმეურნეო საკუთრებაზე?.. რომ იგი ეკუთვნის სახელმწიფოს! ცხადია არა. კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრება ეკუთვნის ცალკეულ კოლექტივს, კოლექტიურ პირთა შენაერთ ჯგუფს, ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობათა გაერთიანებას, კოოპერაციულ გაერთიანებათა ორგანიზაციას. ასეთივე განსხვავებას აქვს ადგილი სახელმწიფოებრივ საკუთრებასა და საკოლმეურნეო საკუთრებას შორის, სადაც რამოდენიმე განსხვავებული სახეების ჩამოთვლა შეგვიძლია:

1/ კოლმეურნეობებში ზედმეტი პროდუქტი/, ისე, როგორც მთელი პროდუქცია, საერთოდ/ განაგებს და ანაწილებს თვით კოლმეურნეობა. სახელმწიფოებრივ საწარმოს კი თვით სახელმწიფო განაგებს.

2/ სახელმწიფო საწარმოში მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილე-

ბა(ხლა)ნელფასის სახით, ეს თვით სახელმწიფოს მიერ წესდება. კოლექტიურ მეურნეობაში კი თვით კოლმეურნეობა აწესებს მოსავლის და შემოსავლის განაწილების საკითხს, გამომუშავებული შრომა დღეებისდა მიხედვით. პირველშემთხვევაში შრომის პრინციპი და მისი დანაზოგი ემსახურება მთელ სახალხო საქმეს. მეორე შემთხვევაში კი ცალკე კოოპერაციული წესით პირთა გაერთიანების წევრებს.

3/ სახელმწიფო საკუთრების შემოსავლის საკითხს განაგებს თვით სახელმწიფო, განაგებს თავისი შეხედულებისამებრ, რომელიც ეკუთვნის არა რომელიმე ცალკეულ ქარხანას, ფაბრიკას ანდა საწარმოს, არამედ მთელ ხალხს. ეს იმ დროს, როდესაც საკოლმეურნეო საკუთრების ბატონ-პატრონი თვით ცალკეული კოლმეურნეობაა.

4/ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებაში მომუშავე მუშაკთა ნამუშევარი ფასდება მისი კვალიფიკაციის და მიხედვით, თვით სახელმწიფოს მიერ. კოლმეურნეობაში კი-კოლმეურნის გამომუშავებული დღე ფასდება უშუალოდ კოლმეურნეობის მიერ.

5/ სახელმწიფოებრივ საკუთრების მმართველობის უმაღლეს ორგანოს თვით სახელმწიფო ითვლება. ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში უფლება მისილია თავისსაკუთრების მიმართ, რათა გასცეს შესაფერისი განკარგულება. კოოპერაციულ საკოლმეურნეო საკუთრების უმაღლეს მმართველობის ფორმად კი უშუალოდ კოლმეურნეების საერთო კრებაა. რომელიც სრული დემოკრატიული პრინციპების მკაცრად დაცვით ანხორციელებს თავისი მოქმედებით უფლებებს-საკოლმეურნეო საკუთრების მიმართ.

ნ/სახელმწიფო საკუთრების ძირითადი ფონდი შესაძლებელია ერთ სახელმწიფო საწარმოდან მეორეში გადავიდეს ყოველგვარ სასყიდლის გარეშე, ეს იმ დროს, როდესაც საკოლმეურნეო საკუთრების გადასვლა ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში ანდასახელმწიფო ორგანიზაციებზე გადასვლა, ხდება სასყიდლით, ანგარიშსწორებით.

აი ის ძირითადი განსხვავებები სოციალისტური საკუთრებ-ბის ორ ფორმათა შორის.

საკოლმეურნეო წარმოება სოციალისტური მეურნეობის ერთ ერთი სახეა, სადაც ადგილი არ აქვს არც ერთ შემთხვევას საწარმოო საშუალებებისადმი კერძო საკუთრების ფორმას, დაქირავებული ექსპლოატაციური შრომას და კერძო წამგლეჯ-ურ მითვისებათა საერთო პრაქტიკას. სამაგიერო მოცემულია საზოგადოებრივი ინტერესთა გამარჯვების სოლიდარობა, კო-ლექტიური შრომისა და მფლობელობის შეუზღუდავი გარანტირე-ბა. თანახმად სასოფლო სამეურნეო არტელის სანიმუშო წეს-დებისა, მას შემდეგ რაც კოლმეურნეობა [redacted] მთლიანი წლიური შემოსავლიდან გაისტუმრებს სახელმწიფო ვალს, გამოიცხავს ყველა სავალდებულო ფონდებს-მას შემდეგ დარჩენილი მოსავალი განაწილებული უნდა იქნეს თვითეულ წევრზედ-მათ წლიური გამომუშავებული შრომა დღეების და მიხედვით.

როგორც დავინახეთ კოოპერატიული საკოლმეურნეო საკუ-თრება ხმარდება არა სახელმწიფოს, მთელი სახალხო მეურ-ნეობის დანიშნულების საქმეს, არამედ ეს ხმარდება თვით ამ ცალკეულ გაერთიანებათა კოლექტიური მეურნეობის ინტერე-სებს.

ამრიგად არსებობს რა სოციალისტური საკუთრებათა, ამ ორ ფორმათა შორის, თავისებური სხვაობა, [redacted], ამავე დროს ეს ორი ფორმა თავისი ბუნებით ურთიერთშორის ერთ კავშირში არიან. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა საუბარში როი ჰოვარდისთან განაცხადა:

" იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც ჩვენ შევქმენით შეიძლება ეწოდოს საზოგადოების საბჭოთა სოციალისტური ორგანიზაცია. ამ საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება-სახელმწიფოებრივი ე.ი. საერთოსახალხო აგრეთვე კოოპერატიული საკოლმეურნეო."

ბელადის მიერ გენიოსურ განმარტებამ, ახალ კონსტიტუციის მეხუთე მუხლში ქეშმარიტება ჰპოვა.

ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტური სისტემის ერთი სახე არ ნიშნავს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური საკუთრების ერთ მთლიან ტიპს, რომ ამ მთლიან ტიპში გვაქვს ორი ფორმის შემავალი საკუთრებათა სახეები.

ძ ი რ ი თ ა დ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა, რომელსაც არა აქვს ანტაგონისტური ხასიათი სახელმწიფო საკუთრებასა, როგორც საერთოსახალხო საკუთრებას და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების, როგორც ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობის საკუთრებათა შორის-არ არსებობს. ისეთი განსხვავება კი როგორც ზემოთ მოვიყვანეთ არ ჩაითვლება პრინციპულ განსხვავებათ.

სახელმწიფო საკუთრება - მთელი სახალხო კუთვნილებაა, ყველასია. საკოლმეურნეო საკუთრება ცალკეულ კოლექტივისაა. კოლექტიურ შრომის პრინციპზე შემდგარი მეურნეობისაა, ცალკე-

ულ ქონებრივად განკერძოებული კოლექტიური საკუთრებაა, ამ ორივე საკუთრების შექმნისათვის პირობები ერთი და იგივეა, ერთშიც და მეორეშიაც სოციალისტური შრომის პრინციპებია გამოყენებული. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური შრომის პრინციპების გამოყენების მ ე თ ო- დ ე ბ ი სხვადასხვაგვარია.

კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრება სოციალისტური ბუნების მატარებელია, რადგან მისი წარმოშობა-განვითარება მშრომელთა საწარმოო იარაღების ნებაყოფლობით განსაზოგადოების შედეგია, რომლის მოქმედებითი პროცესში გამორიცხულია ექსპლოატაციის გამოყენებათა ყოველგვარი შემთხვევა.

აქვე გავარკვიოთ ერთი საკითხი: სახელმწიფო საკუთრების სუბიექტის მუშათა კლასის და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო სუბიექტის გლეხთა კლასის თავისებურება. 17 პარტიულმა კონფერენციამ თავისი თეზისებში მოგვცა მეორე 5-წლიანი გეგმის პოლიტიკური ამოცანა თუ რაში მდგომარეობდა ექსპლოატატორულ კლასების მოსპობა, უკლასო საზოგადოების შექმნა და მოსპობა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალისტური ნაშთებისა.

მეორე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ, მთლიანად უზრუნველყო ამ პოლიტიკური ამოცანის გადაჭრა. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე ამბობდა:

> "მემამულეთა კლასი, როგორც ცნობილია ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კულაკების კლასი სოფლად, მეურნეობის დარგში, აღარ არიან ვაჭრები და სპეკულიანტები საქონელბრუნვის

დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი

დარჩა გლეხთა კლასი

დარჩა ინტელიგენცია".

/ სტალინი -მე-8 საბჭოების საგანგებო ყრილობზე./

ექსპლოატატორულ კლასის მოსპობასთან დაკავშირებით- მოისპო ამავე დროს ყოველგვარი შესაძლებლობანიც ასეთი კლასის ეკონომიური საფუძვლის შექმნისათვის. სოფლად ექსპლოატატორთა კლასის, კულაკობის ლიკვიდაციამ თან გადაიყოლა "გადაშენდა" კერძო საკუთრების წარმომშობი პირობებიც.

სოციალიზმში - უკლასო საზოგადოებაში, კაპიტალისტური კლასები აღარ არსებობენ. ორი მეგობრული კლასები მუშათა და გლეხთა კლასები, რომელთა შორის არავითარი ანტაგონისტური წინააღმდეგობა არ არსებობს- მათი ინტერესები მიმართულია ერთი და იგივე მიზნისაკენ კერძოდ: სოციალისტური შრომის საფუძველზე-სოციალისტური საკუთრების გამაგრება- განმტკიცებისაკენ.

ძირითადი პრინციპიალური განსხვავება ისე, როგორც სოციალისტური საკუთრების ფორმებს შორის არ მოიპოვება, ასევე არ მოიპოვება მუშათა და გლეხთა კლას შორის. მათ შორის არსებული სხვაობა სოციალიზმიდან კომუნიზმში თან და თანობით გადასვლის მიჯნაზე წაიშლება.

შევეცდები მუშათა და გლეხთა კლასს შორის არსებული სხვაობა უფრო კონკრეტულ ფორმებში გამოვხატო, რისთვისაც მაგალითში დაუპირისპირებ მუშის და კოლმეურნე გლეხის მდგომარეობას./ ვინაიდან გლეხთა კლასში კოლმეურნე გლეხებია უმრავლესობა, ამიტომ შედარებისათვის კოლმეურნე გლეხი მოგვყავს/.

სასოფლო სამეურნეო არტელმა კოლმეურნე გლეხს, ძალიან ბევრი რამ მისცა, პირად სარგებლობაში დამხმარე მეურნეობის სახით დაუტოვა საკმაო ქონება. კოლმეურნე გლეხს პირად სარგებლობაში აქვს: საკარმიდამო ნაკვეთი, ჰყავს პირად სარგებლობაში პირუტყვი, ფრინველი და სხვა. მუშა მოსამსახურეთა ზოგიერთ ნაწილს ჯერ კიდევ აქვს თავისი პაწაწა პირადი მეურნეობა: საკარმიდამო მიწა, / ეზო / სადაც უფლება აქვს ბოსტნადაც გამოიყენოს, იყოლიოს პირუტყვი, ფრინველი და სხვა. საქმე იმაშია, რომ კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობასა და მუშის პირად მეურნეობას შორის არსებითი განსხვავებაა. მუშის პირადი მეურნეობა მხოლოდ პ ი რ ა დ ი ა და არა დ ა მ ხ მ ა რ ე. არა დამხმარეა იმისათვის, რომ მისი / მუშის / პირადი მეურნეობის ს პ ე ც ი ფ ი უ რ ო ბ ა ს საერთო არ აქვს მუშის სამუშაო წარმოებასთან ე.ი. მუშის სამუშაო მეურნეობა არ არის სოფლის მეურნეობა, მიწაზე მუშაობითი შრომა, არამედ იგი წარმოადგენს საწარმოო დაწესებულებას. კოლმეურნე გლეხის მდგომარეობა ამ მხრივ სულ სხვას წარმოადგენს, მისი დ ა მ ხ მ ა რ ე მეურნეობა უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა სასოფლო სამეურნეო არტელს, საზოგადოებრივ მეურნეობას. დამხმარე მეურნეობა კოლმეურნე გლეხის მთლიანი შესაბამის მეურნეობას წარმოადგენს, იმ საზოგადოებრივ მეურნეობისას, სადაც კოლმეურნე გლეხს უხდება ძირითადი მუშაობა. მუშის პირად მეურნეობიდან საშემოსავლო ნაყოფს აქვს მხოლოდ ე რ თ დ რ ო უ ლ ი საოჯახო მოხმარებითი ხასიათი, სადაც ხშირ შემთხვევაში მუშა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახისათვის ხმარობს პირად მეურნეობიდან შემოსავალს. ძალიან იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ მუშამ მწვანილი და რძე გაიტანოს ბაზარში გასაყიდად.

კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობა ამ მხრივ უფრო მეტი შანსებით ხასიათდება. თუ კოლმეურნის დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტები ძირითად შემთხვევაში კოლმეურნის ოჯახში მ ო ხ მ ა რ ე ბ ი თ ი სახეს ატარებს ზოგ შემთხვევაში / და არც ისე იშვიათია ეს შემთხვევები / დამზადებულ პროდუქტად გვევლინება ბაზარში გასასყიდად. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობა არსებითად ვერაფერს ვერ შეჰმნის საკოლმეურნეო ოჯახისათვის, თუ ძირითად მეურნეობის, კოლმეურნეობის საერთო შემოსავლიდან გამომუშავებული შრომა დღეების და მიხედვით უხვი მოსავალი არ მიიღო. რამდენადაც კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი საკუთრება, საკოლმეურნეო დოვლათი იზრდება, მაგრდება, ამდენად კოლმეურნე გლეხი შეძლებული და უხვ მოსავლის მქონე ხდება.

კოლმეურნეს კანონი არ უკრძალავს თავისი შრომით შექმნილ პროდუქტების გამოტანას გასასყიდად ბაზარზე, ამიტომ იგი იღებს ვაჭრობაში მონაწილეობას. ასეთი ვაჭრობა არ ეწინააღმდეგება საკოლმეურნეო ვაჭრობას, პირიქით იგი ხელს უწყობს ქალაქის და სოფლის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ესეც, რომ არ იყოს სახელმწიფო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი საბჭოთა ბაზრის რეჟიმი, ამას არ დაუშვებს, რადგან გლეხს, რომელსაც ბაზარში რაიმე საქონელი მოაქვს გასასყიდად, მას თან უნდა ჰქონდეს სოფ. საბჭოსაგან ცნობა იმის შესახებ, რომ მოტანილი პროდუქტი ნამდვილად მისია, საკუთარი შრომით შექმნილია. საბაზრო კომიტეტები ამ მხრივ თვითეულ გამყიდველს თვალყურს ადევნებენ, რათა ადგილი არ ჰქონდეს სპეკულიაციის არცერთ შემთხვევას.

რაც შეეხება ბაზარზე გამოტანილ გასასყიდ პროდუქტებზე ფასების. განსაზღვრის საკითხს იგი ისაზღვრება წინასწარ სახელმწიფოს მიერ. აქ გამყიდველის -"სურვილზე" როდია დამოკიდებული თუ რამდენიც სურს იმდენი დააფასოს თავისი გასაყიდი პროდუქცია, ჩვენ, რომ არაფერი ვსთქვათ სახელმწიფოს სხვა საბანკო ზომებზე-ფასების განსაზღვრის საკითხში, საბჭოთა ბაზრის შინაგანი რეჟიმი ისეა მოწყობილი, რომ თვითონვე განსაზღვრავს პროდუქტის ფასს. თუ გამყიდველმა საკმაოდ დაარღვია ფასების ნიხრი, ვთქვათ ქათამი 15 მანეთი ღირს და იგი 100 მანეთს თხოულობს-ასეთ ცალკეული შემთხვევები, ცალკეული კაპრიზები საერთო გავლენას ვერ მოახდენს ფასების აწევაზე. 15 მანეთიანი ქათამი 100 მანეთად მაინც არ გაიყიდება.

საკითხს დავასკვნათ: სახელმწიფო საკუთრების განსხვავება კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრებისაგან გამომდინარეობს მუშათა კლასის და გლეხთა კლასის თავისებური განსხვავებისაგან, სოფლისა და ქალაქს შორის არსებულ განსხვავებისაგან. მათი მთლიანი განვითარების პერსპექტივა ემყარება, უკვე, რომ ვსთქვათ გამოხატავს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ გეგმის ინტერესებს.

ამხანაგი მოლოტოვი საბჭოების 8 საგანგებო ყრილობაზე ამბობდა:

"სოც საკუთრების ორი ფორმა შედეგია მუშათა კლასის და გლეხთა კლასის არსებობის, რომელიც განსაზღვრავს ამ ორ კლასთა ეკონომიურ შინაარსის სოციალისტურ ერთ მთლიან სახეს. სოციალისტურ საკუთრებათა

ორ ფორმას შორის სხვაობის წაშლა არ უნდა გამომდინარეობდეს, რომელიმე ფორმის შემცირება-მოსპობით. პირიქით სახელმწიფო საკუთრების განვითარება, რომელიც უპასუხებს თავის ამოცანების მიღწევას, ისეთ განვითარებას, რის შედეგადაც ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობა წაშლილი იქნება, მაშინ კი კომუნიზმის პირველი ფაზა სოციალიზმი კი არ გვექნება, არამედ გვექნება მაღალი ფაზა მეცნიერული კომუნიზმი".

/ მოლოტოვი-ს საბჭ. საგანგებო ყრილობაზე/.

:-:-:-:-:-:

ვ- თ ა ვ ი.

## საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტი და სუბიექტი.

საკითხზე არსებითად მსჯელობისათვის აუცილებელია დახასიათებულ იქნეს საკოლმეურნეო საკუთრების ო ბ ი ე ქ ტ ი და ს უ ბ ი ე ქ ტ ი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში არასდროს არ ყოფილა სოციალისტური საკუთრების ცალკეული ფორმები ერთმანეთში აღრეული ანდა პირიქით ერთმანეთისაგან გამიჯნული. ჩვენი სამოქალაქო სამართლის მოქმედი კოდექსის 52 მუხლი განსაზღვრავს: " ა/ სახელმწიფოებრივი / ნაციონალიზაცია ქმნილი ქონება /, ბ/ კოოპერატიული და გ/ კერძო საკუთრება. საკოლმეურნეო საკუთრების ფორმის შესახებ მოქმედ კოდექსში არაფერი არაა ნათქვამი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოფლად კოლექტივიზაციამ გაიმარჯვა მოქმედი კოდექსის გამოსვლის დიდი ხნის შემდეგ. ახალ საკავშირო სამოქალაქო სამართლის

კოლექსში, საკოლმეურნეო საკუთრება შეცვლილი იქნება სათანადო მუხლით, როგორც სოციალისტური საკუთრების ერთ-ერთი ფორმათაგანი.

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებმა, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ საბჭოთა ქვეყნის სიძულვილით, იდეოლოგიური შემოტევა აწარმოებს გლეხთა კოლექტივის მეურნეობაში გაერთიანების საწინააღმდეგოდ. მავნებელთა აზრით ლენინის კოოპერატიული გეგმა თითქოს სოფლად ატარებს კერძო კაპიტალისტურ ხასიათს, საიდანაც მავნებლური დასკვნა გამოჰყავდათ. "კერძო კოოპერატიული და კერძო საკოლმეურნეო საკუთრება". ამხანაგმა სტალინმა მარქს-ენგელს ლენინის იდეა წვრილი დაქუცმაცებული კერძო გლეხური მეურნეობის მსხვილ მეურნეობაზე გადაყვანის შესახებ-სისრულეში მოიყვანა. გარდამავალი პერიოდში კერძოდ 1929 წელში ჩვენი განვითარების ეკონომიკის პრობლემის საკითხი ამხანაგ სტალინის მიერ ახლებურად იქნა დაყენებული, სადაც გენიალურად განსაზღვრა "დიადი გარდატეხის წლის" პოლიტიკური მნიშვნელობა; ამ საფუძველზე მშრომელთა გლეხობამ მიატოვა კერძო მეურნეობა - კერძო საკუთრებას თავი და წამოვიდა კოლექტიურ მეურნეობისაკენ-კოლექტიური საკუთრებისაკენ.

ამხანაგმა სტალინმა 1929 წელს აგრარნიკ მარქსისტთა კონფერენციაზე, თავის ისტორიულ სიტყვაში" აგრარული პოლიტიკის საკითხი საბჭოთა კავშირში," მოგვცა თეორიულ პოლიტიკური ანალიზი საკოლმეურნეო წყობის განვითარების საქმეში; თუ რა უპირატესობა აქვს მშრომელ გლეხობისათვის საკოლმეურნეო საკუთრებას-წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა. ამხანაგ სტალინმა ცხადჰყო სოციალისტური მეურნეობის ისტორიული მნიშვნელობა,

როგორც ერთად ერთი აუცილებელი და სწორი გზა მშრომელი გლეხობისათვის სოციალიზმში გადასასვლელად.

კაპიტალისტური სახელმწიფოებში კერძო მესაკუთრე ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მასშტაბით გააფართოვოს თავისი საკუთრება, ამ მიმართულებით კერძო საკუთრება ხშირ შემთხვევაში იქ აღწევს კიდეც თავის მიზანდასახულებას. იქ საკუთრება შექმნილია ექსპლოატაციის ნიადაგზე და ასეთი გაყვლეფის საფუძველზე კერძო საკუთრება სცილდება ერთი ორად თავის პირვანდელ სახეს. როდია პრინციპიალური განსხვავება კაპიტალისტურ ინდივიდუალურ კერძო საკუთრებასა / დამყარებული კაპიტალისტური წესის შრომაზე / და კაპიტალისტური "საერთო" საკუთრებას შორის. მათი წარმოშობის მიზეზები, ზრდის და განმტკიცების ბუნება ერთი და იგივეა. ორივე შემთხვევაში ექსპლოატატორული შრომის მაქსიმალური გამოყენებას აქვს ადგილი. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას; კაპიტალისტური კერძო საკუთრული მეურნეობა, მისი გაშლა გაფართოება დამყარებულია წვრილ სასაქონლო მეურნეობის სისტემის წარმოებაზე, რომელიც სხვას არაფერს გამოხატავს, გარდა წვრილ კერძო ინდივიდუალურ პირთა ინტერესებს-საწარმოო საშუალებებზე.

ვლაპარაკობთ ჩა კაპიტალისტურ საკუთრებათა ერთიან ფორმაზე ე.ი. საკუთრებაზე ს ა ე რ თ ო დ, ამავე დროს არსებობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო საკუთრებაც: მიწაზე, ტყეზე, რკინის გზაზე და სხვა ობიექტებზე. მაგრამ ასეთი საკუთრება საბჭოთა სახელმწიფო საკუთრებისაგან არსებითად განსხვავდებიან. ბურჟუაზიული სახელმწიფო საკუთრება- ეს ბურჟუაზიის დიქტატურის ნიშნავს მშრომელთა

მასის დასათრგუნავად, ასეთი საკუთრება ბურჟუაზიულ სინამდვილეში როდი ეწინააღმდეგება კაპიტალისტურ კერძო საკუთრებას, პირიქით ზოგ შემთხვევაში უხეშად ემთხვევიან ერთი მეორეს, ხელს უწყობს პირველი მეორეს. ამხანაგი სტალინი ამერიკის საგაზეთო გაერთიანების წარმომადგენელ როი ჰოვარდთან საუბრის დროს იძლევა კაპიტალისტურ სახელმწიფოების გერმანიისა და იტალიის "სახელმწიფოებრივი სოციალიზმის"- ულმობელ კრიტიკას.

" გამოთქმა" სახელმწიფოებრივი სოციალიზმი" არ არის ზუსტი. ამ ტერმინით ბევრი გულისხმობს ისეთ წყობილებას, რომლის დროსაც სიმდიდრის განსაზღვრული ნაწილი, ზოგჯერ საკმაოდ საგრძნობი, გადადის სახელმწიფოს ხელში ან მისი კონტროლის ქვეშ, მაშინ, როცა დიდ უმეტეს შემთხვევაში ქარხნების, ფაბრიკების, მიწის საკუთრება კერძო პირთა ხელში რჩება. ასე ესმის ბევრს" სახელმწიფო სოციალიზმი".

/ სტალინის_პასუხი ჰოვარდისადმი /

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ საბჭოთა სოციალისტური საკუთრების წარმოშობა და მისი საწყისი ექსპროპრიატორთა-ექსპროპრიაციაა, ძალდატანებითი ბრძოლის საშუალებაა. რაც შეეხება კოოპერატი-ლი-საკოლმეურნეო საკუთრების წარმოშობის საწყისია მშრომელთა გლეხობის ნებაყოფლობით გაერთიანების პრინციპზე ქონებათა განსაზოგადოება, სადაც კოლმეურნეობაში შესვლისთანავე გლეხი ანსაზოგადოებს შემდეგ ობიექტებს: გამწევ ძალას,-/ მუშა პირუტყვი/, სასოფლო სამეურნეო ინვენტარი / ურემი, სალეწი მანქანა, გუთანი და სხვა /, სათესლე ფონდი, ფურაჟი, სამეურნეო მნიშვნელობის ნაგებობანი- ყველა ეს განსაზოგადოებული ქონება

წარმოადგენს. ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო  ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს  ო ბ ი ე ქ ტ ს.

საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტის მოვლა- შენახვა, მისი შემდგომი განმტკიცება დამოკიდებულია შემდგომ კლასობრივ დარჩენილ ნაშთების.წინააღმდეგ ბრძოლასთან. ტროცკისტული განზრახვა "გლეხთა ექსპლოატაციის" შესახებ, "ამოქაჩვა სოფლის მეურნეობის ობიექტიდან სახსრების და მოხმარება ინდუსტრიალიზაციის საქმეს". მთელი გლეხობის გადაყვანა "სახელმწიფოებრივ სისტემაზე" ე.წ. აგრო ინდუსტრიალური კომბინატის შექმნის საკითხი სოფლად- ძირშივე მცდარია.

·იუდა ტროცკს გლეხობა ოქტომბრის რევოლუციამდეც კონტრრევოლუციონერ ძალად მიაჩნდა, სადაც ისტორიაში მომხდარ რევოლუციების დროს გლეხობა ყოველთვის რეაქციონერ ძალად გამოჰყავდა. გამყიდველმა ტროცკმა "დაასაბუთა" გლეხთა კლასის რეაქციონურობა და ბურჟუაზიის პროგრესიულობა იმით, რომ "პარიზის კომუნაში ტიერის წინააღმდეგ გამოყვანილი გლეხობა დამარცხებული იქნა". ამ თვალსაზრისით ტროცკი მტრულ დასკვნამდე მიდის: "რევოლუციაში გლეხობა კონტრრევოლუციონერია", "პროლეტარული რევოლუცია გლეხობის გარეშე."

დღესაც საზღვარგარეთ გამყიდველი ტროცკი, ბურჟუაზიულ პრესაში ჭორებს ავრცელებს იმის შესახებ, თითქოს "საბჭოთა კავშირის კოლექტივიზირებული გლეხობა ერთ მშვენიერ დღეს აჯანყდება საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და დაამხობს არსებულ ხელისუფლებას."

კონტრრევოლუციონერ შეხედულებამ გლეხთა საკითხში სათანადო დაღი დაასვა იუდიდურ თეორეტიკოს ტროცკსაც. ხალხის მტერმა პაშუკანისმა უარყო საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტი, აგრარული სამართალი დაინახა არა მეცნიერულ დისციპლინად,

რისთვისაც საკოლმეურნეო სამართლის კურსი კომაკადემიის პროგრამიდან ამოღებული იქნა, როგორც "უნაყოფო, " "არა საჭირო" და "ზედმეტი" დისციპლინა. მავნებლებმა აგრარული სამართალი ფლანქად ჩასჭედეს ე.წ. უნივერსალურ სამეურნეო სამართლის კურსში, რითაც განზრახ მიჩქმალეს საკოლმეურნეო სამართლის, როგორც ცალკე მეცნიერების განუზომელი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში.

როგორც დავინახეთ საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტის შექმნა და მისი განმტკიცების საქმე არც ისე იოლი იყო. საკოლმეურნეო მოძრაობის მთელი ისტორია განვლილია არა თვით დინებით, კლასობრივი ბრძოლის გარეშე, როგორც ეს ესმოდათ მემარჯვენე ოპორტუნისტებს და რაზედაც ამხანაგმა სტალინმა შეუბრალებელი მახვილი ჩასცა ბუხარინის დამპალ ოპორტუნისტულ თვით დინების "თეორიას", არამედ იგი მიღწეულია ბოლშევიკური შეტევის და კლასობრივი ბრძოლის ტრადიციით. პარტიამ და ხელისუფლებამ, საკოლმეურნეო ობიექტის განვითარების საქმეს ყოველმხრივ ხელი შეუწყო. ჯერ კიდევ 1931 წლიდან 1934 წლამდე, 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ბანკიდან კოლმეურნეობებზე გაცემული იქნა გრძელვადიანი კრედიტი 19,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

1932 წელს 10 ნოემბერს საკ.ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ გამოდის დრის შესანიშნავი დადგენილება, რომელმაც მოგვცა საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტის ზუსტი განსაზღვრა, დასახელებულ დადგენილებით საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტად აღიარებულია შემდეგი ქონება:

" 1/ კოლმეურნეობაში არსებული საწარმო საშუალებანი როგორიცაა: მუშა პირუტყვი, სამეურნეო ნაგებობანი, სასოფლო სამეურნეო ინვენტარი და სხვა მატერიალური ღირებულებანი.

2/ისეთი საწარმოო საშუალებანი, რომელიც თვით კოლმეურნეობის მიერაა შეძენილი, ანდა სახელმწიფოს მიერ გადაცემული კრედიტით, როგორიცაა: წისქვილი, სახელოსნო, სარძეო ფერმა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა.

3/ისეთი ქონება, რომელიც ზემდგომ ორგანოს ან ადგილობრივ საბჭოს, ანდა რაი აღმასკომის დადგენილებით გადაეცა კოლმეურნეობას, როგორიცაა: კულაკების ქონება, უპატრონო ქონება, რომელიმე ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო დარჩენილი ქონება და სხვა.

4/ ფულადი სახსრები და მთლიანი შემოსავალი კოლმეურნეობაში".

დადგენილებამ ისიც გაითვალისწინა, რომ მსხვილ საკოლმეურნეო საწარმოო ობიექტებიდან შემოსავალი ნატურის სახით, მთლიანად კოლმეურნეობას უნდა დარჩეს.

საკითხი იმის შესახებ! არის თუ არა სახელმწიფოებრივი საკუთრების ობიექტი, რომელიც ამავე დროს შეიძლება საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტად იყოს? თუ აქვს ამ მხრივ კოლმეურნეობას საგამონაკლისო უფლება?

სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ მოითხოვა მიწისა და მისი წიაღის, ტყისა და მისი შემოსავლის ახალი წესით დამუშავება, ხოლო საკოლმეურნეო მინდორ-ველის ახალი აგრო ტექნიკურად დამუშავებამ დააყენა საკითხი სპეციალური სასოფლო სამეურნეო მანქანა იარაღების დაწესებულებათა შექმნისათვის. ამ თვალსაზრისში სახელმწიფომ კოლმეურნეობას გადასცა სარგებლობის ობიექტად თავისი საკუთრების ზოგიერთი სახეები.

იყო მავნებლური შეხედულება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო საკუთრების ობიექტი ამავე დროს საკოლმეურნეო

საკუთრების ობიექტს წარმოადგენს, მაგალითად მიწა, მისი წიაღი, ტყე და სამანქანო სატრაქტორო სადგურები.

მავნებლებს არ უნდოდათ გაეგოთ, რომ სახელმწიფო საკუთრების ზოგიერთი ობიექტი, კოლმეურნეობაზე გადადის არა როგორც საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტად, არამედ გადადის, როგორც მფლობელობის გამოყენებისა და მომსახურების თვალსაზრისით. მიწა, რომელიც სახელმწიფო საკუთრების ობიექტს შეადგენს-გადაცემულია კოლმეურნეობაზე მიწის უვადო / სამუდამო/ სარგებლობის სახელმწიფო აქტით. კოლმეურნეობას მიწად სარგებლობის შეუზღუდავი უფლება აქვს, მაგრამ მისი გაყიდვის, სხვაზე გადაცემის ან გაჩუქების უფლებას მოკლებულია.

მთელი შემოსავალი სახელმწიფო საკუთრების ობიექტდან, რომელიც კოლმეურნეობის სარგებლობის ობიექტად არის გადაცემული-წარმოადგენს საკოლმეურნეო საკუთრებას.

მეორე მხრივ კოლმეურნეობა სახელმწიფოს მიერ შეზღუდულია ისეთ სახელმწიფოებრივი საკუთრების ობიექტზე სარგებლობის უფლებას, რომელიც თვით სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამის შესახებ 1938 წელს 23 ოქტომბერს საკ.სახკომსაბჭომ სპეციალური დადგენილება გამოიტანა, სადაც ნათქვამია: "კოლმეურნეობის მიერ სამრეწველო ქვანახშირის წარმოებათა მოწყობის შესახებ, დღემდე არსებული პრაქტიკა სასტიკად აიკრძალოს". ამიტომ ვლაპარაკობთ ჩვენ, კოლმეურნეობის წესდების თავისებურებაზე, რომ კოლმეურნეობამ მხოლოდ ამ წესდებით უნდა იმოქმედოს, წესდების გადახვევა ნიშნავს კოლმეურნეობის მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას.

სტალინური კონსტიტუციის 6- და 7 მუხლების თანახმად კოლმეურნეობა წარმოადგენს იურიდიულ პირს. რომლის ამოცანას და მიზანდასახულობას განსაზღვრავს სასოფლო სამეურნეო არ-

ველის სანიმუშო წესდების 1 და 6 მუხლები; ამ საფუძველ-ზედ საკოლმეურნეო საკუთრების ს უ ბ ი ე ქ ტ ა დ გამოდის ცალკეული კოლმეურნეობა, ცალკეული კოოპერაციული გაერთიანებანი, რომლებიც თავიანთი საკუთრების უფლება მოსილობის მხრივ დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენენ.

საბჭოთა კანონით, საკუთრების სუბიექტად ყველას შეუძლია გამოვიდეს, როგორც დაწესებულება იურიდიული პირი, ასევე პიროვნება- ფიზიკური პირი; თუ კი ჩვენი კანონის მიერ რაიმე მიზეზის გამო სუბიექტი არაა შეზღუდული.

ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო მეფის კანონმდებლობის მიერ დაწესებული კატეგორიათა სისტემა საკუთრებაზე სუბიექტობის უფლების მინიჭებისათვის. თუ მეფის დროს უფლება არ ჰქონდა ებრაელს, პოლსკის წარმოშობის პირებს და უცხოელებს, გამხდარიყვნენ საკუთრების სუბიექტად-ჩვენში, ამ მხრივ ასეთი სოციალურ და ნაციონალური კატეგორია დიდი ხანია უარყოფილია.

საკოლმეურნეო საკუთრების სუბიექტი ყოველთვის დაინტერესებულია საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტის მოვლა-შენახვის საქმეში. ფიზიკური პირის, კოლმეურნე გლეხის უფლება მოვალეობა საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის საქმეში- განუსაზღვრელია. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ავღნიშნოთ საბჭოთა მოქალაქის, ამ შემთხვევაში კოლმეურნე გლეხის უფლება-მოვალეობის საკითხიც.

ჩვენს ეპოქაში ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ადამიანი, ადამიანი ახალი ჩვევებით კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი. ამხანაგი

სტალინი გვასწავლის: ყველაზე ძვირფას კაპიტალს ადამიანი წარმოადგენს. მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე საზოგადოების განვითარების ისტორია თანდათანობით ხდება, სადაც არსებითად იცვლება ერთი ფორმაცია- მეორეთი, ძველი ახლით, წარსული- მომავლით. იგივე შეიძლება ითქვას ბუნებაზე-ადამიანზედაც, თუ ადამიანის მიზანშეწონილი ზემოქმედება სცვლის ბუნებას, ეუფლება მას, ამავე დროს სცვლის თავისთავსაც. მარქსის სიტყვებით, "ადამიანი სცვლის რა ბუნებას სცვლის თავისთავსაც"ო. სოციალისტური მეურნეობის ტიპი საწარმოო პროცესში განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობის დამოკიდებულების საკითხს, მის ფიზიონომიას, საკოლმეურნეო საწარმოო პროცესი განსაზღვრავს ერთის მხრივ კოლმეურნის დამოკიდებულებას საწარმოო საშუალებისადმი, მეორეს მხრივ თვით კოლმეურნე გლეხის თავისებურ შეგნებას, .

" მაშასადამე, საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების ყველაზე მოძრავ და რევოლუციონურ ელემენტს-ჯერ იცვლებიან და ვითარდებიან საზოგადოების საწარმოო ძალები, შემდეგ კი, ამ ცვლილებების მიხედვ ი თ  დ ა  მ ა თ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ იცვლებიან ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი ადამიანთა ეკონომიური ურთიანობანი".

/საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ.148 /.

საკოლმეურნეო წყობა, როგორც სოციალისტური ტიპის მეურნეობა თავისი საწარმოო საშუალებებით აერთიანებს ადამიანთა გარკვეულ ნაწილს- მშრომელ გლეხობას, გლეხობას, რომლის შეგნებაშიაც შემოსვლამდე შეიძლება კერძო მითვისებათა ტენდენცია უფრო სჭარბობდა, ვინემ სოციალისტური.

კოლმეურნეების შეგნებაში ასეთი ტენდენციის, თანდათანობით გარდაქმნა, სოციალისტურ მეურნეობამ თავის განვითარების პროცესში იმ ყაიდაზე უნდა მოახდინოს, როგორც თვით მეურნეობის ბუნებაა შექმნილი. საკოლმეურნეო წყობა კოლმეურნის შეგნებაში ქმნის ახალ კულტურულ, შეგნებულ და განათლებულ სოციალისტურ კლასობრივ ნორმებს.

კოლექტივიზაციის დაგვირგვინებამ-სოფლად, მოგვცა "საბჭოთა გლეხობა - ეს სრულიად ახალი გლეხობაა"/ სტალინი/, რომელიც მუშათა კლასის შეგნების დონეს თანდათანობით უახლოვდება, კლასი, რომელიც სახელმწიფოებრივ მმართველობის სისტემაში მუშათა კლასს გაუთანასწორდა, რასაც სტალინური კონსტიტუციის გადამუშავებისთანავე ვკითხულობთ: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო". / კონსტიტუციის 1-მუხლი /.

გლეხთა კლასის სოციალისტურ ბუნებამ დადებითი გავლენა მოახდინა თავისი კლასში შემავალ წევრთა-კოლმეურნე გლეხთა მიმართ, კოლმეურნე გლეხობა მშრომელთა ახალი ტიპის გლეხობაა, საკმაოდ შეგნებული, ნდობით აღჭურვილი და საიმედო ძალა. პარტია და ხელისუფლება მშრომელთა გლეხობას სათანადოდ აფასებს, ენდობა მას, უსმენს მას. ობიექტური სიამაყეა თუ კოლმეურნე გლეხი იტყვის: "კოლმეურნეობაში შესვლამდე ორშაბათს ხელისუფლებისათვის დასაყრდენი არ ვიყავი, ხოლო კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ, სამშაბათს ხელისუფლებისათვის დასაყრდენი გავხდი". ( აქ ვგულისხმობ საშუალო გლეხობას, რადგან ღარიბი გლეხობა კოლექტივში შესვლამდეც დასაყრდენი იყო).

აქ ჩვენ დავინახეთ საკოლმეურნეო საკუთრების სუბიექტის განუზომელი პრივილეგია, რომელიც თავისი წარსულ სახე სხვა-

ობისაგან იმდენად და იმდაგვარად განსხვავება, რამდენადაც და როგორადაც განსხვავდება თანამედროვე ადამიანი-კომუნისტური საზოგადოების ადამიანისაგან.

სსრ კავშირი გახდა ახალი ადამიანის, ადამიანთა ახალი საზოგადოებრივი მოწინავე ყოფაცხოვრებითი ქვეყნად. გვევლინება სოციალისტური დიდ სამშობლოში-სოც შეჯიბრების დამკვრელობის და სტახანოვურ სისწრაფით შემოქმედებითი ნოვატორობის საფუძველზე ხდება ადამიანთა ურიდესი გარდაქმნა. დროთა მსვლელობაში თანდათანობით ქრება წამგლეჯური, კერძო მესაკუთრული და ანტი საზოგადოებრივი ზნე ჩვეულებანი, რაც მემკვიდრეობით მიიღებული კაპიტალიზმიდან. სტახანოვური შრომის წარმტაცი პირობები ხელს უწყობს ბოროტმოქმედებათა და უძღების დამრღვევთა დაუყონებლივ აღმოფხვრის საქმეს. საკოლმეურნეო ცხოვრებაში ინერგება საზოგადოებრივი ინტერესისადმი სიყვარული, რაც გადაიქცა კოლმეურნეთა შეგნებაში კომუნისტური პრინციპების გამომუშავების ურიდეს ძალად. შრომის და საზოგადოების მიმართ სტახანოვური სულისკვეთებით დამოკიდებულების ურთიერთობამ, შექმნა მოწინავე მეცნიერება, წარმოშვა მოწინავე ადამიანები, მამაცი მკვლევარები, საბჭოთა გმირები. ადამიანები, რომლებიც ეუფლებიან ჰაერისა და ზღვის სიღრმეს, დედამიწის მთლიან საიდუმლოებას, ხდებიან სახალხო მეურნეობის ნოვატორები; პაპანინი, კოკინაკი, სტახანოვი, ბუსიგინი, დემჩენკო, ანგელინა, აკადემიკოსები სოფლის მეურნეობის დარგში: ვილიამსი, გედროიცი, ლისენკო, მიჩურინი, ციცინი, და სხვები.

ადამიანთა შეგნებაში მუშავდება კომუნისტური საზოგადოების პრინციპები. მომავალში კომუნისტურ საზოგა-

დოების ადამიანები, ყოველმხრივ, კულტურა- განათლებულნი და შეიარაღებულნი იქნებიან, რომელნიც დაჰკარგავენ თავიანთ ძირითად "პროფესიას". კოლმეურნე გლეხი, როგორც მხოლოდ სოფლის მეურნეობაში მომუშავე- კომუნიზმის დროს იგი ამ სახელწოდებას " დაჰკარგავს", სამაგიეროდ შეიძენს უნივერსალურ ცოდნას, რომლის სახითაც მეტად რთულ და მეცნიერულ სხვადასხვა ფუნქციების შესრულება მოუხდება. ამის შესახებ ენგელსი შემდეგს სწერდა:

" კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც არავინ არ არის შეზღუდული მოქმედების განსაკუთრებული წრით, არამედ თითეულს საშუალება ექნება იყოს განსწავლული ამა თუ იმ დარგში. საზოგადოება აწესრიგებს მთელ წარმოებას და ამიტომ მე მიქმნის შესაძლებლობას დღეს გავაკეთო ერთი რამ, ხოლო ხვალ მეორე, დილით ვინადირო, შუადღის შემდეგ ვითევზაო, საღამოს მეცხოველეობაზე ვიმუშაო, სადილის შემდეგ ხელი მოვკიდო კრიტიკას, როგორც ჩემს სურსა და გულს უნდა-და ამის ძალით არ გ ა დ ა ვ ი ქ ც ე მ ო ნ ა დ ი რ ე თ, მ ე თ ე ვ ზ ე თ, მწ ყ ე მ ს ა დ ან კ რ ი ტ ი კ ო ს ა დ ო."

/ ენგელსი-გერმანული იდეოლოგია გვ. 39./

ამრიგად: როგორც თვისებური განსხვავებაა კომუნისტურ საზოგადოების მაღალსა და დაბალ ფაზას შორის, ასეთივე განსხვავება იქნება თანამედროვე ადამიანსა და კომუნისტურ საზოგადოების ადამიანთა შორისაც, თანამედროვე საკუთრების სუბიექტსა და კომუნისტური საზოგადოების დოვლათის სუბიექტს შორის.

კოლმეურნე გლეხის მისწრაფება შეგნება კერძო მითვისების მხრივ ჯერ კიდევ დროებით, მაგრამ მაინც განიცდის კაპიტალისტური სულისკვეთების დარჩენილ ნაშთის ერთგვარ გავლენას: კერძო გლეხი კოლმეურნეობაში შესვლისთანავე ერთბაშად როდი თავისუფლდება ინდივიდუალიზმის ჩვეულებისაგან. ამის შედეგი იყო, რომ კოლექტივიზაციის გამარჯვების წლებში კლასობრივი მტრის ნაშთები საკმაო გავლენას ახდენენ ზოგიერთ ასეთ კოლმეურნეების მიმართ. კაპიტალიზმის ნაშთები დარჩენილია კოლმეურნეთა შეგნებაში. კოლმეურნე გლეხის შეგნება თავისი განვითარებაში ჩამორჩება მის ფაქტიურ მდგომარეობას. კაპიტალიზმი, მისი დაღუპვის შემდეგაც კი წინააღმდეგობას უწევს ახალი წყობილების შექმნას, მისი დრომოჭმული ნაშთები ზოგჯერ პრაქტიკულ გამოვლინებას ჰპოვებს ადამიანთა შეგნებაში. დღეს კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც ებღაუჭებიან წვრილ-მესაკუთრულ და წამგლეჯური მორალს. ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან კოლმეურნეობებში ადამიანები უკეთ, რომ ეთქვათ მუქთამჭამელნი, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება. მეტი წაჰგლიჯონ კოლმეურნეობას თითონ-არაფერი გააკეთოს, სხვისი შრომით იცხოვროს. ასეთი კოლმეურეები ეფარებიან კოლმეურნეობას მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამორჩენის მიზნით.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის ამოცანა ჩვენი პარტიის 18 ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღებით განიხილა, რომლის დირექტივის საფუძველზე გამოდის 1939 წლის 27 მაისში საკ.კ.პ./ბ/ და სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილება.

1933 წელს კლასობრივმა მტრებმა-სოფლად, თავისი ბრძოლის ტაქტიკა შესცვალა, როდესაც კულაკობა კოლმეურნეობის წინააღმდეგარედან აშკარა ბრძოლით ვერაფერს გახდნენ, შესცვალეს

იერიშის ხერხი. მეტად "ენატკბილ", "მშრომელ" მოქალაქე, თვალთმაქცურ-ნიღბით მოგვევლინენ და მოახერხეს გაძრომა კოლმეურნეობებში."ყოფილი" ხალხი ახერხებდა კოლმეურნეობის "საკუჭნაოებში" მოწყობას,რითაც კოლმეურნეობაში შიგნით მიიმხრო ცალკეული წევრები. და ამიტომ [redacted] კლასობრივი ბრძოლა შიგნიდან დაიწყო. ადგილი ჰქონდა უამრავ ფაქტებს იმის შესახებ,თუ შეპარული კულაკები,როგორ ანადგურებდნენ საკოლმეურნეო პირუტყვს, საკოლმეურნეო ქონებას და როგორ აწარმოებდნენ კოლმეურნეობის შიგნით თავიანთ კლასობრივ შურისძიებას. ამხანაგი სტალინი ამის გამო თავის დროზე გვაფრთხილებდა.

" კოლმეურნეები მდგომარეობით უკვე ერთპიროვნული მეურნეები კი არ არიან,არამედ კოლექტივისტები,მაგრამ მათ ჯერჯერობით ძველი კერძო მესაკუთრული ჩვევება აქვთ. და აი ყოფილი ადამიანები ექსპლოატატორული კლასთა რიგებიდან იყენებენ კოლმეურნეთა-კერძო მესაკუთრულ ჩვევებს,რათა მოაწყონ საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა და ამით შეარყიონ საბჭოთა წყობილების საფუძველი- საზოგადოებრივი საკუთრება."

/სტალინი_ლენინიზმის საკითხები გვ.600-601-./

კოლმეურნის ჩვევებში კერძო მესაკუთრული ტენდენციების აღმოფხვრა თანდათანობით უნდა მოხდეს.და როდესაც ზოგიერთ ადგილებში ასეთ ჩვევების გამომჟღავნებას ადგილი აქვს არ უნდა იქნეს იგი შეფასებული რაიმე მტრულ კლასობრივი ქმედობად. მაგალითად კოლმეურნე პეტრიაშვილი,რომელიც სრულიად შემთხვევით შედის კოლმეურნეობის კანცელარიაში,სადაც არავინ არაა, იღებს კოლმეურნეობის შრომა დღეების დავთარს და იმ გრაფში,სადაც თავისი გვარი სწერია,60- შრომა დღეს

მიუწერა 0- გაუხდა 600 შრომა დღე. ასევე გადაასწორა თავის, ხელით მქონე შრომა დღეების წიგნაკში. რა გააკეთა ამით კოლმეურნე პეტრიაშვილმა? ყოველივე ეს იმისათვის, ხომ არ ჩაიდინა, რომ კოლმეურნეობა გაეღარიბებინა? ანდა კოლმეურნეობა დაემალა? არა! სრულიადაც არა! ასეთი მოქმედება კოლმეურნის უნდა მიეწეროს სწორედ მის შეგნებაში ჯერ კიდევ არსებულ კერძო მითვისებათა კაპიტალისტურ ნაშთებს. მის შეგნებაში მითვისებათა მავნე ტენდენციების სიცოცხლეს, ესეთ კერძო მითვისებათა დარჩენილ სურვილმა აამოქმედა კოლმეურნე პეტრიაშვილი, ასეთ დანაშაულის ჩადენისათვის.

ამით ჩვენ არ ვამართლებთ დასახელებულ კოლმეურნეს, რომ ყოველივე მან ეს სწორად ჩაიდინა. ცხადია მისი მოქმედება ეწინააღმდეგება საკოლმეურნეო პატიოსან შრომის რეჟიმს, ჰპარავს კოლმეურნეობას და ითვისებს, რაც არ ეკუთვნოდა მას; ამაზე კანონიც სათანადო პასუხს მოსთხოვს, მაგრამ კლასობრივი რეპრესიის მთელი სიმძიმით დასჯა ასეთი მოქმედებისათვის არ იქნება სწორად შეფარდებული. დასახელებულ მოქმედების კვანძი უნდა ვეძიოთ სოციალიზმის ეპოქის თავისებურებაში, კოლექტიურ მეურნეობის თავისებურებაში, ჯერ კიდევ მითვისებათა კერძო სურვილების არსებობაში.

ჩვენ სხვაგვარად შეგვეძლო გვემსჯელა თუ კი იგივე კოლმეურნე მოცემულ მოქმედების ნაცვლად სხვაგვარ ზიანს მიაყენებდა კოლმეურნეობას. მას, რომ განზრახ კოლმეურნეობის ძნისათვის ცეცხლი წაეკიდებინა, თუნდაც დამწვარ ძნის ღირებულება შედარებით მცირე ყოფილიყო, მოპარულ შრომა დღეების ღირებულებაზე - აქ მაინც მოქმედებათა შორის არსებითი განსხვავებაა, მეორე სახის მოქმედებაზე ჩვენ ვეღარ"დავაბრალებთ" კოლმეურნის შეგნებას, კერძო მითვისებათა სურ-

ვილის ტენდენციას. აქ მოქმედება ჩადენილია კლასობრივი ანტი საკოლმეურნეო და მტრული თვალსაზრისით, რასაც ჩვენი კანონის რეპრესიული მთელი სიმძიმე გამოყენებული უნდა იქნეს ასეთ დამნაშავის წინააღმდეგ.

ამრიგად, ძველ კერძო მესაკუთრეობრივ შეხედულებათა გავლენის ქვეშ მოქცეული რჩება კოლმეურნეობათა ჩამორჩენილი ნაწილი, რომელიც ჩადის ასეთ დანაშაულს. ამ დროს კოლმეურნეთა მოწინავე შეგნებულ ნაწილს უხდება ბრძოლა წვრილ კერძო მესაკუთრულ ნაშთების გამოვლინების წინააღმდეგ. შეიძლება თუ არა ჩვენ დავასკვნათ, რომ ასეთი ბრძოლა შიგნით კოლმეურნეობაში წარმოადგენს კლასობრივ ბრძოლას და იგი არ განსხვავდება კოლმეურნეობის გარეშე ბრძოლისაგან? არ განსხვავდება ერთპიროვნულ სოფელში წარმოებულ ბრძოლისაგან, სადაც საქმე გვაქვს ექსპლოატატორულ კლასებთან? ცხადია არა! კოლმეურნეობაში შიგნით ასეთი ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა, არ არის კლასობრივი ბრძოლა." საქმე ეხება ბრძოლის კოლმეურნეობების წევრთა შორის, რომელთაგან ერთი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ინდივიდუალურ და კულაკურ ნაშთებისაგან და ცდილობენ გამოიყენონ მეურნეობებში არსებული ერთგვარი უთანასწორობა თავიანთი სასარგებლოთ, ხოლო მეორეთ სურთ გააძევონ კოლმეურნეობებიდან ეს ნაშთები და ეს უთანასწორობა" /სტალინი ლენინიზმის საკითხები გვ. 63 /.

ამიტომ ვლაპარაკობთ კოლმეურნეობაში ასეთი ბრძოლის თავისებურებაზე, რომლის შინაარს უნდა შეადგენდეს სისტემატიური ზემოქმედება, დარწმუნება და ამხანაგური გაფრთხილება კოლმეურნის, ვიდრე ერთბაშად უკიდურესი ღონისძიების მიღება- გარიცხვა კოლმეურნეობიდან.

. სასოფ. სამ. არტელის სანიმუშო წესდების 17 მუხლი იძლევა კოლმეურნის მიმართ აღმზრდელობითი პოლიტიკურ უამრავ ღონისძიებებს, სადაც დაგმობილია შრომის დისციპლინის და წესდების დარღვევისათვის კოლმეურნის ერთბაშად გაკიცხვა, ადმინისტრაციული დასჯა. დასახელებულ მუხლში მოცემულია წინასწარ აღმზრდელობითი მთელი რიგი ღონისძიებები, როგორიცაა:- ხელახლად გადაკეთება ცუდად შესრულებულ სამუშაოსი, შრომა დღეების დაურიცხავად, გაფრთხილება, საყვედური, გაკიცხვა, საერთო კრებებზე, შავდაფაზე შეტანა, ჯარიმა 5 შრომა დღემდე. დაბალ სამუშაოზე გადაყვანა, სამუშაოდან დროებით გადაყენება და ყოველივე ამან თუ არ გასჭრა უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია გარიცხოს კოლმეურნეობიდან.

1935 წელს 12 დეკემბერს საკ.კ.პ./ბ/ ც.კ. და სახკომსაბჭოს მიერ გამოდის სპეციალური დადგენილება - იმის შესახებ, თუ როგორი სიფრთხილით და მთელი სერიოზული ყურადღებით უნდა მოეპყრან კოლმეურნეობიდან კოლმეურნის გარიცხვის საქმეს და როგორი მასიური პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა უნდა იქნეს გაშლილი ამ მხრივ.

პარტია და ხელისუფლება თავის 1938წ.19-აპრილის სპეციალური დადგენილებით სასტიკად ჰგმობს კოლმეურნეობიდან გარიცხვის მასიურ პრაქტიკას, სადაც ხშირ შემთხვევაში გარიცხვა ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებებით ხდებოდა. მოვიყვანოთ მაგალითები: "ნიკოლაევსკის ოლქის", პიატილეტკის" სახელობის კოლმეურნეობიდან გარიცხა კოლმეურნე ქალი პარფენოვა, რომელიც არა ერთხელ იყო დაჯილდოებული სტახანოველი მუშაობისათვის. გარიცხეს იმისათვის, რომ მისი

ქმარი კოლექტივიდან გადავიდა ქარხანაში მუდმივ სამუშაოზე.

ბაშკირეთის ასსრ, ბელებეევსკის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლექტივიდან გარიცხა მწველავი ქალი ციუპპე, მხოლოდ იმისათვის, რომ მას, რადგან ხელი სტკიოდა მოითხოვა სხვა სამუშაოზე გადასვლა.

/ მაგალითები მოყვანილია საკოლმეურნეო სამართლის სახელმძღვანელოდან გვ. 266 /.

1938 წ. 19 აპრილის დადგენილებამ ბოლო მოუღო ასეთ ანტი საკოლმეურნეო დისციპლინის განმტკიცებას, (აკრძალა) კოლმეურნეობაში წმენდის პრაქტიკა-შრომის დისციპლინის ასეთ "დამრღვევებისათვის" [redacted] დადგენილებით პ/გებაში მიეცემა, როგორც თანამდებობრივი დამნაშავენი ყველა ის, ვინც უდანაშაულოდ გარიცხავს კოლმეურნეობიდან წევრებს.

ვლაპარაკობთ რა კოლმეურნის ესოდენ გაზრდილ უ ფ ლ ე ბ ი ს შესახებ, რომელიც მინიჭებული აქვს სტალინური კონსტიტუციით და სანიმუშო წესდებით, ამავე დროს იგი მ ო ვ ა ლ ე ც არის, რათა ასეთი უფლებები სწორად გამოიყენოს. კოლმეურნემ უნდა იგრძნოს უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო ქონებისადმი: " არტელის ყველა წევრი მოვალეა გაუფრთხილდეს თავის საკოლმეურნეო საკუთრებას, კოლმეურნეობათა მინდვრებზე მომუშავე სახელმწიფო მანქანებს, პატიოსნად იმუშაოს, დაემორჩილოს წესდებას". / არტელის წესდება 17 მუხლი/

სტალინურმა კონსტიტუციამ ჩვენი საკუთრების მიმართ საბჭოთა მოქალაქეობის მოვალეობა 131 მუხლში განსაზღვრა:

" სსრ კავშირის თითოეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება...., ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ

საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას წარმოადგენს ხალხის მტრები"./ კონსტიტუციის 131 მუხლი /.

ისეთი კოლმეურნე, რომელიც საკოლმეურნეო საკუთრებას აფუჭებს, მანქანა იარაღებს ამტვრევს, უდიერად ეპყრობა პირუტყვის მოვლის საქმეს და ღალატობს საკოლმეურნეო ობიექტის მოვლა-შენახვის საქმეს, არტელის წესდების 18 მუხლის თანახმად ასეთი კოლმეურნე პასუხისგებაში ეძლევა სისხლის სამართლის წესით და მას შეეფარდება 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი.

საკითხს დასკვნა გავუკეთოთ. საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტის შექმნა-განმტკიცებისათვის სოციალისტური შრომაა გამოყენებული. სოციალისტური შრომა სხვანაირად კოლექტიურ შრომად გამოითქმის, რომელიც აკავშირებს ადამიანებს კოლექტიური შრომის პროცესში, თავს იყრიან ცალკეული ინდივიდები ერთ მთლიან კოლექტიურ კავშირში, სადაც ინდივიდის და კოლექტივის ასეთი კავშირი აძლიერებს კოლექტივის ძალას. ასეთი სიძლიერეში ინდივიდის ინტერესი ყოველთვის ემთხვევა კოლექტიურ ინტერესებს. კოლმეურნე გლეხის პირადი ინტერესი ემორჩილება საზოგადო - საკოლმეურნეო ინტერესს. საკოლმეურნეო საკუთრების ობიექტი შეთავსებული უნდა იქნეს კოლმეურნის პირად საკუთრების ობიექტთან. ასევე შეთავსებული უნდა იქნეს კომლის პირადი საკუთრების ობიექტი-საკოლმეურნეო საზოგადოებრივ ობიექტთან.

ამხანაგი სტალინი 1934 წელს 23 იანვარს ინგლისელ მწერალ ჰ.დ. უელსთან საუბრის დროს ამბობდა:

" შეურიგებელი კონტრასტი ინდივიდუმსა და კოლექტივს შორის, ცალკე პიროვნებასა და კოლექტივის ინტერესებს შორის არ არსებობს, არ უნდა არსებობდეს. იგი არ

უნდა არსებობდეს ვინაიდან კოლექტივიზმი, სოციალიზმი კი არ უარყოფს, არამედ ათავსებს ინდივიდუალურ ინტერესებს კოლექტივის ინტერესებთან, სოციალიზმს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პირადი ინტერესების ყველა სრული დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას. უფრო მეტი-, სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესთა დაცვის ერთადერთ მტკიცე გარანტიას".
/ სტალინი- ლენინიზმის საკითხები გვ. 710 /.

:-:-:-:-:-:-:-:

4 -თ ა ვ ი.

## საკოლმეურნეო კომლი.კოლმეურნის პირადი და საზიარო საკუთრება.

ახსოვდა როგორ არა და აღიარებდნენ კიდეც საზოგადოების განვითარების საფეხურთა ცალკეული ეპოქები პ ი რ ა - დ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს თავისებურ სახეს. განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ მონათმფლობელურ საზოგადოებაში პირად საკუთრების ობიექტად თვით მონა იყო აღიარებული.— აღნიშნული საზოგადოება არამც თუ სცნობდა ასეთ საკუთრების არსებობის პრინციპს, არამედ უამისოდ არც შეეძლო არსებობა. წარმოუდგენელი იყო მონათმფლობელთა მიმართ საკუთრებათა ისეთი უფლების შეკვეცა, როგორიცაა მონისადმი, როგორც "ნივთისადმი" ყოველგვარი დამოკიდებულების აკრძალვა /მონის ყიდვა-გაყიდვა, ცემა-წამება, გაჩუქება-გადაგდება და სხვა /. ეს ხომ მათთვის კანონმდებლობაში საკუთრების გავულგარება იყო.

პირად საკუთრების შესახებ, ფეოდალურ ბატონყმურ საზოგადოებაში ცოტა სხვანაირად სდგას საკითხი. შეიძლება მას "შედავათი" არ უწოდოთ ჩაგრული კლასის მიმართ-, მაგრამ მაინც შედარებითი განსხვავება არის, მათ შორის ერთი კი საეთო დარჩა: ადამიანზე-ყიდვა-გაყიდვის უფლებათა შენარჩუნება, ამას ხელი შეუწყო იმ მდგომარეობამაც, რომ ფეოდალებს არ ჰყავდათ საკუთარი საკმაო ფიზიკური მომუშავე ძალა, რისთვისაც საჭიროდ " გახდა" ასეთი ძალის შეძენა-ყიდვა-გაყიდვის წესით.

" შედავათი" და " განსხვავება " მონასა და ყმას შორის მდგომარეობდა იმაში, რომ მონა არ იყო სამოქალაქო უფლების სუბიექტი-ის თვითონ იყო საკუთრების ობიექტად ქცეული. ყმა კი ამ მხრივ "დამოუკიდებელია" ფეოდალ-ბატონისაგან, უფლება აქვს ყმას საკუთარ თავზე იზრუნოს, შექმნას ოჯახი, შეირთოს ცოლი / თუმცა პირველი ღამის უფლება ბატონებს შერჩათ /, გააჩინონ შვილები, იქონიონ პირადი საკუთრება და ა.შ.

ყმა, შიგნით თავის საკუთარ ოჯახში უფლება მისილია კუთვნილ პირადი საკუთრებისადმი, რაც შეეხება ყმის ოჯახის გარეგანი მხარე, აქ მთელ ოჯახს ეკუთვნის ბატონს, ბატონის ყოველგვარი ვნებანი ყმის ოჯახის მიმართ დაუყონებლივ სისრულეში უნდა ყოფილიყო მოყვანილი.

ამრიგად ფეოდალურ საზოგადოებას, რომელსაც სწამდა საწარმოო საშუალებებისადმი კერძო საკუთრების აუცილებლობა, მისივე წვერით ძალიან შეზღუდულ და შევიწროებულ ფარგლებში დაშვებული იყო გლეხებისა და ხელოსნებისათვის ინდივიდუალური საკუთრება-თავიანთ საოჯახო მეურნეობაზე.

მარქსი და ენგელსი იმ თავითვე მეცნიერული თვალსაზრისით ასაბუთებდნენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებამდე

/უკანასკნელის ჩათვლით / ყველა არსებულ საზოგადოებათა კერძო ექსპლოატატორულ საკუთრებათა მოსპობა აუცილებელია. რადგან კაპიტალიზმის განვითარების თავისებური ბუნება, რომელიც აერთებს ადამიანთა საზოგადოებრივ შრომასა და ქმნის კერძო მითვისებას, რომელიც ამავე დროს აორგანიზებს მუშათა კლასს ფაბრიკა-ქარხნებში, [redacted] საბაბია ეს იმისა, რომ დავასკვნათ" მუშათა კლასი კაპიტალიზმის მესაფლავეა".

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არსებულ ისტორიაში ერთი ფორმაცია იცვლებოდა მეორეთი / მონათ-მფლობელურ ბატონყმობით, უკანასკნელი კი კაპიტალისტურით / კერძო ექსპლოატატორული საკუთრება, ჩაგვრა, გაყვლეფა მაინც ყოველთვის ერთ მხარეს, გაბატონებული კლასის უმცირესობის ხელში რჩებოდა.

ვერც ერთი, ისტორიაში მომხდარი რევოლუციური ოქტომბრის რევოლუციამდე ვერ სწყვეტდენ ამ საკითხის უკუღმართობას, თუ საფრანგეთის რევოლუციამ მოსპო ფეოდალური სახის საკუთრების ფორმა, სამაგიეროდ დააკანონა კაპიტალისტური კერძო ექსპლოატატორული საკუთრება. ამხანაგი სტალინი ამის შესახებ 1933 წ. 19 თებერვალს დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე შემდეგს ამბობდა:

" მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას სცვლიდა ექსპლოატაციის სხვა ფორმა, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა. ერთი სახის ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს სცვლიდნენ სხვა ექსპლოატატორები და მჩაგვრელები. მაგრამ თვით ექსპლოატატორები და მჩაგვრელები რჩებოდნენ. რევოლუციამ - იქვე აცხადებს ამხანაგი სტალინი - მოსპო მონათმფლობელობა და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური

ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა შემამულეები, მშრომელთა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა, ერთი სახის ექსპლოატატორები შესცვალეს სხვა ექსპლოატატორებმა. მონობის დროს"კანონი" ნებას აძლევდა მონათმფლობელებს მოეკლათ მონები. ბატონყმობის წესწყობილების დროს "კანონი"ნებას აძლევდა ბატონებს"მხოლოდ"გაეყიდათ ყმები"ო / დასახელებული წყაროს ცალკე ბროშურა გვ.8-9 /.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის ეპოქა, მხოლოდ კომუნისტური საზოგადოება,კერძო ექსპლოატატორულ საკუთრების საკითხს პირუკუ აყენებს. არამც თუ კერძო საკუთრების ფორმას. "სცვლის" ახლით, სადაც შეიძლება ამ "ცვლაში" იგულისხმებოდეს დათმობა შეგუებაც კი, არამედ იგი დაუყონებლივ სპობს გამყვლეფურ საზოგადოებათა მძიმე ფორმას.

" მხოლოდ ჩვენმა საბჭოთა რევოლუციამ დააყენა საკითხი ისე,რომ ერთი სახის ექსპლოატატორები კი არ შესცვალენ სხვა ექსპლოატატორებმა, ექსპლოატაციის ერთი ფორმა კი არ შეიცვალოს მეორეთი, არამედ აღმოიფხვრას ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოისპოს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი, ყველა და ყოველგვარი მდიდარი და მჩაგვრელი ახალიც და ძველიც".

/ სტალინი- იქვე გვ. 10 /

მარქსმა და ენგელსმა შესანიშნავად მოგვცეს კაცობრიობის განვითარების ნამდვილი კანონი, მისი განვითარების საზოგადოებრივ- ეკონომიურ ფაზის ურყევ ანალიზი და ამ ფაზაში საკუთრების თავისებური როლი. მარქსმა და ენგელსმა ასევე სიზუსტით განსაჯეს კაპიტალისტური კერძო საკუთრების დასაწყისი და მისი დასასრული, განსაზღვრეს საკუთრება

საერთო და პირადი საკუთრების რაობა- კერძოდ. სოციალისტურ საზოგადოებაში პირად საკუთრებად შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარების საგნები." / კ. მარქსი- გოთის პროგრამის კრიტიკა გვ. 20 /. კაპიტალისტურ სამყაროში პირადი საკუთრების სარგებლობის საკითხი მშრომელთა კლასისათვის ძალიან მცირე რაოდენობითაა განსაზღვრული. შეიძლება ითქვას, ასეთი განსაზღვრა მუშის საარსებო საშუალებათა მოთხოვნილების მინიმალურ პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს. იქ მუშა იმდენს ღებულობს, რამდენადაც მისი კუჭი ძლივს კმაყოფილდება. მარქსი ამის შესახებ "კაპიტალში" სწერდა: "როგორც ორთქლმავალი საჭიროებს ნახშირსა და წყალს თავის ამოძრავებისათვის, ასევე მუშას სჭირია კვება, რომ მან იმუშაოს კაპიტალისტისათვის".ო.

ბურჟუაზია გაჰკივის მუშათა კლასის პირადი საკუთრების "საშიშროებაზე", თავისი კერძო და პირადი საკუთრება კი მუშათა კლასის გაძარცვის ხარჯზე პარალელურად იზრდება, ბურჟუაზია ამ მხრივ სვავია - ყველაფერი რაც კი გააჩნია მშრომელებს სულ თვითონ უნდა შეახვეტოს- მიითვისოს.

მშრომელთა მოსახლეობა ბურჟუაზიის სინამდვილეში მოკლებულია არა მარტო ფაბრიკა-ქარხნებს და სხვა საწარმოო საშუალებებს, არამედ ის ჩამოშორებულია, უფლება შეკვეცილია პირად საკუთრებაზედაც, როგორიცაა: საცხოვრებელი ბინა, კულტურა, ხელოვნება, შრომა- დასვენება, სწავლა-განათლება და ა.შ.

ბურჟუაზიამ ვერ გამონახა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთობა, ამას ვერც გამონახავს მანამ, სანამ იგი / ბურჟუა../ ცოცხალია, რომელიც ხელს უწყობს, ყოველგვარ ნიადაგს უქმნის ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ კონტრასტის ანტაგონისტურ მუდმივ სახეს.

საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრების ზრდის და მისი მეტი რაოდენობის შექმნის ერთად ერთი პირობა არის სოცია-ლისტური საკუთრების განმტკიცება, რომელთა შორის განუ-ყრელი და ორიგინალური კავშირი უნდა არსებობდეს.

" მოქალაქეთა პირადი საკუთრების აღიარება მათს შრომითს შემოსავალსა და ქონებაზე, არამც თუ არ ეწინააღ-მდეგება ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტური ფორმე-ბისა და სოციალისტური საკუთრების გაბატონებულ მდგომარეო-ბას, არამედ წარმოადგენს სრულიად აუცილებელ დამატებას უწ-ყებულ პირობებში" / მოლოტოვი-სოციალიზმის კონსტიტუცია გვ. 7 /.

ლენინ-სტალინის პარტიის მე-18 ყრილობამ განსაკუთრე-ბული ყურადღება მიაქცია საკოლმეურნეო მშენებლობის ამო-ცანების შემდგომ განვითარების საკითხებს, სადაც კოლექტივი-ზაციის გამარჯვების შემდეგად, ყრილობამ დასახა ყოფაცხოვრე-ბის და კულტურის დონეების აუცილებლობა-საბჭოთა სოფელში.

" საკოლმეურნეო მშენებლობაში ამოცანები მდგომარეობს სასოფლო სამეურნეო არტელის შემდგომ ყოველ მხრივ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, კოლმეურ-ნეობის საზოგადოებრივ საკუთრების განვითარებისა და განმტკიცებაში. საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების, საზოგადოებრივი ნაგებობათა, საზოგადოე-ბრივი სარეზერვო ფონდებისა და საკოლმეურნეო სა-კუთრების სხვა სახეთა განვითარებაში, რაც წარმოა-დგენს სოფლის მეურნეობის და კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების მატერიალურ კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საფუძველს".

/საკ.კ.პ./ბ/ 18 ყრილობის რეზოლუციიდან /.

კოლმეურნეობები და კოლმეურნეები წლითი წლობით უხვ მოსავალს იღებენ. ჩვენში უამრავი მილიონერი კოლმეურნეობებია. ჩვენი საბჭოთა სოფელი სცხოვრობს ბედნიერად და შეძლებულად, ცხოვრობენ კულტურულად და სიხარულით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინურმა პოლიტიკის გამარჯვებამ უფრო მეტად განამტკიცა, უძლევი გახადა მუშათა კლასისა და გლეხობის განუყრელი კავშირი.

1937 წლის 12 თვის განმავლობაში საცალო საქონლის ბრუნვა საზოგადოებრივ კვებასთან ერთად საბჭოთა კავშირში 125 მილიარდ მანეთს უდრიდა. თუ 1928 წელს ამავე დარგში სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 76,4%-ს, 1936 წელს მან მიაღწია 100%-ს. სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა, რომელიც 1913 წელს 2,7%-ს უდრიდა, 1938 წლისათვის 15,8%-მდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა შრომის ნაყოფიერების საკითხი. ჩვენს ქვეყანაში, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 4-5 ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვინემ კაპიტალისტური ქვეყნებში, რომელიმე სახელმწიფოში.

გაიზარდა მოსახლეობაში (მოთხოვნილება) ფართო მოხმარების საგნებზე, ასევე შესაბამისად გაიზარდა მუშა მოსამსახურეთა რეალური ხელფასი. იზრდება შრომითი შემოსავალი კოლმეურნეობაში. კლებულობს საკვებ პროდუქტებზე და ფართო მოხმარების საგნებზე ფასები.

არ გვაქვს არც ერთ შემთხვევაში, არც ერთი წუთით საფუძველი დაეჭვებისა, საბჭოთა კავშირში სყიდვითი უნარიანობის გაშლა-განმტკიცების და საერთოდ ეკონომიური მიღწევათა არნახულ ზრდაში.

საწინააღმდეგო სურათია ამ მხრივ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ისეთი ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში თავისი სიმდიდრით საკმაოდ ცნობილია, არა ნაკლები ადგილი უკავია ეკონომიური და სამეურნეო განვითარების დარგში, ასეთ ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროდუქტების ფასები, 1933 წლიდან 1937 წლამდე 45%-ით გაიზარდა, ხოლო ბინის ქირა პერიოდულად 42%-ით. დღეს იაპონიაში მძინვარებს სიღატაკე, ჩაგვრა-მონობა, ხელოვნურად სწარმოებს სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის შემცირება და სიძვირის გარკვეული ზრდა. 1937 წლის 1-ლ ნოემბრისათვის იაპონიაში საცალო ფასები 22,2%-ით გაიზარდა. ასევე შეიძლება ითქვას კაპიტალისტურ ქვეყნების სხვა სახელმწიფოებზედაც.

თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობა აუტანელ მდგომარეობაშია ჩაყენებული, სადაც დამახასიათებელ მოვლენადაა ქცეული სიმშილი-სიღატაკე, რის შედეგადაც თვითმკვლელობის უამრავი ფაქტია და რომელ საშინელებასაც ბურჟუაზიულ სტატისტიკაც ვერ უარყოფს- ჩვენში საბჭოთა ქვეყანაში, განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა გლეხობის შეძლებულობა. იზრდება კოლმეურნეობაში მოსავლის სიუხვე. იმარჯვებს სოციალიზმის დანაზოგი. შემდეგ საკითხების არსებითად განხილვას.

როგორც კოლმეურნეობაში კერძო გლეხობის გადასვლა მოითხოვს წინააღმდეგობათა დაძლევის საკითხს, ასევე კოლექტივიზაციის განვითარების პროცესი ხასიათდება ადამიანის შეგნებაში თავისებური კერძო მითვისების, პირადი ინტერესების ტენდენციურობით, რადგან ჯერ კიდევ არაა დაძლეული წინააღმდეგობა არსებული გონებრივი და ფიზიკური შრომას შორის. ეს ერთი პირობა, რომელიც იძლევა საბაზს,

კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის შენარჩუნების შესახებ. მეორე პირობა და რაც მთავარია მდგომარეობს მასში, რომ სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში განსაკუთრებული მდგომარეობა გვქონდა, სადაც საკოლმეურნეო მეურნეობას არ შეეძლო დაეკმაყოფილებია კოლმეურნე გლეხის გაზრდილი პირადი მოთხოვნილება. მაშინ კოლმეურნეობა ახლად მტკიცდებოდა, რისთვისაც პარტია და ხელისუფლება საჭიროდ სთვლიდა კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობის დაშვების პრაქტიკას- საზოგადო მეურნეობის უპირატესობით.

სხვანაირი გზა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის არც შეიძლება ყოფილიყო.

სასოფლო სამეურნეო არტელი, მშრომელი გლეხობისათვის სოციალისტურ მეურნეობაში, აღმოჩნდა ყველაზე ხელსაყრელი და შესაფერი რგოლი. არტელმა ყველაზე უკეთესად გაამართლა პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა. ყველაზე უკეთესად შეათავსა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი და პირადი ინტერესის ურთიერთობა. ლენინ-სტალინის პარტიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კოლმეურნე გლეხობა გადაქცეული ყოფილიყო შეძლებულებად. სადღეისოდ კოლმეურნის პირადი მეურნეობის არსებობამ თავის ამოცანებს-უკვე უპასუხა.

როგორ უნდა გვესმოდეს მიმდინარე პერიოდში კოლმეურნის [redacted] საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების შეგუების სტალინური თეორია? როგორი ფორმის ორგანიზაცია უნდა იქნეს გამოყენებული ერთისაც და მეორის შექმნისათვის? თუ ჰქონდა ადგილი საკოლმეურნეო პრაქტიკაში კოლმეურნის საზოგადოების საკუთრების ხარჯზე- პირადი საკუთრების გადაჭარბებულ შეფასებას? რა იყო ამის მიზეზი? ყოველი ამ საკითხებზე შესანიშნავ დირექტივას იძლევა საკ.კ.პ./ბ/ ც.კ. და სახკომსაბჭოს 1939

წლის 27 მაისის დადგენილება "კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ". ისტორიული დადგენილების პოლიტიკური შინაარსი-საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცების პირდაპირი გამომხატველია, სადაც საკითხი საკოლმეურნეო წყობის შემდგომი განმტკიცებისათვის ახლებურად არის დაყენებული.

კოლმეურნეობაში უმრავლესობა, საკმაოდ წამყვანი და ძირითადი ნაწილი პატიოსანი მშრომელი გლეხობაა, რომელთა პატიოსანმა შრომამ თავიანთი თავი გახადა შეძლებულად, ხოლო კოლმეურნეო... გადააქცია ბოლშევიკური კოლმეურნეობად. მაგრამ, ამასთანავე ჯერ კიდევ კოლმეურნეობაში ერთეულების სახით მოიპოვებიან ცრუ და ზარმაცი კოლმეურნეები, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ ნაკლები მისცენ კოლექტივს და მეტი გაიტაცონ, ნაკლები დრო მოანდომონ ნამდვილ შრომას- საზოგადოებრივ მეურნეობაში და მეტი ჩხირკედელაობა- დამხმარე მეურნეობაში. ასეთი პირები კოლმეურნეობაში შეიძლება იქცეს შემთხვევითი ელემენტებია, რომელთა კოლმეურნეობაში ყოფნის მიზანია კერძო მესაკუთრულ წამგლეჯი სულისკვეთება და მზაკვრული ტენდენცია.

პარტიისა და ხელისუფლების წინაშე, მთელი კოლექტივის წინაშე, ასეთი ცრუ და ზარმაცი კოლმეურნეები ყოველად უსინდისოდ საქმესაც სჩადიან, სადაც უხეშად არღვევენ სასოფ.სამეურნეო არტელის წესდებას / ცრუ გაყრა კომლის, იჯარა, მიწაზე სპეკულიაცია /, რითაც ჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს და რაზედაც დასახელებულ ისტორიულმა დადგენილებამ საკმაოდ (ფაქტები) მოგვცა.

" სასოფლო სამ.არტელის წესდების ზემოდ აღნიშნული და მათი მსგავსი უდრესად უხეშად დამრღვევანი ფართოდ

გავრცელდა მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურ მუშაობის ეწეოდნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, აღსაზრდელად, თავიანთი ოპორტუნისტული პრაქტიკით თვითონ უწყობენ ხელს წესდების დარღვევას და დანაშაულებრივი გულგრილობით ეკიდებიან კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრული კერძო-მესაკუთრული, ბურჟუაზიული ტენდენციების შეპარვას, რომლებიც შეაქვთ განადგურებული კულაკების ნაშთებს".
/დასახელებული დადგენილება გვ. 7 /.

ძირითადი და გადამწყვეტი კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეურნეობაა. საზოგადოებრივი საკუთრებაა, მისი მოვლა შენახვის საკითხია, საზოგადოებრივ შრომის ორგანიზაციის სწორად მოწყობის საკითხია- აი რას გვაძლევს მოცემული დადგენილება.

კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობა არ არის კერძო საკუთრება, იგი კოლმეურნის პირად ფლობელობის საკუთრების ობიექტს შეადგენს. პირად საკუთრების წარმოშობის მთავარ და ერთად ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობის წყაროს შეადგენს, პირადი შრომის გამოყენება, რითაც კოლმეურნის პირადი საკუთრების შექმნაში, დაქირავებული შრომითი გამოყენების არც ერთ შემთხვევას არ აქვს ადგილი.

კოლმეურნის პირად მეურნეობის ამოცანას შეადგენს: დააკმაყოფილოს კოლმეურნის პირადი საოჯახო წვრილმანი მოთხოვნილება, გაუწიოს დახმარებითი სახის მნიშვნელობა საკოლმეურნეო კომლს. ამიტომაა, რომ პირადი მეურნეობა

საზოგადო მეურნეობასთან შედარებით გვევლინება დამხმარე მეურნეობადაც არა გადამწყვეტ ძირითად სახის მეურნეობად, იგი გვევლინება მცირე და არა შემძლე მეურნეობის ფორმად.

კოლმეურნის დამხმარე მეურნეობა კანონით დაშვებულია განსაზღვრულ ფარგლებში, სადაც ჩვენი სახელმწიფო თვალყურს ადევნებს, კონტროლს უწევს მის ზრდა-განვითარების საქმეს. ასე მაგ: 1939 წელს 1-ლ იანვარს მოწვეულ იქნა საქ. უმაღლეს საბჭოს არა რიგითი მეორე სესია, რომელმაც სპეციალურად განიხილა სასოფლო სამეურნეო გადასახადის კანონის საკითხი. ძირითადი ნაკლი 1934 წელში გამოცემულ კანონის, სასოფ. სამ. გადასახადის შესახებ, იმაში მდგომარეობდა, რომ ფაქტიურად შემოსავალს კოლმეურნეს დამხმარე მეურნეობიდან მხედველობაში არ იღებდა, არ იბეგრებოდა. ახალი კანონით საკითხი პირიქით სდგას. კოლმეურნის შემოსავალი, მიღებულ შრომა დღეების შედეგად არ იბეგრება, ხოლო დამხმარე მეურნეობიდან შემოსავალი დაიბეგრება 10-15 მანეთამდე. გარდა ამისა კოლმეურნე გლეხს დამხმარე მეურნეობიდან შემატებულ მიზარდი პირუტყვი, თუ კი ის დაწესებულ ნორმას სცილდება, მაშინ ის უნდა ჩააბაროს არსებული წესით კოლმეურნეობის ფერმას.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს პარტიის პოლიტიკა, იმის შესახებ, რომ კოლმეურნის შემოსავლის გადიდება, თითეული კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევა, დამოკიდებულია არა კოლმეურნის მიერ დამხმარე მეურნეობიდან მიღებულ ქონებაზე, არამედ ეს დამოკიდებულია კოლმეურნის მიერ გამომუშავებულ შრომა დღეების დაყრდნობაზე, მისგან მიღებულ ქონებაზე.

კოლმეურნის პირად მეურნეობის გადაჭარბებით შეფასებას მის არსებით "გაბერვას" საკმაო ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი მეურნეობისათვის. ჩვენ ამის შესახებ ცალკეულ კოლმეურნეობების პრაქტიკიდან, რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითების მოყვანა შეგვიძლია.

ასე მაგ: თათართა ასსრ ფენკის რაიონის, მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობამ 1939 წელი ძალიან ცუდად დაამთავრა. სახელმწიფოსადმი პურის ჩაბარების გეგმა ვერ შეასრულა, დაზღვევის და საშემოსავლო გადასახადის ფულადი შეტანა ვერ შესძლო. კოლმეურნეობას ძალიან ნაკლები მოსავალი მოუვიდა, სადაც შრომა დღეზე გაინაწილეს 100 გრამი ხორბალი და 37 კაპიკი ფული. რა იყო მიზეზი დასახელებული კოლმეურნეობაში ასეთი მოუსავლობის? მთავარი მიზეზი ის იყო, რომ შრომის ორგანიზაცია და მისი აღრიცხვა არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. არაჩვეულებრივად გაბერილი იყო კოლმეურნის პირადი მეურნეობა. 18 კოლმეურნე ქალს, დასახელებულ კოლმეურნეობაში არც ერთი შრომა დღე არ ქონდათ გამომუშავებული, რის ნაცვლად მთელი წლის განმავლობაში თავიანთ დამხმარე მეურნეობაში მუშაობდნენ.

საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობაც, დასახელებულ კოლმეურნეობაში გაბერილი იყო. იმის ნაცვლად, რომ საკოლმეურნეო კომლს ამ ზონაში ჰქონოდა 0,6 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი, კოლმეურნე გრიგოლ მირონოვს მიზომილი ჰქონდა 1,02 ჰექტარი. ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეებს ორ და სამ ადგილას ჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთი მიზომილი.

საკარმიდამო ნაკვეთების ასეთი დატაცების პრაქტიკამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ცალკეულ კოლმეურნეობაში ადგილი ქონდა საკარმიდამო ნაკვეთის იჯარით გაცემას და ზოგჯერ

გაყიდვასაც კი. ასე მაგ: ალმა-ატის რაიონის / ყაზახეთის სსრ / "მეორე ხუთწლედის" სახელ. კოლმეურნეობის წევრ ქალმა ნ. პორახინმა მიჰყიდა ამავე კოლმეურნეობის წევრს ვახოვსკის 0,3 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 3.000 მანეთად.

აზერბეჯანის, კუბინსკის რაიონის, ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ხუდოვერდიევ დადაშმა თავისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არენდით გასცა, ხოლო თვითონ სხვა ნაკვეთი მიიღო.

1939 წლის ივლისში ჩატარებულ კოლმეურნეობების საკარმიდამო ნაკვეთების ხელახლად გაზომვის პრაქტიკამ საკმაოდ დიდი ნაყოფი გამოიღო. გაზომვის პირველ დღეებში-ვე აღმოჩნდა მთელი რიგი ფაქტები, იმის შესახებ თუ როგორი მასიური სახე ჰქონდა ზოგიერთ რესპუბლიკებსა და ოლქებში საზოგადო მიწების მითვისებას და მის სპეკულიაციის შემთხვევას.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ქალთა შრომა არ იყო გამოყენებული, სადაც ადგილი ჰქონდა ქალების მასიურად განთავისუფლებას საკოლმეურნეო სამუშაოებიდან. ასე მაგ: ნეკრასოვსკის კოლმეურნეობა " Огонек- "ში / უსტ-ლაბინსკის რაიონი/ 1938 წლის განმავლობაში არ გამოსულა საკოლმეურნეო სამუშაოზე 111 შრომის უნარ მქონე მუშა ხელი, ამათგან ორი მესამედი ქალი იყო.

1938 წელს სარატოვის ოლქის, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 70 მუშახელი ქალი იყო. აქედან 7 ქალი სხვადასხვა მიზეზებით კოლექტივიდან გავიდა, 10 ქალი საპატიო მიზეზით და 20 კი არა საპატიო მიზეზით არ გამოსულა სამუშაოთ, სამი ქალი კურსებზე გაიგზავნა და

საბოლოოდ კოლმეურნეობაში დარჩა 30 მუშა ქალი. არ დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობაში ქალთა მუშახელი აუცილებელი იყო.

კოლმეურნეობის მუშაობის ასეთმა პრაქტიკამ, კოლმეურნე გლეხის პირად მეურნეობისადმი ქედის მოხრამ, მიგვიყვანა მეტად საშიშ და მავნე ტენდენციამდე, სადაც კოლმეურნის პირად ინტერესმა-საზოგადო ინტერეს არსებითად გაუსწრო. ეს იმ დროს, როდესაც კოლმეურნის პირადი ინტერესი ვიწრო ხასიათს უნდა ატარებდეს. იგი არასდროს არ უნდა უსწრებდეს საზოგადო ინტერესს. უბრალო ენით, რომ ვსთქვათ პირადი ინტერესი, პირადი საკუთრება უნდა ენაცვლოს საზოგადო ინტერეს-საზოგადო საკუთრებას.

პარტიის და მთავრობის ღირსშესანიშნავი დადგენილება უსათუოდ ბოლოს მოუღებს კოლმეურნეთა შეგნებაში მავნე ტენდენციას. კერძოდ, დამხმარე მეურნეობისადმი თავდადებულ "სიყვარულის" და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი "სიძულვილის" ანტისაკოლმეურნეო ჩვევებს. სამაგიეროდ კი ისტორიული დადგენილება დარაზმავს მთელ კოლექტივის გლეხობას, საკოლმეურნეო კრების მთელს შემადგენლობას, რათა პირი იბრუნონ პირადი მეურნეობის ჩხირკედელაობიდან-საზოგადოებრივ მეურნეობის ნამდვილ შრომისაკენ, ფუქსავატურ შრომიდან-საამაყო-საგმირო შრომისაკენ.

საკოლმეურნეო მიწების დატაცების და მის სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებული სიმკაცრე უნდა გამოიჩინონ ჩვენმა პროკურატურის და სასამართლოების ორგანოებმა. ზოგიერთ რაიონის სასამართლომ ამ მხრივ - ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა და ხშირად მის მუშაობის პრაქტიკაში ადგილი აქვს არტელის სანიმუშო წესდების მეორე

და 13- მუხლების უხეშად დარღვევის მიუთითებელ ფაქტებს.
ასე მაგალითად, ორჯონიკიძის მხარის, ჩეჩენო ინგუშის
ასსრ სუნჟენსკის რაი სასამართლოში აღძრული იქნა ძიება
რაი სოფლის მეურნეობის მიერ კოლმეურნეობა "სკოროხოდის"
მიმართ, სადაც რაი სასამართლომ ძიება 835 მანეთის რაოდე-
ნობით დააკმაყოფილა. საქმის შინაარსი შემდეგი იყო: 1935
წ. აღნიშნული კოლმეურნეობის დადგენილებით რაი სოფლის
მეურნეობას გადაეცა 2,17 ჰექტარი მიწა არენდით 3 წლის
ვადით / საქმეში არა ჩანს ამაზე რაი მიწგანის ნებართვა/.
1936 წელს კოლმეურნეობამ ნაწილი ამ ფართობისა მოსთხოვა და
თვითონ ისარგებლა, რაზედაც რაი სოფლის განყოფილებამ ძიება
აღძრა სასამართლოში. იმის ნაცვლად, რომ სასამართლოს პ/გება-
ში მიეცა დამნაშავე მხარე-მიწის სპეკულიაციისათვის, მან
ძიებაც კი დააკმაყოფილა. საქ. უმაღლეს სასამართლოს საკა-
საციო კოლეგიამ ასეთი დადგენილება დაარღვია, ხოლო დამნა-
შავე პირების პ/გებაში მისაცემათ დაუბრუნა საქმე სასამარ-
თლოს ხელახლად განსახილველად, როგორც სასოფლო სამეურნეო
არტელის წესდების უხეში დარღვევა და მიწის სპეკულიაციის
აშკარა შემთხვევა.

საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება საწარმოო სა-
შუალებებზე სრულიადაც არ ეწინააღმდეგება და არც გულისხ-
მობს საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრების ერთბაშად შეზ-
ღუდვას, კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობის ერთი ხე-
ლის მოსმით მოსპობას.

ხალხის უბოროტეს მტრებმა საბჭოთა მოქალაქეობრივი
ურთიერთობა, რომელიც სტალინურმა კონსტიტუციამ ესეოდენ
სათანადო სიმაღლეზე დააყენა- დაამახინჯეს და გაავულგა-
რეს.

ხალხის მტერმა პაშუკანისმა თავის "სკოლით" პირადი საკუთრება, საბჭოთა მოქალაქეობრივი ურთიერთობა კანონს გარეშე გამოაცხადეს, რითაც პიროვნული გარანტიები, მისი უფლება მოსილება, საბჭოთა მოქალაქეების პატრიოტიზმი ფეხქვეშ გასთელეს. მავნებელ პაშუკანის და კრილენკოს მიერ უარყოფილი იყო პირადი საკუთრების სოციალისტური ბუნება, მათი აზრით პირადი საკუთრების უფლება იგივე კერძო საკუთრების უფლება იყო, რითაც მოსპობდეს საბჭოთა მოქალაქის პირადი და ქონებრივი უფლებათა მეცნიერული შინაარსის გაყალბება.

" ნაკლები ზრუნვა მოქალაქის და მის პირად საკუთრებაზე, მეტი ყურადღება და მოვლა სამეურნეო დარგს", "მეტი და წამყვანი პრიმატი სამეურნეო დარგს-მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე" აი რა იყო მავნებელთა მიზანი.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პერიოდში ხალხის მტრებმა აწარმოეს ანტისაკოლმეურნეო კულაკური აგიტაცია, სადაც სოციალიზმში "გათანაბრების" პრინციპი წამოაყენეს, სადაც კოლმეურნეობაში ყველაფრის განსაზოგადოება მოითხოვეს.

ამრიგად: ბურჟუაზიულმა და შემდეგ კონტრრევოლუციონერ "სწავლებამ"-სოციალიზმი შემოხაზა, ისეთ საზოგადოებრივ წყობად, სადაც საკოლმეურნეო ფორმა თითქოს ყაზარმული სისტემით უნდა შექმნილიყო, ასეთ "კოლექტიურ" გაერთიანების შედეგად საჭმელ-სასმელი ერთ მილიან ქვაბში უნდა დამზადებულიყო, ყველას " ერთ საბანს ქვეშ" უნდა დაეძინათ, ყველას ერთიანი ტანისამოსი უნდა ჩაეცვათ და ყველას ერთნაირი შემოვნება უნდა ჰქონოდა. ასეთ " მომემარცხენო", " გათანა-

ბრება " სოციალიზმს სრულიადაც არ ახასიათებს.

ლენინი თავის დროზე ამჟღავნებდა ესერების და მენშევიკების მეშჩანურ იდეებს, კერძოდ მათს "თანასწორო" სარგებლობის შესახებ, ასეთ "თანასწორობის" "სოციალიზმს" ნამდვილ სოციალიზმთან-ლენინის აზრით-საერთო არაფერი არ აქვს.

> " სოციალიზმი არის სხვადასხვა: როგორიცაა ღვთაებრივი სოციალიზმი, მეშჩანური სოციალიზმი და პროლეტარული სოციალიზმი"
> / ლენინი ტ.IX გვ. 270 /.

ხალხის მტრებმაც სწორედ ასეთი მეშჩანური, ლასალიანური სოციალიზმის იდეების გადმოტანა მოინდომეს-გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში.

დღეს გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში გათანაბრების ყველა ცდები ლიკვიდირებულია, არც ერთ გათანაბრების შემთხვევის მსგავს მოვლენას არ აქვს ჩვენში ადგილი. სტახანოვური სტილით მუშაობა თითონვე განსაზღვრავს სოციალისტური შრომის ნაყოფიერების საკითხს. ვინც რამდენს და როგორსაც მისცემს საზოგადოებას, იმდენს და იმდაგვარსვე მიიღებს საზოგადოებისაგან. რომელი კოლმეურნე გლეხიც რამდენს იმუშავებს საზოგადო საკოლმეურნეო მეურნეობაში და როგორსაც შეასრულებს დაკისრებულ სამუშაოს, იმის და მიხედვით დაეწერება შრომა დღეები და ამდაგვარადვე აუნაზღაურდება შრომის ღირებულება.

მარქსისტებისათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რომელ და როგორ საკუთრების მოსპობაზეა ლაპარაკი. მარქსმა და ენგელსმა თავის დროზე იმსჯელეს ამის შესახებ თუ რომელ და როგორ საკუთრების მომხრენი იყვნენ და რომლის არა. აი რას სწერდნენ ამის შესახებ ისინი კომუნისტურ მანიფესტ-

ში:

" ამ თვალსაზრისით კომუნისტებს შეუძლიათ თავისი თეორია ასე გამოხატონ. მოსპობა კერძო საკუთრების. ჩვენ კომუნისტებს გვისაყვედურებენ თითქოს ჩვენ გვსურდეს მოვსპოთ პირადი შეძენილი შრომით შექმნილი საკუთრება, ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მოვსპოთ ეს პირადი საკუთრება შრომის ნაყოფისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა პირადი სიცოცხლის კვლავ აღდგენისათვის. ის საკუთრება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს პირადი თავისუფლებისა, თვით მოქმედებისა და დამოუკიდებლობისა: შრომით შექმნილი, პირადათ შექმნილი, პირადად დამსახურებული საკუთრება. ეს მისაკუთრება არა სპობს არავითარ წმინდა შემოსავალს"...

" ჩვენ გვინდა - აღნიშნულებდნენ იქვე მარქსი და ენგელსი- მხოლოდ მოვსპოთ მათხოვრული ხასიათი ამ მისაკუთრებისა, რომლის დროსაც მუშა მხოლოდ იმიტომ სცხოვრობს მანამდე ვიდრე ამას მოითხოვს გაბატონებული კლასის ინტერესები."

/ კომუნისტური მანიფესტი გვ. 38-40 /.

ყოველივე ამის შემდეგ პირადი საკუთრების უარყოფა ჩვენში იქმნებოდა ანტიმარქსისტული მსჯელობა საკითხისადმი. პირადი საკუთრება ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე იყო ცნობილი, ასევე ცნობილი და აღიარებული იქნება სოციალიზმის მთელ პერიოდში, ხოლო კომუნისტური საზოგადოების მაღალსაფეხურზე პირადი საკუთრების საკითხი იქმნება დაყენებული უფრო სხვა ფორმაში და სისტემაში ვიდრე დღეს არის. ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნე გლეხთა კეთილდღეობა დიდი დღე იზრდება. [illegible]

" სტახანელი მოძრაობის გაშლამ და მეორე ხუთწლედის

ვადაზე ადრე შესრულებამ შექმნეს პირობები მშრომელთა კეთილდღეობის და კულტურული განვითარების, ახალი აღმავლობისათვის".

/ საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ.413/.

სტალინური კონსტიტუცია პირად საკუთრების სუბიექტს ანსხვავებს ორი ფორმით: პირადი საკუთრების უფლება საბჭოთა მოქალაქის საერთოდ, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციის მე-10 მუხლში და პირადი საკუთრების უფლება საკოლმეურნეო კომლისა-კერძოდ, რაც აღნიშნულია კონსტიტუციის მე-7 მუხლში.

მანამ საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაზე გადავიდოდეთ და შეუდგებოდეთ კოლმეურნის პირად საკუთრებასა და საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრების ერთი მეორისაგან განსხვავებას, მანამდე განვიხილოთ თვითონ საკოლმეურნეო კომლი.

კოლექტივიზაციის გამარჯვებამ სოფლად, არსებითად, სახე შეუცვალა გლეხური მეურნეობის თავისებურებას ჩვენს სინამდვილეში. კოლმეურნე გლეხის ოჯახი ის აღარ არის, რაც წარსულში, მამა-პაპის დროს იყო. სოციალისტურმა მეურნეობამ და მის გამარჯვებამ შექმნა სოციალისტური რეჟიმის საკოლმეურნეო ოჯახი, რომელიც არსებითად განსხვავდება თავისი წარსულის სახესხვაობისაგან, განსხვავდება დღევანდელ არსებულ ინდივიდუალური გლეხის ოჯახისაგან. საკოლმეურნეო კომლი ინდივიდუალურ გლეხის კომლისაგან იმდენად და იმდაგვარად განსხვავდება, როგორადაც თვით კოლმეურნეობა - გლეხურ კერძო მეურნეობისაგან.

კერძო გლეხის მეურნეობა წარმოადგენს დამოუკიდებელ მეურნეობის ცალკე ინდივიდის ერთეულ ფორმას, რომელიც არ ჰკავშირდება სხვა მეურნეობის კოლექტიურ ფორმას. ასეთ

მეურნეობას მხოლოდ ერთის მხრიდან, ისიც პრიმიტიული სახით აქვს შემოსავალი. საკოლმეურნეო კომლი ამ მხრივ დაკავშირებულია ორ საშემოსავლო წყაროზე: საკოლმეურნეო საზოგადო მეურნეობისაგან, როგორც ძირითადი საშემოსავლო წყარო და პირადი მეურნეობიდან, როგორც დამხმარე სახის მქონე შემოსავალი.

თუ ინდივიდუალური გლეხის ოჯახში ცოლქმართა შორის ან კომლში შემავალ წევრთა შორის ქონებრივ ურთიერთობის და ამ ურთიერთობაზე აღმოცენებულ დავას განსაზღვრავს მხოლოდ, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი-საკოლმეურნეო კომლში ასეთი ქონებრივი ურთიერთობა ისაზღვრება აგრეთვე არტელის სანიმუშო წესდებით.

კოლმეურნის წევრთა საოჯახო შრომითი გაერთიანების იმ სახეს და იმ პირთა შემადგენლობას, რომლებიც ერთად ეწევიან ცხოვრებას, ერთ ოჯახში და ეს რეგისტრაცია ქმნილია სათანადო ორგანოს მიერ- ეწოდება საკოლმეურნეო კომლი.

საკოლმეურნეო კომლი-ეს კოლმეურნე წევრთა საოჯახო შრომითი გაერთიანების თანასწორობის პრინციპია, სადაც ადგილი არ აქვს კომლის წევრთა შორის ისეთ თანასწორობას, რასაც ადგილი აქვს კოლმეურნეობაში გაერთიანებულ წევრთა შორის. ე.ი. საკოლმეურნეო კომლის წევრთა უფლება, მოხმარების საგნებზე არ განისაზღვრება მისი დახარჯული შრომის მიხედვით, აქ ყველა წევრი თავისი შესაბამისი მოთხოვნილებით თანასწორნი არიან, მიუხედავად იმისა, თუ მისი შრომის ღირებულება რამდენად ეფარდება დახარჯულ ნივთების [illegible] ღირებულებას. ბოვში და შრომის უნარ მოკლებული მოხუცი საკოლმეურნეო კომლის თანასწორ უფლების წევრია. ისინი შრომას არ ეწევიან, მაგრამ მათი უფლებები ზემოდ მოყვანილ თვალსაზრისით შეუზღუ-

დავია. საკოლმეურნეო კომლის თვითეული წევრი შესაფერ უფლება მოვალეობით სარგებლობს საერთო კომლში. ერთი ვერ უსაყვედურებს მეორეს, თავისი შრომის ნაყოფის-საერთო მოხმარების საქმეში. ამიტომ საკოლმეურნეო კომლის მთელი შემოსავალი-კომლის საერთო საკუთრებაა. საკოლმეურნეო კომლის წევრთა უფლებები დაცულია კომლის საერთო წესით და რეჟიმისაგამო.

საკოლმეურნეო კომლის თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: სოციალისტური ოჯახის პრინციპში, კომუნისტური ყოფაცხოვრების დანერგვის, კოლექტივიზაციის სულისკვეთების და გამარჯვების საკითხში. კომლში შემავალ წევრთა სქესის გათანაბრების და სხვადასხვა ნაციის წარმომადგენელთა უფლების გათანაბრების საკითხში.

მიუხედავად იმისა, რომ საკოლმეურნეო კომლი არ არის იურიდიული პირი, არ გააჩნია რაიმე თავისი წესდება, არ აქვს კანონი, მიუხედავად ამისა კომლის წევრთა შემადგენლობა, მისი ქონებრივი ურთიერთობის საკითხი და კომლის ყოფაცხოვრებითი მოქმედება ჩაბმულია სამოქალაქო ბრუნვაში. კომლის მთელი შემადგენლობა, ოჯახის უფროსის პასუხისმგებლობით გამოდის მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა დაუყონებლივ შესრულების სუბიექტად.

საკოლმეურნეო კომლი არა მარტო სუბიექტია მთელი რიგი უფლებების, არამედ იგი მოვალეცაა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების წინაშე. ასე მაგ: კომლი ვალდებულია დროზე გაისტუმროს სახელმწიფოს წინაშე სავალდებულო გადასახადი, პირნათლად შეასრულოს დადებული კონტრაქტაციის წესით ხელშეკრულება და სხვა ამდაგვარი ვალდებულება.

საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრების უფლების სუბიე-

ქცი განსაზღვრულია სტალინური კონსტიტუციის 7-მუხლით, სადაც საკოლმეურნეო კომლის მთლიანი წევრთა შემადგენლობა აღიარებულია კომლის საერთო სუბიექტად.

საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრების ობიექტს განსაზღვრავს აგრეთვე არტელის წესდების მე-4 მუხლი. ამ მუხლის თანახმად კომლის პირად სარგებლობაში რჩება: საცხოვრებელი ნაგებობანი, კომლის პირადი პირუტყვი და ფრინველი, სამეურნეო ნაგებობანი- პირად სარგებლობაში მყოფ პირუტყვის შესანახად. თუ რა რაოდენობით უნდა იქნეს განსაზღვრული კომლის პირად სარგებლობაში საკუთრების ობიექტი, ამას აწესებს წესდების მე-5 მუხლი.

საკოლმეურნე კომლის პირად საკუთრების უფლების გამოყენების საქმეს, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ საკარმიდამო ნაკვეთზე სარგებლობის უფლებას- დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მას. საკ.კ.პ./ბ/ ცეკას და სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილებამ ახლებურად დააყენა ეს საკითხი. საკოლმეურნეო კომლმა, მის მთელი წევრთა შემადგენლობამ პარტიის და ხელისუფლების დავალება მტკიცედ უნდა შეასრულოს, სადაც კომლის ძირითადი ყურადღება, კომლის წევრთა მთავარი ამოცანა გადატანილი უნდა იქნეს კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობაზე, მის მთელი დამუშავების საკითხზე. აქ, სწორედ ამ შემთხვევაში, საკოლმეურნეო კომლის და კოლმეურნეობის ინტერესები, კოლმეურნის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი ერთმანეთთან შეგუებული და შეთავსებული უნდა იქნეს-სტალინური პრინციპით, სადაც არ უნდა იქნეს დარღვეული ამ ინტერესთა ცალკეულ სახის თავისებური ფორმა, ხოლო მათ ასეთ დაკავშირების შედეგად, საზოგადოებრივი თვალსაზრისის ნაყოფი მოსდევს.

საკოლმეურნეო კომლის საკუთრების ობიექტზე განკარგულებას ცალკე კომლის წევრები არ ახდენენ. მას ყავს კომლის უფროსი, რომლის ყოველგვარი მოქმედება კომლის ქონებაზე უნდა გამომდინარეობდეს კომლის წევრთა საერთო ინტერესებიდან, წევრთა შეთანხმების სათანადო საფუძვლებიდან.

ვინ შეიძლება იყოს კომლის უფროსი? თუ ამას ვიტყოდით კერძო გლეხის ოჯახზე-მაშინ იქ ოჯახის უფროსის საკითხი იჭრება მისი წლოვანობის მიხედვით. საკოლმეურნეო კომლში ეს ასე არაა. კომლის უფროსად დედის ან მამის გარდა შეიძლება შვილები ანდა კომლის სხვა ქმედ უნარიანი წევრებიც იყოს, რომელსაც ექმნება იურიდიული უფლებები კომლის მეურნეობის განვითარების ყოველგვარ საქმეში.

კომლის ყველა წევრები, კომლზე მიქცეულ ქონებრივ ანაზღაურების საკითხში- ყველა პასუხისმგებელია, აქ მთელი კომლია პასუხისმგებელი, ეს მით უმეტეს მაშინ, თუ დადასტურება წევრის გადასახადი თანხა / მითვისებული ან გაფლანგული/ მთელ კომლმა მიიხმარა.

საკოლმეურნეო კომლის თვითეულ წევრს, გარდა კომლის საერთო საკუთრებისა, რომლის მონაწილეა თვითონაც, როგორც კომლის ერთ ერთი წევრი- აქვს აგრეთვე თავისი პირადი საკუთრება, აქვს საკუთრების უფლება პირადი მოხმარების, ყოფაცხოვრების და კეთილყოფის საგნებზე.

საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრება, რომელიც აღიარებულია სტალინური კონსტიტუციის მე-7 მუხლში, არსებითად განსხვავდება მოქალაქის პირადი საკუთრების ობიექტებისაგან, რომელიც მოცემულია კონსტიტუციის მე-10 მუხლში.

განსხვავების უფლებრივი საკითხი ამ ორ საკუთრებათა ფორმისა, იმაში მდგომარეობს, რომ კომლის პირადი საკუთრება

არ ეკუთვნის კომლში შემავალ ცალკეულ წევრს პირადად. არ აქვს რომელიმე წევრს უფლება, თავისი სურვილით, თვითნებურად რაიმე განკარგულება მოახდინოს კომლის საერთო საკუთრებაზე. ეს იმ დროს, როდესაც პირადი საკუთრების მფლობელი ამ მხრივ შეუზღუდავია. საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრების უფლება გულისხმობს მოქალაქის პირად კუთვნილ საკუთრების დამოუკიდებელ უფლებათა გარანტიას, გულისხმობს სხვა რომელიმე მესამე პირთან დამოუკიდებლობის გარანტიას.

საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრება ისე, როგორც კოლმეურნეს პირადი საკუთრება დაცულია ჩვენი კანონით. არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზისა გამო საკოლმეურნეო კომლის ქონება, სასამართლოს მიერ სპეციალური დადგენილებით საჯაროდ იყიდება, ყადაღა ედება. ამის შესახებ 1937 წელს 11 აპრილს გამოდის საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად არ შეიძლება საკოლმეურნეო კომლის შემდეგ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

1/ კოლმეურნის საცხოვრებელ სახლზე.

2/ კომლს- თუ ჰყავს ერთი ძროხა, ცხვარი, თხა და ღორი იმ რაოდენობით, რაც წორმის ნახევარზე ნაკლებია.

3/ პირუტყვთა საკვებზე.

4/ ტანისამოსი, ლოგინი და მისი მოწყობილობა, სამზარეულოში აუცილებელი ჭურჭლეულობა, მაგიდა, სკამები და ბოვშვისათვის კუთვნილი ყოველგვარი ნივთები.

5/ საკვებ პროდუქტების ის მინიმუმი, რომელიც ახალ მოსავლის აღებამდე, ძლივს დააკმაყოფილებს კომლს.

ნ/ კომლის ფულადი სახსრები- მიღებული სოციალური უზრუნველყოფის და მრავალშვილიან მშობლებზე გაცემული ჯილდო.

პარტიის და ხელისუფლების ასეთი განუზომელი მზრუნველობა საკოლმეურნეო კომლის მიმართ, გამომხატველია საკოლმეურნეო კომლისადმი, როგორც კოლმეურნეობის ძირითად უჯრედის პირდაპირ ხელის შეწყობის და სათანადო განმტკიცების უტყუარი ფაქტისა.

საკოლმეურნეო კომლის უამრავი შეღავათების ჩამოთვლა შეგვიძლია, რომელსაც პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ მხრივ. ავიღოთ თუნდაც ის დიდი მზრუნველობა, რომელიც მთავრობამ გამოიჩინა უძროხო კოლმეურნეების ოჯახებზე სათანადო დახმარების შესახებ. უამრავ შემთხვევებში საკოლმეურნეო კომლი განთავისუფლებულია სახელმწიფო სხვა და სხვაგვარ გადასახადებისაგან. მაგალითად საკოლმეურნეო კომლი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან იმ შემთხვევაში თუ კომლის რომელიმე წევრი საბჭოთა კავშირის გმირია, ანდა ორდენოსანია. თუ კომლის, რომელიმე წევრი სამხედრო სამსახურშია გაწვეული, წითელარმიელი ან მეთაურია და მის კმაყოფაზე იმყოფება კომლის დანარჩენი წევრები. ასევე თავისუფლდება კომლი გადასახადისაგან, თუ მისი რომელიმე წევრი ყოფილი წითელი პარტიზანელია, წითელი გვარდიელია, ანდა ინვალიდია I-II და III კატეგორიით.

საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების ობიექტი ისე, როგორც საკოლმეურნეო საზოგადოებრივი საკუთრების ობიექტი იქმნება და მრავლდება კოლმეურნის საკუთარი შრომის შედეგად, რომ მისი საშემოსავლო ხვედრითი წონა დამოკიდებულია დახარჯულ სამუშაო დროის რაცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

პირად საკუთრების მფლობელნი შეუზღუდავია კუთვნილ ობიექტისადმი ყოველგვარ მოქმედებაზე; მაგრამ მფლობელის ყოველგვარი მოქმედება კანონის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება. პირადი საკუთრების მფლობელის უფლებები განსაზღვრულ მოვალეობას არ უნდა სცილდებოდეს, გამოყენებისა და განკარგულების უფლება არ უნდა გადასცილდეს თავის მიზან დასახულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის წინაშე პასუხისმგებელია იგი.

ჩვენი კანონი ვერ ითმენს პირად საკუთრების მიმართ მფლობელის ისეთ გამოყენება- განკარგულებას, რომელიც თვით ამ საკუთრების აშკარა საზიანოა. ასე მაგალითად: აკრძალულია საცხოვრებელი ბინის გაქირავება არენდით თუ კი იგი, ამავე დროს სპეკულიაციის სახეს ატარებს. პირადი საკუთრების გადიდება სპეკულიაციის მიზნით ე.ი. მაღალ ფასებში, ფულის გასესხება %-ებით და სხვა ასეთი მოქმედებები-კანონით დაუშვებელია.

პირადი საკუთრების გამოყენების უფლებები მფლობელს ყოველთვის აქვს, თუ კი ეს უფლება ბოროტად არ იქცევა გამოყენებული. მაგალითად საცხოვრებელი სახლი საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრებაა, / კონსტიტუციის 10 მუხლის თანახმად /, რომლის სარგებლობა, გამოიყენება თვით მოქალაქეზეა დამოკიდებული, როგორც უნდა ისე მოიხმარს თავის სახლს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოქალაქემ თავისი საკუთარ სახლს ცეცხლი, რომ წაუკიდოს, მაშინ კანონი ასეთ მოქალაქეს სისხლის სამართლის წესით სასტიკად დასჯის, როგორც პირადი საკუთრების უფლებათა : ბოროტად გამომყენებელი.

ჩვენი კანონი, როგორც საკოლმეურნეო საზოგადო

საკუთრების ობიექტის მიმართ სცნობს ვინდიკაციის უფლებას, ასევე საკოლმეურნეო კომლის და კოლმეურნე გლეხის პირად საკუთრების ობიექტის მიმართაც ვრცელდება ვინდიკაციის უფლება.

საკოლმეურნეო საკუთრების ამ ორივე შემთხვევის დროს თუ ადგილი ექნება არა კეთილ სინდისიერ მფლობელობას, კანონით შესაძლებელია ქონება ჩამოერთვას არაკეთილსინდისიერ მფლობელებს და გადაეცეს სოციალისტურ მეურნეობას ანდა სახელმწიფოს.

საკოლმეურნეო საკუთრება დაცულია სავინდიკაციო სარჩელით იმ განსხვავებით, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60-მუხლში მოცემული შინაარსი ძალაში რჩება. ამიტომ კოლმეურნეობას ან კოლმეურნეს შეუძლია – მოსთხოვოს თავისი კუთვნილი ქონება – კეთილსინდისიერ შემძენს / მესამე პირს / თუ კი ასეთი ქონება კოლექტიურ მეურნეობას დაეკარგა ან უკანონოდ წაერთვა.

ძიებას ვინდიკაციის წესით კანონმდებლობა 1922 წლიდან აღიარებს, სადაც სპეციალურ მუხლად არის შეტანილი სამოქალაქო სამართლის ცალკეულ რესპუბლიკათა კოდექსებში / რსფსრ სამოქ. კოდექსი, 59 მუხლი./

კულაკურ აგენტების იწვიათ ფიგურებმა, ხალხის მტრებმა პაშუკანისმა და გინცბურგმა საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრება მავნებლურად შეაფასეს, თითქოს მათი აზრით კოლმეურნის დამხმარე მეურნეობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საკოლმეურნეო წყობაში / ეს ჯერ კიდევ იმ დროს /, რისთვისაც წამოაყენეს "იდეები" კოლმეურნის პირადი საკუთრების განსაზოგადოების შესახებ. მავნებელ პაშუკანისმა და გინცბურგმა თავიანთ " შრომაში", საბჭოთა სამეურნეო სამართლის კურსში მოგვცეს ანტი მარქსისტული მსჯელობა კოლმეურ-

ნის პირადი საკუთრების შესახებ, როგორც იტყვიან მათ წიწილაც კი მოინდომებს გაერთიანებულ კოლმეურნეობაში.

მშრომელი კოლმეურნე გლეხის პირად დანაზოგს, მოპოვებულს საკუთარი შრომის შედეგად — ჩვენი კანონი ყოველგვარ ხელყოფისაგან იცავს, რადგან დღეს პირადი ინტერესი საზოგადოებრივ ინტერესთან შეხვედრის სტალინურ პრინციპს ემყარება. სახელმწიფოს ძირითადმა (კანონმა) სპეციალური მუხლიც კი მოგვცა საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრების გარანტირებაზე.

" მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება, მათ შრომით შემოსავლისა და დანაზოგზე საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, საოჯახო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების საგნებზე, პირადი მოხმარებისა და კეთილმოწყობის საგნებზე და აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება-დაცულია-კანონით". / კონსტიტუციის 10 მუხლი /.

ხედავთ! " პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლებაც დაცულია კანონით", სად დარჩეს მხოლოდ ამ უფლებათა გარანტირების საკითხი. სოციალისტური საზოგადოებაში პირადი საკუთრების ესეთივე სიმაღლეზე დაყენება, მისი ობიექტური შეფასება და რეალური განხორციელება-მსოფლიოს ისტორიაში პირველ მოვლენას წარმოადგენს.

ვლაპარაკობთ რა კოლმეურნე გლეხის პირად საკუთრებაზე, მისი პირადი მეურნეობის და პირადი ინტერესების, საზოგადო ინტერესებთან სტალინური პრინციპით შეთავსების შესახებ, უნდა დავძინოთ ის დიდი ყურადღება, რომელზედაც პარტიამ და ხელისუფლებამ გამოიჩინეს მშრომელთა გლეხობის მიმართ.

საკოლმეურნეო კომლის პირადი მეურნეობის განსაზოგადოება, კანონით სასტიკად აკრძალულია, თუ კი განსაზოგადოება მოხდა

არტელის წესდების მე-5 მუხლის დარღვევით. ამის შესახებ 1938 წელში 17 ივნისს სახკომსაბჭოს მიერ გამოდის სპეციალური დადგენილება.

საბჭოთა კავშირის მშრომელებს, მათ რიცხვში კოლმეურნე გლეხებს შეუზღუდავი უფლება აქვთ თავიანთი პირადი კუთვნილი ქონებისადმი, რომლის გამოყენება და მოხმარება სწარმოებს მფლობელის ნებასურვილის მიხედვით.

ზოგიერთ პირად საკუთრებათა ობიექტებს, რომლებსაც აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან სახელმწიფოებრივი დანიშნულება / საცხოვრებელი სახლი, მიწა, ჯიშიანი პირუტყვი, სამუზეუმო ძვირფასი ნივთები და სხვა / და იმყოფება მოქალაქის პირად მფლობელობაში, კანონი ასეთ მნიშვნელოვან საკუთრების მიმართ თითისქნევით აფრთხილებს მფლობელს- მისი წესიერი მოვლა-შენახვის საქმეში. თუ სახლი დროზე რემონტის მიუცემლობის გამო დაინგრა, პროდუქტიულ საქონელს კლავს და ა.შ. მაშინ, ადგილობრივი საბჭოს ან სათანადო ორგანოს მიერ საკითხი სასამართლოში უნდა იქნეს გადაცემული, ხოლო სასამართლოთავის მხრივ შეუძლია ასეთი მოუვლელი პირადი ქონება გადასცეს სახელმწიფოს, ანდა მიიღოს შესაფერისი ზომები.

შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ, არტელის სანიმუშო წესდების ცხოვრებაში გატარებამ შექმნა მილიონერი კოლმეურნეობები და შეძლებული კოლმეურნეები. კოლმეურნეობაში გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მისი ხვედრითი წონა, ასე მაგ: 1928 წელს შრომის ნაყოფიერება 100% უდრიდა, 1933 წელს იგი ავიდა 186%-დე, ხოლო 1937 წელს მან მიაღწია 315%-ს.

შრომის ორგანიზაციის სწორი მოწყობა და მისი ზუსტი

ართიცხვა კოლმეურნეობაში, გარანტიას იძლევა კოლმეურნეების წევრთა შორის შემდგომი მუშაობის ბოლშევიკური ენტუზიაზმისას. სწორედ ასეთი სტილის მუშაობის შემოღებამ და მის გამარჯვებამ სოციალისტურ მეურნეობაში გამოავლინა მოწინავე ადამიანები, საკოლმეურნეო დოვლათის განმტკიცების მესვეურები და საკოლმეურნეო საქმის იშვიათი მცოდნენი / დემჩენკო, ანგელინა, ვილიამსი, ლისკუნი, მიჩურინი და სხვები/. ადამიანები ,რომლებიც სახელმწიფოებრივი მმართველობის ხელმძღვანელ ორგანოებში ჩაებნენ და არც თუ ისე ცუდად მმართავენ, თვითონვე თავიანთ საქმეს-მთელი სახალხო საქმეს.

1939 წლის საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენამ გვიჩვენა მსოფლიოში ჯერ არ ნახული მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში. 1939 წლის გამოფენას აქვს უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მსოფლიო მნიშვნელობა. გამოფენამ ცხადყო ცალკეულ რესპუბლიკათა პავილიონებში კოლექტივიზაციის გამარჯვების ფაქტი-სსრ კავშირში.

სასოფლო სამეურნეო გამოფენამ,რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები არსებითად განსხვავდება 1923 წლის გამოფენისაგან- გადაიქცა მშრომელი გლეხობის ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარების ნამდვილ სკოლად.

<u>შენიშვნა:</u> სადისერტაციო შრომაში მოცემული სტატისტიკური მასალები სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი კოლექტიური მეურნეობის შესახებ, ვისარგებლე 1939 წლის სასოფ. სამეურნეო გამოფენის მასალებიდან, სადაც თვითეული რესპუბლიკანური გამოფენის პავილიონების და გამოფენის მასალები გამოყენებული იქნა წინამდებარე შრომის საბოლოო დამუშავების საქმეში.

გამოფენაში აისახა სოციალიზმის გამარჯვება სოფლად. აისახა საკოლმეურნეო უმაგალითო ძალა და ძლიერება, საკოლმეურნეო საკუთრების ჭაბაფონება. მასში აისახა უმაგალითო ბრძოლის შესანიშნავი შედეგები, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობითწარმოებდა სოფლის მეურნეო**ბის** სოციალისტურად გარდაქმნა.

სრ.საკ.სახლმ.სამეურნეო გამოფენა წარმოადგენს საკოლმეურნეო საკუთრების უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომელმაც განსაზღვრა მაღალი საზოგადოებრივი და შრომის ენტუზიაზმი-საბჭოთა სოფელში. გამოფენამ გაამდიდრა მოწინავე გამოცდილებებით ჩვენი კოლმეურნეობები. ასი ათასობით და მილიონიანი გლეხობა, რომლებმაც გამოფენა დაათვალიერეს, გახდნენ ამ გამოცდილებათა აქტიური პროპაგანდისტები, რის შედეგადაც ისინი მუშაობის შეჯობრებითი კოცონს გააჩაღებენ თავ-თავიან კოლმეურნეობებში.

" ჩვენი გამოფენა არა მარტო აჯამებს გამარჯვებულთა შედეგებს, არამედ იგი წარმოადგენს აგრეთვე მძლავრ მოწოდებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სოციალიზმის ახალ სახელოვან გამარჯვებისაკენ"./ მოლოტოვი-1939 წელს პირველ აგვისტოს გამოფენის დღეს წარმოთქმული სიტყვიდან /.

გამოფენაზე თავიანთი მიღწევებით წარსდგნენ მოწინავე კოლმეურნეობა და მათი წევრები. კოლმეურნეები, რომლებიც წარსულში, ოქტომბრის რევოლუციამდე ნაწილი მოჯამაგირეობაში და ღატაკურ ცხოვრებაში იმყოფებოდნენ. მხოლოდ დღეს საზოგადოებრივ მეურნეობაში, პატიოსანი შრომის შედეგად ისინი გადაიქცნენ მოწინავე და შეძლებულ გლეხებად. ასეთი ადამიანის პორტრეტები ამშვენებენ გამოფენას. აგერ მთავარ პავილიონში

მარჯვენა მხარეს მოღიმარი სახით გამოიყურება საბჭოთა მეურნეობის " ნ ი შ ჩ ა ნ ი ს " მწყემსი, უმაღლეს საბჭოს დეპუტატი იუსუფ ხასანოვი. ის სტახანოველია თავის დარგში. მან 1937 წელს 2506 ცხვრიდან მოაშენა 2938 ნამატი ბატკანი. მის გვერდში მწყემსი ჰასან დჟუმუნ-ოღლის პოტრეტია/აზერბეიჯანის სსრ /. ჰასანი ამჟამად 80 წლისაა, რევოლუციამდე მან 52 წელიწადი მოჯამაგირეობაში გაატარა. მას მწყემსობის სტაჟი აქვს 70 წელი, რის გამოც ენერგიული მუშაობისათვის 1936 წელს მთავრობამ ჰასანი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

აგერ პოტრეტი არონ კიტიახი / საქართველოს სსრ /. კიტია ინიციატორია სტახანოვური მოძრაობის დანერგვისათვის ციტრუსოვან მცენარეთა მოვლა-მოშენების საქმეში. სტახანოველი კიტია მანდარინას ნორმით 500 ნაცვლად, ჰკრეფავს 4000 დღეში.

კოლმეურნეობის ბრიგადირმა ემილპაველმა / კაზახისტანის სსრ / 1938 წელს გამომუშავებულ შრომა დღეზე მიიღო 780 ფუთი პური და 24 ათასი მანეთი ფული. და ვინ მოსთვლის ასეთ შეძლებულ კოლმეურნეებს, რომლებიც გამოფენაზე მონაწილეობას იღებდნენ.

აგერ მეცხოველეობის პავილიონში მოწინავე კოლმეურნე მწველავი ქალის, ზინჩენკოს სურათი, ბრიგადირი საზანოვი, მეცხვარე-შაგმანოვი და ა.შ. მოწინავე ადამიანთა კანდიდატები.

გამოფენა დამადასტურებელია იმისა, რომ საკოლმეურნეო საკუთრებამ გაიმარჯვა სოფლად. სოფლად შეიქმნა საამური და ბედნიერი ცხოვრება, რასაც სამართლიანად უმადლის მშრომელი გლეხობა საამურ და ბედნიერ ცხოვრების შემქმნელს დიდ ს ტ ა ლ ი ნ ს.

5-თ ა ვ ი.

## კრიტიკა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკოლმეურ-ნეო საკუთრების საკითხზე.

მანამ ცალკეულ ავტორებს შევეხებოდე მინდა რამოდენიმე სიტყვით მაინც ავღნიშნო საკოლმეურნეო სამართლის სახელმძღვა-ნელოს ის თავები, რომელშიაც მოცემულია საკოლმეურნეო საკუთრების საკითხების შესახებ. სახელმძღვანელო შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ, რომელიც გამოსცა 1939 წ.ს საკავშირო იურიდი-ულმა ინსტიტუტმა.

დასახელებულ სახელმძღვანელოში არა ზუსტად და ზოგ შემთ-ხვევაში არა სწორად არის განსაზღვრული კოლმეურნის ძირითადი და დამხმარე მეურნეობა. ერთის მხრივ არ არის ასეთ მეურნეობა-თა თავისებურების განმარტება ცალკ-ცალკე მეორეს მხრივ მათ შორის ურთიერთ კავშირი გადაფარებულია. ავტორები ესალმებიან რა დამხმარე მეურნეობისაგან მიღებულ შემოსავალს, მათი აზრით ასეთი შემოსავალი კოლმეურნის და საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცების ერთერთი პირობა, თითქმის ასეთი შემოსავალი იძლევა, ყოველგვარ პირობებს კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის საქმეში, რაზედაც ასკვნიან;" კოლმეურნის პირადი დამხმარე მე-ურნეობა მომავალშიაც უნდა განმტკიცდეს", / იხ. დასახელებულ სახელმძღვანელოს 346 გვ./.

ავტორებმა ვერ განსაზღვრეს დღევანდელი პერიოდის თავისე-ბურობა, სადაც კოლმეურნის საზოგადო მეურნეობა უნდა იზრდებოდეს ხოლო მის პარალელურად დამხმარე მეურნეობა თანდათან უნდა მცირ-დებოდეს. სხვანაირი განვითარების გზა დამხმარე და საზოგადო მეურნეობისა ცუდ და მავნე შედეგებს მოუტანდა საკოლმეურნეო საკუთრებას.

საკ.კ.პ./ბ/ ც.კ. და სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის მაისის დადგენილება " კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ ", წარმოადგენს უაღრესად დიდს შესანიშნავ დოკუმენტს-საკოლმეურნეო ცხოვრებაში. ამ დადგენილებამ კოლექტიური მეურნეობის თავისებური ბუნება სოციალიზმის ეპოქაში ახლებურად დააყენა.

გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში, სოციალისტური საკუთრების გაბატონებამ-საკოლმეურნეო საკუთრება აიყვანა სათანადო სიმაღლეზე, რადგან ასეთი საკუთრება, რომელიც ემსახურება კოლმეურნეობის საზოგადოებრივ ინტერესებს, სამართლიანად ააშკარავებს კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობის უმნიშვნელობას. ამიტომ საკოლმეურნეო სამართლის დასახელებულ სახელმძღვანელოში ზუსტად გაშუქებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი და პირადი ინტერესთა შეთავსების სწორი თეორიის უტყუარი ანალიზი.

დასახელებულ სახელმძღვანელოს სხვა მთელი რიგი დეფექტების შესახებ, მოთავსებული იყო გაზ." პრავდაში " 1939 წ. 3 ივლისის ნომერში ამხ. არჯანოვის წერილი, სადაც სამართლიანად აკრიტიკებდა ავტორი სახელმძღვანელოში მთელ რიგ არა სწორ დებულებებს და რაზედაც მე აქ არ მომიხდება შეჩერება.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლენინ-სტალინის პარტიის 17 კონფერენციამ თავისი თეზისებში მოგვცა ექსპლოატატორულ კლასების მოსპობა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნის საკითხი- მას შემდეგ საკმაოდ რთული პრობლემატიური საკითხი დაისვა საბჭოთა ლიტერატურაში- კერძოდ კი იურიდიული ლიტერატურაში [redacted] იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს უკლასო

საზოგადოების თავისებურება? როგორ და რა შემთხვევაში გვექნება თავისებური სხვაობა მუშათა და გლეხთა კლასის შორის? რა მიზნით და როდის მოხდება ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობის წაშლა? როგორია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პრინციპი? და სხვა.

მთელი რიგი ავტორები-იურიდიულ ლიტერატურაში, ასეთ სა-კითხებზე არა სწორად მსჯელობდნენ, როგორიც იყვნენ: მ. კ ო რ ნ ე ე ვ ი " მეორე ხუთწლედი და კლასების მოსპობა " / /1932 წ. ჟურნ. აგრარულ ფრონტზე /.
ა. ა ზ ა რ ი ნ ი " წინააღმდეგობის წაშლა ქალაქსა და სოფელს შორის " / 1932 წ. პარტ გამომც /.
ი. ა ლ ტ ა ი ს კ ი " მუშათა და გლეხთა კლასებს შორის სხვაობის მოსპობა " და სხვა ცალკეული ავტორები, რომლებიც თავიანთი არა სწორი განმარტებებით ზოგჯერ ეშვებოდნენ ანტი-კლასობრივ და მავნე დებულებების აღიარებამდეც კი.

ზემოთ დასახელებული ავტორების აზრით მეორე ხუთწლე-დის შემდეგად მთელი გლეხობა გადაყვანილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების ფორმაზე ე.ი. სახელ-მწიფოებრივ კოლმეურნეობაზე - კომუნებზე. საკითხის ასეთი დაყენება მთლიანად წააგავს ერთდროს ტროცკის მიერ წამოყე-ნებულ განზრახვას-გლეხობის " სოვხოზიაციის " წესზე გადა-ყვანის შესახებ. ანდა ე.წ. აგროინდუსტრიალური კომბინა-ტის შექმნის " თეორიას "- სოფლად.

ნაცვლად იმისა, რომ ბრძოლა გამოეცხადებიათ კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობის- საზოგადოებრივ მეურნეობასთან ვულგარულ დაპირისპირების წინააღმდეგ, ნაცვლად ამისა გაბედულ ავტორთა ერთეული პირები მთელ რიგ თავიანთ წერილებში, ამაყად იძლევიან მეტად ახირებულ სპეციფიკას, იმის შესახებ თუ,

კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობიდან შემოსავალი, როგორ წლიდან წლობით იზრდება, თუ მათი აზრით ასეთი შემოსავალი როგორ " აკმაყოფილებს "- კოლმეურნე გლეხის გაზრდილ მოთხოვნილებას.

შევეხოთ ცალკეულ ავტორებს.

ა. გ ო ი ხ ბ ა რ გ ი " პირადი საკუთრება სოციალიზმის ეპოქაში " / жур. Совет.юстиция - N 10-11 გვ. 22. 1937 წ. / სოციალისტური საკუთრების განმარტების დროს გოიხბარგი ყოველთვის და ყველგან ხმარობს საკუთრების ფორმის ნაცვლად ტიპს. თუ რაში მდგომარეობს ტიპისა და ფორმის ცნების თავისებურება, მით უმეტეს საკუთრების გაგების საკითხში, ამაზე ჩვენ ზემოთ, სათანადო თავში გვაქვს განმარტებული.

ჯერ კიდევ ადრე 1937 წ. გოიხბარგი უარყოფს ჩვენში არსებულ კერძო მეურნის და შინამრეწველის შრომითი წვრილ კერძო საკუთრებას, რომელიც შექმნილია ინდივიდუალური, საკუთარი შრომის შედეგად. გაზეთი " პრავდა " 25/V-39 წლის N 143-ში სწერს:

-" კერძო ინდივიდუალური გლეხის და შინა მრეწველის წვრილი კერძო საკუთრება, დამყარებული პირად შრომაზე, მეორე 5 წლედის დამთავრების შედეგად წარმოადგენს 0,2%-ს."

ავტორს მეორე მხრივ, რატომღაც ეუხერხულება, რომ გადაჭრით სთქვას". ჩვენში კერძო საკუთრება აღარ არის".

დასახელებულ წერილის იმ ნაწილში, სადაც ავტორი " ასაბუთებს " ჩვენში კერძო საკუთრების არ არსებობას, რატომღაც წინწკლებში აქცევს " ჩვენში არ არსებობს კერძო საკუთრება კაპიტალისტური გაგებით " / გვ. 23 /. ამას

რა მტკიცება უნდა? განა ყველამ არ იცის, რომ ჩვენში კერძო საკუთრება სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით აღარ არსებობს. იგი დიდი ხანია მოსპობილია.

გოიხბარგს შეუსაბამისად მოჰყავს ლენინის ცნობილი ციტატა თუ " წვრილ დაქუცმაცებულ მეურნეობის და კერძო საკუთრების არსებობის პირობებში, როგორ მზადდება ნიადაგი უფრო კაპიტალიზმის აღდგენისათვის, ვინემ სოციალიზმის გამარჯვებისათვის " და ამ ციტატის განმარტების შემდეგ ავტორი შიშის ქვეშ ექცევა: ის შეშინებული ფიქრობს, ვაი თუ 0,2% საკუთრების აღიარებამ შექმნას, ხელი შეუწყოს კაპიტალიზმის აღდგენის საქმეს ჩვენშიო!" ამ მოსაზრებით იგი თვალზე ხელებ აფარებით გვერდს უვლის ამ "საშინელ " 0,2% ციფრს.

ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს ასეთ საუბედუროთ ჯერ კიდევ არსებულ წვრილ შრომითი საკუთრებათა ფორმამ. ჩვენ მას გვერდს ვერ ავუვლით და ვერც უარვყოფთ. იგი არსებობს უმნიშვნელო 0,2% სახით. მაგრამ საქმე ამაში როდი მდგომარეობს. საქმე იმაშია, რომ 0,2% არსებული ფორმა საკუთრებისა შექმნილია პირადი შრომის შედეგად, დაქირავებული შრომის გარეშე. კიდევ მეტი. ასეთ საკუთრებას, სოციალისტური საკუთრების საერთო არეში, ძალზედ უმნიშვნელო ადგილი უკავია, იმდენად უმნიშვნელოა, ეს ადგილი, რომ მასზე არც კი ღირს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სახის საკუთრებას? ამდენად იგი არ არის კერძო საკუთრება.

მეორეს მხრივ ინდივიდუალური გლეხის და შინამრეწვე- ლის ქონებრივ ხვედრითი წონის ზრდა მოქცეულია სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ. საბჭოთა კანონი კონტროლს უწევს

მათ, რათა არ გადააბიჯონ ექსპლოატატორულ- წანგლეჯურ თვალსაზრისით სხვის ქონებაზე. ასეთ რეჟიმის შემდეგ დასახელებული სახის საკუთრების დღეები დათვლილია.

იმავე წერილში გოიხბარგი საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებასა და კერძო გლეხის კომლის პირად საკუთრებათა შორის სხვაობას ვერ ხედავს. მათ ერთმანეთში აიგივებს /ამ საკითხ ჩვენ შრომაში საკმაოდ ფართოდ გვაქვს ლაპარაკი/ ნუ თუ გოიხბარგისათვის " შეუმჩნეველია" ის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობით განსხვავება, რომელიც კოლმეურნე გლეხისა და ინდივიდუალური გლეხის შორის არსებობს და რომელსაც განსაზღვრავს სტალინური კონსტიტუცია და სასოფ. სამ. არტელის სანიმუშო წესდება?

ი. ვ ი რ ს კ ა ი ა " სოციალისტური საკუთრების შესახებ" / " Под Знаменем Марксизма" - -ში № 8 1936 წ/. ავტორი ეხება რა სოციალისტურ საკუთრების წარმოშობის საკითხს ზოგიერთ ადგილებში იძლევა არა სწორ და პოლიტიკურად გაუმართლებელ არგუმენტებს. ასე მაგალითად იგი სწერს:

" სახელმწიფო საკუთრება შეიქმნა ექსპროპრიატორთა-ექსპროპრიაციის შედეგად, კოოპერატიულ საკოლმეურნეო საკუთრება-გლეხთა საწარმოო საშუალებების გაერთიანების ნებაყოფლობის შედეგად "/ გვ. 29 დასახელებული წერილის /.

ჩვენ ავტორს არ ვედავებით იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საკუთრების საფუძველი ექსპროპრიატორთა-ექსპროპრიაციაა, მაგრამ განა მას შემდეგ 22 მანძილზე შექმნილი სახელმწიფო საკუთრებაზე შეგვიძლია იმავე დებულებით ვიხელმძღვანელოთ? ცხადია არა! წლიდან წლობით იზრდება და ვითარდება სოციალისტური საკუთრების საერთო არენა.

მოყვანილი ციტატის მეორე ნაწილში, სადაც საკოლმეურნეო საკუთრებაზეა ლაპარაკი, ადგილი აქვს კლასობრივ ბრძოლის თუ შეიძლება ითქვას უარყოფას, ანდა მიჩქმალვას. რას ჰქვია საკოლმეურნეო საკუთრების შექმნა და მისი გამტკიცება ნებაყოფლობის საფუძველზე? ეს მაშინ, როდესაც მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებამ, საკოლმეურნეო საკუთრების დაფუძნებამ, კულაკობის მიერ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობის გაწევა განიცადა. იყო შემთხვევები, როდესაც კულაკები აშკარად თუ ფარულად ანადგურებდნენ კოლმეურნეობის მოსავალს, ხოცავდნენ პირუტყვს და ცეცხლს უკიდებდნენ საკოლმეურნეო ქონებას. ამიტომ, საკოლმეურნეო ქონება მოპოვებულია არა მარტო კოლმეურნეთა ნებაყოფლობის გაერთიანების საფუძველზე /ცხადია ეს მთავარია /, არამედ შექმნილია მტრული კლასების მოსპობის და მისი დაძლევის შედეგად. კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით პარტია კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადადის, მისი ლიკვიდაციის პოლიტიკაზე, განკულაკების ეკონომიურ განიარაღების პოლიტიკაზე.

კულაკებისაგან ჩამორთმეული მთელი ქონება: მიწები გამწევი ძალა, პირუტყვი, სასოფ. სამ. იარაღები და მთელი ჩამონართმევი საწარმოო საშუალებანი გადაეცა კოლმეურნეობას. ამან კი გამოიწვია კულაკობის მიერ კლასობრივი წინააღმდეგობის გაწევა – კოლექტივიზაციის მიმართ. განა ის კლასობრივი ბრძოლის ფაქტი არ იყო, როდესაც 1929/30 წ.წ. მთლიან კოლექტივიზაციის პერიოდში, სადაც სწარმოებდა კულაკობის პოლიტიკური და ეკონომიური "სულის" დაფვა, ასეთი გადამწყვეტ ბრძოლის მომენტში ყოველმხრივ განადგურებული მოღალატე ბუხარინი, თავის მესვეურებს აგზავნიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ციმბირში და სხვა

მხარეებში კულაკების ასაჯანყებლად. განა ფაქტი არ იყო იმისა, რომ ჩვენი რევოლუციური კანონის სიმკაცრე, მიმართული იყო კულაკობის და მისი დამქაშების წინააღმდეგ, რის გამოც ზოგიერთი წურბელა გამოუსწორებელი "სოფლის ჭამიები" გადასახლებული იქნენ შორეულ მხარეებში.

რომ ცხადვყოთ საკოლმეურნეო საკუთრების შექმნისათვის კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა, რაც ზემოდ დასახელებულ ავტორებმა არ მოგვცეს - მოვიყვანთ სათანადო ადგილს საკ.-კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსიდან:

" მთლიანი კოლექტივიზაციაზე გადასვლა კოლმეურნეობებში გლეხობის ძირითადი მასების უბრალო და მშვიდობიანი შესვლის წესით კი არ ხდებოდა, არამედ კულაკობის წინააღმდეგ გლეხობის მასობრივი ბრძოლის წესით. მთლიანი კოლექტივიზაცია მოასწავებდა სოფლის რაიონში მთელი მიწის გადასვლას კოლმეურნეობის ხელში, მაგრამ ამ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი კულაკების ხელში იყო-, ამიტომ გლეხები კულაკებს ერეკებოდნენ მიწიდან, ახდენდნენ მათ განკულაკებას,ართმევდნენ პირუტყვს, მანქანებს და საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ კულაკობის დაპატიმრებასა და გადასახლებას".

/საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ. 369 /.

ბ ა რ ს უ კ ო ვ ი "ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ" / 1932 წელი ცალკე ბროშურა /.

ავტორის აზრით სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დროს კოლმეურნეობის მთლიანი ქონება უნდა გაერთიანდეს საზოგადოებრივ ფონდში, ხოლო განუყოფელი ფონდი მისი აზრით წარმოადგენს ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ფონდის სახეს, რომელსაც თითქოს წამყვანი როლი არ ეკუთვნის.

განუყოფელი ავტორის აზრით წარმოადგენს ძირითად ფონდს, რომელიც თითქოს გამომხატველია მთელი კოლექტიური საკუთრების. საკოლმეურნეო საკუთრების ფონდების ასეთ არა სწორ განმარტებაზე შეიძლება არაფერი არარ გვეთქვა, რადგან ეს შეცდომა განმარტების გარეშეც გასაგებია, რომ ბარსუკოვს მეორე არა სწორი, ანტი საკოლმეურნეო და პოლიტიკურად გაუმართლებელი დებულება არ წამოუყენებია. აი რას სწერს იგი:

"ჩვენ, რომ მეორე ხუთწლედის შემდეგ სოციალიზმში გადავიდეთ ამისათვის საჭიროა მასიური გადასვლა სასოფლო სამეურნეო არტელიდან, სასოფლო სამეურნეო კომუნაზე." / გვ. 31 /.

ბარსუკოვი ასეთ "მოსაზრებით" დაეშვა არა სწორ თვალსაზრისზე. მისი აზრით მეორე ხუთწლედის დამთავრების შემდეგ გვექნებოდა სოციალისტური მეურნეობის ერთი მთლიანი სახე, სასოფლო სამეურნეო კომუნები- სოფლად. ე.ი. ბარსუკოვმა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ბუნებას, სასოფლო სამ. არტელსა და კომუნას შორის თავისებური სხვაობა ვერ დაინახა. გააპულგარა სასოფ. სამეურნეო არტელი, როგორც ძირითადი რგოლი მშრომელთა გლეხობის გაერთიანებისათვის მიმდინარე ეტაპზე, კომუნიზაცია გლეხობის, მეორე ხუთწლიანი გეგმის დამთავრების შემდეგ-ეს იგივე მავნებლური ტროცკისტული "სოვხოზიზაციის", "თეორია".

მ. კ ო რ ნ ე ე ვ ი - "მეორე ხუთწლედი და კლასების მოსპობა" / 1932 წელი ჟურ." На ограрном фронте№ 9. "/ ეხება ავტორი სოფლად გლეხთა კლასის თავისებურებას, სადაც განმარტავს კოლმეურნეობის თავისებურ ფორმას_მიმდინარე ეტაპზე, იგი სწერს: " კოლმეურნეობის დღევანდელი / ე.ი. 1932 წლის ნ.ლ. / ფორმა ვერ შექმნის ძირითად ეკონომიკის ისეთ საფუძველს, რომელსაც შეეძლოს ახალ საზოგადოებაში / ე.ი. სოციალიზმში ნ.ლ. / გადასვლა "თ. ავტორი ამ თვალსაზრისით სრულიად უმე-

რობას გამოხატავს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ სხვაობის თანდათანობით წაშლის შესახებ. მეორე ხუთწლედის შესრულება მისი აზრით-ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობა კონცენტრირებული იქნება სახელმწიფოს ხელში. როდესაც კოლმეურნეობის გადასვლა მოხდება სახელმწიფოებრივი მეურნეობათა ბუნების პრინციპზე.

როგორც ვხედავთ გლეხთა კლასის ასეთ შეფასებას საერთო აქვს უფრო ანტიმარქსისტულ ზრახვებთან, ვინემ მარქსისტული გზების სწორ განმარტებასთან.

ლენინიზმი ყველასათვის გასაგებად განმარტავს სოციალიზმში ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა და გლეხთა კლას შორის, ურთიერთ შორის კავშირს და ურთიერთშორის სხვაობას. არამც თუ მეორე ხუთწლედის შედეგად, არამედ მესამე სტალინური ხუთწლედის შესრულებაც, ერთბაშად, მთლიანად არ სპობს სხვაობას ქალაქსა და სოფელს შორის. სამაგიეროდ ქმნის ყოველგვარ პირობებს ასეთი სხვაობის თანდათანობით დაძლევისათვის. ხოლო ასეთი სხვაობის მთლიანად წაშლა უნდა მოხდეს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის მთელი პერიოდის განმავლობაში. კომუნისტური საზოგადოების მაღალ ფაზაში გადასვლის პერიოდში.

ასევე ამ საკითხში ვინმე უცნობი ავტორი ა. ა ზ ა - რ ი ნ ი ჯერ კიდევ არც 1932 წელს წერილში " მე-2 ხუთწლედის ამოცანა " / Партиздат - გამოცემა გვ. 155 / სწერდა: " მე-2 ხუთწლედში სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის წაიშლება". მისი აზრით მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება ეს პირდაპირი ფაქტია ასეთი სხვაობის წაშლისათვის. ასეთ არა სწორ დებულებას საუბედუროდ მხარს უჭერდა და მისივე რედაქციით იქნა გამოცემული პროფესორი ი.კ. ბ ე რ ზ ტ ი - ს ი.

თუ სტალინურმა კონსტიტუციამ გლეხთა კლასი, მუშათა კლასს სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემაში ჩაბმით გაუთანასწორა, სადაც კოლმეურნე გლეხობის უფლებრივ პოლიტიკური დონე სათანადო სიმაღლეზე დაყენებული და რომლის საფუძველზედაც იგი დასაყრდენია ხელისუფლებისათვის, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას,რომ მუშათა კლასის დიქტატურა ძალაში აღარ იყოს, ეს იმას არ ნიშნავს,რომ სოფელი ქალაქს ყოველმხრივ დაეწია, გაუთანასწორდა.

კოლმეურნე გლეხის დამხმარე მეურნეობის " სიმტკიცეს" თავგამოდებით იცავს ა.შ ი მ ა ნ ი. ყველა თავის წერილებში ავტორი ხოტბას ასხამს და ქებადიდებით მოჰყვება კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის უპირატესობა. ერთ ერთ მის წერილში "შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობა" / წერილი მოთავსებულია ჟურ. Соц.сельск.хозяиства - -ში 1938 წელი №6/ აღწერილი აქვს დასახელებული კოლმეურნეობა. ავტორს ყველგან მთელი წერილის შინაარსში თავისქებით მოჰყავს თვითეული კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის ფაქტები, ხოლო ასეთ მიღწევებს იგი აწერს კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის უკეთ დაყენების საქმეს. " კოლმეურნეობაში პირად სარგებლობაში არსებული მეცხოველეობა - სწერს ავტორი-წლითიწლობით იზრდება, მიმდინარე წელს მოემატა დამხმარე მეურნეობას 71 სული პირუტყვი-ო / გვ. 158 /.

ავტორი ვულგარულად სთიშავს კოლმეურნის პირად და საზოგადოებრივ მეურნეობის შეთავსების სტალინურ პრინციპს. რომელსაც მას მოჰყავს სტატისტიკური მაგალითები, რატომღაც მხოლოდ კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის მიღწევაზეა ლაპარაკი და მივიწყებულია კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობა.

ვფიქრობთ ასეთი ხოფზაქების პრაქტიკა და გადაჭარბებული პრემიების მინიჭება კოლმეურნის დამხმარე მეურნეობის შესახებ, პრინციპიალურ ეწინააღმდეგება საკ.კ.პ./ბ/ ც.კ. და სახკომსაბჭოს 1939 წლის მაისის ისტორიულ დადგენილე-ბას.

საკოლმეურნეო საკუთრების მთლიანი ცნების განმარტე-ბის საკითხს ამახინჯებს აგრეთვე ა. რ უ ს კ ო ლ ი. ავტო-რი არა სრულ და არა ზუსტ განმარტებას იძლევა ამ საკით-ხში. მისი აზრით საკოლმეურნეო საკუთრება წარმოადგენს ჯგუფის საკუთრებას / იხ. ჟურ. Арбитраж - 1936 წ.13-აგვისტო № 15 სათაური „საკუთრების ფორმა. საბჭოთა კავშირ-ში" /. რომელ ჯგუფზეა აქ ლაპარაკი? ანდა როგორ გავიგოთ ჯგუფი ს ა ე რ თ ო დ? ხომ შეიძლება მეორე მხრივადაც ვი-გულისხმოთ? ჯგუფი შეიძლება არა კოლმეურნე გლეხობისგანაც იყოს შემდგარი ანდა სხვა პირთა შეერთება, რომელსაც კოლმე-ურნეობის არც ერთი ნიშან-ნასახი არ იქნება. არ ექნება თავისი წესდება.

ამიტომ, საკოლმეურნეო საკუთრების სრული განმარტების დროს მხოლოდ „ტერმინის ჯ გ უ ფ უ რ ი ს ხმარება და სიტყვე-ბის კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ პ ი რ თ ა გ ა ე რ თ ი ა ნ ე-ბ ი ს გამოტოვება არამც თუ იწვევს საკოლმეურნეო საკუთრე-ბის, როგორც სოციალისტური ფორმის საკუთრებათა გაგების სა-კითხში გაუგებრობას, არამედ იწვევს მის გაულგარებასაც. რუსკოლის აზრით გამოდის, თითქოს საკოლმეურნეო საკუთრება ეკუთვნის ერთ რომელიმე ჯგუფს და არა კოლექტიურ პირთა გაერთიანებულ საზოგადოებას. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა: საკოლმეურნეო საკუთრება წარმოადგენს კოლე-ქტიურ პირთა შენაერთის ჯგუფურ / და არა ჯგუფის / საზოგადო საკუთრებას.

შეიძლება უსაყვედუროთ ამხ. მ ი კ ო ლ ე ნ კ ო ს აც. ამხ. მიკოლენკო სამართლიანად აკრიტიკებს ი. ალფაისკის, კუზმინს, ნუსკოლს და სხვებს, აკრიტიკებს სოციალისტური საკუთრების არა სწორად განმარტების საკითხებში. მაგრამ ზოგ შემთხვევაში მიკოლენკოს კრიტიკა თვითონვე შეცდომას წარმოადგენს. ავტორი საკმაოდ ვრცელ წერილში "საკუთრების ფორმათა საკითხისათვის" /გამოქვეყნებულია ჟურ. "Совет.Государство-1934 წელს № 4 /, მიკოლენკო უსაყვედურებს, რომ "მთელ რიგ ავტორებს საკუთრების გაგების საკითხში აქვთ მეტად უხეში და პოლიტიკურად გაუმართლებელი მოსაზრებანი"ო. და ბოლოს ამ საყვედურს შემდეგნაირად აბოლოვებს "საკუთრების გაგების საკითხებში ამხანაგებმა /იგულისხმება ზემოდ აღნიშნული ავტორები ნ.ლ. / არ მისცეს გ ა - დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი / ხაზი ჩემია ნ.ლ. / მნიშვნელობა კოლმეურნის დამხმარე მეურნეობას, რომ იგი სასხვათაშორისო საკითხად ჩასთვალეს-. / დასახელებული წერილის გვ. 61 /. ვკითხულობთ! რომელ " გადამწყვეტ" მნიშვნელობაზე და "სასხვათაშორისო"საკითხზეა აქ ლაპარაკი? რას ლაპარაკობს " კრიტიკის" ეს ნაწილი თუ არა ცეკასა და სახკომსაბჭოს 1939წ. 27 მაისის დადგენილების საწინააღმდეგოს?

არც ამხ. პ. ა რ ლ ო ვ ს კ ი იყო დაზღვეული ამ მხრივ. მასაც ც.კ. და სახკომსაბჭოს 1939წ. 27 მაისის დადგენილების გამოსვლამდე ჰქონდა არა სწორი განმარტებები: სოციალისტური საკუთრების ცალკეული ფორმების შესახებ, სადაც ავტორი კოლმეურნის დამხმარე მეურნეობას, შედარებით მეტ პრიმატს ანიჭებდა, ვიდრე საზოგადოებრივს, სწორად არ აკავშირებდა ერთ-მეორესთან. ამის შესახებ 1939 წელს ივლისის თვეში გაზ. "პრავდამ" თავის ფურცლებზე სათანადოთ გააკრიტიკა ამხ. არლოვსკი.

:-:-:-:-:-::

## III განყოფილება

### I-თავი.

### კოლმეურნეობებზე ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საკითხი.

ამხანაგი სტალინი საკ.კ.პ /ბ/ ც.კ. 1933 წ. იანვრის პლენუმზე კოლმეურნეობებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შესახებ გვაძლევს ისტორიულ მითითებას, თუ კოლმეურნეობის განმტკიცების საქმეში, როგორი ახალი გაუმჯობესებული უშუალო ხელმძღვანელობაა საჭირო.

" კერძო გლეხი თვითონ ზრუნავდა თავის თავზე.მოსავლის დათესვა-აღებაზე და საერთოდ სასოფლო სამეურნეო შრომის ყველა პროცესზე, თუ კი მას სურდა არ დარჩენილიყო უმოსავლოდ და მშიერი არ მომკვდარიყო. კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლისთანავე მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, კოლმეურნეობა არ არის კერძო მეურნეობა,გუშინდელი კერძო მეურნეს და დღეს კოლექტივისტს იმედი აქვს,რომ მას კოლექტივი მშიერს არ დასტოვებს, ზრუნვა და პასუხისმგებლობა მეურნეობისადმი გადატანილია ყველა კოლმეურნეთა შორის".

იქვე ამხანაგი სტალინი განაგრძობს:" აქიდან კი გამომდინარეობს,რომ საკოლმეურნეო წყობა კი არ მცირდება არამედ უმჯობესდება, ასევე უნდა გაუმჯობესდეს ზრუნვა და პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის-სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. აქიდან კი გამომდინარეობს,რომ თუ სურს პარტიას უხელმძღვანელოს საკოლმეურნეო მოძრაობას უნდა გაეცნოს ყველა დეტალს საკოლმეურნეო ცხოვრების და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის". /სტალინი- 1933წ. იანვრის პლენუმზე /.

ამხანაგმა სტალინმა ასევე გარკვევით მიგვითითა დამკვრელ კოლმეურნეობათა პირველ ყრილობაზე-საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობის შესახებ.

კულაკები და მავნებლები ახერხებდნენ კოლმეურნეობებში დამრღვეველ მუშაობის მოწყობას. ამ დროს კი საჭირო იყო კოლმეურნეობისათვის სერიოზული ხელმძღვანელობით დახმარების აღმოჩენა, ასეთ დახმარებათ აღმოჩენილი იქნა პოლიტგანყოფილებების ჩამოყალიბება მტს-ებთან.

პოლიტგანყოფილებების მოვალეობას შეადგენდა: კოლმეურნეობებზე პარტიული და პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა, მტს-ის პოლიტიკური განმტკიცება, საკოლმეურნეო წყობის ორგანიზაციული და პოლიტიკური სტრუქტურის გამაგრება, მობილიზაცია კოლმეურნეობის აქტივისა და მათი დარაზმვა კოლმეურნეობაში შემოპარულ უცხო ელემენტის მხილება-განდევნისათვის, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა ყოველგვარ ხელყოფისაგან და სახელმწიფო ვალდებულებების დროულად გასტუმრება.

იმავე წელს საკავშირო მიწსახკომთან დაარსებული იქნა მტს-ის პოლიტ სამმართველო, რომლის უფროსი ამავე დროს მოადგილე იყო მიწსახკომის და ემორჩილება, როგორც მიწსახკომს ასევე პარტიის ცეკას.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, პოლიტ განყოფილებების დაარსების საკითხმა, უაღრესად პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანა შეასრულა.

" მტს-ის პოლიტგანყოფილებებმა ორი წლის განმავლობაში /1933/34 წ. მოახდინეს დიდი მუშაობის შესრულება კოლმეურნეობებში მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკოლმეურნეო აქტივის გამოზრდის, კოლმეურნეობათა

გამჟღავნების, მტრული კულაკური, მავნებლური ელემენტებისაგან კოლმეურნეობების გაწმენდის დარგში".
/საკ.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი გვ. 386 /

1934 წლის საკ.კ.პ./ბ/ ცეკას ნოემბრის პლენუმმა განსაკუთრებული პოლიტიკური შეჯამებითი მნიშვნელობა მისცა პოლიტ განყოფილებების მიერ ჩატარებულ მუშაობას, რისთვისაც მოხდა მათი რეორგანიზაცია.

საკ.კ.პ./ბ/ ცეკას 1929 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, იმავე წელს საკავშირო ცაკის 17 დეკემბრის მეორე სესიაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალა უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა კოლმეურნეობებზე.

საკ.მიწსახკომის არსებობის პირველი ორი წლის მანძილზე მოხდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოების რეორგანიზაცია, სადაც მიწსახკომის სისტემაში შექმნილი იქნა " კ ო ლ ხ ო ზ ც ე ნ ტ რ ი " და " ტ რ ა ქ ტ ო რ ც ე ნ ტ რ ი ", ამით შეიქმნა კოლმეურნეობის დამოუკიდებელი შესაბამისი ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებმაც თავის დროზე დადებითი ნაყოფი მოგვცა-კოლექტივიზაციის საქმეში.

საკავშირო მიწსახკომის ასეთ რეორგანიზაციას საბოლოო ანგარიშში უარყოფითი შედეგიც მოჰყვა, სადაც ზემდგომ ორგანოთა ასეთ "ფუნქციალობამ" მიგვიყვანა ცალკეულ ორგანოთა უპასუხისმგებლობის პრაქტიკამდე. ამხანაგი ლ. კაგანოვიჩი პარტიის მე-17 ყრილობაზე თავის მოხსენებაში " ორგანიზაციული საკითხების შესახებ", იძლევა ცალკეულ ორგანიზაციების მუშაობის ისეთ ფაქტებს, სადაც პასუხისმგებელი ამა თუ იმ საქმის შეუსრულებლობისთვის არავინ არ ჩანდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისათვის

კი საჭირო ერთი მძლიანი ცენტრალური აპარატის შექმნა და მასზე გადატანება სოფლის მეურნეობა." კოლმეურნეობა კი არ უნდა იყოს მიწსახკომისათვის, არამედ მიწსახკომი უნდა იყოს კოლმეურნეობისათვის" / ლ. კაგანოვიჩი /.

1934 წლის 4 აპრილს საკ.ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით-მე-17 პარტიულ ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გაუქმებული იქნა "კოლხოზცენტრი" და "ტრაქტორცენტრი".

კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საკითხში მიწსახკომის ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს შემდეგში:

1/ სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემით გარდაქმნა, რომელიც უნდა უმყარებოდეს საერთო სახელმწიფოებრივ გეგმას.

2/ მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის გაწევა კოლმეურნეობასა და მტს-ებს შორის დადებულ ტიპიურ ხელშეკრულებათა შესრულებაზე.

3/ კოლმეურნეობებიდან მიღება საჩივრების, რომლებსაც მიწსახკომი მსვლელობას მისცემს შესაბამის ორგანოებში საკითხის დაყენებით.

4/ მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა სასოფლო სამეურნეო ბანკსა და სახ.ბანკს შორის დაკრედიტების საქმეს.

5/ სამეურნეო და ტექნიკური დახმარება საკოლმეურნეო მექანიზაციის და მშენებლობის დარგს.

6/ ხელმძღვანელობა სოციალისტური მიწათ მოწყობის და სარგებლობის საქმეს. კოლმეურნეობაზე გადაცემა სახელმწიფო აქტისა, მიწის მუდმივი სარგებლობის შესახებ.

როგორც ვხედავთ მიწათ მოქმედების ზემდგომი ორგანო სოფლად, წარმოადგენს ოპერატიულ დაწესებულებას-სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში. მაგრამ ერთი რამე უნდა იქნეს შენიშნული. კერძოდ: არის თუ არა სავალდებულო კანონი

კოლმეურნეობებისათვის მიწსახკომის მიერ გამოცემული დადგე-
ნილებები? მიწსახკომის მიერ ისეთი დადგენილებების გამოცე-
მა, რომლის გამოცემაც დაკავშირებულია სასოფლო სამეურნეო
არტელის სანიმუშო წესდებასთან- ასეთი დადგენილებები არ შეი-
ძლება ჩაითვალოს სავალდებულო კანონად — კოლმეურნეობებისათვის,
რადგან ძირითად კანონს კოლმეურნეობაში მხოლოდ და მხოლოდ
სასოფლო სამ. არტელის წესდება წარმოადგენს. ისეთი განმარტე-
ბები კი, რომელსაც მიწსახკომი გამოსცემს-არტელის წესდებას-
თან დაკავშირებით, ასეთი დადგენილებები უფრო საინსტრუქციო,
ახსნაგანმარტებითი ხასიათს ატარებს, ვინემ ძირითადი კანონის
სახეს.

კოლმეურნეობაზე კონკრეტიული ხელმძღვანელობის გაძლიერე-
ბის მიზნით სსკ. სახკომსაბჭოს მიერ 1938 წელს 23 სექტემბერს
გამოდის დადგენილება, საკავშირო მიწსახკომში სპეციალური საორ-
განიზაციო-საკოლმეურნეო სექტორის შექმნის შესახებ.

კოლმეურნეობების ოპერატიული ხელმძღვანელობის დარგში
არა ნაკლები ადგილი უკავია რ ა ი მ ი წ გ ა ნ ს.

მავნებლების მიერ ცდა იყო იმის შესახებ, რომ რაი მიწ-
განის ხელმძღვანელობითი მთელი ფუნქციები. რაიმიწგანისა-კოლ-
მეურნეობებზე, გადასცემოდა მტს-ებს, მათი აზრით ვინაიდან
მტს-ი მაინც ემსახურება და სათანადო ხელმძღვანელობას
უწევს კოლმეურნეობას, ამიტომ რაი მიწგანს თითქოს აღარ
რჩებოდა სამუშაო ფუნქციები-კოლმეურნეობებში.

რაი მიწგანი, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანო მისი ხელმ-
ძღვანელობითი ფუნქციები კოლმეურნეობებზე, განისაზღვრება
შემდეგი სახით: ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებში მიწათმოქმედე-
ბის და სარგებლობის საქმეს; ამ მხრივ რაი მიწგანი სახელმწი-
ფოს მიერ მიცემულ გეგმის საფუძველზე მეთვალყურეობასაც უწევს

კოლმეურნეობას. რაიმიწგანი ადგენს სასოფლო-სამეურნეო კომპანიების მიმდინარეობის საერთო სხემებს და ხელს უწყობს მათი შესრულების მთლიან საქმეს. თვალყურს ადევნებს კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის სწორ აღრიცხვიანობას და საფინანსო მდგომარეობის სწორად დაყენებას. ეხმარება შემოსავალ—გასავალი საწარმოო სმეტის შედგენის და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს და სხვა მთელი რიგი საკითხები, რომელიც გამომდინარეობს საკოლმეურნეო ურთიერთობიდან და აგვარებს რაი მიწგანი.

მტს-ების შესახებ. სამანქანო-სატრაქტორო სადგური, როგორც სახელმწიფო წარმოების დაწესებულება, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მანქანა იარაღების მაღალი ტეხნიკით განვითარების მძლავრ ფაბრიკას. მტს-ი წარმოიშვა და განვითარდა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გამარჯვებათა ფრონტზე, სადაც დღევანდელ პირობებში ქალაქსა და სოფელს შორის დაახლოებისათვის ერთად ერთ გადამწყვეტ საშუალებას წარმოადგენს. მტს-ების მიზანდასახულებას შეადგენს ყოველმხრივი მომსახურეობის გაწევა სოფლის მეურნეობისადმი.

მტს-ის ჩამოყალიბებისათვის პირველი გამოცდილება მიღებული იქნა უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობის მიერ მოწყობილ შაბათობის ტრაქტორთა კოლონის პრაქტიკიდან. ეს გამოცდილება ამხანაგ სტალინმა 1929 წლის აპრილში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სპეციალური საკითხად დააყენა, რის საფუძველზედაც ამავე წლის 5 ივნისის მთავრობის დადგენილებით შექმნილი იქნა სამანქანო სატრაქტორო სადგურები.

მტს-ების დაარსების პირველ წლებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი რიცხობრივი ზრდის საკითხს. ასე

მაგალითად: თუ 1928 წელს კავშირის მაშტაბით ოდესაში 1-მტს-ი გვქონდა, 1930 წელს გვაქვს 158 სადგური. პირველი ხუთწლედის შესრულების შემდეგ 2446 სადგური, მეორე ხუთწლედის შემდეგ 5818 სადგური და 1939 წლისათვის კი გვაქვს 6358 სადგური.

პარტიამ და ხელისუფლებამ სათანადო მნიშვნელობა მისცა მტს-ების ამოცანებს, რადგან ასეთი სახის საწარმოო, ზრდის და ამაგრებს საკოლმეურნეო საკუთრებას, ქმნის კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერ საგრძნობ მიღწევებს.

გარდა იმისა, რომ მტს-ები კოლმეურნეობას მომსახურეობას უწევენ მაღალი ტექნიკით, განვითარებული რთული სასოფლო სამეურნეო იარაღებით, გარდა ამისა სადგური კოლმეურნეობას სხვა მხრივაც ეხმარება, რაც შეიძლება შემდეგში გამოვხატოთ: 1/ აგროტექნიკური მხრივ დახმარება, 2/ შრომის ორგანიზაციის მოწყობა კოლმეურნეობაში. 3/ კოლმეურნეობის საწარმოო გეგმების შედგენის საკითხი. 4/ შემოსავალ-გასავლის სმეტის შედგენა. 5/ დახმარება წლიური შემოსავლის განაწილების დარგში. 6/ კოლმეურნეობისათვის კადრების მომზადების საკითხი. და სხვა პოლიტიკური საზოგადოებრივი თვალსაზრისით დახმარების საკითხი, რომელიც სწარმოებს მტს-ის და კოლმეურნეობათა შორის.

ვინაიდან სოციალისტური მეურნეობის საქმეში მტს-ები წამყვან როლს თამაშობენ, ამიტომ მთავრობა ასეთ სახელმწიფოებრივ საწარმოს და მის ორგანიზაციული ზრდის საკითხს სათანადო ყურადღებას აქცევს. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მთავრობამ მტს-ების მშენებლობისათვის გასცა 8 მილიონამდე მანეთი, ხოლო პარტიის მე-18 ყრილობამ სპეციალურად აღნიშნა მესამე სტალინური ხუთწლედში მტს-ების ამოცანები, სადაც რეზოლუციაში გათვალისწინებული იქნა მესამე სტალინურ ხუთწლედში 5,2 მილიონი მანეთის დაბანდება, რომელიც დამატებით

გაშენებულ უნდა იქნეს 1500 სადგური.

მეფის რუსეთის დროს კერძოდ 1910 წელს გლეხობის 34 პროცენტი სასოფლო სამეურნეო ინვენტარს მოკლებული იყო, მაშინ 30 პროცენტი გლეხობის უცხენო მეურნეობა იყო.

დღესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო ტექნიკა სოფლად, ემსახურება კაპიტალისტურ მაღალ ფენებს "ვერხუშკებს". მსხვილი მექანიზაციის წესით კოლექტიური შრომის გამოყენების ([illegible]) კაპიტალისტური ბუნება ვერ ეგუება. მაგალითად: ა.შ.შ. ფერმერთა საერთო რიცხვიდან გამოყენებულია სასოფლო სამეურნეო მანქანები მხოლოდ 13,5%-ი, კანადაში კი 13,3%-ი, ასევე რთული მანქანა იარაღების გამოყენების საკითხში სხვა ქვეყნებიც მოკლებულნი არიან.

თუ ჩვენში ტრაქტორის გამოყენება საბჭოთა მეურნეობაში უდრის 387,0 ცხენის ძალას, ხოლო ერთ კოლმეურნეობაზე 30,8 ცხენის ძალას, ამ მხრივ ამერიკაში, ერთეულ მეურნეობაზე განისაზღვრება 2,0 ცხენის ძალით; საფრანგეთში-0,08 ცხენის ძალით; გერმანიაში 0,05, იტალიაში-0,08 ცხენის ძალით და ა.შ.

მეფის რუსეთიც ამ მხრივ ძალზე ჩამორჩენილი იყო. 1910 წელს რთული სას.სამ. მანქანა ექვსი ცალი იყო. კომბაინი სულ არ იყო, არ იყო არც ერთი ტრაქტორი და საბარგო სასოფლო სამეურნეო მანქანა. სამაგიეროდ მეფის რუსეთის ძირითადი სასოფლო სამეურნეო იარაღებს წარმოადგენდა: კავი-7,8 მილიონი ცალი, ხის გუთანი-22 მილიონი, რკინის გუთანი,-4,2 მილიონი ცალი და ხის ფარცხი-17,7 მილიონი ცალი. /სტატ.ცნობა ამოწერილია გაზ."პრავდის" 13/VIII-39 წ. /.

ამრიგად ბურჟუაზიის სამყაროში / მეფის რუსეთის ჩათვლით/ კაპიტალისტური მსხვილი წარმოება სოფლის მეურნეობაში გამო-

დის წვრილი ექსპლოატატორული დაქირავებული შრომის აუცილებელ გამოყენებათა თვალსაზრისიდან.

მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენს სინამდვილეში, როგორც სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებანი; პირველი როგორც მძლავრი ფაბრიკა სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების და მეორე, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოებრივი ფაბრიკა- ორივე ერთად წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის შემდეგ სოციალისტურად გარდაქმნის მთავარ ობიექტებს.

გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მტს-ებში. 1932 წელს თითო ტრაქტორი ამუშავებდა 337 ჰექტარს, 1937 წელს თითო ტრაქტორი ამუშავებს 470 ჰექტარს. 1932 წელს რთული სასოფლო სამეურნეო კომბაინი ამუშავებდა 75,6 ჰექტარს, ხოლო 1937 წლისათვის ამუშავებდა 31,70 ჰექტარს.

როგორც აღვნიშნეთ მტს-ბი კოლმეურნეობას გარდა სამეურნეო სახის მომსახურეობისა, ეხმარებიან აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამაგრებენ და ამტკიცებენ ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობას.

კოლექტივიზაციის პერიოდში არა ნაკლები ზიანი მიაყენეს კოლმეურნეობებს მიწსახკომის ორგანოებში მოკალათებულ ხალხის მტრებმა. მემარჯვენე- ტროცკისტთა პროცესის სასამართლოს სხდომაზე შპიონი ჩერნოვი უსირცხვილოდ აცხადებდა თუ, როგორ ანადგურებდნენ კოლმეურნეობების პირუტყვს, როგორ ავრცელებდენ გადამდებ სნეულებას მეცხოველეობის დარგში და როგორ ხელს უწყობდა ყოველივე ამას თვით საზიზღარი ჩერნოვი.

საკ.კ.პ./ბ/ ცეკას 1934 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით, სადაც პოლიტ განყოფილებათა რეორგანიზაცია მოხდა, მას შემდეგ მთელი სიმძიმე, პოლიტიკური ყურადღებისა, გადატანილი

იქნა რაიონების სამანქანო სატრაქტორო სადგურებზე. ამ მხრივ პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრა სადგურის დირექტორის მოადგილეს-პოლიტიკურ დარგში.

ს ა ს ო ფ. ს ა ბ ჭ ო - სასოფლო საბჭო, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანო, ამავე დროს იგი წარმოადგენს კოლმეურნეობის ხელმძღვანელ ადგილობრივ ორგანოს. 1930 წელს თავი იჩინა მეტად მავნე და ტროცკისტულ შეხედულებამ, იმის შესახებ, რომ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში სოფ-საბჭოების ფუნქციები კოლმეურნეობას უნდა გადასცემოდა. ასეთი მოსაზრება სოფლის საბჭოების ცნების გავულგარებასა და უარყოფას ნიშნავდა.

განა სოფლის საბჭო საჭიროა მხოლოდ კოლექტივიზაციამდე? განა სოფსაბჭოს სოფლად მარტო სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანა აქვს დასახული? ცხადია არა! სოფლის საბჭო წარმოადგენს ადგილობრივ სახელმწიფოებრივ ორგანოს, რომ იგი ბატონ- პატრონია თავისი ტერიტორიის და უშუალო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებსაც.

სოფსაბჭო თავის პრეზიდიუმზე ისმენს კოლექტივის თავმჯდომარის მიერ მოხსენებებს ცალკეულ საკითხებზე, აძლევს შუამდგომლობებს ზემდგომ ორგანოებში კოლმეურნეობებისადმი კრედიტის ან რაიმე დახმარების გაცემის შესახებ, კონკრეტულ დახმარებას უწევს კოლმეურნეობას სოფ საბჭოში ჩამოყალიბებული სექციები, რომლის წევრებად შესაძლებელია კოლმეურნეობების წევრებიც იყვნენ.

სასოფლო საბჭო ხელმძღვანელობს არტელის რეგისტრაციაში გატარების საკითხს. მეთვალყურეობას უწევს საკოლმეურნეო საკუთრების დაცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან და სხვა მთელი რიგი საკითხები.

რ ა ი ა ღ მ ა ს კ ო მ ი ს ფუნქციებიც,კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში მეტად უშუალო და კონკრეტიულია. რაიაღმასკომი ყოველთვის მეთვალყურეობას უწევს კოლმეურნეობას. ამტკიცებს პრეზიდიუმზე კოლმეურნეობის საწარმოო გეგმას, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარის დასწრებაც სავალდებულოა. რაიაღმასკომი კოლმეურნეობას უშუალოდ აბარებს მიწის მუდმივ სარგებლობის სახელმწიფო აქტებს, ახდენს კოლმეურნეობის წევრების რეგისტრაციას,ღებულობს და იხილავს კოლმეურნის გარიცხვის ან და სხვა საკითხებზე საჩივრებს-და სხვა ისეთი საკითხების განხილვა,რაც უშუალოდ რაიაღმასკომს ეხება.

ვლაპარაკობთ რა კოლმეურნეობებისადმი ხელძღვანელობის საკითხებზე, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ზემოდ აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ ადმინისტრაციული წესით მოქმედების უფლება-კოლმეურნეობის საქმიანობაზე. რაიაღმასკომს უფლება აქვს გააუქმოს არა სწორი დადგენილება მიღებული კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ, მაგრამ ამ დადგენილების გაუქმებისათვის რაიაღმასკომმა უნდა გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი კოლმეურნეობის კრებაზე და სათანადო მოტივით უნდა დაუხასიათოს კრებას დადგენილების გაუქმების მიზეზი. უფლება არ აქვს რაიაღმასკომს კოლექტივის მუშაკი უშუალოდ თვითონ დასაჯოს ან დააჯარიმოს. ეს კოლექტივის საერთო კრების საქმეა.

ზოგ შემთხვევაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზემდგომ ორგანოების მიერ შინა საკოლმეურნეო ფუნქციებში ადმინისტრაციული წესით ჩარევის პრაქტიკას,რითაც უხეშად არღვევენ არტელის წესდებას. მაგალითად: 1933/37 წელს მოლდავის ასსრ,რაზზინსკის რაიონის მიწგანი უდებს ხელშეკრულებას ორენბურგსკის ქალაქის საბჭოს იმის შესახებ,რომ 250 ცენტნერი ხორბალი

სესხის სახით უნდა გასცეს ორენბურგის კოლექტივმა-განსაზღვრული დროის განმავლობაში, ვკითხულობთ: ქონდათ თუ არა უფლება ამ საქმეში ჩარევის, კოლმეურნეობათა შორის ხელშეკრულების დადების ორენბურგის რაიონის მუშაკებს? ცხადია არა.

საკოლმეურნეო მთელი საკუთრების ბატონ-პატრონი თვითონ კოლმეურნეობაა. მხოლოდ ამ კოლმეურნეობას აქვს უფლება თავისი საკუთრება გამოიყენოს, ისარგებლოს და განკარგულებაც მოახდინოს. არც ერთ სხვა ორგანიზაციას ადმინისტრაციული წესით და იძულებითი ფორმით გადახდევინების უფლება არ აქვთ, თუ კი გამონაკლისის სახით პირდაპირ კანონით ან სასამართლოს დადგენილებით არაა ასეთი გადასახადი ნაჩვენები.

საკოლმეურნეო საკუთრების დაცვისა და განმტკიცების შესახებ მთავრობის მიერ გამოცემული იქნა სპეციალური კანონი, კანონი 1932 წლის 7 აგვისტოს თარიღით.

საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილება წარმოადგენს საკოლმეურნეო საკუთრების მტკიცე დაცვის ურყევ დოკუმენტს. ამ კანონით ვინც სახალხო ქონებას, სოციალისტურ საკუთრებას ხელყოფს, მიითვისებს, გაფლანგავს, გამოცხადებულია ხალხის მტრად, რისთვისაც ისჯებიან საბჭოთა კანონის მთელი სიმკაცრით. "ძირითადი საზრუნავი დღეს რევოლუციონურ კანონიერებისას, შეადგენს სოციალისტური საკუთრების დაცვას" /სტალინი 1- ხუთწლედის შედეგები /.

1932 წლის 7 აგვისტოს კანონი გამოვიდა განსაკუთრებულ პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის გადამწყვეტ ბრძოლის პირობებში, სადაც კოლექტივიზაციის მშენებლობის საფუძველზე კულაკობა ნადგურდებოდა, სადაც თავი იჩინა ერთგვარ დროებითმა სიძნელეებმა." სიძნელეები, წარმოშობილი ჩვენი ზრდის პროცესის შედეგად, ხოლო ამ სიძნელეთა დაძლევის პირობები იქმნება

ჩვენივე ზრდის პროცესში" / სტალინი /.

ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია თავის დასასრულს უახლოვდებოდა. კლასობრივი მტერი პოლიტიკურად განიარაღებული თავის წარსულს მისტიროდა. კოლექტივიზაციამ გაიმარჯვა, გაიმარჯვა საკოლმეურნეო დოვლათმა.

სწორედ 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით საკოლმეურნეო საკუთრება გამოცხადებულია სოციალისტური საკუთრების ერთ ერთი ფორმად. საკოლმეურნეო საკუთრება თავისი მნიშვნელობით უფლებრივად გათანაბრებული იქნა სახელმწიფო საკუთრების ფორმასთან. აი რა სწერია საკოლმეურნეო საკუთრებაზე 7 აგვისტოს დადგენილების მეორე განყოფილებაში:"

"1/ კოლმეურნეობათა და კოოპერატივების ქონება/მოსავალი მინდვრად, საზოგადოებრივი მარაგი, პირუტყვი, კოოპერატიული საწყობები, მაღაზიები და სხვა / თავისი მნიშვნელობით გათანაბრებული იქნას სახელმწიფო ქონებასთან და ყოველნაირად გაძლიერდეს ამ ქონების დაცვა მტაცებლობისაგან".

/ 7 აგვისტოს დადგენილება. მეორე განყოფილება /

7 აგვისტოს დადგენილების მთავარი შინაარსი გარდა სამეურნეო მნიშვნელობის განმტკიცების დარგში, მდგომარეობს აგრეთვე უაღრეს პოლიტიკურ და კლასობრივ თვალსაზრისზე. ისტორიულმა დოკუმენტმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ანტი საზოგადოებრივი და ანტი საკოლმეურნეო მოქმედებებს:

"2/ სასამართლო რეპრესიის ღონისძიება ისეთ საქმეზე, რომელიც ეხება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დაცვას, კულაკურ და სხვა ანტი საზოგადოებრივ ელემენტის ძალადობისა და მუქარისაგან შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 5-10 წლამდე საკონცენტრაციო

ბანაკში მოთავსებით."

/ 7 აგვისტოს კანონის მესამე განყ./

7 აგვისტოს კანონი, რომელიც რევოლუციურ კანონის ტრადიციის მატარებელია–დღესაც შემოქმედებითი ძალაშია. იგი იქნება ძალაში სოციალიზმის მთელს პერიოდში, ჩვენი სახელმწიფოს არსებობის მთელ პერიოდში, რადგან თვით სახელმწიფოს სიძლიერეც ამას მოითხოვს. ამხანაგი სტალინი მე-18 პარტყრილობაზე მოხსენებაში, როდესაც სახელმწიფოს ფუნქციების შეცვლაზე ლაპარაკობდა, მან განაცხადა:

" ექსპლოატატორები აღარ არიან და დასათრგუნავი აღარავინ არის, დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად სახელმწიფოს გაუჩნდა ხალხის დოვლათის დამტაცებლების და ქურდებისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია."
/ ცალკე ბროშურა გვ. 64 /.

:-:-:-:-:-:-:

2- თ ა ვ ი.

## სასამართლო პრაქტიკა საკოლმეურნეო საქმეების განხილვის დროს.

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ იმ ურთიერთობათა აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარმოებს კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა შორის. ასეთი სამეურნეო ურთიერთობა ყოველთვის "მშვიდობიანად"- როდი ფარ-დება. ძალიან ბევრს და მასიურ შემთხვევებს აქვს ადგილი /ქონებრივ დავას/ იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა შორის ამა თუ იმ მხარის მიზეზით დაირღვა ხელშეკრულება.

ქონებრივი დავა კოლმეურნეობის მიმართ, ანდა პირიქით, მოპირდაპირე მხარის მიმართ, უნდა სწყდებოდეს ნამდვილ ობიექტური და საქმისადმი სერიოზული მიდგომის საფუძველზე. ამ მხრივ საბჭოთა კანონის სწორად გატარების საკითხში, სასოფლო სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და საკოლმეურნეო საკუთრების გამაგრება-განმტკიცების საქმეში, უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო ადგილი უკავიათ იუსტიციის ორგანოებს კერძოთ კი სასამართლოს ორგანოებს.

როგორც ვიცით 1937,.27 აგვისტოს საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ გამოვიდა დადგენილება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობათა ურთიერთ შორის ქონებრივი დავა და აგრეთვე კოლმეურნეობებისა-სახელმწიფო კოოპერატიული ორგანიზაციებთან, რომლებიც აღიძრებიან ურთიერთშორის დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევის გამო, მიუხედავად მისი ოდენობისა, ასეთი საქმეები განხილული უნდა იქნეს სახალხო სასამართლოების მიერ და არა სახ. არბიტრაჟის მიერ, როგორც მანამდე სწარმოებდა./მანამდე 5.000 მან. ზევით საქმე არბიტრაჟს ექვემდებარებოდა/ დასახელებულ დადგენილებამ

უფრო მეტად გაზარდა სასამართლო ორგანოების პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო საქმეების ზუსტად განხილვა-გარჩევის საკითხში.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს კოლმეურნეობების დავალიანებების მასიურ შემთხვევას-ადგილებზე. ამ მხრივ მიწად/მოქმედების ორგანოებმა იმის ნაცვლად, რომ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს, ზოგ შემთხვევაში თითონვე გამოდიან კოლმეურნეობების მოვალეებათ.

1939 წლის 1-ლ იანვრისათვის ასეთი დავალიანება 221,029 კოლმეურნეობისა შეადგენდა 855,1 მილიონ მანეთს ე.ი. მთელი შემოსავლის 6,5% და იმ შემოსავლის, რომელიც უნდა განაწილებულიყო შრომადღეებზე 3,4%-ს. მოყვანილი ფაქტი მოწმობს თუ, რამდენად საჭიროებს კოლმეურნეობა-სასამართლოს ორგანოების დახმარებას.

სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა შორის, საკოლმეურნეო საქმეების უმრავლესობას შეადგენს: საკოლმეურნეო საკუთრებაზე ძიების აღძვრის შესახებ, ხელშეკრულების დარღვევის შედეგად აღმოცენებული დავის, კოლმეურნის პირადი ინტერესების დარღვევის შესახებ და საკოლმეურნეო ნათესებისადმი ზიანის მიყენების შესახებ- საქმეები.

ჩვენ ამ მხრივ უამრავი მაგალითების მოყვანა შეგვიძლია სასამართლოების მუშაობის პრაქტიკიდან, თუ ზოგ შემთხვევაში საკოლმეურნეო საქმეების გარჩევა-განხილვას, როგორ ზერელედ და ფორმალურად უდგებიან, ცალკეული მოსამართლენი არ ეცნობიან საქმეს მთელ შინაარსიანად, არ აწარმოებენ ადგილებზე ზუსტ შემოწმებას და ისე ზერელედ გამოაქვთ სრულიად არა ობიექტური დადგენილებანი.

თუმცა ზოგიერთი კოლმეურნეობების წარმომადგენლები, საზოგადო ქონების მიმართ აღმოცენებული დავის მსვლელობის პროცესში-თავის დროზე თავს არ იწუხებენ. ბოლომდე საქმეს არ მისდევდენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ქონებრივ ანაზღაურების საკითხში ადგილი აქვს მეტად შეუწყნარებელ მოვლენასაც, სადაც პირდაპირ მოპასუხე მხარეს ნაცვლად- კოლმეურნეობა გამოჰყავთ. ახდევინებენ კოლმეურნეობას-ნაცვლად კოლმეურნის ანდა ინდივიდუალურ მეურნისა.

აი ერთი დამახასიათებელი მაგალითი ამისა.

ძიება 22,129 მანეთის რაოდენობის აღძრულია კოლმეურნეობა "Просвет-"ს მიერ- სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიმართ / ჩერეპოვეცკის რაიონი / სასამართლოში ძიება აღიძრა ნათესი ფართობებისათვის საკმაო ზიანის მიყენების გამო. სასამართლომ სხდომაზე დაადასტურა, რომ კოლმეურნეობის ნათესი მართლაც დაზიანებულია, რაზედაც ძიება მთლიანად დაკმაყოფილებული იქნა. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციაში გადავიდა გამოირკვა, რომ ნათესების გაფუჭების შედეგი იყო მწყემსების დაუდევრობა. კოლმეურნეობის მწყემსებს,რომლებსაც დავალებული ჰქონდათ საქონლისათვის ყოველგვარი მეთვალყურეობის გაწევა, მათ თვითნებურად, ყოველგვარ გაფრთხილების გარეშე მიატოვეს პირუტყვი უპატრონოდ და მეზობელ სოფელში დღესასწაულზე სასეირნოდ წავიდნენ. საქ. უმაღლეს სასამართლოს სამოქ. საკასაციო კოლეგიამ დაარღვია რაი სასამართლოს დადგენილება და სათანადო მითითებებით გადაეცა რაი სასამართლოს ხელახლად განსახილველად.

მაგალითი მეორე: ანტონოვის რაიონის / თათართა ავტ.რ/

კიროვის სახელობის კოლმეურნეობისადმი მეზობელ კოლმეურნეობამ აღძრა ძიება ნათესის გაფუჭებისა გამო, სადაც მიყენებული ზარალი უდრიდა 2501 მანეთს. რაიონის სასამართლომ საქმის ყოველმხრივ შესწავლის გარეშე ძიება დააკმაყოფილა. საკასაციო ინსტანციაში გამოირკვა, რომ ნათესის გაფუჭების დროს პირუტყვთა საერთო რიცხვიდან 151 სულ ცხვრიდან მხოლოდ 14 ცხვარი მოპასუხე კოლმეურნეობისა იყო, დანარჩენი კი 137 ცხვარი კერძო მეურნე გლეხებისა იყო. ქონებრივი გადახდევინების საკითხში კი სასამართლომ მხოლოდ დასახელებული კოლმეურნეობა დაავალდებულა.

რაი სასამართლომ / მალმიაჟსკის რაიონი, კიროვის ოლქი/ განიხილა ძიება რვა საგზაო განყოფილების კოლმეურნეობა " კოლყოვის " მიმართ, ძიების თანხა უდრიდა 10403 მან. ძიება მთლიანად დაკმაყოფილებული იქნა. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ ხელშეკრულება რვა საგზაო განყოფილებასთან დადებული ქონდა არა დასახელებულ კოლმეურნეობას; არამედ იმავე, კოლმეურნეობის საგზაო ბრიგადას, რომელიც არ ყოფილა შეთანხმებული არც კოლმეურნეობის გამგეობასთან და არც საერთო კრებაზე ყოფილა განხილული. სასამართლო დაეყრდნო სხდომაზე მოპასუხე ბრიგადირის ახსნა განმარტებას,, რომელმაც ხელშეკრულების არ შესრულების " მიზეზი " გადააბრალა კოლმეურნეობას, თითქოს კოლმეურნეობა ხშირად არ ანთავისუფლებდა საკოლმეურნეო სამუშაოდან ბრიგადის შემადგენლობასა და ამ " მოტივით" დაირღვა ხელშეკრულება. ასეთი "ობიექტური" მიზეზი, "მოხერხებულმა" მოსამართლემ საკმარისად სცნო და ძიების ანაზღაურება ნაცვლად ბრიგადისა-დააკისრა კოლმეურნეობას.

მაძიებელ მხარის, რაი საგზაო განყოფილებისათვის კი სულ ერთი იყო თუ ვისგან იქნებოდა ის გადახდევინებული,

ილონდ კი ძიება დაკმაყოფილებულიყო. ასეთ უკანონო გადაწყვეტილებაზე, დასახელებულ კოლმეურნეობის გამგეობამ და არც მისმა თავმჯდომარემ, დროზე არ შეიწუხეს თავი და როცა აღმასრულებელი ფურცელი საქმის აღსრულებას შეუდგა, მაშინ დაფაცურდნენ. საქმის აღსრულების შეჩერებას მაინც არაფერი ეშველა. რაიონის პროკურორმა ყური უთხრა ამაზე და გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

ამჟამად კოლექტივ "კოლცოვის" საკასაციო საჩივარი საქ. უმაღლეს სასამართლოს წარმოებაშია განსახილველად.

ასეთივე ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება იმავე რაიონის სასამართლოში ძიების 2000 მანეთის რაოდენობით-რაისაფყლო განცხადების- კოლმეურნეობა " Моя революция "-ს. მიმართ. აქაც რაი სასამართლომ "ჩვეული" ხელაღებით ძიება დააკმაყოფილა. საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს გამოირკვა, რომ ძიებაში მოპასუხე მხარეთ არა კოლმეურნეობა უნდა ყოფილიყო, არამედ პირადად თვით კოლექტივის თავმჯდომარე.

ზოგიერთი რაი სასამართლოები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში უშვებენ მეტად უხეშ და მიუტევებელ შეცდომებს, ხშირად არღვევენ პროცესუალურ ნორმებს და სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელახლად გადასაწყვეტი ხდება ხოლმე. საქ. უმაღლეს სასამართლოში არსებულ საქმეებიდან ჩვენ წავაწყდით რაი სასამართლოების მიერ ისეთ " გადაწყვეტილებების" გამოტანას, რომლებიც კვლავ გადაწყვეტას საჭიროებს. გამოგვაქვთ ე.წ. პირობითი გადაწყვეტილებანი. ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:" იმ შემთხვევაში თუ ნებაყოფლობით არ გადაიხდა, მაშინ ეს დადგენილება შევიდეს ძალაში"ო. / არსკის რაი სასამართლო,

ყაზახეთის რესპუბლიკა; მარისკის რაი სასამართლო, თურქეთის-ტანის სსრ და სხვა /.

აღნიშნულ სასამართლოების საკასაციო დადგენილებანი, რომლებიც აგებულია " ტეზე ", " იმ შემთხვევაზე" და "მაშინზე"- ფაქტიურად არაფერს არ ლაპარაკობს საკოლმეურნეო საქმეების ნამდვილ ობიექტიურად შესწავლაზე, მის სწორად გადაწყვეტაზე.

დღესაც სასამართლოს ორგანოებში ჩვენ შევხვდებით ზოგიერთ საკოლმეურნეო საქმეებს, რომლების დასრულებას ბოლო არ აქვს, 2-3 და 4 წლობით წარმოებაშია, ინსტანციებიდან-ინსტანციებში დაუსრულებელ მსვლელობას განიცდის, ხაზი უნდა გაესვას, რომ სამოქალაქო საქმეზე გვაქვს ლაპარაკი და არა სისხლის სამართლის, რომელიც შეიძლება თავისი სპეციფიურობისა გამო, საქმის დამთავრებამ რამდენიმე ხანს გასტანოს.

საქ. უმაღლეს სასამართლოში ჩვენ ასეთი ტიპის საქმე უკვე მოვნახეთ. მეტად "რთული" საკოლმეურნეო საქმეა, რომლის მოცულობა უდრის 2 ტომს და შეიცავს 1271 ფურცელს, საქმე № 18/84 ძიება 17986 მან. 19 კაპ. "საქმშენის" კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მიმართ / ლუქსენბურგის რაიონი, საქართველოს რესპ /. დასახელებულ საქმის ისტორია მოკლედ ასე იწყება.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით 1936 წელს ლიკვიდირებულ იქნა მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერატიული გაერთიანება "უნიონი". საქმშენის განკარგულებით უნიონის ლიკვიდკომმა ლუქსენბურგის, კიროვის სახელობის კოლმეურნეობას გადასცა 42000 მანეთი. რაიონის კლუბის და სახოფ. სამეურნეო ტეხნიკუმის ასაშენებლად / ჯერ ერთი გადაცემაც არა სწორია. კოლმეურნეობა, რომელიც საამშენებლო ორგანიზაცია-

დაწესებულება იყო/. კოლმეურნეობამ მიღებული თანხა მოახმარა რაიონში წყლის გაყვანის საქმეს.

5/XI-36 წ. "საქმშენმა", რომელსაც უნიონისათვის მიცემული ქონდა კლუბის და სასოფ. სამ. ტექნიკუმის ასაშენებლად 92088 მანეთი - წაუყენა ძიება ლიკვიდკომს, დადებითი შედეგი საქმშენმა ვერ მიიღო, რისთვისაც 9/V-37 წ. ხელახლა აღძრა ძიება სახ. არბიტრაჟში, იმ განსხვავებით, რომ მოპასუხე მხარედ დაასახელა კიროვის სახელ. კოლმეურნეობა.

არბიტრაჟმა თავისი მხრივ ძიება დააკმაყოფილა. ამით არ თავდება საქმე. არბიტრაჟის უკანონო დადგენილებაზე კოლმეურნეობამ საკითხი დააყენა საქ. სახკომსაბჭოში. 3/X-37 წელს სახკომსაბჭოს დადგენილებით არბიტრაჟის დადგენილება გაუქმდა და საქმე ხელახლა დაუბრუნდა მასვე განსახილველად შემდეგი ფაქტების აღნიშვნით: "უნიონის" ლიკვიდაციის შედეგად მთელი ქონება გადაეცა "სამტრესტს", სასოფ. სამ. ტექნიკუმი იმყოფებოდა საქართველოს მიწსახკომის ქვემდებარეობაში და მესამე დასტურდება, რომ კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ნაწილობრივ მიიღო 40000 მან.

საქმე 8/II-38 წელს არბიტრაჟში აღძრული იქნა ახალი შინაარსით, სადაც მოპასუხეებად "საქმშენმა" დაასახელა: "სამტრესტი", საქ. მიწსახკომი და ლუქსენბურგის კოლმეურნეობა. არბიტრაჟმა თავის მხრივ რატომღაც პასუხისმგებლობიდან გაანთავისუფლა მოპასუხე მხარეები. "სამტრესტი" და საქ. მიწსახკომი, მოპასუხეთ კი დასტოვა მხოლოდ კიროვის სახ. კოლმეურნეობა. საქმე განსახილველად გადასცა ლუქსენბურგის რაი სასამართლოს.

ლუქსენბურგის რაი სასამართლომაც თავის მხრივ საქმე ორჯერ განიხილა 27 მარტს და 17 სექტემბერს /1938 წ/, რა-

ზედაც ორიველაშვილი "საქმშენს" ძიებაზე უარი ეთქვა. ლუქსემბურგის რაი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება 10/XII-38წ საქართველოს უმაღლეს სასამართლოს სამოქ. კოლეგიის მიერ დარღვეული იქნა. დარღვევის მოტივს უმაღლეს სასამართლომ დაუდეა საფუძვლად 1938 წ.8 თებერვლის სახ. არბიტრაჟის დადგენილება.

საქმე უკანასკნელად გადაეცა თბილისის კიროვის სახელობის რაი სასამართლოს, დასახელებულ სასამართლომ საქმისდამთავრებას "ბოლო მოკი" და თავის გადაწყვეტილებაში 27/III-39 წლის თარიღით ძიება "საქმშენის" 97986 მან. 59 კაპ. მიმართული კიროვის სახელობის კოლმეურნეობაზე- დააკმაყოფილა, რაი სასამართლოს აღნიშნული დადგენილება საქ. უმაღლეს სასამართ. კოლეგიამ დაადასტურა, ამ საფუძველზედ გამოწერილი იქნა აღმასრულებელი ფურცელი, რომელიც სახბანკს გადაეცა აღნიშნული თანხის დაკავების შესახებ. ამჟამად საქმე საკ. უმაღლეს სასამართლოშია განსახილველად.

ჩვენ ვეკითხებით აღნიშნულ საქმეში მონაწილე სასამართლოს შემადგენლობას, არბიტრაჟს და საქმეში დაინტერესებულ პირს. რამდენად ობიექტურია ძიების ასეთი დაკმაყოფილება? რა შუაშია იგი კიროვის სახელ. კოლმეურნეობა, როდესაც "უნიონისაგან" მიღებული თანხა 40.000 მან. მოახმარა არა კოლმეურნეობის ობიექტს, არამედ რაიონის დანიშნულების საქმეს, რაც მინდობილი ჰქონდა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის სპეციალური დადგენილებით. ნუ თუ მხედველობაში არ მიიღეს საქმეში არსებული პარტიის რაიონული კომიტეტის და რაი აღმასკომის საქმიანი მასალები? რა საფუძვლით და წითელი მეპასუხეობის როლიდან განთავისუფლებული იქნა

"სამტრესტი", რომელსაც უნიონის მთლიანი ქონება გადაეცა? ყოველივე ეს "გაჯვებარი" შეიქმნა რაი სასამართლოს და მის შემადგენლობის წინაშე, რაც ლაპარაკობს საკოლმეურნეო საკუთრებისადმი ზოგიერთ სასამართლოების დაუდევარ და უხეშ დამოკიდებულების ცუდ პრაქტიკაზე.

დღევანდელ პირობებში სასამართლო ორგანოების მიერ საკოლმეურნეო ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მკაცრად უნდა იქნეს დაცული. სასამართლოებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ სასოფ. სამეურნ. არტელის სანიმუშო წესდების უაღრესად პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, რომლის საფუძველზედაც უნდა ხდებოდეს საკოლმეურნეო ყველა ურთიერთობათა განსაზღვრა.

საკითხი, როგორც კოლმეურნეობის მიმართ, ასევე მისი წევრების შესახებაც უნდა იჭრებოდეს საქმის ნამდვილ შინაარსის მიხედვით, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ერთი უკიდურესობიდან-მეორე უკიდურესობაში გადავარდნას. ამ დარგშიაც ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, თუ კოლმეურნეებს, როგორ აკისრებენ ისეთი ზიანის ანაზღაურების საკითხს, რომელიც მას / კოლმეურნეს / მოუხდა საკოლმეურნეო საქმის შესრულების პროცესში-უეცარი შემთხვევისა გამო.

მაგალითად კოლმეურნე გლეხს საკოლმეურნეო საქმეზე მუშაობის პროცესში მოუკვდა პირუტყვი, ანდა საკოლმეურნეო ქონება / ურემი / სიძველისა გამო გატყდა და ა.შ. ჩვენ არ გვაქვს საბუთი ასეთ შემთხვევაში კოლმეურნეს დავაკისროთ ზარალის ანაზღაურება, ჩვენ კოლმეურნეს ცილს ვერ დავსწამებთ იმაში, რომ თითქოს ყოველივე ეს მან ჩაიდინა უყაირათობის და დაუდევრობის შედეგად, რისთვისაც ასეთი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობიდან კოლმეურნე დაუყონებლივ უნდა განთავისუფლდეს.

ამრიგად საკოლმეურნეო ქონების პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს იმ წესის და მიხედვით, რაც ნათქვამია სამოქალაქო კოდექსის 403 მუხლში.

არც მეორე მხრივ საკითხი არ უნდა იყოს გაუბრალოებული, როდესაც სარჩელს, კოლმეურნეობის წევრი კოლმეურნეობის მიმართ აღძრავს. აქაც სასამართლომ თავისი მუშაობაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა განიხილოს საქმე. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ყველა ზიანი კოლმეურნის, რაც კი დაემართება საკოლმეურნეო სამუშაოზე – კოლმეურნეობა არაა ვალდებული ყველაზე პასუხი აგოს. აქაც მთელი რიგი საკითხები უნდა იქნეს დადგენილი, როგორიცაა: იყო თუ არა კოლმეურნეობა ვალდებული / და საიდან ჩანს ეს / დაკარგული ქონებისათვის პასუხისმგებელი? თუ იყო კოლმეურნეობაზე, მიმაგრებული რაიმე არსებული წესით დაკარგული ქონება? რა პირობებში და როგორ მოხდა ნივთის დაკარგვა? რაც სასამართლომ ერთერთ კოლმეურნეობას გადაუწყვიტეს კოლმეურნის მიერ ბრიგადაში წაღებული და შემდეგ დაკარგული გარმონის მთელი ღირებულება, ვკითხულობთ! რა შუაშია აქ კოლმეურნეობა გარმონის დაკარგვაში?

საკოლმეურნეო ქონების პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს აგრეთვე კოლმეურნეობაში მომუშავე თანამდებობის პირების მიმართაც. საკავშირო უზენაეს სასამართლოში ვნახეთ საკოლმეურნეო საქმეები /რიცხვით 41 / იმის შესახებ, სადაც რაი·სასამართლოს მიერ კერძო პირთა ძიება კოლმეურნეობის მიმართ დაკმაყოფილებულია, სინამდვილეში კი ახალი ზარალი გამოწვეულია კოლმეურნეობის თანამდებობის პირთა მოუქნელი მუშაობის შედეგათ. მაგალითად

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბრიგადა გააგზავნა ცუდ ამინდში ისეთ სამუშაოზე, რომლის შესრულების შედეგად საკმაო ზარალი მოუვიდა მეურნეობას – აქ ამ შემთხვევაში პასუხი თავმჯდომარემ უნდა აგოს, მის განკარგულებით მოხდა ეს. ან კიდევ ინდივიდუალური გლეხის ნათესი ბოსტანი დააზიანა კოლმეურნეობის ტრაქტორმა, ზარალი უნდა აუნაზღაუროს არა კოლმეურნეობამ, არამედ ტრაქტორისტმა. ერთი სიტყვით ისეთი მოქმედების ჩადენა, კოლმეურნეობაში მომუშავე თანამდებობის პირთა მიერ, რომელიც არც კოლექტივის გამგეობის, არც საერთო კრების მიერ ნებართული არ იყო და ასეთ მოქმედებას შედეგად ზარალი მოჰყვა, მისი გადახდევინების საკითხში ყველა აღნიშნული პირები პერსონალურად ჩაბმული უნდა იქნენ, როგორც თანამოპასუხეები.

ზოგიერთი პირველი ინსტანციის სასამართლოები, საკოლმეურნეო საქმეების განხილვის საკითხს სერიოზულად არ ჰკიდებენ ხელს. არ სწავლობენ საქმის მთელ შინაარს. ნაცვლად იმისა, რომ ცალმხრივად შედგენილი აქტები, ხელმეორედ შესწავლილი იქნეს, მოხდეს ადგილობრივი დათვალიერება, მოხდეს გამოძახება აქტის შემდგენ პირთა და სხვა ასეთი, ყოველივე ამის გარეშე გამოაქვთ არა ობიექტური გადაწყვეტილებანი, რითაც ირღვევა არტელის სანიმუშო წესდება და რაც მთავარია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5-ე და 188 მუხლები.

მოვიყვანოთ მაგალითები: ზაქათალის რაიონში / ადერბეიჯანი/, რაც სასამართლოში აღძრულ იქნა სარჩელი ორ მეზობელ კოლმეურნეთა შორის ნათესების გაფუჭების შესახებ. სასამართლოში წარმოდგენილი იყო ცალმხრივად შედგენილი აქტი. "აქტი", რომელიც შედგენილი ყოფილა არა ადგილზე, სადაც ზარალი მოხდა, არამედ სოფსაბჭოს კანცელარიაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს სხდომაზე მოწმეების ჩვენებით, თვით მაძიებლის

აღიარებით ზარალი უდრიდა არა 1725 მანეთს,რაც აღნიშნული იყო ძალმხრივად შედგენილ აქტში,არამედ 500 მანეთს. სასამართლომ მაინც იჯიუტა, დაეყრდნო რა საქმეში არსებულ ფაქტიურ "დოკუმენტს" ძიების დაკმაყოფილება მაინც "აქტში" აღნიშნულ 1725 მანეთით განსაზღვრა. საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებული იქნა ე.ი. რაი სასამართლოს დადგენილების ნაწილი დასტოვა ძალაში 500 მანეთის გადახდევინების შესახებ და საქმე ხელახლად დაუბრუნა რაი სასამართლოს განსახილველად.

ჩვენი,ზოგიერთი რაი სასამართლოების პრაქტიკის ასეთი ფორმალური და უსულგულო დამოკიდებულება საქმისადმი ზოგ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას სასამართლოს შემადგენლობაში მომუშავეთა იურიდიული განათლების უქონლობით. თუნდაც,რომ ეს ასე იყოს ჩვენ არაფერს არ ვფიქრობთ,მაგრამ მეორეს მხრივ ადგილი აქვს სტალინური კონსტიტუციის 109 მუხლის დარღვევას, სადაც მოსამართლე იხილავს საქმეებს,გამოაქვს განაჩენ-გადაწყვეტილებები და არ არის არჩეული. მოვიყვანთ ამის შესახე-ბაც ერთი მაგალითი,სადაც რაიონის პროკურორი კანონიერ პროტესტს აგზავნის საკავშირო პროკურატურაში. საქმე № 36/210 ძიება 1774 მან. სოფ. გემაფანის / ამასპიოკის რაიონი, სომხეთის სსრ /.

საქმის შინაარსი შემდეგი იყო:

1937 წ. დასახელებულ კოლმეურნეობამ თივის გასასყიდად გააგზავნა კოლმეურნე მანუკიანი. ის ფული,რომელიც მანუკიანმა თივის გაყიდვიდან მიიღო 1774 მან. გადასცა ამავე კოლმეურნეობის ყოფილ მოანგარიშეს / ამჟამად დაპატიმრებულს /გრიგორიანს- ამ უკანასკნელისგან მანუკიანს არავითარი ხელწერილი არ ჰქონდა ჩამორთმეული,სასამართლოს სხდომის დროს მანუკია-

ნი ადგენს მხოლოდ 15 მანეთის ანგარიშს, რომელიც მან თვის გადაზიდვის დროს დახარჯა, დანარჩენი 1759 მანეთის შესახებ სიტყვიერად მოახსენა სასამართლოს, რომ გადაცემული აქვს ყოფილ მოანგარიშისათვის. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში სიტყვიერი ახსნა განმარტება, რისთვისაც ძიება დააკმაყოფილა, ხოლო სომხეთის უმაღლეს სასამართლომ რაი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დასტოვა.

დადგენილება გააპროტესტა რაიონის პროკურორმა საკავშირო პროკურატურაში სადაც გამოირკვა, რომ სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობდა არა არჩეული მოსამართლე / უკიდურეს შემთხვევაში ბრძანებით მაინც გაფორმებული / არამედ თავმჯდომარეობდა რაი აღმასკომის ტექნიკური მდივანი პეტროს მანუკიანი. ასეთი სასამართლოს "შემადგენლობამ" არ შეიძლება თავი საქმის შინაარსიანად გამორკვევისათვის, სადაც სასამართლოს შეეძლო თანახმად სომხეთის სამოქ. სამართ. საპროც. კოდექსის 5 მუხლის ადგილებზე დაკითხული ყოფილი-. ყო მოანგარიშე გრიგორიანი, იქნებ ნამდვილად ჰქონდა აღნიშნლი თანხა მიღებული.

განა პრაქტიკაში ცოტა ხდება, როდესაც კოლმეურნეებზე დაკისრებული რაიმე გასასყიდ პროდუქტიდან აღებული ფულის ჩაბარების დროს მოანგარიშიდან ხელწერილის მიღება არ სწარმოებს.

სარჩელის ანაზღაურება განსაზღვრული სექტორიდან დიდის სერიოზულობით და სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს. ამ მხრივ კი ჩვენ უნდა ვებრძოლოთ საკოლმეურნეო ყოველგვარ სახის საქმეების გადაცემის პრაქტიკას-უშუალოდ სასამართლოში. ასევე უნდა ვებრძოლოთ კოლმეურნეობის მიმართ წამდა-

ჯერ სასამართლოში ჩივილს, რომლის მოგვარებაც თვით კოლმეურნეობის გამგეობას ან საერთო კრებას შეეძლო. ასეთი საქმეებია: მეურნეობის და შრომის ორგანიზაციის მოწყობის საკითხი, კოლმეურნეების მიერ გამომუშავებულ ნორმების განსაზღვრა და შრომა დღეების შეფასება, წევრად კოლმეურნის გამოცხადება სამუშაოზე, ქონებრივი საზღაურის გადახდევინება საკოლმეურნეო შინაგანი განაწესის დარღვევისათვის და ყველა ის შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია არტელის წესდების 17 მუხლში.

1938 წლის განმავლობაში საქ. უმაღლეს სასამართლოში 991 სამოქალაქო საქმიდან 122 საქმე იყო აღძრული კოლმეურნეობის ძიება- სახელმწიფო დაწესებულებისადმი, ხოლო 799 საქმე აღძრული ძიება კოლმეურნეობისადმი. ეს ფაქტი ლაპარაკობს იმას, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციები უდისციპლინობას იჩენენ, არ აწარმოებენ კოლმეურნეობაში წინასწარ მასიურ ახსნა-განმარტებებს იმის შესახებ თუ, რა პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ღონისშესანიშნავ დადგენილების საკითხს.

ჩვენი ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოები და მათ შორის კი სასამართლო ორგანოები, ხშირად შორსაც ადმინისტრაციული ზომების მიმართვა უფრო- ეხერხება, ვინემ ახსნა განმარტების და შეგნებითი მუშაობის მეთოდი. საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს დღემდე არსებული პრაქტიკა, კოლმეურნეობების და მისი წევრების წამდაუწუმ დაჯარიმების შემთხვევები, ხოლო სასამართლოს წესით ძიება კოლმეურნეობებისადმი უნდა იყოს ფაქტიური და განსაკუთრებული შემთხვევა.

სასამართლოს პრაქტიკაში ისიც დავინახეთ, რომ ხშირად საკოლმეურნეო საქმეების განხილვის დროს მხარეები თითონვე

ადიარებენ სარჩელის გადახდის აუცილებლობას. მოსამართლემ ყური უნდა დაუგდოს კოლმეურნის წარმომადგენელს თუ დავალებათა არ შესრულების ობიექტური მიზეზი რა იყო? შესაძლებელია დროზე არ გადაუხდელობის მიზეზი ტექნიკური დამაბრკოლებელი მიზეზები იყო, ანდა იქნებ მაძიებლის მიზეზით მოხდა ხელშეკრულების დარღვევა. მოსამართლე ძირში უნდა ჩაწვდეს მიზეზების ზუსტად გამორკვევას, ასეთ გამორკვევას კი შეუძლია ზოგჯერ საკითხი პირიქით დააყენოს, მაძიებელი მოპასუხეთ აქციოს. ხდება ხოლმე ისიც, რომ კოლმეურნეობის მოპირდაპირე მხარე, ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხედველობას სათანადოთ ხელს არ უწყობს / სამუშაო იარაღებით სპეც ტანისამოსით, სადგომი ბინით და სხვა /.

სასამართლომ ისეთი საქმეების განხილვის დროს, სადაც ხელშეკრულების დარღვევას აქვს ადგილი, მაშინ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობები / პირგაუტეხელობის ჯარიმა საურავი, ჯარიმა / ავტომატიურად, მექანიკურად არ უნდა იქნეს შეფარდებული. ჯარიმათა შეფარდება უნდა მოხდეს ისე, რომ გადახდევინებული საურავიდან ჯარიმა მაძიებლის ფაქტიური ზარალს არ უნდა აღემატებოდეს. მოსამართლემ ამ შემთხვევაში უნდა მოიმარჯვოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142 მუხლი, სადაც ნათქვამია:

" უკეთუ უპირობის გადასახდელი ჯარიმა მეტისმეტად დიდია კრედიტორის ნამდვილ ზარალთან შედარებით, სასამართლოს აქვს უფლება მოვალის თხოვნით შეამციროს უპირობის ჯარიმა. ამასთანავე სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს: 1/ ის თუ რამდენად შეასრულა მოვალემ ვალდებულება. 2/ ქონებრივი მდგომარეობა ორივე მხარისა და 3/ არა მარტო ქო-

ასეთი გარიგებანი კი, რომელიც ეხება კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდის საკითხს კერძოდ კი: ნაგებობის მუშა საქონლის და მანქანა იარაღების უმიზნოთ გაყიდვა, რომელიც არც კოლმეურნეობის წესდებით და არც სპეციალური დადგენილებით არ გათვალისწინებული, მაშინ სასამართლოს დიდი უფლებები ენიჭება, მას შეუძლია ასეთი ხელშეკრულება დაუყონებლივ გააბათილოს, როგორც კოლმეურნეობის საერთო კრების და არჩეულის წევრების უფლებათა უხეში დარღვევა, ხოლო თუ საჭირო იქნება კონკრეტული დამნაშავების საქმე გამოჰყოს ცალკე და გადასცეს პროკურატურას, მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

საკოლმეურნეო საქმეების სწორად განხილვა, საკოლმეურნეო საკითხების გამნიავებლებისათვის საჩვენებელი პროცესების მოწყობა-იშვიათ პროპაგანდა აგიტაციას წარმოადგენს მთელი გლეხობის დასარაზმავად-საკოლმეურნეო დოვლათის დაცვისათვის.

საკოლმეურნეო მოვლა-შენახვის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე სოფლის საბჭოებთან ჩამოყალიბებული პროკურატურის დამხმარე უჯრედებს და სასოფლო სამეურნეო საამხანაგო სასამართლოებს, რომელსაც სათანადო ხელმძღვანელობა, უშუალო დახმარებას უნდა უწევდეს რაიონის მოსამართლე და პროკურორი.

:-:-:-:-:-:-:

3-თ ა ვ ი.

ზოგიერთ საკუთარ მოსაზრებათა შესახებ.

ლენინ-სტალინის პარტიის 1939 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებით ახლო ხანებში მოწვეული იქნება დამკვრელ კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობა, სადაც დღემდე მოქმედ სასოფლო სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში შეტანილი იქნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები.

რა ცვლილებების შეტანა შეიძლება არტელის ახალ წესდებაში?. ჩვენის აზრით, ვფიქრობ შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1/ აიკრძალოს და სპეციალურ მუხლადაც იქნეს შეტანილი წესდებაში, როგორც კოლმეურნეობის მიერ მიწის ფართობის, ასევე კოლმეურნის საკარმიდამო ნაკვეთის ზედაპირის ან მოსავლის / თივა, ტყე, ბაღი და სხვა ნაყოფის / გაყიდვა ანდა იჯარით გაცემა, თუნდაც ეს ატარებდეს დროებითი სეზონიურ ხასიათს. ამ მხრივ დღემდე არსებული პრაქტიკა დაგმობილი უნდა იქნეს, როგორც შეუთავსებელი ფორმა საკოლმეურნეო წყობასთან; და თუ ამას ადგილი ექნება, ჩამოერთვათ იჯარით გაცემული მიწა და დამნაშავე პირები დასჯილნი იქნენ ~~სასტიკად~~. ს.ს. სისხლის სამართლის 143¹-ით.

2/ ყრილობა უთუოდ გამოიტანს დადგენილებას იმის შესახებ, რომ დღემდე არსებული მიწის მუდმივი / სამუდამო / სარგებლობის, სახელმწიფო აქტის ფორმა შეცვლილი იქნეს, რომელშიაც უნდა მოხდეს შემდეგი შინაარსით ჩაწერა: კოლმემეურნეობის საზოგადო მიწების მასივის ჩაწერა ცალკე და კოლმეურნეთა საკარმიდამო [redacted] ნაკვეთისა ცალკე, რისთვისაც

შემოღებული იქნება მიწის აღსარიცხავი სპეციალური ზონა-გაყოფილი დავთარი.

3/ არტელის ახალ წესდების მეორე განყოფილებაში დამატებით მუხლად უნდა იქნეს შეტანილი, საკოლმეურნეო საზოგადო მიწის მასივის რეჟიმის მტკიცედ დაცვა, რისთვისაც კოლმეურნეობიდან გასულ წევრს, რომელსაც კოლექტივის მიერ საკარმიდამო ნაკვეთი მიცემული ჰქონდა- დაუყონებლივ უნდა ჩამოერთვას.

4/ წესდებაში შეტანილი იქნეს, რათა სახელმწიფოსადმი ხორცის და მატყლის ჩაბარების სისტემა, შეიცვალოს ახალ სისტემით, სადაც ხორცის და მატყლის ჩაბარების ოდენობა გამოანგარიშებული იქნეს არა კოლმეურნეობებში არსებული პირუტყვის ფაქტიურ სულადობის მიხედვით, არამედ კოლმეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის რაოდენობის და მიხედვით.

5/ ჩაიწეროს ახალ წესდებაში კოლმეურნის დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლის საკითხის შესახებ, რომ მთელი მისი წლიური შემოსავალი-დამხმარე მეურნეობიდან, ზუსტად აღრიცხული იქნეს სოფ.საბჭოს მიერ, რის გამოც შესაძლებელი გახდება დამხმარე მეურნეობიდან მოსავლის დაბეგვრა-სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება კოლმეურნის შემოსავალს, მიღებული საზოგადო მეურნეობიდან-გამომუშავებულ შრომა დღეების და მიხედვით, განთავისუფლდეს ყოველგვარ დაბეგვრისაგან.

6/ შრომის ორგანიზაციის განმტკიცების და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გაზრდის მიზნით, დაემატოს მოქმედ წესდების 13-მუხლს შემდეგი: შრომის უნარიანი კოლმეურნეები, რომელნიც წლის განმავლობაში არა საპატიო მიზეზით ვერ გამოიმუშავებენ არა ნაკლებ 80 შრომა დღეს დაჰკარგავენ კოლმეურნეობის წევრობის უფლებას.

7/ ახალ საკოლმეურნეო წესდებაში დამატებით მუხლად უნდა იქნეს შეტანილი, რათა აეკრძალოს სასოფლო საბჭოებს, რაიონის ადგილობრივი სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულე-ბებს,- კოლმეურნეობებისადმი ადმინისტრაციული წესით ქონე-ბრივი გადასახდევინების უფლება. ხოლო საჭირო შემთხვევებში ყოველგვარი ქონებრივი დავა კოლმეურნეობების მიმართ, სწყ-დებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო წესით.

8/ ერთ კოლმეურნეობიდან მეორეში გადასვლა კოლმეურნის წევრისა, დამოკიდებულია თვით კოლმეურნის სურვილზე. მოქმ-მედ წესდებით ეს დასაშვებია არის, მას შემდეგ, რაც დას-ტური იქნება რაიმიწგანის ანდა მტს-ის დირექტორის მიერ. დაუშვათ, რომ კოლმეურნემ უარყოფითი პასუხი მიიღო, როგორც ერთისაგან ისე მეორისაგან. თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში კოლმეურნე- ამაზე წესდება არაფერს ამბობს?

ჩემის აზრით მიზანშეწონილი იქნება, რათა საკითხი ერთი კოლმეურნეობიდან მეორე კოლმეურნეობაში კოლმეურნის გადასვლის შესახებ და მისი კუთვნილი ქონებრივი საკითხის მოგვარების შესახებ უნდა სწყდებოდეს მოპირდაპირე კოლმეურ-ნეობის გამგეობათა მიერ. იმ შემთხვევაში თუ ორივე კოლ-მეურნეობის გამგეობა მიზანშეწონილად დაინახავს ამა თუ იმ კოლმეურნის გადასვლის საკითხს, მაშინ ეს გადაწყვეტი-ლება საბოლოოდ უნდა ჩაითვალოს. რაიმიწგანის და მტს-ის დირექტორის ჩარევა ამ საქმეში საჭირო აღარ არის.

9/ არტელის მოქმედი წესდების მე-7 მუხლი განსაზღ-ვრავს კოლექტივში მიღების დროს პიროვნების სოციალური წარმოშობის და მისი წარსული საქმიანობის რაობას. დასახე-ლებული მუხლი მთლიანად გაუქმებული უნდა იქნეს. ახალი წესდებით არტელში შესვლის უფლება ყველას უნდა მიეცეს,

მიუხედავად მისი წარსული საქმიანობის და სოციალური წარმოშობისა, თუ კი შემსვლელი პიროვნება პატიოსანი შრომის მოყვარე და ღირსეული კანდიდატია.

10/ მოქმედი წესდების 14-მუხლში სადაც წერია: "კოლმეურნეობაში შრომის სწორი გამოყენების შესახებ". აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს საწარმოო ბრიგადირების მეტი პასუხისმგებლობა, გაიზარდოს მათი როლი მიჩნეული საქმის შესრულებისათვის, რისთვისაც საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი- ბრიგადირი, ზოგ შემთხვევებში განთავისუფლდეს ფიზიკური სამუშაოდან, ხოლო მისი დანიშვნა-დახსნის საკითხი, ძალაში შევიდეს დღიდან რაიმიწგანის დადგენილებისა.

11/ საკოლმეურნეო საკუთრების მოვლა-შენახვის საქმეში მთელი კოლექტივი და მისი წევრები უნდა ჩაებას. კოლმეურნეობებს არ ჰყავთ შტატიანი იურისკონსულტები, რომელთა რჩევით და დახმარებით მოხდება ძიების წარდგენა სასამართლოში. ესეც, რომ არ იყოს საკოლმეურნეო ცხოვრება წარმოადგენს უაღრესად რთულ მეურნეობის სისტემის ფორმას, სადაც თვით შიგნით კოლმეურნეობებში ყოველთვის თავს იჩენს კოლმეურნეპირთა საყოფაცხოვრებო და საოჯახო პრეტენზიები, ქონებრივი ურთიერთობის და დავის პრეტენზიები, რომელთაც სათანადო ახსნა-განმარტება საჭიროებს.

ამ მხრივ მიზანშეწონილი იქნება, რათა კოლმეურნეობათა იურიდიული დახმარების ორგანიზაცია მოეწყოს, კერძოდ ისეთ მოზრდილ მთლიანი კოლექტივიზაციის სოფლებში, სადაც რამოდენიმე კოლმეურნეობა ითვლება, შემოღებული იქნეს კოლმეურნეობის იურისკონსულტის ფასიანი ერთი შტატი.

12/ არტელის ახალ წესდებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს კოლექტივის თავმჯდომარის და მისი გამგეობის

უფრო მეტი პასუხისმგებლობის საკითხი. ხდებოდეს ზუსტი ანგარიშგება კოლექტივის საერთო კრების წინაშე, ხოლო კოლექტივის გამგეობის, მისი თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის არჩევა ხდებოდეს კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ ფ ა რ უ ლ ი კ ე ნ ჭ ი ს ყრის წესით.

:-:-:-:-:-:-:

საკოლმეურნეო საკუთრება არ შექმნილა რაიმე ავტომატური ხერხით. მისი წარმოშობა და განმტკიცება შედეგია ექსპლოატატორთა კლასის და კერძო საკუთრების დაუყონებლივ მოსპობის, მშრომელი გლეხობის ნებაყოფლობით ქონებათა განსაზოგადოებით და კლასობრივი ბრძოლის გაშლის აუცილებლობით.

ლენინიზმი ყოველმხრივ გასაგებად განმარტავს, რომ სოფლის გაძლიერების, სიღატაკის და კულაკური მონობის მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი, კოლექტიური მეურნეობის შექმნის საფუძველზე.

სოფლად, კოლმეურნეობათა გზა, ეს მშრომელი გლეხობის პირდაპირ, სწორი და უტყუარი გზაა—სოციალიზმში გადასასვლელად. გზა, რომელიც გვიჩვენეს დიდმა ლენინმა და მის თანამებრძოლმა ამხანაგმა სტალინმა.

სასოფლო სამეურნეო არტელში მშრომელი გლეხობის გაერთიანებით კი არ მთავრდება ახალი საზოგადოების შექმნის საკითხი, კი არ სრულდება საკოლმეურნეო საკუთრების საბოლოო გამარჯვების პრობლემა, არამედ მხოლოდ ამით იწყება ახალი საზოგადოების და სოციალისტური დისციპლინის შექმნის დიდი საქმე. ამით იწყება საკოლმეურნეო დოვლათის გამარჯვების საქმე. არტელში ყოფნის პირველსვე, კოლმეურნე გლეხები საბოლოოდ

აღმოფხვრიან თავის შეგნებაში წვრილ მესაკუთრულ, კერძო წამგლეჯურ-მემკვიდრეობით დარჩენილ წყურვილებს.

უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში, კოლექტივიზირებულ გლეხთა შეგნებაში, სამუდამოდ აღმოიფხვრება დარჩენილი კერძო მითვისებათა კაპიტალისტური ნაშთების მავნე ტენდენციები. მის ადგილს დაიკავებს კოლექტივისტური შემოქმედებითი შეგნება-სიყვარული, საკოლმეურნეო საკუთრებისადმი თავდადებული ზრუნვა-შენახვის კომუნისტური ტრადიცია.

რაც უფრო უკეთ იმუშავებენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, შახტები და რკინისგზები, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობები, რაც უფრო წარმატებით დაგვირგვინდება სტახანოვური მუშაობა ჩვენი მეურნეობის ყველა უბანზე, მით უფრო უიმედო და ამაო იქნება ჩვენი მტრების ჯერ კიდევ დარჩენილი ნაშთების ცდები, მით უფრო ყოველ მხრივ გაიმარჯვებს საკოლმეურნეო ძალა.

" საკ.კ.პ./ბ/მე-18 ყრილობა პროდუქციის ზრდას ს ო ფ ლ ი ს  მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი განსაზღვრავს 1937 წლის 20,1 მილიარდი მანეთიდან / 1926-1927 წლების ფასებით/ 30,5 მილიარდ მანეთამდე 1942 წელს, ე.ი.52%-ით" /მე-18 პარტყრილობის რეზოლუციიდან /.

მესამე სტალინური 5-წლედის ესეოდენ გრანდიოზული ამოცანა—სოფლის მეურნეობაში, რომელიც მეტყველებს საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომ განმტკიცებაზე-იგი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ჩვეული გენიოსობით კვლავ წარმატებით იქნება შესრულებული.

:-:-:-:-:-:-:-:-:

ლიტერატურის დასახელება, რომელიც გამოყენებულ იქნა სადისერტაციო შრომის დასამუშავებლად.


1. მარქსი და ენგელსი - "კომუნისტური მანიფესტი".
2. კ.მარქსი - "კაპიტალი", ტ.I, გვ.გვ. 44,458,525, 558,581,584, და 621.
3. К.Маркс - "Нищета философии".
4. კ.მარქსი " ბაკუნინისადმი კონსპექტი".
5. К.Маркс - "Гражданские войны во Франции" в 1871 г.стр. 46.
6. კ.მარქსი - "გოთას პროგრამის კრიტიკა".
7. ფ.ენგელსი - "გერმანული იდეოლოგია".
8. ფ.ენგელსი - "ანტიდიურინგი" გვ.გვ. 183,240, და252.
9. ფ.ენგელსი - "გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში".
10. ფ.ენგელსი- "ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ".
11. ფ.ენგელსი- "წერილი ბებელისადმი".
12. ლენინი - "სახელმწიფო და რევოლუცია".
13. Ленин - "О кооперации" (т.XXУП стр.391-395)
14. Ленин - "Доклад на 1X с"езде партии" стр. 104-105.
15. ლენინი - " სტატია "ღარიბი გლეხობისადმი".
16. ლენინი - "რანი არიან " ხალხის მეგობრები" და როგორ იბრძვიან ისინი სოც.დ.მ.ჭ. წინააღმდეგ".

17. ლენინი - "კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში".
18. ლენინი - "თანამედროვე მთავრობის აგრარული /საერთო/ პოლიტიკის საკითხისათვის".
19. სტალინი - " სოფლად მუშაობის შესახებ ".
20. სტალინი - " აგრარული საკითხისათვის საბჭოთა კავშირში
21. სტალინი - " სიტყვა წარმოთქმული დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე 1933 წ.".
22. სტალინი - "სიტყვა წარმოთქმული დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე 1935 წ.".
23. სტალინი - "საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან
24. სტალინი - "ლენინიზმის საფუძვლების შესახებ".
25. სტალინი - " I -ლ 5 წლედის შედეგების შესახებ".
26. სტალინი - " საუბარი ჰოვარდთან".
27. სტალინი - " საუბარი ინგლისელ მწერალ ჰ.ჯ. უელსთან".
28. სტალინი - " დიადი გარდატეხის წელი".
29. სტალინი - " პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს".
30. სტალინი - მოხსენება საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე,კონსტიტუციის პროექტის შესახებ.
31. სტალინი - მოხსენებითი ანგარიში პარტიის მე-17 და მე-18 ყრილობებზე.
32. ს.კ.პ./ბ/ ისტორიის მოკლე კურსი /სათანადო თავების გამოყენება/.
33. სტალინური კონსტიტუცია /სათანადო თავები/.
34. გ.პლეხანოვი - თხზულებანი ტ. 3.
35. Эмиль-де-Лавелье-"Первобытная собственность" (Перев. с французского-Кутенкова).
36. К. Победоносцев - "Курс гражданского права" разд.П. "О собственности".

37. Ф.И. Вольфсон - "Гражданские права" 1939 г. Ш изд.

38. Л. Дюг - "Собственность как социальная функция" стр. 81-97.

39. И. И. Игнатов - "Великая реформа".

40. Довнар-Запольский - "На заре крестьянской свободы" 1911 г. Киев.

41. А. П. Заблоцкий - Десятовский, том. 1У.

42. [redacted]

43. А.Я. Вышинский - "Революционная законность на современном этапе" 1933 г. стр. 83-105.

44. რ.ს.დ.მ.პ./ბ/ მე-6 ყრილობის ოქმები.

45. სასოფლო-სამეურნეო არტელის 1-ლი და მე-2 სანიმუშო წესდებები.

46. მოლოტოვი - მოხსენება პარტიის მე-18 ყრილობაზე, მესამე სტალინური ხუთწლედის შესახებ.

47. Учебник колхозного права стр. 168-185.

48. Учебник гражданского права ч. 1 разд. Ш. стр. 209.

49. მოლოტოვი - სიტყვა წარმოთქმული საბჭოების მე -8 საგან გებო ყრილობაზე.

50. "20 лет. Советской власти" изд. ВЦУНХУ.

51. ჟურნალები:- "Советск. государ.," "Советская юстиция" "Арбитраж", "На аграрном фронте", "Под знаменем марксизма", "Соц.сел.хозяйства" ცალკე ნომრები გამოცემული 1930 წლის შემდეგ.

საკ.ცაკის და სახკომსაბჭოს „1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილება -სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვის და საზოგადოებრივი /სოციალისტური/ საკუთრების განმტკიცების შესახებ".

1939 წლის სრულიად საკ.სას.სამეურნეო გამოფენის მასალები ცალკეული პავილიონებისდა მიხედვით.

-"-"-"-"-"-"-"-"-"-"-"-"-"-"-"-